ტაბ. 3

1 2

ტაბ.4



სურ. 1 სურ. 2

სურ.3 სურ.4

ტაბ.5

სურ.1 სურ.2

ტაბ. 6

სურ.1

სურ.2

ტაბ. 7

1

2

ტაბ. 8



ტაბ. 9

1

2

3



4



5

ტაბ. 10



1



2



3



4



ტაბ. 11



ტაბ. 12
1





შოთა მამულაძე
კახაბერ ქამადაძე

2019 წელს გვარას ციხეზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები[30]

გვარას ციხე მდ. მაჭახლის წყლისა და ჭოროხის ხერთვისში ზღვის დონიდან 429 მ სიმაღლეზე მდებარეობს (GPS კორდინატები: N 41⁰31.005'; E 041⁰43.131'). იგი დაშენებულია მაღალ, წინ წამოწეულ კლდოვან ბორცვზე. დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და მორგებულია კლდოვან რელიეფს (ზომები: 27x17 მ) (ტაბ.I/1). ციხე ნაგებია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვებით, არაწესიერი წყობით. აქა-იქ გალავნის კედლებში თუ შიდა სივრცეში გამოვლენილ ნაგებობებში გამოყენებულია კარგად გათლილი კვადრებიც.

გვარას ციხის არქეოლოგიური შესწავლა აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით პირველად 2018 წელს განხორციელდა. ექსპედიციამ შეისწავლა ციხის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილი მარანი და ჩრდილო, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კედლებთან არსებული სხვადასხვა გეგმის სათავსები (ვრცლ. იხ. მამულაძე, ქამადაძე...., 2018; ქამადაძე, ჩხატარაშვილი..., 2018).

2019 წელს არქეოლოგიურ სამუშაოები გაგრძელდა ციხის სამხრეთ ნაწილში (ტაბ.I/2). ამ მონაკვეთში წარმოებულმა ორკვირიანმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადგინა, რომ ციხეს მთავარი შესასვლელი სწორედ აქ, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჰქონია (ტაბ.II/1). დღეისათვის აქედან ციხეზე მოხვედრა კლდოვანი რელიეფის გამო შეუძლებელია. გალავნის კედელში გაჭრილი კარი (ზომები: სიფართე 1,40 მ, სიმაღლე 1,80 მ) საკმაოდ კარგად ყოფილა გამაგრებული და ურდულით იკეტებოდა (ტაბ.II/2). კარისაგან მარცხნივ, სამხრეთის მხარეს, გალავანში ჩართულია კოშკი, რომელიც აკონტროლებს ციხის მთავარ შემოსასვლელს. კოშკს რელიე-

[30] ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: შოთა მამულაძე (ხელმძღვანელი), კახაბერ ქამადაძე (უბნის ხელმძღვანელი), ლაშა ასლანიშვილი (არქეოლოგი), სულხან მამულაძე (დოქტორანტი), თორნიკე მამისეიშვილი (დოქტორანტი), გიორგი დუმბაძე (ფოტოგრაფი), ნოდარ დევაძე (მძღოლი).

ფიდან გამომდინარე არასტანდარტული კონფიგურაცია აქვს და მისი ზომები განსხვავებულია. მისი სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთით 6,10 მ-ია, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით 4,80 მ; კედლის სისქე 1,20 მ-ია (ტაბ.II/1). კოშკს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ციხეში შემოსასვლელი მთავარი კარისაგან 2,5 მ-ის დაშორებით ჰქონია კარი (ზომები: სიფართე: 1,10 სმ, სიმაღლე 2,60 მ) (ტაბ.III/1). კარის მარცხენა მხარეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელს მიუყვება 0,70 სმ სიფართის დამატებითი კედელი, რომელიც სამხრეთის მიმართულებით იატაკის დონემდეა მორღვეული და ფრაგმენტულადაა შემორჩენილი (ტაბ.IV/1). კოშკის შიდა სივრცეში დაღმავებისას, აღმოჩნდა 9 ქვევრი. ყველა მათგანი საშუალო ზომისაა და ჩაუკირავია (ტაბ.IV/2). როგორც ჩანს ისინი აქ გვიან შუასაუკუნეებშია ჩადგმული. ციხის მთავარი კარი ვიწრო დერეფნით (დერეფნის სიფართე 1,10 მ) უკავშირდება დასავლეთით მის პირდაპირ 5 მ მანძილის დაშორებით მდებარე მეორე კარს (ზომები: სიფართე: 1,10 მ, სიმაღლე 2,20 მ), რომლითაც მოხვედრა შეიძლება ციხის ცენტრალურ ნაწილში. კარის მარცხნივ, სამხრეთის მხარეს განლაგებულია კვადრატული გეგმის სათავსი, ხოლო მარჯვნივ ჩრდილოეთის მხარეს, ციხის ზედა ნაწილში ასასვლელი 1 მ სიფართის ქვის საფეხურები მიუყვება (ტაბ.III/2).

ციხის ამ მონაკვეთში მცირე რაოდენობით გამოვლინდა არქეოლოგიური მასალები. მათგან აღსანიშნავია კოშკის შესასვლელში, კართან აღმოჩენილი ქვის ორი მოზრდილი (ტაბ.V/3) და ერთი საშუალო ზომის ბირთვი, დოქის პირ-კედელი (ტაბ.V/6); ქვევრის პირის ნატეხები (ტაბ.XIII/5) და სხვადასხვა ზომის ლურსმნები (ტაბ.XIII/9). ყველა მათგანი გვიანი შუასაუკუნეების (XVII-XVIII სს) ნაკეთობებია.

სამუშაოები მიმდინარეობდა ციხის ცენტრალურ ნაწილშიც. წინა წელს გაითხარა 24 ქვევრი. წელს გამოვლინდა კიდევ სამი ქვევრი. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ქამრის ბალთაც (ტაბ.V/8). პარალელურად დანაწევრდა და ციხის გარეთ გაიზიდა შიდა სივრცეში ჩაქცეული გალავნის კედლები (ტაბ.IX). ციხის ირგვლივ გაიკაფა მრავალწლიანი ნარგავები. გასუფთავდა ტერიტორია ქვების დასალაგებლად შემდგომში მათი საკონსერვაციო-სარესტავრაციოდ გამოსაყენებლად.

სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში გაივლო საკონტროლო თხრილები. სამხრეთ-დასავლეთ თხრილში

არქეოლოგიური არტეფაქტები არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ თხრილს აქ 50 სმ სიღმრეზე დაღრმავებისას აღმოჩნდა ქვევრის ძირისა და პირის ნატეხი (ტაბ.V/4).

საკონტროლო თხრილი გაივლო წინა წელს შესწავლილ გალავნის ჩრდილოეთ კედელთან მდებარე სათავსშიც.[31] 70 სმ-ით ჩაღრმავების შემდეგ გამოიკვეთა კარგად გათლილი ქვებისაგან შედგენილი 70 სმ სიფართის ქვის წყობა რომლის ზედაპირი კირხსნარის სქელი ფენითაა დაფარული და 2,30 სმ სიგრძეზე გალავნის კედელს მიუყვება. აქვე აღმოჩნდა ქვის 21 ბირთვი და ორი შურდულის ქვა. ყველა მათგანი საშუალო ზომისაა და რუხი ფერის ქვისგანაა დამზადებული (ტაბ.V/2). ბირთვებთან ერთად აღმოჩნდა რკინის სატეხი (ტაბ.V/1) და მთლიანად დაცული კრამიტი (ტაბ.V/7). ეს ნაკეთობანიც გვიანი შუასაუკუნეების ტიპურ ნაწარმს განეკუთვნება.

საკონტროლო-საცდელი თხრილები გაივლო გარე პერიმეტრზეც ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს**.** არქეოლოგიური არტეფაქტები არც მათში აღმოჩენილა. მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ თხრილში ზედაპირულად ჰუმუსში აღმოჩნდა მეოცე საუკუნის დასაწყისის რამოდენიმე გილზა.

ამგვარად, ციხის შიდა და გარე ტერიტორიაზე გავლებულ საკონტროლო თხრილებში ციხის მშენებლობის ადრეული ეტაპების (VI ს; XI ს) არქეოლოგიური არტეფაქტები არ მოგვყოლია. როგორ ჩანს, გვიან შუასაუკუნეებში მეციხოვნეებს ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია „მოუწესრიგებიათ“ და მათთვის არასაჭირო მასალები გადაუყრიათ. მშენებლობის არქიტექტონიკას თუ დავაკვირდებით იგი თუ უფრო ადრე არა VI ს-ში მაინც უნდა იყოს აგებული. ციხის გალავანის ჩრდილო აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ კედლის წყობაში დღემდე კარგადაა შემორჩენილი გათლილი კვადრები, ჩრდილოეთ კედელში ერთ-ერთ მათგანზე ჯვრის გამოსახულებაცაა ამოკვეთილი, ციხე საგრძნობლადაა გადაკეთებული გვიან შუასაუკუნეებში (XVII-XVIII სს). სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება როგორც გალავნის კედლის უმთავრესი ნაწილი, ისე შიდა სივრცე-

[31] 2018 წ წარმოებული გათხრებისას იგი კოშკად მივიჩნიეთ (იხ. მამულაძე, ქამადაძე....2018; ქამადაძე, ჩხატარაშვილი...2018), თუმცა 2019 წლის გათხრებმა ცხადყო, რომ ესაა სათავსი და არა კოშკი.

ში გამოვლენილი სათავსები და არქეოლოგიური არტეფაქტები.

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო გვარას ციხე XX ს-ის I ნახევრამდე დიდ როლს ასრულებდა მდ. ჭოროხის ხეობის ერთიანი თავდაცვითი სისტემის ჯაჭვში. იგი წარმოადგენდა ნიგალისა და მაჭახლის ხეობის გასაღებს. წორედ აქ გაივლიდა შავშეთისა და კლარჯეთისაკენ მიმავალი გზები. ციხის ძირითადი დანიშნულებაც ამ გზების გაკონტროლება იყო (კახიძე, მამულაძე, 2016: 92; მამულაძე, 2009: 182; სიხარულიძე, 1958: 183-184).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კახიძე, მამულაძე, 2016: – კახიძე ა, მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი
2. მამულაძე, 2009: – მამულაძე შ., გზები, საგზაო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი//სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა II, 171-184, ბათუმი.
3. მამულაძე..., 2018: – მამულაძე შ, ქამადაძე კ, ასლანიშვილი ლ, ჩხატარაშვილი გ, ყულეჯიშვილი მ, მამულაძე ს., 2018 წელს გვარას ციხეზე (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) წარმოებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. *ხელნაწერი.* ინახება გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის ფონდში. ბათუმი.
4. სიხარულიძე, 1958: – სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა I, ბათუმი.
5. ქამადაძე..., 2018: – ქამადაძე კ, ჩხატარაშვილი გ, ყულეჯიშვილი მ., არქეოლოგიური გათხრები გვარას ციხეზე// საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: სამხრეთ-დასავლეთ საქართველო VIII (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) მასალები, 367-372, თბილისი.

Shota Mamuladze
Kakhaber Kamadadze

The Main Results of the Archaeological Excavations Conducted in Gvara in 2019

Summary

The site is located in the village of Gvara, Khelvachauri municipality, at the confluence of the Machakhlistskali and the Chorokhi. The castle is built on a high protruded rocky hill which has excellent views of a rather large area of Chorokhi and Machakhistskali gorges. It controlled old roads crossing the Chorokhi and Machakhlistskali gorge. Major part of the castle is ruined. Northern part of the curtain walls is relatively better preserved. Well-treated stones are used in the masonry. Remains of structures of different epochs are preserved on the inner area of the castle. Most of them are ruined. Particularly interesting is a well-preserved water reservoir in the central part of the inner fort. A representation of a cross carved on a large stone is inserted in the masonry of the northern part of the curtain wall. The site is particularly interesting from the archaeological point of view. It is absolutely necessary to conduct archaeological excavations here; Gvara castle appears to be the guard of the lower stretches of Chorokhi and Machakhela gorges.

I



1

2

II

1

2

III

1

2

IV



1



2

V

1

2

3

4

5

6


7


8


9

იზოლდა დუმბაძე

ᲨᲣᲐᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲜᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲙᲐᲞᲜᲘᲡᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ

მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური აღმოჩენებით გამოირჩევა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი კაპნისთავი. მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მარანი, რომელიც 2015 წელს აჭარის ა.რ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიციამ შეისწავლა სოფელ კაპნისთავში. იგი აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 321 მ-ზე მდებარეობს და ქ. ბათუმიდან 22 კმ. დაშორებული, სამანქანე გზიდან 2 კმ სიმაღლეზე. ტოპონიმი „კაპანი“ უკავშირდება დაქანებულ ციცაბო, კლდოვან, ადგილს.

არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ კაპნისთავში შესწავლილი მარანი მდებარეობს ერთ-ერთი მოსახლის (ხასან კახიძის) საკარმიდამო ნაკვეთში. იგი მიეკუთვნება საცხოვრებელი სახლის კომპლექსში შემავალი მარნის ტიპს და ახ.წ. VI-XI საუკუნეებთაა დათარიღებული (ტაბ.I/1,2). მარნის ტერიტორიაზე გამოვლენილი 11 საღვინე ქვევრიდან 4 – (1, მე-6, მე-10 და მე-11) გამოირჩევა ადრეულობით (ტაბ.II/1,2,3), მათი თიხა მოვარდისფრო-მოყავისფროდაა გამომწვარი. პირი სამკუთხაგანივკვეთიანია, ყელი ტანისაგან არაა გამოყოფილი და შემკულია ჰორიზონტალურად განლაგებული მჭიდრო რელიეფური ღარებით. ყელის დასასრულს ქვევრს შემოუყვება ჯაჭვისებური ორნამენტი. ტანის ზედა ნაწილი ვიწროა, ქვედა კი ნახევარსფეროსებურად მომრგვალებული, აქვს დისკოსებური ძირი (კახიძე, შალიკაძე, ნაგერვაძე, 2017:30). შედარებით დიდი ტევადობის, მსგავსი ფორმის და ორნამენტის ქვევრები შესწავლილია 2012 და 2017 წლებში ჩაქვის ჩაისუბანში გამოვლენილ მარნის ტერიტორიაზეც. ისინი გვიანრომაული-ადრებიზანტიური ხანით თარიღდება (კახიძე, სურმანიძე, 2013:228). უნდა აღინიშნოს, რომ რელიეფურორნამენტიანი ქვევრები აჭარის ტერიტორიაზე ბოლო წლებში არაერთგან აღმოჩნდა, როგორც ზღვისპირა და მთისწინა, ასევე მაღალმთიან ზოლში და განსა-

კუთრებული კვლევის საგნად იქცა (კახიძე, სურმანიძე, 2013:226-228; კახიძე, შალიკაძე, ნაგერვაძე, 2017:29-31; მინდორაშვილი 2017:324-328, მინდორაშვილი, 2019:22-26; გაზეთი ქედა# 3 (22), 2018:9; დუმბაძე, 2018:432; Мархолия.1980:112). მიჩნეულია, რომ მსგავსი ფორმისა და შემკულობის ქვევრები სამხრეთი შავიზღვისპირეთის სავაჭრო-საწარმოო ცენტრებიდან ვაჭრობის გზით გავრცელდა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (კახიძე, მამულაძე, 2018:130-139; Хрушкова,1989:52).

კაპნისთავის მარანში გარდა ჯაჭვისებურორნამენტიანი ქვევრებისა, გამოვლენილია ადგილობრივი, ყავისფერკეციანი ქვევრებიც. აქვთ ოთხკუთხაგანივკვეთიანი დაბრტყელებული პირი, გამოყვანილი ყელი, სფეროსებური ტანი და დისკოსებური ძირი. მათლიანადაა დაფარული სიმეტრიულად დაშორებული ზოლებით (ტაბ.III.3,4). ჰორიზონტალური ღარებით შემკული ქვევრები საქართველოს მეღვინეობის სხვადასხვა ზონაში გვიანანტიკური ხანიდან დღემდეა გავრცელებული. ჰორიზონტალური ზოლები ქვევრს ამოყვანისას, ორი ფენის შეერთების (ძველისა და ახლის) ადგილას უკეთდებოდა. სამკაულის გარდა სარტყელის დანიშნულებას შეერთებული ადგილების გამაგრებაც წარმოადგენდა, თანაც კირხსნარს უფრო მტკიცედ იჭერდა (ფრუიძე,2018:71).

ქვევრების დუღაბით დაკირვა შუაფეოდალური ხანიდან დასტურდება. ამისათვის იყენებდნენ კირხსნარს, რიყისა და ქვიშაქვის ნატეხებს, ზოგ შემთხვევაში ქვევრისა და ჭურჭლის ნატეხებსაც კი. საყურადღებოა, რომ არქეოლოგი ა. ბოხოჩაძე ქვევრების დაკირვას მთელ საქართველოში, ბუნების სტიქიური მოვლენებს უკავშირებს, რომელიც მისი აზრით მიწაში დაფლული საღვინე ქვევრის მთავარი მტერია. ერთერთ ასეთ მოვლენად მიიჩნევს დამანგრეველ მიწისძვრებს საქართველოში XI ს-ის 80-იანი წლების მიწურულიდან (1080-1089), რამაც გამოიწვია ქვევრების დასკდომა, ამას კი თავისთავად უნდა მოჰყოლოდა დაზიანებული ქვევრების შეკეთების ცდა და ამ მიზნით მათი დაკირვა. როგორც არის აღიარებული ამ დროიდან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, წესად გამხდარა და არა მარტო გაბზარული, არამედ ახალშეძენილი მთელი ქვევრების დაკირვაც (ბოხოჩაძე, 1963:141-142).

საინტერესოა ქვევრების დაკირვასთან დაკავშირებით გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებებიც. ქვევრების დაკირვის მი-

ზანი მარტო მათი მიწისძვრისა და სხვა მოულოდნელი სტიქიური მოვლენებისაგან დაცვის გარდა, ღვინის ტექნოლოგიური მოთხოვნილებებითაც იყო ნაკარნახევი. ქვევრის მიწაში მოქცევის შემდეგ მალევე გახდებოდა შესამჩნევი კეცის უარყოფითი მხარეები – მსხვრევადობა და სინესტის გამტარიანობა. მეღვინეობის მასშტაბებისა და ჭურის ზომების ზრდასთან ერთად ეს პრობლემა უფრო საგრძნობი გახდებოდა და მეურნე მათ აღმოფხვრაზე ათასგვარი ექსპერიმენტით იზრუნებდა, რის შედეგადაც დაკირვამდე თანდათანობით მივიდოდა. ამრიგად ქვევრების დაკირვა გაცილებით ადრეა საძიებელი, ვიდრე XI ს-ის 80-იანი წლები, რადგანაც ქვევრი ადრეც ზიანდებოდა და მისი შეკეთება-დახიზვის საჭიროება იმთავითვე წარმოიშობოდა. XI ს-ის 80-იანი წლებიდან კი ეს ტექნიკური სიახლე ფართოდ ხდება დამკვიდრებული. აქედან გამომდინარე ქვევრების დაკირვის ცდები გაცილებით ადრეა საძიებელი და იგი ღია მარნების წარმოშობამ აქცია აუცილებელ საქმედ. (ფრუიძე, 1974:133-134; ფრუიძე, 2018:70-71). აღმოსავლეთ საქართველოს განათხარი ძეგლების კერამიკაში XI ს-ზე ადრინდელი არაერთი ჩაკირული ქვევრი გვხდება (მინდორაშვილი,2007:91, იქვე სხვა ლიტ). ვფიქრობ, ამ მხვრივ აჭარაში დაკირვის აუცილებლობა მთაგორიანი ლანდშაფტის გამო უფრო ადრეცაა სავარაუდებელი.

დაკირვასთან დაკავშირებით ფრიად საინტერესო სურათი დაფიქსირდა კაპნისთავში(ტაბ.III.1-4). აქ გამოვლენილ ქვევრებზე გვხდება პირველადი, მეორადი და მესამედი დაკირვაც, რაც ადასტურებს მარნისა და ქვევრების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფუნქციონირებას და გამოყენებას (კახიძე, შალიკაძე, ნაგერვაძე, 2017:30). ის, რომ შუასაუკუნეებში კაპნისთავის მოსახლეობის ერთ-ერთ წამყვან საქმიანობას მევენახეობა-მეღვინეობა წარმოადგენდა, დასტურდება უახლესი აღმოჩენებითაც.

მიმდინარე წლის აპრილის თვის დასაწყისში კაპნისთავის მცხოვრები ზურაბ ბედინაძისაგან ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში მივიღეთ ცნობა ქვევრების აღმოჩენის შესახებ. სოფელში ვიზიტი მრავალმხვრივ საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა. მივიღეთ ინფორმაცია, რომ სოფელ კაპნისთავში ხარობს სხვადასხვა ადგილობრივი ყურძნის ჯიში, რომელთაგან ყველაზე მეტად გავრცელებულია ჩხავერი. ჩხავერის ტალავერი მის ეზოსაც ამშვენებს. სახლის სარდაფში გამართული აქვს ღვინის შესანახი საწყო-

ბი და თავს იწონებს სხვადასხვა წლის ღვინოებით. ამასთანავე ბატონი ზურაბ ბედინაძე დაინტერესებულია სოფლის სიძველეების შეგროვებით. მან თანასოფლელთა დახმარებით სოფლის ცენტრში მოაწყო ღია ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც უამრავი საინტერესო ნივთია ექსპონირებული. გამოფენილია, როგორც ეთნოგრაფიული, ასევე არქეოლოგიური არტეფაქტები. სოფლის მოსახლეობა უფრთხილდება აქ გამოფენილ უკვე „ექსპონატებს“ და იყენებენ ტურისტული მიზნებითაც. ჩვენს მიერ სოფელ კაპნისთავის სხვადასხვა უბანზე დაფიქსირებული იქნა ახლადგამოვლენილი რამდენიმე ქვევრი. ბატონ ზურაბ ბედინაძის თხოვნა იყო დავხმარებოდით შემთხვევით გამოვლენილი ქვევრების შესწავლაში. ერთერთი ადგილი იყო ბერიძე ქამილის საკარმიდამო ნაკვეთი. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის სადაზვერვო ჯგუფმა სწორედ აქ დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები. თავდაპირველად მოიხსნა 40-50 სმ ჰუმუსოვანი ფენა. გაიწმინდა ქვევრზე დახურული ქვის დისკოსებური ფორმის სარქველები. დაფიქსირდა ორი ქვევრის პირის კონტურები. დავიწყეთ მათი მეთოდური შესწავლა. 5 სმ სისქის მიწის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა წითელი მკვრივი შრე, რომელშიც ჩადგმული იყო ორივე ქვევრი. ისინი სიმეტრიულად იყო განლაგებული ერთ ხაზზე, მათ შორის დაშორება 75 სმ-ია (ტაბ III. 5,6,7). მათგან მარჯვენა მხარეს იგივე დაშორებით კიდევ ყოფილა ერთი ქვევრი, რომელიც არხის გაჭრის დროს დაუზიანებიათ. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არცერთ მარანში, არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილში თუ მოქმედ ეთნოგრაფიულ ყოფაში, ქვევრები ქაოტურად არ არის ჩამარხული. მათი განლაგება, ჩაფლვის სიმაღლე, ურთიერთდაშორება გამომდინარეობს ღვინის დაყენების ტექნოლოგიის საჭიროებით (ფრუიძე, 2018:44). ორივე ქვევრი მთლიანადაა დაცული. კეცი ყავისფერია. ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირის დმ-35 სმ, ბაკოს სიფართე 5 სმ, ყელი დაბალი, ფართე, პირს ქვემოთ ყელის დასაწყისზე აქვს წრიული ნახვრეტი. მთლიანი ტანი დაფარულია სიმეტრიულად დაშორებული რელიეფური ზოლებით (მათი რაოდენობა 10 შეადგენს), მათ შორის დაშორება 10-13 სმ-ს შორის მერყეობს. მუცლის დმ – 85 სმ, კეცის სისქე 1-სმ, ქვევრის სიმაღლე 1,30 სმ. (ტაბ III. 5) ტიპისა და პროპორციების მიხედვით ანალოგიურია მეორე ქვევრიც, ოღონდაც იგი მთლიანადაა დაკირული, კირხსნა-

რის სისქე 7 სმ-ია (ტაბ. III.6). ქვევრები დაახლოებით 430-450 ლიტრი ტევადობისა უნდა ყოფილიყო. ნასვრეტიანი ქვევრი შეიძლება სამაჭრედ მივიჩნიოთ, ხოლო გვერდით არსებული დაკირული ქვევრი დასავარგებლად და შესანახად შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული. დუღაბიანი ქვევრი ამოღებისას, შუაში გაიხსნა. აღმოჩნდა, რომ თავის დროზე იგი მეორადად გამოუყენებიათ. მისი დაკირვის მიზეზი დაზიანება ყოფილა. მუცლის შუაში ქვევრს ჰქონდა ბზარები და ეკლო კედლის ფრაგმენტი, რომელიც დუღაბით იყო ამოვსებული. გამოვლენილი ქვევრების ადგილას მიწის ნიველირება იმდენად ინტენსიურად მიმდინარეობდა წლების განმავლობაში, რომ დანამდვილებით მარნის ტიპზე საუბარი ჭირს, თუმცა დიდი ალბათობით საქმე გვაქვს ღია ტიპის მარანთან. ნიშანდობლივია, ისიც, რომ ბატონი ქამილის ინფორმაციით (მიწის მეპატრონე), შესწავლილი ქვევრების ჩრდილოეთით რამდენიმე მეტრის მოშორებით მდგარი ბოსელი 40-50-იოდე წლის წინ გაუმართავთ ქვის საწნახელზე. რაც აქ მარნის არსებობას კიდევ ერთხელ ადასტურებს. ვინაიდან ქართული მარნის ძირითად ჭურჭლად ქვევრი ითვლება (გიაშვილი,1961:3), აქედან გამომდინარე ეჭვგარეშეა, რომ გადარჩენილი ქვევრები მარნის ტერიტორიაზე არსებული საღვინე ჭურჭლებია. ქვევრის ტიპების მიხედვით ისინი შესაძლოა მე-11 საუკუნის შემდგომ პერიოდს მივაკუთვნოთ.

როგორც ცნობილია, მარნის შესარჩევად ოდითგან ქართველი მეურნე ყურადღებას აქცევდა რამდენიმე უმთავრეს გარემოებას: „ალაგობას“ (ექსპოზიციას), “მიწას“ (ნიადაგს) ჰაერის „მუშაობას“ (ქარების მიმართულებას, მიწისქვეშა და მიწისზედა წყლების მოძრაობას, სახმარი წყლის სიახლოვეს, მზის დამხრობას, „მზის გულობას“ (ნათებას) და ჩრდილის მონაცვლეობას. დასავლეთ საქართველოში, სადაც ნიადაგი ტენიანია, მარანს შედარებით მშრალ, მაღლობ, წყლისაგან მოშორებულ ადგილას აშენებდნენ. ნიადაგ-გრუნტის სწორად შერჩევად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ღვინის შესანახად და მისი ხარისხის შესანარჩუნებლად. სამარნე ადგილი ისე უნდა იყოს „შეკაზმული“ რომ წვიმის წყალი ყველა მხრიდან იწურებოდეს. „მიწა შავი, თირი ჯობია, გრილია, სიმხურვალე ვერ ატანს, მშრალია, ნესტი ძვირად აქვს, გვალვაში არ სკდება, ჭურს კარგად ადგება, „ლაგაზივით“ არ ეგლისება, ამიტომაც თირ მიწაში ქვევრი კარგად „სუნთქავს“. უმზეო მარანიც არ

ვარგა შმორის სუნი იცის და ღვინო დაცდის (ჯორჯაძე,1976:222; თოფურია, 1984:6-7; ფრუიძე,2018:50; ფრუიძე,1974:108). ამ გარემოებების გათვალისწინებით მივიჩნევთ, რომ თავის დროზე კაპნისთავის სამარნე ადგილი სწორად ჩანს შერჩეული. ადგილი შეფერდებაა, მშრალი, ზომიერად საქარული და სამზეოც და სხვ. ყოველივე ეს მიუთითებს მეურნეობის ამ დარგის ღრმა ცოდნაზე, ტრადიციებსა და გამოცდილებაზე.

საყურადღებოა, რომ იმავე ადგილას 60-70 მეტრის მოშორებით დავაფიქსირეთ კიდევ ერთი სარქვლიანი მთლიანი ქვევრი და აქა-იქ მიმობნეული ქვევრების ფრაგმენტები. სოფლის მოსახლეობისგან მივიღეთ ინფორმაცია სხვადასხვა ადგილას არსებული ქვევრების შესახებაც. მომდევნო დღეებში იმავე სოფელში (კაპნისთავი) მურმან ცისკარაძის საკარმიდამო ნაკვეთშიც შევისწავლეთ კიდევ ერთი ჰორიზონტალურ სარტყლიანი მთლიანად დაცული მოზრდილი, დაუკურავი ქვევრი. იგი მკვრივ ყავისფერ გრუნტში იყო ჩადგმული, ირგვლივ კი შეინიშნებოდა კეჭოვანი შრეც. ყავისფერკეციანი ქვევრის, ზედაპირდაბრტყელებული პირი ოთხკუთხაგანივკვეთიანია, ყელი ფართო, მხრები თანაბრად დაქანებული, ძირი შევიწროებული (ტაბ. III. 8). პირის დმ-36 სმ, ბაკოს სიფართე 5 სმ, მუცლის დმ – 90 სმ, ქვევრის სიმაღლე 1,30 სმ. საყურადღებოა ადგილობრივების გადმოცემა, ამ ადგილებში, მდგარი ეკლესიის, შესახებ რომელსაც თავისი ვენახი და მარანიც ჰქონია. მათივე თქმით ამაზე მეტყველებს ქვევრების სიმრავლე.

აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სრულფასოვანი შესწავლისათვის არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად მნიშვნელოვანია წერილობით წყაროების მოშველიებაც. აღსანიშნავია, რომ მე-XVI საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში გაბატონებულმა ოსმალეთის იმპერიამ ახალ დაპყრობილ ტერიტორიებზე დააწესა პროვინციის შესაფერისი საგადასახადო სისტემა და გადასახადები (შაშიკაძე, მახარაძე, 2011:6). ფინანსური და ეკონომიკური თვალსაზრისით შედგენილი დავთრები ოსმალეთის იმპერიაში ყველაზე მოწესრიგებულ, ზუსტ და სწორ საკონტროლო დოკუმენტებს წარმოადგენდა. ამ მხვრივ საინტერესოა აჭარის მოსახლეობის შესახებ არსებული აღწერის დავთრები: 1. – „ზემო აჭარის ლივის დიდი დავთარი“, მასზე დატანილი თურღას მიხედვით შედგენილია სულთან სულეიმან მეორის (1566-1574 წწ) დროს, ხოლო 2. – „აჭარის ლივის მოკლე დავთარი“ სულთან

მურად III-ის (1574-1595 წწ) პერიოდში. დავთრები საინტერესო წყაროს წარმოადგენს, ამ რეგიონის დემოგრაფიულ-სტატისტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური მდგომარეობის შესასწავლად. მოცემულია გეოგრაფიული პუნქტების (სოფლების) სია, რომლებიც წარმოადგენდნენ საგადასახადო ობიექტებს, ჩანს შეწერილი გამოსაღების ჯამი და სოფელში მცხოვრებ კომლთა უფროსების სია. ასევე აღწერილია ჟამთა სიავის გამო მოსახლეობისაგან დაცლილი სოფლებიც. შესაძლებელი ხდება მათი ეროვნულ-რელიგიური შედგენილობის, საქმიანობისა თუ მეურნეობის სურათის შესახებ წარმოდგენის შექმნა. ირკვევა თუ როგორ იყო განვითარებული მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, სამიწათმოქმედო კულტურები, მათ შორის მევენახეობაც. უნდა აღინიშნოს, რომ დავთრების მიხედვით ხეობის შესასვლელში მდებარე დღეისათვის მჭიდროდ დასახლებული სოფლები – ხერთვისი, კიბე და ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო სოფელი კაპნისთავიც, „დავთრის“(1574-1595 წწ) შედგენის დროისათვის მთლიანად ყოფილა დაცლილი მოსახლეობისაგან. XVI საუკუნის შემდეგ, დროთა განმავლობაში, როგორც ჩანს ხალხი შეეგუა არსებულ მდგომარეობას და თავიდან დასახლდა ამ ნასოფლარებში (შაშიკაძე, მახარაძე,2011:7-20). ამ მხვრივ საგულისხმოა კაპნისთავის სადაზვერვო ექსპედიციის მუშაობისას შეგროვებული ინფორმაცია. მაგალითად ცისკარაძეების საკარმიდამო ნაკვეთში დაფიქსირებული სამი ქვევრი, გამოიყენებოდა მსხლის შესანახად. მასში 400-დან 500-კგ-მდე ზამთრის მსხალს ინახავდნენ (ხეჭეჭური, ზამთარა და ტუჩა). იქვე ყოფილა ასევე ორი დერგი, რომლებიც გვიანშუასაუკუნეებისაა და როგორც ჩანს სოფლის ხელახლა დასახლების შემდგომ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს. არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და წერილობითი მონაცემების შეჯერების შემდეგ ვვარაუდობთ, რომ კაპნისთავში გამოვლენილ მარნები თუ ცალკეული ქვევრები საღვინე დანიშნულებით სავარაუდოდ მე-16 საუკუნემდე იარსებებდა, რადგანაც შემდგომში იცვლება რელიგიურ-დემოგრაფიული სურათი და მეღვინეობა, როგორც მეურნეობის ცალკე დარგი არსებობას წყვეტს (კახიძე,2009:316; კახიძე,1971:5-9) . ვფიქრობთ ამ მიმართულებით კაპნისთავის მომავალი არქეოლოგიური შესწავლა კიდევ უფრო საინტერესო ინფორმაციის მომცემი იქნება.

ზემოთ ნახსენები უახლესი ქვევრები, გადატანილი იქნა სოფლის ღია მუზეუმის ტერიტორიაზე, სადაც შესაბამისი დაცულობის პირობებში მოხდა მათი განთავსება. გადაწყდა, რომ საუკუნეების წინ სოფლის წიაღში დაფლული ქვევრები ისევ სოფლის საკუთრებში დარჩეს და წარმატებულად იქნას გამოყენებული ეკო თუ ეთნოტურისტული მიმართულებით. სოფელი თავისი განსაკუთრებული ბუნების წყალობით იზიდავს ტურისტებს, რომლებსაც საშუალება ექნებათ ადგილზევე გაეცნონ ჩვენი კუთხის ისტორიას, ყოფასა და კულტურას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოხოჩაძე ა. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ.,1963.
2. გიაშვილი დ. ქართული მარანი, თბ., 1961.
3. დუმბაძე ი. ადრე შუასაუკუნეების ქვევრი თამარის დასახლებიდან. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია,არქეოლოგია,ეთნოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, VIII ,თბილისი, 2018
4. თოფურია ნ. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1984.
5. კახიძე ა., სურმანიძე ნ. სოფელ ჩაისუბანის „შუამთის“ გორანამოსახლარის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, აჭარა წარსული და თანამედროვეობა, I,ბათ., 2013.
6. კახიძე ა., სურმანიძე ნ., ფარტენაძე ვ. გაზეთი ქედა, #3 (22), 2018.
7. კახიძე ა., შალიკაძე თ., ნაგერვაძე მ. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ კაპნისთავში, აჭარა წარსული და თანამედროვეობა, III, ბათ., 2017.
8. კახიძე ა., მამულაძე შ. ქვევრის ერთი სახეობის გავრცელების საკითხისათვის პონტოს პირეთში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე #1. თბილისი, 2018
9. კახიძე ა., სურმანიძე ნ., ფარტენაძე ვ. გაზეთი ქედა, #3 (22), 2018.
10. კახიძე ა., შალიკაძე თ., ნაგერვაძე მ. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ კაპნისთავში, აჭარა წარსული და თანამედროვეობა, III, ბათ., 2017.
11. კახიძე ნ. მევენახეობა-მეღვინეობა და მეხილეობა, სამხრეთ-და-

სავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა I I., თბ.,2009.
12. კახიძე ნ. მევენახეობა და მეხილეობა მაჭახლის ხეობაში, აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბი., 1971.
13. მინდორაშვილი დ. კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა, საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 2007.
14. მინდორაშვილი დ. ხიხანის ციხე, ბათუმი, 2019.
15. მინდორაშვილი დ. ხიხანის ციხეზე 2014-2015 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. – აჭარა წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი, 2017
16. ფრუიძე ლ. საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია, წიგნი მესამე, თბ., 2018.
17. ფრუიძე ლ. მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში,თბ., 1974.
18. შაშიკაძე ზ., მახარაძე მ. აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, თბ.,2011.
19. ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება ხელმძღვანელობისათვის კახური ღვინის მაყენებლობისა, ტფილისი. 1976.
20. Мархолия И. Р. – Труды Абхазского Государственного Музеяю V,1980г.Сухуми.стр.108-119
21. Хрушкова Л. Г. Завершение исследовани в селе Лихни, – Археологческие открытия в Абхазии в 1984 г, Тбилиси, 1989.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I – 1 კაპნისთავის მარნის საერთო ხედი; 2 – მარნისა და ნაგებობის ნაშთები.

ტაბ. II – კაპნისთავის მარანში მოპოვებული ჯაჭვისებურორნამენტიანი ქვევრები.

ტაბ. III – 1 – 4 კაპნისთავის მარანში მოპოვებული ადგილობრივი სარტყლისებურორნამენტიანი დაკირული ქვევრები; 5-8 კაპნისთავში შემთხვევით მოპოვებული ადგილობრივი ქვევრები.

ტაბ. I

1 2

ტაბ.II





1 2

3

ტაბ. III

1

2



3

4

5

6

7

8

ნინო ძნელაძე

ზევსის კულტთან დაკავშირებული არტეფაქტები ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმიდან

ფიჭვნარის დასახლებასთან დაკავშირებული ძვ. წ. V-III სს სამაროვნის ინვენტარი ადგილორივ კოლხურ-ელინურ მოსახლეობაში ბერძენი ღვთაებების კულტების გავრცელება-პოპულარობასა და ლოკალურ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე გავლენის შესახებ მეტყველებს. ესაა მოხატული კერამიკა სპეციალურად შერჩეული თემატიკით, მიძღვნითი ხასიათის წარწერები კერამიკულ ნაწარმზე და ტერაკოტული ფიგურები ღვთაებათა და მათი წრის პერსონაჟთა გამოსახულებით.

ზევსი, ბერძნული პანთეონის მთავარი ღვთაება, გამოსახულია ფიჭვნარში აღმოჩენილ წითელფიგურულ კრატერებზე, მისი სახელი სხვადასხვა ფორმითა და ეპითეტითაა წარმოდგენილი ეპიგრაფიკულ მასალაში.

2005 წელს ძვ. წ. V ს ბერძნული სამაროვნის სააღაპო მოედანზე აღმოჩენილი ზარისებრი კრატერის ცენტრალური კომპოზიცია ზევსისა და ირისის სცენაა (ტაბ. I,1). ფრთოსანი ქალღმერთი ოინოხოიიდან უვსებს კანთაროსს უზურგო საკარცხულზე მჯდომ ზევსს, რომელსაც მარცხენა ხელში კვერთხი უჭირავს. კრატერის მეორე მხარეს გამოსახული კომპოზიციიდან გადარჩენილია პერსონაჟების თავები და სამოსის ფრაგმენტები. თავების განლაგება გვაფიქრებინებს, რომ აქ გამოსახულია ქალისა და მუხლმოდრეკილი ჭაბუკის ფიგურები (ტაბ. I,2). ჭურჭლის ეს ფორმა – ზარისებრი კრატერი – წითელფიგურული სტილის ინოვაცია იყო. ამ დარგის მკვლევრები, ჯონ დევიდსონ ბიზლი, ისევე როგორც ჯონ ბორდმანი, თვლიან, რომ ამ ჯგუფის კრატერების ფორმა წარმოიშვა ხის სათლისებრი ჭურჭლის კონსტრუქციისაგან (Boardman, 1996:209; Schreiber, 1999:140). ადრეულ ნიმუშებს არ აღენიშნება ქუსლი და ქვემოთდაშვებული შვერილისებრი ყურები აქვს. ზარისებრი კრატერის ტანი დაბალი დისკოსებრი ან სახეშეცვლილი დისკოსებრი ქუსლიდან გადადის ცრუფეხში სანამ გადმობრუნებული ზარის ფორმაში გადაიზრდებოდეს. აქვს რბილად გამოხატული პირი ტორუსისებრი კიდეებით. მისი ტანის ზედა ნაწილში პარალელურად განლაგებული ძლიერი ჰორიზონტალურ-ცი-

ლინდრული ყურები ოდნავ ზემოთაა აზიდული. ადრეულ ზარისებრ კრატერებს დაშვებული შვერილისებრი ყურები და მკვეთრად დაქანებულკიდეებიანი კუთხისებრი პირი აქვთ. ზარისებრი კრატერების საშუალო სიმაღლე 30-დან 40 სმ მერყეობს. ეს ფორმა ათენის სახელოსნოების ნაწარმია და მზადებოდა ძვ. წ. V ს დასაწყისიდან ძვ. წ. IV საუკუნემდე. პირველი მოხატული ზარისებრი კრატერები ბერლინისა და პანის ოსტატების სახელოსნოებთან არის დაკავშირებული.

ფიჭვნარის კრატერი თავისი ფორმით ზარისებრი კრატერების ადრეული ნიმუშების მსგავსია, ყურების ნაცვლად ქვემოთ მიმართული მართკუთხა შვერილებით. ფიჭვნარის სხვა კრატერებისაგან განსხვავებით, რომლებიც სამარხებში იქნა ნაპოვნი, ეს კრატერი სააღაპო მოედანზეა აღმოჩენილი. ძირთან ახლოს სპეციალურად გაკეთებული ნახვრეტები და გახვრეტილი ძირი მიგვანიშნებს, რომ ჭურჭელი საკურთხეველ-ესქარად იყო გამოყენებული.

სტილისტური მონაცემებით მკაცრიდან თავისუფალზე გარდამავალ სტილს უნდა ეკუთვნოდეს (ძვ. წ. 460-450 წწ). ამაზე მიუთითებს მთელი რიგი ნიშნები. ეს კარგად ჩანს თმების მოდელირებაში. როგორც ცნობილია, გარდამავალი სტილიდან იწყება მამაკაცების მოკლე ვარცხნილობით გამოსახვა, რაც მკაცრი სტილის დასასრულიდან მოდის. არქაული სტილისათვის დამახასიათებელი გრძელთმიანი ვარცხნილობები იშვიათად გვხვდება და ჩვეულებრივ ასე ღმერთებს ან გმირებს ხატავენ. მოგვიანებით, თავისუფალი სტილისათვის დამახასიათებელია ასევე ზონარით შეკრული ვარცხნილობა. გარდამავალი და თავისუფალი სტილის დროს თმის ძირითადი მასა გადმოიცემა შავი ლაკის სქელი, მსუყე ფენით, ხოლო გაშლილი თმის კულულები – გაზავებული ლაკით. ფიჭვნარის კრატერზე გამოსახული ფიგურებიდან სრულად გადარჩენილი მხოლოდ ზევსის ფიგურაა ძირითადი A კომპოზიციიდან. მისი კეფასთან ჩამოშლილი გრძელი თმები ზურგზე ტალღისებურ კულულებად ეშვება, რომლებიც თმის საერთო მასიდან გაზავებული ლაკითაა გამოყოფილი. თმის გადმოცემის მანერა ნაკლებად სქემატურია და ახლოსაა ბუნებრივთან. სახეზე თმის საფარი ერთიანი ლაქითაა გამოსახული. სახე პროპორციულია. მნიშვნელოვანია თვალების გადმოცემის მანერა. გამოყენებულია თვალის ღია ფორმა. თვალი პროფილში ანატომიური სიზუსტითაა მოცემული. შიგა კუთხე მაქსიმალურადაა გაშლილი, რაც პასუხობს ადრეკლასიკური პერიოდის ვაზათმხატვრობის მოთხოვნებს, გარეთა კი –

შეერთების ადგილზე ელიფსს ქმნის, რაც დამახასიათებელია გარდამავალი სტილისათვის. თვალის გუგა განლაგებულია ზედა და ქვედა ქუთუთოების გასაყარზე. ზედა ქუთუთო გადმოცემულია ერთი ხაზით. თვალი ცხვირიდან ზომიერადაა დაშორებული (არქაული პერიოდისაგან განსხვავებით, როცა ცხვირიდან მოშორებით და ქვემოთ გადმოიცემოდა). თავი შემკულია სადა დიადემით. ზევსი ზის უზურგო სავარძელზე. მარცხენა ხელით ეყრდნობა კვერთხს, რომელიც შროშანისებრი ბუნიკითაა შემკული. მარჯვენა ხელში ზევსს კანთაროსი უჭირავს. ტორსის მოძრაობა ზომიერად თავდაჭერილია, კარგადაა გამოხატული მხრის ხაზი პროფილში. სამოსი გადმოცემულია სადა, ნაკლებად თვალში საცემი, მარტივი ხაზებით, რაც ასევე დამახასიათებელია გარდამავალი სტილისათვის. სამოსის ნაკეცების გადმოსაცემად გამოყენებულია პარალელური ვერტიკალური ხაზები.

მეორე ფიგურა, რომელიც მეტ-ნაკლებად სრულადაა გადარჩენილი, ირისის გამოსახულებაა. შემორჩენილია თავის, ფრთებისა და სამოსის ფრაგმენტები. ირისს ხელში ოინოხოია უჭირავს. ფრთები ორივე მხარეს აქვს პარალელურად გაშლილი.

ზევსისა და ირისის კომპოზიციას ბევრი ანალოგი აქვს არქაული პერიოდიდან მოყოლებული, სადაც ირისის ნაცვლად შეიძლება ფიგურირებდეს ათენა ან რომელიმე სხვა ღვთაება. მათგან განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ერმიტაჟში დაცული ლუვრის კენტავრომახიის მხატვრის ამფორაზე გამოსახული სცენა, სადაც ფრთოსან ირისს ოინოხოიას გარდა ხელში ჰერმესის კვერთხი კერიკეონი უჭირავს (Передольская , 1967, ტაბ. CXXXV, 3-4). უფრო ახლო პარალელი შეიძლება იყოს ალტამურას მხატვრის მიერ მოხატულ ზარისებურ კრატერზე გამოსახული სამფიგურიანი სცენა: ჰერაკლეს ასვლა ოლიმპოზე ტახტზე მჯდომი ზევსის, ათენასა და ჰერაკლეს გამოსახულებით; ლუისის მხატვრის მიერ წითელფიგურულ სკიფოსზე გამოსახული ზევსისა და ათენას სცენა (Boardman, 1997, Tab. 11, 92).

ზევსია გამოსახული ნიობიდების მხატვრის მიერ მოხატული ორფრიზიანი კალიქსისებრი (ყვავილის ჯამისებრი) კრატერის ფრონტალური მხარის ზედა ფრიზზე, სადაც თეზევსის მიერ მშვენიერი ელენეს მოტაცების სცენაა აღბეჭდილი (ტაბ. II). ზედა ფრიზის ერთიანი კომპოზიცია, რომელიც დადევნების 2 სცენას ასახავს, მრავალფიგურიანია, მასზე მოცემულია 13 ქალისა და 7 მამაკაცის გამოსახულება. ცენტრში შუბოსანი თეზევსი მისდევს ელენეს. მარცხნივ მიმართულ

თეზევსს ახურავს ორნამენტიანი პეტასი, ხელთ უპყრია შუბი, მარცხენა მხარეს ჰკიდია სატევარი, მარცხენა მკლავზე გადადებული აქვს მოსასხამი. ელენეს აცვია არშიებიანი პეპლოსი, თმა მახვილშტოებიანი დიადემით აქვს შემკული. მის უკან დგას წვეროსანი მამაკაცი, რომელიც ატრიბუტების მიხედვით (მარჯვენა ხელში სკიპტრა, დაფნის გვირგვინი, ზურგიანი სავარძელი) ელენეს მამა, ბერძენთა უზენაესი ღვთაება ზევსი უნდა იყოს (კახიძე, 2015:10).

ზევსის სახელი ერთ-ერთია, სრული ფორმით რომ გვხვდება ფიჭვნარის ეპიგრაფიკულ მასალაში. გრაფიტოების უმეტესობა აქ აბრევიატურის სახითაა წარმოდგენილი. იგი ფუძეცვალებად სიტყვებს განეკუთვნება და ორი ფუძე აქვს. ძვ. წ. V ს ბერძნული სამაროვნის 36-ე სამარხში აღმოჩენილი ბოლსალის (ქფბV:77/383) ძირზე ამოკაწრულია გრაფიტო Δία, რომელიც Ζεύς-ის ბრალდებითი ბრუნვის შეუკვეცავი ფორმაა. მსგავსი გრაფიტოა დატანილი 112-ე სამარხის სამარილის ძირზეც (ქფბV:85/110). რასაკვირველია, დასაშვებია ანთროპონიმის ვერსიაც. მსგავს გრაფიტოს ოლბიიდან ე. პრიდიკი და ი. ტოლსტოი კითხულობენ როგორც საკუთარ სახელს ნათესაობით ბრუნვაში, მაგ. Δια[γόρο] (Толстой, 1953:32, №42).

თეონიმის შეკვეცილი ფორმაა გრაფიტოები Διό წარწერით, რაც შეიძლება იყოს Ζεύς-ის ნათესაობითი ბრუნვის ფორმის ნაწილი, მაგრამ მისი სრული სახით გადმოცემისათვის მხოლოდ ერთი ასო ς აკლია, რაც, რასაკვირველია, ეჭვს ბადებს, რადგან შეკვეცისათვის მიზეზი არ არსებობს. დასაშვებად მიგვაჩნია დიონისეს შეკვეცილი ფორმაც. ამ გრაფიტოთაგან ერთი ძვ. წ. V ს ბერძნული სამაროვნის მე-17 სამარხის კრემაციულ მოედანზე აღმოჩენილი შავლაკიანი თასის (ქფბV:238/1968) ძირზეა დატანილი. წარწერა გადაკვეთილია ჯვარედინი ხაზებით. მეორე გრაფიტო Διό მოცემულია მე-4 სააღაპო მოედანზე აღმოჩენილი შავლაკიანი ჭურჭლის ძირზე (კოლ.1:05:533). ამავე აღაპზეა ნაპოვნი შავლაკიანი ჭურჭელი ძირზე ΔΙ ლიგატურით (კოლ.1:05:534), რომელიც შეიძლება Ζεύς-ის მიცემით ბრუნვად მივიჩნიოთ – Διί, რაც ლოგიკურად პირველი გრაფიტოსაც ზევსის სახელს უკავშირებს. ΔΙ გრაფიტო დატანილია ასევე ციხისძირში აღმოჩენილ ძვ. წ. V ს პირველი ნახევრის კილიკზე (N.Vashakidze, N.Inaishvili, 1999:236). ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მსგავს გრაფიტოებს (Διό) ი. ტოლსტოი კითხულობს როგორც დიონისეს Διο[νύσωι], ხოლო პრიდიკი – როგორც ზევსის შეკვეცილ ფორმას: Διό[ς] (Толстой, 1953:29,

131). ΔΙ გრაფიტოები ნაპოვნია ქერსონესში (Бабинов, 1978:49 №579-618), ოლბიაში (Толстой, 1953:21 №21, 29). მსგავსი გრაფიტო დატანილია გიენოსში აღმოჩენილ ძვ. წ. V ს კილიკზე (მ. ნასიძე, 2002, გვ. 54). ჩვენს შემთხვევაში, ერთ-ერთი გრაფიტო დედიკანტის სახელი-თეონიმი უნდა იყოს, რადგანაც ერთი და იგივე სახელი ბრუნვის სხვადასხვა ფორმით ერთ ჭურჭელზე გამორიცხულია. ბერძნული სამაროვნის 72-ე სამარხში აღმოჩენილი შავლაკიანი სამარილის (კოლ.1-05:482) ძირზე დატანილ გრაფიტოს ΔΙ (Διί – ზევსს) მიძღვნით ხასიათს ამჯერად განსაზღვრავს ΑΝ ლიგატურა (Ανέθηκε ან Ανάθημα – მიეძღვნა ან მიძღვნა). ამ გრაფიტოს ამოკაწრვის ტრადიცია გრძელდება მომდევნო, ძვ. წ. IV საუკუნეშიც. მე-4 სააღაპო მოედანზე აღმოჩნდა შავლაკიანი სამარილე (ქფ98ბIV: 81), რომლის ძირზედაც ამოკაწრულია ისრის ფორმის ΔΙ ლიგატურა. ასეთივე ისრისებრი ΔΙ ლიგატურაა მოცემული ამავე სააღაპო მოედანზე ნაპოვნ ჭურჭელზე (რაც შეიძლება ზევსის სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმად წავიკითხოთ – Διί). მესამე მსგავსი გრაფიტო ძვ. წ. IV ს ბერძნული სამაროვნის 65-ე სამარხში აღმოჩენილ შავლაკიანი ჯამის ძირზეა. ჯამს ეტყობა შეკეთების კვალი. ΔΙ-ს გარდა ჯამზე მოცემულია Πο და Π გრაფიტოები. ვვარაუდობთ, რომ გრაფიტო Πο პოსეიდონის სახელის შემოკლებაა, ხოლო ΔΙ – ლიგატურა ზევსის მიცემითი ბრუნვა. Π – შესაძლოა დედიკანტის ინიციალია. უჩვეულოა ამ სიმბოლოს კონფიგურაცია. მას ორივე ფეხი თანაბარი სიგრძისა აქვს, რაც ათენის აგორას ეპიგრაფიკულ მასალებში ძვ. წ. V საუკუნის შუახანებიდან შეიმჩნევა. ჩვენი აზრით, ეს თეოფორული ანთროპონიმია. მნიშვნელოვანია ერთ ჭურჭელზე მოცემული ორი ღვთაების სახელი – Πο და ΔΙ. მსგავსი გრაფიტოები გვხვდება ქერსონესის მასალაშიც (№№1393-1396). ავტორები მათ პოსეიდონის ან ჭურჭლის მფლობელის სახელებად ან კომერციულ მინაწერებად მიიჩნევენ (Бабинов, 1978:104-105).

ზევსის ეპითეტებთან დაკავშირებული საინტერესო გრაფიტოა დატანილი ბოლსალზე, რომელიც 2007 წელს აღმოჩნდა ძვ. წ. V ს ბერძნულ სამაროვანზე – ΣΩ, რაც სიტყვის – Σώτηρ (მხსნელი) შემოკლება უნდა იყოს. მსგავსი გრაფიტო, როგორც სრული, ისე შეკვეცილი ვერსიით მრავლად გვხვდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მასალაში. მას, ჩვეულებრივ, ზევსის სახელს უკავშირებენ (Бабинов, 1978:114, №№1532-1538). ფიჭვნარში ნაპოვნია ჭურჭელი ამ ეპიკლეზის სრული ფორმითაც – 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში ფიჭვნა-

რის ელინისტური ხანის სამაროვანზე განხორციელებული საველე სამუშაოების დროს აღმოჩნდა გნათიის სტილის კალიქსისებრი (ყვავილის ჯამისებრი) მაღალი თასი, რომელსაც პირის გასწვრივ შემოუყვება წარწერა ΔΙΟΣ ΣΩΤΗΡΟΣ (ზევსი მხსნელის)(ტაბ. III, 1-2). ჭურჭელს ფართო, გარეთკენ გადაშლილი თხელი პირი, მაღალი, ცილინდრული ყელი, ვიწრო, ოდნავ დაქანებული მხრები, კონუსისებრი ტანი, ომფალოსისებრი პროფილირებული ძირი აქვს. ჭურჭლის ყელზე მოცემულია ჭადრაკულ-კონცენტრირებული მართკუთხედის (მეანდრები, ჭადრაკული და ბადისებრი) ორნამენტი. ჭადრაკული ორნამენტის ვერტიკალურ ზოლებზე შემორჩენილია გნათიის სტილისთვის დამახასიათებელი თეთრი საღებავი. ტანის ქვედა ნახევარი ჰორიზონტალური კანელურებითაა დაფარული (კახიძე ა., ვაშაკიძე ნ., შალიკაძე თ., 2012:34-54). Σώτηρ, როგორც ზევსის ეპიკლეზა გვხვდება მითრიდატეს მთაზე აღმოჩენილი ძვ. წ. V ს დათარიღებულ 2 შავლაკიან ჭურჭელზე (ΔΙΟΣ ΣΩΤΗΡΟΣ): 1. შავლაკიანი სკიფოსის კედელზე. წარწერის დასაწყისი დაკარგულია. შერჩენილია ფრაგმენტი – ΣΩΤΗΡΟΣ. ტოლსტოი წარწერას აღადგენს როგორც ΔΙΟΣ ΣΩΤΗΡΟΣ, რადგანაც ბოსფორის ეპიგრაფიკულ წარწერებში „მხსნელის“ (Σώτηρ) ეპითეტით მხოლოდ ზევსის სახელი მოიხსენება. 2. შავლაკიანი ოლპის ყელზე ΔΙΟΣ ΣΩΤΗΡΟΣ, ΕΡΜΕΩ, ΑΓΑΘΟ ΔΑΙΜΟΝΟΣ – ზევსი მხსნელის, ჰერმესის, კეთილი დემონის (Толстой, 1953:100). ბერეზანში აღმოჩენილი ძვ. წ. V ს შავლაკიანი ჯამების პირზეა დატანილი გრაფიტო ΔΙΟΣ ΣΩΤΗΡΟΣ (Яйленко, 1982:290); იგივე წარწერაა ტამანთან ზღვის მიერ გამორიყულ ძვ. წ. IV ს შავლაკიან კანთაროსზე, რომელიც ჰერმონასას ნაქალაქარს უკავშირდება. ჭურჭლის პირთან გაკეთებულია წარწერა ΔΙΟΣ ΣΩΤΗΡΟΣ (ზევსი მხსნელის, ნათ. ბრუნვა); ასევე, მირმეკიონში, სამსხვერპლო-ესქარაზე ძვ. წ. IV-III სს ფენებში აღმოჩენილი შავლაკიანი ატიკური კილიკის (ძვ.წ. IV ს) პირის ფრაგმენტზე (Болтунова, 1966:31; Болтунова, 1977:176-183); ქერჩის ყურეში, ოპუკის მთასთან ზღვაში ნაპოვნ კანთაროსზე (Федосеев, 2009:470-471). იგივე ფორმა გვხვდება ათენის აგორის მასალაში, ძვ. წ. IV ს დასასრულის შავლაკიანი კანთაროსის პირზე (Lang M., 1976:54, №G9). ძვ. წ. V ს ბერეზანში ამ გრაფიტოს გამოჩენას ვ. იაილენკო ხიფათის (მომთაბარე სკვითების შემოსევების) თავიდან არიდების აუცილებლობით ხსნის. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, კერძოდ კი, პანტიკაპეონში, ზევსი მსხნელის ტაძარიც კი

იყო აგებული ზღვის პირას, საბერძნეთის მსგავსად. ზევსი სოტერი ზოგადად განსაცდელში ადამიანთა უზენაეს მფარველად მიიჩნეოდა, იცავდა არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს, არამედ გვარებს, პოლისებს, სახელმწიფოს. სტრაბონის ცნობით, საბერძნეთში, პირეასში, ზღვის სანაპიროზე აგებული ზევსი მხსნელის ტაძარი მფარველობდა მათ, ვინც ზღვაში იმყოფებოდა (Strabo, XI, 1, 15). ცხადია, შემთხვევითი არ არის და ნიშანდობლივია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ გრაფიტოიანი ჭურჭლების უმეტესობა, მათ შორის ფიჭვნარის მასალაც, ზღვისპირა ტერიტორიებზეა აღმოჩენილი.

1

2

3

4



5

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კახიძე ა., ვაშაკიძე ნ., შალიკაძე თ., ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, V, 2013, გვ. 34-54;
2. კახიძე ა. ატიკური მონუმენტური ვაზათმომხატველობის ნიმუშები ფიჭვნარიდან (წითელფიგურული კრატერი), ხელოვნებთმცოდნეობითი ეტიუდები, VI, ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი, 2015;
3. ნასიძე მ., საქართველოს ბერძნული გრაფიტო (დასავლეთი საქართველო), თბილისი, 2002;
4. Бабинов Ю. А., Курганова С.И., Николаенко Г.И., Соломоник Э. И., Лисовой И.А., Шевченко А.В., Граффити античного Херсонеса (на чернолаковых сосудах), Киев, Наукова думка, 1978
5. Болтунова А.И., О культе Зевса Сотера на Босфоре. Культура античного мира. Москва, 1966, сс. 29-38;
6. Болтунова А.И., Зевс Отчий и Зевс Спаситель, ВДИ, 1977, №1, сс. 176-183;
7. Передольская А.А., Краснофигурные аттические вазы в Эрмитаже, каталог, Л, 1967;
8. Федосеев Н.Ф. Граффити Боспора из-под воды, Древности Боспора, XIII, М., 2009, сс. 461-476;
9. Яйленко В. П., Граффити Левки, Березани и Ольвии, ВДИ, №2б 1980, СС. 72-99;
10. Boardman J., Athenian Red Figure Vases: The Archaic Period, London. 1996
11. Boardman J., Athenian Red Figure Vases: The Classical Period, London, 1997;
12. Lang M., Graffiti and Dipinti, Agora XXI, Princeton, New Jersey, 1976;
13. Strabo. ed. H. L. Jones, The Geography of Strabo. Cambridge, Mass.: Harvard University Press; London: William Heinemann, Ltd. 1924;
14. Toby Schreiber, Athenian Vase Construction. A Potter's Analysis, California, 1999 .

Nino Dzneladze

Artifacts from The Batumi Archaeological Museum Related to The Zeus Cult

Summary

The burial inventory of the 5th-3rd cc BC Cemetery related to Pichvnari settlement indicates the prevalence-popularity of cults of the Greek deities in the local Colchic-Hellenic population and the influence on local religious beliefs. These are painted ceramic vessels with specially selected themes, dedicatory inscriptions on ceramic work, and terracotta figures with images of deities and their circle of characters. Zeus, the chief god of the Greek Pantheon, is depicted on red-figure craters found in Pichvnari, his name appears in various forms and epithets on the epigraphic material.

Сергей Тараненко

АРХЕОЛОГИЧЕСКИЙ ДАЙДЖЕСТ ТЕРРИТОРИИ КИЕВО-ПЕЧЕРСКОЙ ЛАВРЫ

Началом комплексного архитектурно-археологического подхода к изучению культурного наследия территории Печерского монастыря, основанного в XI в. (впоследствии ставшим Киево-Печерской лаврой), считаются работы, проведенные П. Покрышкиным на территории церкви Спаса на Берестовом в 1914 г. [Каргер 1953: 223-240]. В 1920–1940 гг. археологическое изучение памятников Киево-Печерской лавры стало одним из важнейших направлений деятельности образованного в 1926 г. Государственного культурно-исторического заповедника «Всеукраинский музейный городок». В это время сформировались основные принципы археологии Заповедника, главной задачей которых было изучение и сохранение имеющихся памятников. Именно на этом этапе объектом научного интереса впервые стали не только отдельные уникальные сооружения, но и культурный слой заповедной территории в целом. Археологические исследования территории музейного комплекса во второй половине XX и в начале XXI в., учитывая предыдущий опыт, приобрели комплексный характер. Наряду с масштабным тщательным исследованием основных памятников архитектурного ансамбля Киево-Печерской лавры, осуществлялось научное археологическое сопровождение всех текущих ремонтно-реставрационных работ. За этот период был получен массив данных, который подчёркивал древнерусское ядро территории Заповедника, но при этом были чётко выделены несколько более ранних периодов, археологические культуры которых в большей или меньшей мере демонстрируют историю освоения его территории.

Такая мощная источниковедческая база побудила к созданию современного электронного ресурса – Археологической карты Национального Киево-Печерского историко-культурного заповедника (НКПИКЗ), на которую нанесен 301 участок мест исследований за более чем столетний период [Тараненко 2106, 66; Тараненко 2019].

Энеолит. Древнейший для Заповедника культурный слой представлен трипольской культурой. Во время исследований в 1998 г.

на площади Успенского собора обнаружен фрагмент жилища овальной формы размерами около 3 х 4 м. Глинобитная печь постройки располагалась на перемычке между двумя камерами жилища и имела земляной под. В заполнении землянки, насыщенном пеплом, обломками печи, костями животных и створками речных ракушек Unio, собрано небольшую коллекцию красноглиняной столовой и кухонной керамической посуды с примесью толченой раковины в тесте (Рис. 1). Типологические признаки керамики позволяют относить указанный комплекс к чапаевской группе позднетрипольских памятников Среднего Приднепровья. По результатам изотопного анализа постройка датируется первой четвертью III тыс. до н. э. [Балакин 1999: 98-104].

Исследованный объект несомненно был частью небольшого поселения, которое занимало юго-восточный участок современной Верхней Лавры. Но пока на территории Нижней лавры и участках Печерского лессового плато и смежных с Верхней Лаврой территориях за все годы исследований никаких следов трипольской культуры обнаружить не удалось.

Ранний железный век. Впервые материалы этого периода были зафиксированы в 1947 г. во время исследований И. Самойловского в церкви Спаса на Берестовом [Самойловский 1967: 8, 47, 60]. Сейчас известно 32 места исследований на территории Заповедника, где обнаружены фрагменты керамики культур этого периода и одно грунтовое захоронение подгорцевской культуры [Гончар 1993: 167-186]. Настоящей сенсацией стала фиксация в 2019 г. на территории церкви Спаса на Берестовом поселения чернолесской культуры (IX в. до н. э.), которое получило название «Печерское-1». Выявлено более 300 находок, большинство из которых составляют фрагменты лепной керамической посуды. Преимущественно это фрагменты сосудов кухонного назначения. Наилучшее представление об их виде дает целый горшок, найденный в заполнении углубленной постройки (Рис. 2). В коллекции керамики поселения Печерское-1 также присутствуют и другие ее категории, в частности, столовая и тарная посуда, что является одним из признаков поселенческих комплексов. Уникальна находка восьмёркоподобной бляшки, которая в лесостепной зоне датируется в пределах IX в. до н. э. и является не только хронологическим маркером для поселения, но и уточняет период существования чернолесских материалов северного ареала.

Средневековье. Памятники этого периода на территории Заповедника представлены монументальными конструкциями периода Киевской Руси и немногочисленными производственными

комплексами. Самые ранние из них датируются XI в.

Успенский собор. Дата строительства Успенского собора отображена в летописи – 1073–1077 гг. За свою историю он неоднократно ремонтировался и перестраивался. Во время оккупации Киева, 3 ноября 1941 г. собор был взорван. Изучение его остатков началось сразу после войны и продолжалось всю вторую половину XX в. В послевоенные годы (1945–1948 гг.) первые исследования провёл В. Богусевич, главное внимание которого было сосредоточено на разборке и благоустройстве руин памятника [Богусевич 1948: 205]. В 1950–1960-х гг. исследованиями Успенского собора руководил Н. Холостенко. Археологические раскопки в это время сводились к устройству отдельных разведывательных шурфов, исследованию небольшой часовни XV в. у южного фасада церкви и фиксации случайно выявленных грунтовых захоронений Успенского некрополя [Холостенко 1955: 341-358; Холостенко 1967: 58-68].

Следующий этап работ на Успенском соборе приходится на 1980-е гг. [Харламов 1993: 138-150]. Они были ориентированы на создание необходимого информационного обеспечения проекта воссоздания Успенского храма (реализован в 1998–2000 гг.). Перед началом восстановления собора были проведены масштабные археологические исследования под руководством Г. Ивакина. Несмотря на то, что работы имели преимущественно охранно-спасательный характер, удалось обнаружить и исследовать целый ряд новых археологических объектов важных для понимания, как собственной истории Успенского собора, так и строительной техники XI–XIII вв. [Ивакин 2001: 126-135].

Церковь Спаса на Берестовом. Дата строительства церкви не отображена в летописи, историки датируют ее второй половиной XI в. – первой половиной XII в. Внутри или около храма были похоронены дети и внук Владимира Мономаха: дочь Евфимия (1139), сын, в то время Великий князь Киевский, Юрий Долгорукий (1157), Великий князь Киевский Глеб Юрьевич (1171).

Первые фундаментальные комплексные архитектурно-археологические исследования храма Спаса на Берестове были проведены во время капитального ремонта-реставрации церкви в 1911–1914 гг. В результате этого впервые был наглядно продемонстрирован первоначальный план церкви и выяснилось, что в древнерусское время это был большой трехнефный шестистолпный трехапсидный храм со значительно выдвинутыми от линии основного объема северной и южной частями нартекса [Каргер 1951: 223-240].

В 1989–1990 гг. исследования выполнялись в связи с

благоустройством территории Спасской церкви и проводились, в основном, в районе восточного и северного участков церковного двора, когда разбирался участок оборонительного вала Спасского бастиона XVII – начала XVIII в. Вокруг современного храма, в т.ч. и в пределах его разрушенной древнерусской части, было обнаружено более 70 захоронений XIV–XVII вв. [Харламов 1990].

Следующим этапом исследования церкви Спаса на Берестовом стали раскопки 2002–2003 гг., в результате которых удалось обследовать ленточные фундаменты древнерусского нартекса храма и выявить поздние корректировки его исходного плана, связанные, очевидно, с переосмыслением функционального назначения расположенных в нем помещений [Балакин 2003].

Во время очередного благоустройства территории церкви в 2018–2019 гг. также проводились охранные археологические работы. Их результатом стала фиксация культурных слоёв и объектов раннего железного века, древнерусского и литовского периодов, эпохи модерна и нового времени. Среди исследованных объектов стоит выделить постройку чернолесской культуры IX в. до н. э., некрополь XV–XIX вв., хозяйственные объекты XV–XVII вв. и фортификационный вал XVII–XVIII вв. Последние исследования позволили датировать строительство церкви временем не ранее XII в.

Троицкая надвратная церковь. Церковь была построена в 1008–1111 гг. В археологическом плане Троицкая надвратная церковь и территория вокруг нее изучена недостаточно. Наиболее значительные архитектурно-археологические исследования здесь были проведены в 1951 г. В. Богусевичу удалось выяснить характер ее фундаментов и проследить трассу стены XII в., которая примыкала к ней, что подтвердило тезис о едином фортификационном комплексе Печерского монастыря – Троицкой надвратной церкви и фортификационной стены [Богусевич 1951]. Исследования 2007 г. подтвердили этот вывод [Балакин 2007].

Древнерусская Трапезная. Монастырские трапезные палаты, кроме общего потребления пищи, которые сопровождались христианскими культовыми обрядами и ритуалами, выполняли также хозяйственные функции – хранение провизии, приготовление блюд и их доставка в трапезный зал. Упоминание о строительстве церкви датируется 1108 г. В поле зрение археологов древнерусское сооружение впервые попало в 1984–1985 г. Исследования продолжились в 1991 г. и 2009 г. [Трофіменко 2002: 13-28].

Архитектурно-археологические исследования обнаружили четыре строительных периода, которые можно связать с ремонтными

работами и восстановлением Трапезной после пожаров и землетрясений, а после 1240 г. эта постройка перестала существовать [Трофіменко 2002: 15-16].

Древнерусская трапезная представляла собой двухэтажное квадратное в плане здание размерами 18,0 х 18,0 м (Рис. 3), первый этаж которого был хозяйственным помещением, а на втором размещались трапезный зал и церковь. Фундаменты бутово-кирпичные, на цемянковом растворе с деревянными субструкциями, мощностью 0,6–1,0 м. Пол покрывали поливные плитки (11 х 11 х 1,5 см) желтого цвета, стены оштукатурены и украшены фресковой росписью. В перекрытии первого этажа использовались голосники.

Трапезная без сомнения стала важным звеном в общей эволюции гражданской монументальной архитектуры и архитектуры монастырских комплексов [Трофименко 2002: 27]. Сейчас фрагменты ее фундаментов музеефицированы на территории Верхней Лавры.

Монастырская стена. Впервые каменные фортификационные монастырские сооружения упоминаются в послании Кирилла Туровского архимандриту Василию, избранным на эту должность в 1182 г. [Тараненко 2019: 93-107]. Археологическое открытие монастырской стены состоялось в 1951 г. на трёх участках Митрополичьего сада Киево-Печерской лавры [Асеев 1951: 39-45]. Материалы всех трех раскопов свидетельствовали о расположении стены по линии с юго-востока на северо-запад, в направлении Троицкой надвратной церкви. Следующим этапом изучения древнерусской монастырской стены стали исследования В. Харламова 1991–1992 гг. [Харламов 1992]. Несмотря на наличие аналогичных фундаментных рвов и идентичность их заполнения, размеры плинфы и параметры верхней части стены на разных участках отличаются. Возможно, это следствие более поздних ремонтов конструкции. В 2007 г. была получена информация, подтверждающая данные о конструкции стены в районе Троицкой надвратной церкви, а также то, что каменная стена находилась на месте летописного столпия – деревянного ограждения монастыря [Балакин 2007].

Последние исследования стены проводились в 2018 г. в Митрополичьем саду Заповедника. В двух траншеях на месте раскопок В. Богусевича повторно и в трех впервые обнаружены фрагменты монументальной конструкции [Тараненко 2019: 41-42]. Фундамент состоял из двух параллельных рвов, забутованных немногочисленными фрагментами плинфы и камнями (Рис. 4). Камни (осадочные, метаморфические и маґматичные породы) в основном имели остроугольную форму, что свидетельствует об их механической

обработке. Общая ширина фундаментов фортификационной стены монастыря была до 2,8 м.

Верхняя часть фундаментов представляла собою выровненную площадку, составленную из фрагментов плинфы, залитых белым известковым и, в меньшей степени, розовым известково-цемянковым растворами. Ее мощность – до 0,15 м. Фундаментная площадка стала основой для возведения наземной части стены. В 2018 г. она была зафиксирована только на одном участке в виде одного ряда из двух плинф (траншея 4). Это подтверждает вывод В. Богусевича о её конструкции – по бокам она состояла из двух фасадных рядов плинфы, а пространство между ними был забутовано смесью известкового раствора и фрагментов плинфы вторичного использования. Полученные материалы позволяют реконструировать мощность наземной части стены до 2 м.

Древнерусский фортификационный объект исследован в восьми местах на территории Верхней лавры. Реконструированная длина западной трассы стены составляет примерно 212 м.

Пещерный комплекс. Лаврские пещеры – это памятники рукотворной подземной архитектуры, археологии, истории и культуры. Это сложная система связанных между собой подземных ходов, соединяющих пещерные помещения. Они выкопаны в высоких днепровских холмах на глубине от 5 до 15 м от поверхности в слое каолинистого песчаника. Пещерный комплекс разбит на три локации: Ближние (Рис. 5), Дальние (Рис. 6) и Варяжские пещеры (Рис. 7), общая их длина составляет более 800 м. Пещеры расположены на двух соседних холмах, между которыми пролегает глубокий овраг.

В 1930-х гг. проводились первые археологические исследования лаврских пещер в Ближних пещерах [Шмонай 1935: 11-14; Стругацкий 1937], но с позиций сегодняшнего дня следует сказать, что разведки проводились без соответствующего научно-методического сопровождения [Івакіна 2011: 340-344]. В ходе этих исследований ярко выраженная антирелигиозная пропаганда привела к негативным последствиям. В результате работ 1934–1935 гг. проведена первая попытка музеефикации пещерного помещения на участке Нестора Летописца. В Дальних пещерах археологические раскопки начались только 1968 г. и были связаны с антропологическими и спелео-археологичскими исследованиями [Юра 1969].

Масштабные исследовательские работы в пещерах проводились в конце 1970-х гг. В 1977–1979 гг. во время ремонтно-реставрационных работ в Ближних пещерах совместной экспедицией, в состав которой вошли археологи, спелеологи, антропологи, музейные работники,

были выполнены комплексные спелео-археологические исследования. Кроме многочисленных интересных находок, проведено полное обследование всех плоскостей пещерных коридоров, сводов и аркасолий, зафиксированы красочные наслоения, проведена детальная фотофиксация работ [Мовчан 1982].

Исследования пещер Киево-Печерской лавры, которые проводились в 1990–2000-х гг. были более фрагментарны и имели локальный характер, однако проводились с учетом новейших методик. В 1997 г. были проведены первые комплексные микологические обследования в Дальних и Варяжских пещерах. С исследованных образцов изъято 15 видов грибов, относящихся к 8 родам семей Moniliaceae и Dematiaceae порядка Hyphomycetales класса Hyphomycetes. Проведение таксономического и количественного анализа микобиоты пещер позволило охарактеризовать санитарно-гигиеническое состояние пещерного комплекса [Крайній 2012: 5-6].

В 1998–1999 гг. выполнялись спелео-археологические исследования Варяжских пещер [Стрихарь 1999]. Последние обследования их состояния были осуществлены в 2009 г. В Ближних пещерах спелео-археологические обследования проводились в 2005–2006 гг. [Івакін 2012: 244-280] и были связаны с ремонтными работами на аварийных участках.

На сегодня к посещению открыты Ближние и Дальние пещеры, сотрудниками Заповедник проводится регулярный мониторинг их состояния. Проведение каких либо археологических исследований не планируется и их возможность может быть связана исключительно с ремонтно-аварийными работами.

Производственные комплексы. В 1951 г. В. Богусевич в Митрополичьем саду исследовал два горна стекольно-смальтового производства, состоящие из плинфы XI в., глины и шиферных плит. Среди материала выявлены слитки стекла разного размера; заготовки разноцветной смальты; фрагменты стенок разноцветного стеклянной посуды типа стопок, оконного стекла; обломки керамических тиглей двух видов со стеклянной массой; фрагменты поливных плиток; куски свинца, железа, кобальта и серы. По мнению исследователей древнерусского стеклоделия, в этой мастерской работали как византийские, так и местные мастера [Щапова 2008: 79]. Мастерская прекратила свое существование уже в XII–XIII вв. [Богусевич 1954: 16]. Это подчеркивает, что этот производственный центр был ориентирован исключительно на монументальное строительство и, скорей всего, его работа была связана, в первую очередь, с отделкой интерьера Успенского собора в 1083–1089 гг.

В 1988 г. В. Харламов также на территории Митрополичьего сада зафиксировал остатки кузнечного производственного комплекса XIII–XIV вв. В культурном слое на площади раскопанного участка обнаружено большое скопление шлаков, кусков древесного угля, крица, фрагменты муфелей-тиглей. Под этим слоем располагались развалы двух горнов – сыродутного и кузнечного, а также передгорновая яма. С её восточной стороны найдена однороговая наковальня (весом 1,8 кг), инструменты и материалы из черного и цветного металлов. Производственный комплекс размещался под навесом [Паньков 2012: 45-46].

Единственным зафиксированным объектом производственного характера за пределами Митрополичьего сада является стекольное мастерская конца XII – начала XIII в., исследованая в 1989 г. на Ближнепещерной улице (разделяющей территории современных Верхней и Нижней Лавры) [Тараненко 2019: 49]. Существование этого производственного комплекса, учитывая традицию выполнения работ по «необходимости», можно гипотетически связать с ремонтом Успенского собора после полученных повреждений во время катастрофического землетрясения 1230 г.

Сегодня мы можем выделить пока единственный производственный центр древнерусского периода на территории Киево-Печерского монастыря – это территория Митрополичьего сада. Размещение любых пожароопасных производств на периферийных участках Лавры кажется логичным. Одной из особенностей существования мастерских на территории монастыря является то, что мощные производства, возможно, носили временный характер и были связаны с масштабными строительствами, хотя небольшие незатратные мастерские (например, косторезные) могли существовать длительное время и быть традиционными.

Необходимо признать, что большая часть исследований производилась во время ремонтно-строительных и аварийных работ, что с одной стороны подчёркивает эффективность археологических служб Заповедника, а с другой стороны лишний раз подчёркивает основное, к сожалению, направление археологии в современной Украине – охранная археология. Хотя это не уменьшает потенциал территории Заповедника как перспективной для дальнейших стационарных рсакопок будь то архитектурно-археологические и спелео-археологические исследования либо поиск новых памятников дохристианского периода или средневековья.

Библиография

Асєєв Ю. С., Богусевич В. А. Воєнно-оборонні стіни XII ст. Києво-Печерської лаври // Вісник Академії архітектури УРСР. № 4. Київ, 1951.

Балакін С.А. Дослідження трипільського житла на Успенському соборі // Лаврський альманах. Київ, 1999.

Балакін С.А. Звіт про результати археологічного нагляду за виконанням шурфів у церкві Спаса на Берестові у 2002 р. КПЛ-А-НДФ-689. Київ, 2003.

Балакін С. А. Звіт про результати археологічних досліджень на території Національного Києво-Печерського історико-культурного заповідника у 2007 р. КПЛ-А-НДФ-699. Київ, 2007.

Богусевич В. А. Робота по розборці Великої лаврської церкви // Археологія. Т. II. Київ, 1948.

Богусевич В. А. Археологические раскопки в заповеднике Киево-Печерской лавры в 1951 г.НА ІА НАН України, № 1951/8а. Киев, 1951.

Богусевич В.А. Мастерские XI в. по изгтовлению стекла и смальты в Киеве // КСИА УССР. Вып. 3. Киев, 1954.

Гончар В. М. Археологічні дослідження колишнього митрополичого саду Києво-Печерської лаври у 1987-1988 рр.// Стародавній Київ. Київ, 1993.

Івакін Г. Ю., Балакін С. А. Деякі підсумки археологічних досліджень на території Києво-Печерської лаври у 2000 р.// Могилянськи читання. Вип.№3. Київ, 2001.

Івакін Г. Ю., Бобровський Т. А., Балакін С. А., Зажигалов О. В. Науковий звіт про результати спелео-археологічного обстеження Ближніх печер Києво-Печерської лаври у 2005–2006 рр. у зв'язку з аварійною ситуацією на ділянці "Батиєм убієнних" // Лаврський альманах: Києво-Печерська лавра в контексті української історії та культури : Зб. наук. праць. Вип. 27, спецвипуск 10: Дослідження печерних комплексів Києво-Печерської лаври. Київ, 2012.

Івакіна І. Археологічні дослідження печерного комплексу Ближніх печер Національного Києво-Печерського історико-культурного заповідника у 1930-х рр. // Болховітіновський щорічник 2010. Київ, 2011.

Каргер М. К. К истории киевского зодчества конца XI – начала XII в. Церковь Спаса на Берестове // Советская археология, XVII. Москва, 1953.

Крайній К.К. Вступне слово // Лаврський альманах: Києво-Печерська лавра в контексті української історії та культури. Вип. 27,

спецвипуск 10: Дослідження печерних комплексів Києво-Печерської лаври. Київ, 2012.

Мовчан И. И., Авагян А. Б. Отчет об археологических исследованиях в Ближних пещерах Киево-Печерского заповедника в 1978–1979 гг. НА ІА НАН України, № 1978-79/16г. Київ, 1982.

Паньков С. В. Залізодобувне і ковальське виробництво давньоруського Києва та його околиць. Дослід історико-технічної реконструкції і порівняльної характеристики. Київ, 2012.

Самойловський І. М. Хроніка археологічних досліджень Києва з 1917 по 1967 рр. // НА ІА НАН України, ф. 63 (ФНР). Київ, 1967.

Стрихар М. М. Звіт про спелео-археологічні дослідження Варязьких печер Києво-Печерської Св. Успенської лаври. 1999 рік. НА ІА НАН України, № 1999/109. Київ, 1999.

Стругацький Г. З. Археологічні роботи по дослідженню м. Києва. Розкопки в Києво-Печерській Лаврі (Ближні печери) 1937 р. Розкоп № 3. НА ІА НАН України, ф 60, ІІМК, № 68. Київ, 1937.

Тараненко С. П. Археологическая Карта территории Киево-Печерской лавры: методика и перспективы исследования // «Patrimoniul cultural: cercetare, valorificare, promovare», editia a VIII-a (2016; Chisinau). Chisinau, 2016.

Тараненко С. П., Мисько Ю. В., Зажигалов О.В. Археологічна карта Національного Києво-Печерського історико-культурного заповідника. Київ. 2019.

Тараненко Сергій, Кабанець Євген. Датування мурів Печерського монастиря: аналіз та критика джерельної бази // УІЖ, №3. Київ, 2019.

Тараненко Сергій. Нове відкриття у 2018 р. мурів Києво-Печерського монастиря // Badania archeologiczne w Polsce srodkowowschodniej, zachodniejBialorusi i Ukrainie w roku 2018. Lublin, 2109.

Трофіменко Г, Гончар В. Літописна Трапезна Печерського монастиря в Києві // Архітектурна спадщина України: Щорічник Держбуду України. Вип. 5. Київ, 2002.

Харламов В. А., Гончар В. Н. Отчет об археологических исследованиях церкви Спаса на Берестове XII–XIX вв. в 1990 г. КПЛ-А-НДФ-385. Киев, 1990.

Харламов В. О., Гончар В. М., Трофименко Г. В. Отчет об археологических раскопках Мазепинской стены на территории хозяйственного двора Киево-Печерского государственного историко-культурного заповедника в 1992 г. НА ІА НАН України, № 1992/1а. Киев, 1992.

Харламов В. О. Дослідження Успенського собору Києво-Печерської

лаври 1986 р. // Стародавній Київ. Київ, 1993.
Холостенко Н .В. Исследование руин Успенского собора Киево-Печерской лавры // Советская археология. № 23. Москва, 1955.
Холостенко Н. В. Исследование руин Успенского собора Киево-Печерской лавры в 1962-1963 гг. // Культура и искусство древней Руси. Ленинград, 1967.
Шмонай И. А. Изучение пещер Киево-Печерской лавры. 1935 г. НА ІА НАН України, ф. 60, ІІМК, № 626. Київ, 1935.
Щапова Ю. Л. Византийское стекло: Очерки истории. Москва, 2008.
Юра Р. О. Звіт про археологічні дослідження Дальніх печер Києво-Печерської Лаври в червні 1968 р. НА ІА НАН України, № 1968/25б. Київ, 1969.

სერგეი ტარანენკო

კიევ-პეჩორის ლავრის არქეოლოგიური დაიჯესტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც მდებარეობს კიევო-პეჩორკსკის ისტორიულ-კულტურული ნაკრძალის ტერიტორიაზე. კულტურული ფენების ქრონოლოგიური ასაკი მოიცავს ენეოლითიდან (სპილენძ-ქვის ხანა) უახლესი ისტორიის ჩათვლით პერიოდს. მსგავსი ანალიზი შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, როდესაც შეიქმნა ნაკრძალის ელექტრონული არქეოლოგიური რუკა.

Подписи к рисункам

1. Керамика трипольской культуры первой четверти III тыс. до н. э. (авт. С. Балакин)
2. Горшок чернолесской культуры IX в. до н.е.
3. Общий вид руин Трапезной XII в. Аксинометрия (авт. Г. Трофименко, В. Гончар)
4. Конструкция монастырской стены по материалам раскопок 1951 и 2018 гг.
5. Фрагмент Археологической карты НКПИКЗ. Ближние пещеры.
6. Фрагмент Археологической карты НКПИКЗ. Дальние пещеры.
7. Фрагмент Археологической карты НКПИКЗ. Варяжские пещеры.



1



2



3


до 2,0 м
Північ
Зх
Сх
Пд
Поліфа
25-28 х
18-23 х
4-5 см
0,2 м
ФМ
0,15 м
0,3 до 0,6 м
0,4 м
до 0,85 м
до 0,9 м
до 2,8 м

4


1979
1979
1935
1937
2006
1979
1940
2009

5


1968
1968
1968
1968
1968
1968
1968
1968
1999
1999
1999
1968
1968
1999
0
5 м

6


1937
1998
1998
1998
1998
1998
1998
1998
1998
1998
1998
0
5 м

7

ტარიელ ებრალიძე
ნარგიზ სურმანიძე

სოფელ ფურტიოს ისტორიიდან

აჭარისწყლის ხეობა არქეოლოგიურად მეტად საინტერესო მხარეთა რიცხვს განეკუთვნება. ეს განსაკუთრებით ითქმის ფეოდალური ხანის ნივთიერი კულტურის ძეგლების მიმართ. ამ მხრივ გამოირჩევიან საეკლესიო ნაგებობათა ნაშთები. მათ რიცხვს განეკუთვნება შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ სოფელ ფურტიოში გამოვლენილი ორი ეკლესიის ნანგრევი. მათი დაზვერვები ჯერ კიდევ 2008 წელს პროფ. ა. კახიძესთან ერთად განხორციელდა. გარკვეული მიზეზების გამო კვლევა მხოლოდ 2012 წელს დაიწყო. თავდაპირველად კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა სკოლის მიმდებარე ტერიტორია. სოფლის ცენტრი, სადაც ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, ძველი სამარხების არსებობა შეინიშნებოდა. მიწის სამუშაოებისას არაერთხელ ყოფილა ძვლოვანი მასალის აღმოჩენის ფაქტები.

თავის დროზე აღნიშნულ ადგილას ყოფილა სკოლა-ინტერნატის შენობა. რამდენჯერმე, საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობების საძირკვლის გაჭრისას, ძვლოვანი მასალების გამოჩენის გამო, შეუჩერებიათ სამუშაოები. ზოგან დაახლოებით 50-70 სმ სისქის მიწის ფენაც კი მოუხსნიათ.

მოსწორებული ტერიტორიის ფართობი 250-300 $მ^2$ მოიცავს. პირველ რიგში, მოვახდინეთ გასათხრელი ტერიტორიის აგეგმვა. მასში მთლიანად მოექცა საყდრის აღმოსავლეთი, დღემდე დაცული კედელი და სამარხები.

ჰუმუსის (სისქე 15-20) აღების შემდეგ თანდათანობით გამოიკვეთა აღმოსავლეთი კედელი, რომლის სიგრძე 4,60 მეტრია. შიდა სივრცე მოპირკეთებული ყოფილა.

საძირკვლის დონეზე, ზოგჯერ მისგან 15-20 სმ ქვემოთ, გამოჩნდა ძვლოვანი მასალა გაითხარა 12 სამარხი; მათგან სამში დაფიქსირდა ინვენტარი. სამივე სამარხში ჭურჭლები დაზიანებული იყო. ჩანს, რომ ისინი ადრიდანვე ყოფილა დამტვრეული. მსგავსი შემთხვევები როგორც ადრეულ, ისე განვითარებულ შუა საუკუნეთა სამაროვნების შესწავლისას ხშირია. ნივთების დამსხვრევა-„მოკვლის“ მაგალითები

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით განასახიერებს სიკვდილის სიმბოლიზებულ ფაქტს [მამულაძე, 1993:124-125; ებრალიძე, მამულაძე, ასლანიშვილი, 2013:281].

სამარხების უმრავლესობა დარღვეული იყო. მოხერხდა რამდენიმე მათგანის ზომების დადგენა. მაგალითად, მეოთხე სამარხეული ორმოს სიგრძე 140 სმ-ია. დაცულია თავის ქალა, კიდურები. მიცვალებულს მარცხენა ფეხის არეში ჩატანებული ჰქონდა ჯამი. მეხუთე სამარხის სიგრძე 180 სმ-ია, დაცულია თავის ქალა, კიდურები. აქაც ჯამია ჩატანებული. ერთ-ერთ მიცვალებულს თავს ქვემოთ დამღიანი ჭურჭლის ნატეხები ჰქონდა დალაგებული. აჭარისწყლის ხეობის გარდა, მსგავსი შემთხვევა საქართველოს შუა საუკუნეების სამარხების კვლევისას ჯერჯერობით არაა დადასტურებული. ესეც ამ ხეობის მორიგ თავისებურებას უნდა წარმოადგენდეს [მამულაძე, 1993:124, ებრალიძე, მამულაძე, ასლანიშვილი, 2013:281].

არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ეკლესიის სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ მონაკვეთში (საერთოდ არაა გამოყენებული ეკლესიის ჩრდილოეთი და დასავლეთი მონაკვეთი) გამართული ყოფილა სასაფლაო, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ემსახურებოდა აქაურ მკვიდრთ. სოფელი ფურტიო ადრეც საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ეკლესიის ირგვლივ წარმოქმნილა დასაკრძალავი ფართობის სივიწროვე, რის გამოც დაუწყიათ ადრინდელ სამარხებზე ზემოდან ახლების დაკრძალვა. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ადრე დაკრძალულსა და მომდევნო მიცვალებულს შორის ახალი დასაკრძალავი მოედნის შექმნის მიზნით ძველ სამარხებზე დაყრილია 15-20 სმ მიწის ფენა. ან კიდევ, როცა ერთი მიცვალებულის ფეხების არეშივე გვხვდება მეორეს თავის ქალა. აქ მიწის თითოეული გოჯი მაქსიმალურადაა გამოყენებული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ყველაზე საპატიო და გამორჩეული პიროვნებების დასაკრძალავ ადგილებად ეს ტერიტორიები ითვლებოდა. ანალოგიური სურათი ჩანს აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ეკლესიების გარშემო სამარხების თავმოყრა დაიწყო IX საუკუნეში, ხოლო მასობრივი ხასიათი მიიღო ამ საუკუნის ბოლოსა და X საუკუნეში [მამულაძე, 1993:124, ებრალიძე, მამულაძე, ასლანიშვილი, 2013:282].

საინტერესო შედეგების მომცემი აღმოჩნდა მეორე ნაეკლესიარის არქეოლოგიური გათხრები 2018 წლის მაისში. სოფლის მკვიდრ, ქველმოქმედ ზურაბ მელიქიშვილის თხოვნითა და ფინანსური მხარ-

დაჭერით, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს გვერდში დგომით, სხალთის მთავარეპისკოპოს მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, ძეგლზე სამუშაოებს აწარმოებდა სსიპ – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიცია. [32] სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს სოფლის მცხოვრებლებმა. ქალი, კაცი თუ ბავშვი ყველა ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა მშობლიური სოფლის ისტორიის შესწავლაში. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მელიქიშვილთა გვარის წარმომადგენლები.

ნაეკლესიარი მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „საყდრის კარს“, „მჭედლურის“ უბანს, „მელიქწმინდასაც“ უწოდებენ. გადმოცემით ოსმალთა ბატონობის ხანაში ეს ეკლესია დაუნგრევიათ, ქვა ქვაზე არ დაუტოვებიათ. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა, ძირითადად ქალბატონები მიდიოდნენ ამ ადგილას, ლოცულობდნენ, სანთელს ანთებდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ... [სახოკია, 1985:261].

უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ნაეკლესიარი სოფელ მელიქწმინდას ეკუთვნოდა [შაშიკაძე, 2011:55], დღეს აღნიშნული სოფელი და თვით სახელწოდებაც გამქრალია. წყაროებში იგი სოფლებთან – ფურტიოსა და ჭა-სთან ახლოს იხსენიება[33].

---

[32] ხელმძღვანელი – ტარიელ ებრალიძე, კონსულტანტი – ამირან კახიძე, მეცნიერ-თანამშრომელი – ნარგიზ სურმანიძე, რესტავრატორი – მერი ყულეჯიშვილი, მხატვარ-არქიტექტორი – გიორგი დუმბაძე. ექსპედიციის მუშაობაში ასევე მონაწილეობდნენ ხიჭაურის წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო და არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები.

[33] საინტერესოა სელიმ II-ის მმართველობის (1566-1574 წწ). დროს შედგენილი „დავთარი“. წყაროში სოფელი ფურტიო, ექვემდებარება ზემო აჭარას. შემდეგი სოფელი რომელსაც „დავთარში“ ვხვდებით არის სოფელი „ჭა“. იგი ახლოსაა მელიქწმინდასთან [შაშიკაძე,2011:55]. თარგმანის ავტორი ზ. შაშიკაძე კომენტარებში ამ სოფლის შესახებ განმარტავს: შემდეგი სოფელია ჭა, რომელშიც 8 კომლი ცხოვრობს. მითითებულია, რომ იგი ახლოს არის სოფელ მელიქწმინდასთან [შაშიკაძე,2011:55]. სადღეისოდ ეს სახელი სოფლის ერთ-ერთ უბანს ჰქვია. სადაც ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით და ზედაპირულადაც კი შეინიშნება დასახლებისა თუ ნაგობობის ნაკვალევი. წინასწარეული დაზვერვების მიხედვით, შესაძლოა, აქ ეკლესიასთან დაკავშირებული დიდი სამონასტრო კომპლექსი ყოფილიყო. შემთხვევით ადრე

ცნობილია, რომ XVI ს-ის მეორე ნახევარში ოსმალებმა დაიპყრეს აჭარისწყლის ხეობა, აღწერეს სოფლები და შექმნეს ადგილობრივი ადმინისტრაციულ-მმართველობითი სისტემა. მთელი რეგიონი, აჭარის ლივის სახით ოსმალეთის იმპერიაში გააერთიანეს [შაშიკაძე, 2011]. აჭარის აღწერის პირველ დოკუმენტში – „დავთარი“ – კარგად ჩანს მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა, რაც შემდგომში კიდევ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. ხშირია მიგრაციული პროცესები. ბუნებრივია, ასეთ რთულ ვითარებაში თავისუფლად შეიძლებოდა ცალკეული სოფლების გაქრობა და მათი ტერიტორიების მეზობელი სოფლების საზღვრებში მოქცევა. ქრება ან კიდევ კნინდება და მიკროტოპონიმის სახით რჩება მათი სახელებიც. აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სოფელ მელიქწმინდას შესახებ ცნობებს, ბევრი სხვა სოფლების მსგავსად მხოლოდ წერილობით წყაროებში ვხვდებით.

შესასწავლი ტერიტორია საგანგებოდაა სხვადასხვა ზომის ქვებით წრიულად შემოსაზღვრული თუ შემოკავებული (ფართობი დაახ. 750 კვ.მ). აღნიშნული ფაქტი ამყარებს მოსაზრებას, რომ აჭარისწყლის ხეობაში დაცული ეკლესიების ერთი ნაწილი „კარის“ სამლოცველოები უნდა ყოფილიყო [მამულაძე, 1993:102]. ამ ტერიტორიაზე ადრე შემთხვევით თიხის ჭურჭლის ნატეხები და ბრინჯაოს ზარიც უპოვიათ, რომელიც სამწუხაროდ დაკარგულა. ტერიტორია ეკალბარდებითა და ნაძვნარითაა დაფარული.

გადავწყვიტეთ არქეოლოგიური სამუშაოები ქვაყრილით შემოზ-

აქ ზარიც უნახავთ [ებრალიძე, მამულაძე, ასლანიშვილი, 2013:283-284]. ნაკვალევი ფიქსირდება სიაკათის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი ამოკითხვის ათი ვარიანტი არსებობს. გავითვალისწინეთ რა ცნობილი მოსაზრება ტერმინ „აჭარის“ წარმოშობის შესახებ, რომლის ამოსავალ ფორმად „ჭ“-ს („ჭა“) მიიჩნევენ და წყაროს, მდინარისა თუ საკუთრივ ჭის განმარტებას აძლევენ ჩვენი „არჩევანი“ აღნიშნულ სახელწოდებაზე შევაჩერეთ. ამგვარი ვარაუდი კიდევ უფრო მყარი გვეჩვენა მას შემდეგ რაც, აღნიშნული ადგილები დავათვალიერეთ. მდინარე სხალთის ხეობაში, დღევანდელი ფურტიოს ერთ-ერთ უბანში დავაფიქსირეთ საკმაოდ მოზრდილი ჭაობი, რომელიც ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით, უცნაურადაც კი ჩანს, სოფლის მკვიდრთა გადმოცემით ამ ტერიტორიას ძველად „ყუიუს“ ეძახდნენ. აღნიშნული სახელწოდება თურქულია და ქართულ თარგმანში „ჭას“ ნიშნავს. როგორც ჩანს, სახელწოდება დროთა განმავლობაში თურქულად „ითარგმნა“ [შაშიკაძე,2011:55].

ღუდულ ტერიტორიაზე ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, შედარებით მოსწორებულ ადგილას გვეწარმოებინა. პირველ რიგში შესასწავლი მონაკვეთი გავათავისუფლეთ ზედმეტი ნარჩენებისა და ეკალ-ბარდებისაგან და ავგეგმეთ გასათხრელი ფართობი. თხრილი დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. ჰუმუსი აქ არც ისე მძლავრია. მერყეობს 5-10 სმ-მდე. მოსდევს მოყავისფრო მიწის ფენა. სამუშაოების დაწყებისთანავე გამოიკვეთა ნაგებობის კონტურები.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ეკლესია საძირკვლის დონემდეა დანგრეული. იგი წარმოადგენდა მცირე ზომის (სიგრძე 8 მ, სიგანე 5,5 მ, კედლის სისქე 0,80-1 მ) დარბაზული ტიპის ნაგებობას, რომელსაც არ გააჩნია აბსიდა. აღმოსავლეთით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით შემორჩენილია საძირკვლის ნაშთები, დასავლეთით კი მთლიანადაა განადგურებული. როგორც ჩანს შენობას შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთ კუთხიდან ჰქონდა. შენობის დასავლეთი კედელი ქვაყრილიან ზღუდიდან 1,5-2 მ დაცილებული, ხოლო ჩრდილოეთი კედელი დაახლოებით 3 მ-ის მოშორებითაა.

დარბაზული ტიპის ეკლესიები წამყვანი ჩანს ადრეული შუასაუკუნეებიდან (V-VI სს.) თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე. იგი ერთადერთი ფორმა იყო უგუმბათო ეკლესიებისა, რომელიც გაჩენის დღიდან ბოლომდე დარჩა გუმბათიანი ტაძრების „თანამგზავრად“.

აჭარისწყლის ხეობის სხვა, დღემდე შესწავლილი საეკლესიო ნაგებობათა მსგავსად დასაკრძალავ მოედნად აქაც გამოყენებულია როგორც ეკლესიის შიდა სივრცე, ასევე ეკლესიის გარე, განსაკუთრებით სამხრეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი მონაკვეთი.

სამარხი ორმოს კონტურები არ იკვეთება. მიცვალებულები ერთმანეთის გვერდი-გვერდ იყო დასვენებული. პირაღმა, ხელები გულმკერდის არეში აქვთ დაკრეფილი. დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. ყურადღებას იქცევს ტაძრის შიდა სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი, სადაც ოთხი თავის ქალა იყო წარმოდგენილი.

აჭარაში განვითარებული შუა საუკუნეების სამაროვნებზე გამოიყოფა შემდეგი ტიპის სამარხები: 1. ორმოსამარხები; 2. ქვის სამარხები – ე.წ. ქვაყუთები; 3. ამოშენებულ კედლიანი სამარხები და 4. აკლდამა. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ორმოსამარხებია. აშკარაა, რომ ორმოსამარხები ერთ-ერთი ძირითადი და გავრცელებული სახეა აქაურ მკვიდრთა დაკრძალვის რიტუალში. ორმოსამარ-

ხები გამოიყენება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სამარხების გამართვის დროს. შესაბამისად ისინი განსხვავებულია ზომების მიხედვით.

საეკლესიო ნაგებობათა ქრონოლოგიის, აქაურ მკვიდრთა სამეურნეო საქმიანობისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების კვლევისათვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საველე სამუშაოების შედეგად აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს, მოპოვებულია სხვადასხვა სახის ნაწარმი, როგორც წესი, წამყვანი ადგილი კერამიკულ ნაკეთობას უკავია. ისინი ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: მოჭიქული და მოუჭიქავი.

მოჭიქული კერამიკა ჩვენი კვლევის არეალში მცირეა, აღმოსავლეთ საქართველოში ისინი უმრავლესობას შეადგენს. მცირეა, ასევე, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. დამახასიათებელია სუფთად განლექილი თიხა, სადა მოვარდისფრო კეცი. 2012 წლის გათხრების შედეგად აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის ნატეხები ლანგრისებურ ჭურჭლს განეკუთვნება. ზედაპირზე შესრულებულია სხვადასხვა სახის ორნამენტი. დასავლეთ საქართველოში მრავალფრად მოჭიქული კერამიკა აღმოჩენილია სოხუმის, ციხისძირის, ბათუმის, უქიმერიონის ციხეებზე, ციხე სულორზე, ოჩამჩირეში, სადაც ისინი XII-XIII საუკუნეებითაა დათარიღებული. ამავე პერიოდისაა აჭარისწყლის ხეობაში აღმოჩენილი მრავალფრად მოჭიქული კერამიკაც. ფურტიოს მონაპოვარი ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებზე მოპოვებულ მასალასთან პოულობს ანალოგებს.

მოუჭიქავი კერამიკიდან წარმოდგენილია ქვევრები, დერგები, ჯამები, სასმისები, კეცები, სასანთლისა თუ საკმეველის ფრაგმენტები.

სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლებიდან გვხვდება ქვევრები. მათთვის დამახასიათებელია მასიური, ქუსლიანი ძირი, თანაბრად მომრგვალებული ტანი, ფართო, არცთუ ისე მაღალი ყელი და შესქელებული ქობა. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია ჯვარი. ქვევრების ტანის ნაწილი სადა ზედაპირიანია, ზოგჯერ მხრების არე წრიული ქედებითაა დაფარული. კეცი ღია მოყვითალო ან მოყავისფროა, გამოწვის ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

აღმოჩენილი არტეფაქტებიდან ყველაზე მეტი რაოდენობით წარმოდგენილი არის სუფრის ჭურჭლის ნიმუშები. მათ დიდ ნაწილს **ჯამები** წარმოადგენს**.** ისინი კეცითა და სტრუქტურით ერთმანეთის მსგავსია. თიხა მოყავისფროა. კარგად განლექილი. არათანაბარი გამოწვის შედეგად განატეხში მოშავო-მონაცრისფრო. ჯამები მცირე

დეტალებით ერთმანეთისაგან განსხვავდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბრტყელძირა დაკუთხულქუსლიანი ჯამები, რომელთა პირ-გვერდი თანაბრადაა მომრგვალებული და შიგნით გადახრილი, ზოგიერთი დამრეცი კალთისაგან გამოკვეთილი.

ცალკე გამოიყოფა შეზნექილქუსლიანი ჯამების ჯგუფი, რომელთა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია მაღალი, დამრეცი კალთისაგან მკვეთრად გამოყოფილი, აკეცილი პირ-გვერდი და მაღალი, კონუსურად შეღრმავებული ქუსლი. მეორე ნაწილისათვის (ისინი ძირ-კედლის ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი) დაბალი, რგოლისებური ქუსლი, რომლის საყრდენი არე ბრტყელია, ძირი ამობურცული. გვხვდება ისეთი ნიმუშები, რომლის ძირზე ამოკაწრულია ჯვარი.

განსხვავებულ სახეობას წარმოადგენს მორჩისებურ ყურიანი, ბრტყელძირიანი ჯამი.

სამეთუნეო ნაკეთობებიდან ყურადღებას იქცევს **სასმისები.** ყველა მათგანი მიეკუთვნება ცალყურა სასმისების ტიპს, რომელთათვისაც დამახასიათებელია ბრტყელი ძირი, ძირთან ახლოს გაფართოებული მომრგვალებული ტანი, მაღალი, დაქანებული მხრები, ფართო პირ-ყელი. ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო მიძერწილია ყელზე, პირთან ახლოს, ხოლო ქვედა ტანის არეში. ერთ-ერთი მათგანი შემკული ყოფილა წითელი წერნაქით შესრულებული ჰორიზონტალური ზოლებით. სასმისზე წერნაქი თითქმის წაშლილია.

აღმოჩენილ კერამიკულ მასალაში წარმოდგენილია კეცის ნატეხებიც, ისინი სხვადასხვა ზომისაა. მათ ახასიათებთ დაბალი, სქელი, ოდნავ გარეთ გადაშლილი გვერდი, მომრგვალებული პირბაკო და ბრტყელი ძირი. ფართოდ გამოიყენებოდა თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. დამზადების ტექნოლოგიისა და ფორმების განვითარების თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები მათ არ განუცდიათ.

მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ჭდეებით შემკული დოქის ყურები, ქოთნისა თუ სხვა სახის ჭურჭლის ძირ-კედლის ფრაგმენტები.

ლითონის ნაკეთობებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვერცხლის მონეტა. აჭარაში ნუმიზმატიკური ძეგლები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ზღვისპირა ზოლში – ფიჭვნარში, ქობულეთში, ციხისძირში, ბათუმში, გონიოსა და მახოში. მაღალმთიან რაი-

ონებში მონეტები იშვიათ მონაპოვართა რიგს განეკუთვნება; X-XII სს დათარიღებული ბიზანტიური მონეტების ერთეული ცალები აღმოჩენილია შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში. ამიტომაც სოფელ ფურტიოში აღმოჩენილი ვერცხლის მონეტა გასაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

მისი აღწერილობა ასეთია: ე. წ. ანონიმური ყაანური. 2,66. ზ. 22.

შუბლი: რთული გრეხილგეომეტრიული ექვსქიმიანი ვარსკვლავი, რომლის ცენტრში ორსტიქონიანი არაბული ზედწერლია „ყაან სამართლიანი“.

ზურგი: შემორკალულ ოთხკუთხაფიგურიან ჩარჩოში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: (არ არს ღმერთი, გარდა ალლაჰისა ერთისა, არა ჰყავს მას თააზიარი. ჩარჩოსა და რკალს შორის სეგმენტებში არაბულადვე-მოჭრის ადგილი და თარიღი განსხვავება მხოლოდ ზარაფხანასა და წელშია. ტიპი იგივეა).

მონეტა მოჭრილია 1272/73 წწ. თაბრიზში (თავრიზი. ირანი).

XIII საუკუის პირველ ნახევარში საქართველო მონღოლებმა დაიპყრო. პოლიტიკურ კონიუნქტურას თან მოჰყვა თავისი ეკონომიკა. არამარტო დამპყრობლის ფული მიმოიქცევა, არამედ აქვე იჭრება მონღოლური ყაიდის მოეტები. 1254-61 წწ. თბილისის ზარაფხანაში იჭრება ვერცხლისა და სპილენძის მონეტები მანგუ ყაენის სახელით. მათ ქრონოლოგიურად მოსდევს ე. წ. ყაანურები. ტერმინი ყაანური მომდინარეობს მონეტის შუბლის ლეგენდიდან-ყაან სამართლიანი. ისინ ორი ტიპისაა. ფურტიოს მონეტა მიეკუთვნება პირველ ტიპს. 1259 წელს გარდაიცვალა მანგუ ყაენი. მონღოლეთში ატყდა გააფთრებული ბრძოლა ტახტისათვის. შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო, რაც გამოწვეული იყო ტახტისათვის მოქიშპეობით, ჰულაგუ ყაენმა, რომელსაც ვემორჩილებოდით, თავის სამფლობელოში დაიწყო ანონიმურ მონეტების ემისია „ყაან სამართლიანი“ ეპითეტით, რომელიც თანაბრად მიესადაგებოდა ნებისმიერ გამარჯვებულ პრეტენდენტს. ასევე მოიქცნენ საქართველოშიც. ფურტიოს მონეტა მოჭრილა თავრიზში. ესაა საქართველოში ნაპოვნი ერთადერთი ყაანური, რომელიც ირანშია მოჭრილი. ყაანურები დიდი რაოდენობით მიმოიქცეოდა საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში. ისინი გვხვდება ჟინვალის, ნახიდურის, რუხის, კარდენახის, ბორჯომის, ალმატის (ყვარელი), აბასთუმანის, თბილისის ახალდაბის განძების შემადგენლობაში ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანში; რაც შეხე-

ბა დასავლეთ საქართველოს, ყაანურები აქ არ გამოვლენილა. ფურტიოს მონეტა პირველი შემთხვევაა. სავარაუდოდ, ანონიმური ყაანური ფურტიოში სამხრეთ საქართველოდან ან სომხეთიდან უნდა იყოს შემოსული [ვარშალომიძე, 2013:299-300].

ლითონის ნაკეთობებიდან ყურადღებას იქცევს საეკლესიო ნივთები. ბრინჯაოს ზარაკები (2 ცალი). რკინის ჯვარი. აქვს ბრტყელგანივკვეთიანი ბოლოებისკენ გაფართოებული მკვლავები. რკინის ვარსკვლავი, რომელიც გამოიყენება ღვთისმსახურების დროს.

სამკაულებიდან წარმოდგენილია ცილინდრული ფორმის მძივი, რომლის წაკვეთილი ბოლოს ერთი მხარე, ნახვრეტის ირგვლივ შემკულია თეთრი ფერის პატარ-პატარა წერტილებით. მისი ზედაპირი კარგადაა დამუშავებული, ალაგ-ალაგ გაპრიალებული. გვხვდება ბრინჯაოს საყურე და მოყავისფრო-მოწითალო ფერის ბეჭდის თვალი.

ფურტიოს ნაეკლესიარებზე აღმოჩენილი ნივთები პარალელებს პოულობს აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების საეკლესიო ნაგებობებისა და სამაროვნების, ასევე სასიმაგრო-თავდაცვითი ნაგებობების გათხრებისას აღმოჩენილ მასალებთან . თარიღდებიან XI-XIII საუკუნეებით [მამულაძე 1993: 61-62].

საეკლესიო ნაგებობათა მშენებლობის, მათი ფუნქციონირებისა და რიგი საკითხების მიმართ ავღნიშნავთ, რომ აჭარისწყლის ხეობაში ეკლესიათა მშენებლობა ჯერ კიდევ ახ. წ. I საუკუნიდან დასტურდება. ვგულისხმობთ ანდრია პირველწოდებულის მიერ დიდაჭარაში აგებულ ეკლესიას. ფართო ხასიათი საეკლესიო ნაგებობათა მშენებლობას მიუღია ფეოდალურ ხანაში. კერძოდ, X-XI საუკუნეებიდან. საქართველოს სხვა კუთხეებისა და ხეობების მსგავსად აქაც ფართოდ გაშლილა ციხე-კოშკების, თაღოვანი ხიდების, საეკლესიო თუ სხვა ნაგობობათა მშენებლობა. ხიდების ნაწილი დღესაც კი გამოიყენება. ციხე-კოშკები გვიანშუასაუკუნეებშიც ოსმალთა სამხედრო ინტერესებში შედიოდა და თავის ფუნქციას ასრულებდა. რაც შეეხება ეკლესიებს მათი უმეტესი წილი დაანგრიეს, მიწასთან გაასწორეს. დანგრეული ეკლესიის ქვები გამოყენებულია მეჩეთებისა და მედრესეების, საცხოვრებელი თუ დამხმარე ნაგებობების მშენებლობაში. ზოგიერთ შემთხვევაში კვალის გაქრობის მიზნით ეკლესიის საძირკველზე ზემოდან მეჩეთია დაშენებული. ეკლესიათა მშენებლობა როგორც ავღნიშნეთ ძირითადად XI-XIII სს. მოდის. ხოლო მათი ფუნქციონირების თარიღად XI-XVIII სს უნდა განისაზღვროს. რადგანაც, როგორც

არქეოლოგიური, ისე წერილობითი წყაროების მიხედვით აჭარის-წყლის ხეობაში ეკლესიები **გვიანობამდე** (XIX საუკუნის 30-იანი წლე-ბი), ფუნქციონირებდა და ამის შემდეგ იწყება სისტემატიურად მათი ნგრევა-განადგურება, მეჩეთებისა და მედრესეების მშენებლობა.

სოფელ ფურტიოში სახეზე გვაქვს ორი ეკლესია – საყრდარი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია რიგი დასკვნების გასაკეთებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ებრალიძე, მამულაძე, ასლანიშვილი,** არქეოლოგიური გათხრე-ბი სოფელ ფურტიოში. – აჭარა, წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი, 2013:280-288.
2. **მამულაძე შ.,** აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლო-გიური ძეგლები, ბათუმი 1993.
3. **მამულაძე შ.,** აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების სამაროვნე-ბი, ბათუმი 1998.
4. **მამულაძე შ, ქამადაძე კ.,** 2014 წელს სოფელ სიმონეთში (ხელვა-ჩაურის მუნიციპალიტეტი) წარმოებული არქეოლოგიური გათ-ხრების ანგარიშები. – აჭარა, წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი, 2017:302-322.
5. **სახოკია თ.,** მოგზაურობანი, ბათუმი, 1985
6. **შაშიკაძე ზ**, აჭარის ლივის გრძელი და მოკლე დავთრები, ბათუმი 2011.

Tariel Ebralidze
Nargiz Surmanidze

From the history of the village of Furtio

The Adjaristskali valley is rich in monuments of substance culture. This time, we present the results of recent archaeological excavations in the village of Furtio. As it turned out, there were two churches in one village. There were obtained Very interesting materials: Ceramic products, coins, metal items. They are connected with the medieval church buildings and tombs of the Adjaristskali valley, It also relates to materials found during the study of defensive structures and They date from the 11th-12th centuries.


27/08/2012 15:29
01/09/2012 16:30

ქეთევან გორგილაძე

გვიანი შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკა გონიო-აფსაროსიდან

გონიოს ციხე დიდი ხანია იქცევს მეცნიერთა ყურადღებას. მისი შესწავლით ჯერ კიდევ XIX ს ტროას, მიკენისა და ორქომენის შემსწავლელი ჰ. შლიმანი დაინტერესებულა. იგი საკუთარი სახსრებით ცდილობდა განეხორციელებინა არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი, მაგრამ უშედეგოდ. 1904 და 1907 წლებში გონიო-აფსაროსში არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად „ღია ფურცელი“ მიუღიათ ნ. მარსა და თ. უსპენსკის, მაგრამ ვერც მათ მიაღწიეს მიზანს (კახიძე, მამულაძე, 2016: 60-61). მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა შეძლო XX ს 60-იან წლებში წამოეწყო მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები (გრძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964: 59-99). ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1994 წელს განახლდა, როცა შეიქმნა გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი და მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია. კიდევ ერთი ახალი ეტაპი ბოლო წლებში დაიწყო. 2014 წლიდან დღემდე ციხის ტერიტორიაზე გათხრებს აწარმოებს ქართულ-პოლონური საერთაშორისო ექსპედიცია. მასში მონაწილეობენ გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის მოდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის წევრები (ხელ-ლი: შ. მამულაძე) და ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლები (ხელ-ლი: რ. კარასიევიჩ-სშიპიორსკი). ჩატარებული ექსპედიციების შედეგად მოპოვებულია სხვადასხვა ეპოქის (რომაული, ბიზანტიური, ოსმალური) მდიდარი და მრავალფენოვანი მასალა. მათ შორის გამორჩეული ადგილი მოჭიქულ კერამიკას უკავია. ეს ნაწარმი ციხის ტერიტორიაზე საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

მოჭიქული კერამიკის წარმოშობა და გავრცელება. როგორც ცნობილია, ჭურჭლის მოჭიქვას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჭიქური კერამიკულ ნაკეთობაზე გამონვით დამაგრებული საფარი-მინისმაგვარი 0,15-0,30 მმ სისქის ფენაა. იგი ორგვარ დანიშნულებას ასრულებს პრაქტიკულსა და დეკორატიულს. ჭიქურით დაფარული ჭურჭელი წყალგაუმტარი, ქიმიურად გამძლე და ლამა-

ზია. გარდა ამისა, ჭიქური ათანაბრებს ჭურჭლის ზედაპირს და ხურავს ფორებს, რაც ერთი მხრივ, იცავს თიხის კეცს ყველანაირი გარე ზემოქმედებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, ჭიქურით დაფარული კრიალა ზედაპირი ადვილად ირეცხება (ქარციძე, 2010: 14).

მოჭიქული ჭურჭელი საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ეს ტრადიცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღემდეა შემონახული. ჭურჭლის მოჭიქვის ხელოვნება საქართველოში ჯერ კიდევ შორეულ წარსულში სცოდნიათ, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალები.

საერთოდ, არქეოლოგიური მონაცემებით ყველაზე უძველესი მოჭიქული ჭურჭელი ბაბილონშია ნაპოვნი და კასიტების მმართველობის პერიოდით – II ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება. რაც შეეხება საქართველოს – უძველესი მოჭიქული ჭურჭელი ცნობილია თრიალეთიდან და სამთავროს სამაროვნიდან. თრიალეთის მოჭიქული ჭურჭელი დათარიღებულია ურარტუს ეპოქით, ხოლო სამთავროს ჭურჭელი ძვ.წ. IX-VI სს.

ქრონოლოგიურად შემდეგი პერიოდის აღმოჩენები თრიალეთში, მცხეთაში (სამთავრო, არმაზისხევი) და ძველანაგის სამარხებს უკავშირდება. ძირითადად ესაა მწვანედ მოჭიქული ჭინჭილები. ეს ჭურჭელი დათარიღებულია ახ.წ. I ს-ით.

1940 წელს არმაზისხევში ბავშვის სამარხში, ძვირფას სამკაულთან ერთად, აღმოჩნდა ორყურა მოჭიქული ჭურჭელი. ჭურჭელი წუნდებული ყოფილა. წუნდებული ჭურჭლის ასეთ მდიდრულ სამარხში ჩატანება, როგორც ფიქრობენ, იმის მანიშნებელია, რომ მისი მოჭიქულობა დიდად ფასობდა. ბავშვის სამარხი, მასში აღმოჩენილი მონეტის მიხედვით, ახ.წ. II ს-ით არის დათარიღებული (მიწიშვილი, 1969: 6).

მოჭიქული ჭურჭლის შემდეგი აღმოჩენა ურბნისის ნაქალაქარს უკავშირდება. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილ ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა თიხის მოჭიქული სანელსაცხებლე, რომელიც თანმხლები მონეტის მიხედვით ახ.წ. IV ს-ით თარიღდება (მიწიშვილი, 1969: 6).

როგორც ვხედავთ, საქართველოში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის ადრეული ნიმუშები დროის გარკვეულ შუალედებში ჩნდება, ისიც მხოლოდ სამარხებში, შემდეგ კი ქრება. იმ ხანებში მას იშვიათად და მცირედ ამზადებდნენ.

შუა საუკუნეებში მოჭიქული ჭურჭლის წარმოება IX-X სს-დან ვიდრე XIII ს-ის პირველ ნახევრამდე აღმავალი გზით მიმდინარეობს და ფართო მოხმარების საგანს წარმოადგენს. მონღოლთა შემოსევების შედეგად მათი დამზადება გარკვეული დროით წყდება (ჯაფარიძე, 1956: 12; მიწიშვილი, 1969: 6).

მოჭიქული ჭურჭლის აღსანიშნავად საქართველოში იყენებდნენ შემდეგ ტერმინებსაც: „ქაშანური“, „მოკალული”, „წამალგადასხმული”, „ინგლისური” და „ჩინური“. როგორც მკლევარები აღნიშნავენ, იმის გამო რომ ჭიქა (შუშა) ჭურჭლის გასალამაზებელ საშუალებათა ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა და შესაძლებელია იმის გამოც, რომ შეღებვის შედეგად ჭურჭელს ჭიქის მსგავსი ბრწყინვალება ეძლეოდა, მას მოჭიქული ჭურჭელი ეწოდებოდა. ტერმინი „წამალგადასხმული ჭურჭელი” მეჭურჭლეთა მიერ შემუშავებული სახელწოდებაა, რადგან ისინი ჭიქურის კაზმს „წამალს” ეძახიან, ტერმინი „ინგლისური ჭურჭელი” „განგლესა”, „განგოზვისაგან” უნდა იყოს წარმოქმნილი, ხოლო რაც შეეხება ქაშანურს, ქაშანი (ირანის ქალაქი), როგორც კერამიკული წარმოების ერთ-ერთი ცენტრი, თავისი მაღალმხატვრული პროდუქციის წყალობით, დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მისი მნიშვნელობა აღიარებული იყო. ქაშანურ ჭურჭელს კახეთში ჩინურ ჭურჭელს, მოკალულ ჭურჭელს და თეთრ ჭურჭელსაც ეძახდნენ. თუმცა, საქართველოში მოჭიქული ჭურჭლის აღსანიშანავად შემორჩენილი ეს ტერმინი არ ნიშნავდა, რომ ის მაინცდამაინც ქაშანიდან იყო შემოტანილი. „ქაშანური” ზოგად სახელად გამოიყენებოდა და საქართველოში დამზადებულ ქართულ მოჭიქულ ჭურჭელს აღნიშნავდა (ლიტ-რა. ვრცლ.იხ. ქარციძე, 2010: 11-14).

მოჭიქული ჭურჭლის რაოდენობა და ხარისხი იმაზე იყო დამოკიდებული თუ რა საწარმო ცენტრიდან მომდინარეობდა იგი. რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო ქალაქი, მით უფრო უკეთეს და მეტ ჭურჭელს ამზადებენ მისი კერამიკული სახელოსნოები.

„მილეტის ტიპის“ კერამიკა. ბოლო წლებში გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მოჭიქულ კერამიკაში გვხვდება ერთი „მილეტის ტიპის“ თეფშის ძირის ნატეხი **(ტაბ.I/1)** ახასიათებს წითელი კეცი, შიდა პირზე თეთრ ფონზე ყავისფერი საღებავით მოხატულია მრავალფურცლა ყვავილი. ჭიქური უხარისხია, ირიზებური. ჰქონია მომრგვალებული კალთა, დაბალი, წრიული ფორმის ქუსლი და ბრტყელი ძირი. მსგავსი სტილისა და დეკორით გაფორ-

მებული ჯამი გონიოს ციხის ტერიტორიაზე წინა წლებშიცაა აღ-მოჩენილი (ქამადაძე, 2016 ბ: 103, ტაბ. XLV/1).

საერთოდ, აჭარის ტერიტორიაზე „მილეტის ტიპის“ კერამიკის ნიმუშები ძალზედ იშვიათია. გონიოს გარდა, რამოდენიმე ნატეხი აღმოჩენილია ბათუმის ციხეზე. ოღონდ, გონიოს ნიმუშებისაგან განსხვავებით, ბათუმის ციხის „მილეტის ტიპის“ კერამიკა თეთრ ფონზე ლურჯი საღებავითაა მოხატული. ისინიც სხვადასხვა ჯა-მის პირ-კალთის, კალთისა და ძირ-ქუსლის ნატეხებია. აღნიშნული ჯამები მ. მიწიშვილს სხვადასხვა სახელოსნოსა და სხვადასხვა ხე-ლოსნის ნაწარმად მიაჩნია, რადგან ისინი ერთმანეთისაგან გან-სხვავდებიან კეცით, ფორმით და ორნამენტის სახეებით. მისი აზ-რით, მათი წარმომავლობის შესახებ რაიმეს თქმა ძნელია, თუმცა აშკარაა, რომ ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ ადგილობრივ ნა-წარმს. მკლევარი მათ ზოგადად XV-XVII სს-ით ათარიღებს (მიწიშ-ვილი, 1976: 46-48).

„მილეტის ტიპი“ არის ოსმალური მოჭიქული კერამიკის ყვე-ლაზე ადრეული ჯგუფი. იგი პირველად XIV ს-ის II ნახევარში დამ-ზადდა. სახელწოდება შერქმეულია გერმანელი მეცნიერის ფ. სა-რეს მიერ. 1930 წელს ანტიკური მილეტის ადგილზე მუშაობისას აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ფრაგმენტების მიხედვით, ის ფიქ-რობდა, რომ ეს კერამიკა მილეტში იყო წარმოებული. თუმცა, 1960 წლიდან ო. ასლანაფას ხელმძღვანელობით ქ. იზნიკში ჩატარებუ-ლი არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ამ ტიპის მოჭიქული კერამიკის მრავალრიცხოვანი ნაწარმი, ღუმელში გა-მომწვარი წუნდებული და დაუმთავრებელი ნიმუშები და კერამი-კის გამოსაწვავი ქურა-სახელოსნოების ნაშთები. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა „მილეტის ტიპის“ კერამიკის ქ. იზნიკში წარმოება. უკანასკნელ პერიოდში გამოთქმულია სხვა მოსაზრე-ბაც, კერძოდ ქ. იზნიკთან ერთად მცირე აზიის სხვა ქალაქებშიც, ქუთაჰიაში, ჩანაკკალეში, კონიაში, დიარბაქირში პერგამონში და ა.შ. დამზადების შესახებაც. აშკარაა, რომ კეცის მიხედვით თუ ორ-ნამენტული მოტივებით ბათუმის ციხეზე და გონიოში აღმოჩენილი „მილეტის ტიპის“ კერამიკა ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

„მილეტის ტიპის“ კერამიკის წარმოების შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ფიქრობენ, რომ მისი დამზადება XV ს-ის ბო-ლოს წყდება, ზოგიერთი მკლევარი კონკრეტულ თარიღს-1520 წელს ასახელებს. არის ცნობები მათი XVII ს-ის შუახანებამდე

წარმოების შესახებაც (ლიტ-რა. ვრცლ. იხ. ქამადაძე, 2016 ბ: 102-105).

გონიოს ციხის მოჭიქული კერამიკის შემდეგი ნაკეთობანი მოგვიანო პერიოდს მიეკუთვნება და XVII-XVIII სს-ის სხვადასხვა მონაკვეთებით თარიღდება. დღეისათვის ჭიქურის ფერის მიხედვით მასში 3 ძირითად ქრონოლოგიურ ჯგუფს გამოყოფენ: 1). ერთფერად მოჭიქული („მონოქრომული“ კერამიკა); 2). ორფერად მოჭიქული („ბიქრომული“ კერამიკა) და 3). მრავალფერად („პოლიქრომული” კერამიკა) მოჭიქული (ქამადაძე, 2016 ბ: 105-127).

ერთფერად მოჭიქული (მონოქრომული) კერამიკა. გონიოს ციხეში ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილია ერთფერად მოჭიქული (მონოქრომული) კერამიკა. ძირითადად ესაა სხვადასხვა ტონალობის მწვანე ან ყვითელი ჭიქუროვანი საღებავით შემკული ჯამები. უმრავლესობას მწვანედ მოჭიქული ნიმუშები ქმნიან. პირ-კალთის მოყვანილობის მიხედვით დღეისათვის შემუშავებულია მათი კლასიფიკაცია და ხუთი ტიპია გამოყოფილი: ტიპი I. პირმოყრილი და პირბაკოდაბრტყელებული ჯამები; ტიპი II. პირმოყრილი და პირბაკომომრგვალებული ჯამები; ტიპი III. ფართოდ გადაშლილპირიანი ჯამები და ტიპი V სადგამიანი ჯამები. კეცის მიხედვით გამოიყოფა სამი ძირითადი ჯგუფი: ა). ყავისფერკეციანი ბ). ჩალისფერკეციანი და გ). ვარდისფერკეციანი ნიმუშები (ქამადაძე, 2016 ბ: 105-110).

ტიპი I. ეს ტიპი უახლოეს მონაპოვრებში ყველაზე მრავალრიცხოვანია. წარმოდგენილია პირ-კალთის ნატეხების სახით. ახასიათებთ ვარდისფერი კეცი და მომრგვალებული, ნახევარსფეროსებრი კალთა **(ტაბ.I/2-4).** საინტერესოა ერთ-ერთი ჯამის პირ-კალთა. მისი შიდა და გარეპირი დაფარულია მწვანე კრიალა ჭიქურით **(ტაბ.I/3)**. პირ-კალთის ზედა ნაწილი გაფრმებულია სამკუთხედისებრი ჭდეული ორნამენტით. ჯამს შუა წელში შემორჩენილი აქვს ნახვრეტი. როგორც ჩანს იგი თავის დროზე გატეხილა. მოგვიანებით შეუკოწიწებიათ და კვლავ გამოუყენებიათ. ბუნებრივია შემდეგში ასე „რესტავრირებული“ ჯამი მხოლოდ მშრალი პროდუქტისათვის იქნებოდა გამოყენებული.

ტიპი II. მეორე ტიპის ჯამები ბოლო პერიოდის აღმოჩენებში შედარებით მცირეა. თითქმის მთლიანადაა დაცული ერთ-ერთი მათგანი. **(ტაბ.I/5)** აქვს ვარდისფერი კეცი და მომრგვალებული,

ნახევარსფეროსებრი კალთა. შიდაპირი მოჭიქულია ღია-მწვანედ. მეორე ჯამის კალთა ორივე მხრიდან მოჭიქულია, ღია-ყვითელი ფერის უხარისხო ჭიქურით **(ტაბ.I/6).** შემორჩენილი აქვს დაბალი, ცილინდრული ქუსლის ნაწილი. ერთ-ერთი ჯამის პირ-ბაკო კალთისაგან ღარითაა გამოყოფილი. კალთაზე ცენტრალურ ნაწილში დატანილი აქვს ნახევარსფეროსებრი შეღმავებები. კალთა მოჭიქულია მწვანედ, ხოლო შიდაპირი მოყვითალო-მომწვანო ფერის ჭიქურით **(ტაბ.I/7).**

ორფერად მოჭიქული (ბიქრომული) კერამიკა. ბოლო წლებში მოპოვებულ მასალებში მოჭიქული ჯამების შემდეგ ჯგუფს ორფერად მოჭიქული ნიმუშები ქმნიან. ისინი ერთფერად მოჭიქულ კერამიკასთან შედარებით მცირერიცხოვანია. ეს ნაწარმი სამეცნიერო ლიტერატურაში „ბიქრომული“ კერამიკის სახელწოდებითაა ცნობილი. სახელწოდება შერქმეულია ი. ტესლენკოს მიერ. მკლევარმა ჯამების შიდაპირზე და გარე კალთაზე დატანილი სქელი სხვადასხვა ტონალობის ფერადი ზოლების მიხედვით ამ ჯგუფის კერამიკას „ბიქრომული“ უწოდა (Тесленко, 2012: 242). ამ ტიპის კერამიკაში გონიოს ციხის მონაპოვრების მიხედვით ძირითადად ორ ტიპს გამოყოფენ (ქამადაძე, 2016 ბ: 110-112).

ტიპი I. ამ ტიპის ჯამების ზედაპირზე დაღვენთილია ღია-ყვითელი, ყავისფერი, მწვანე, მუქი-მწვანე საღებავები. ეს ტიპი უახლოეს მონაპოვრებში შედარებით მრავალრიცხოვანია. პირ-კალთის და ძირის ნატეხების სახითაა შემორჩენილი ერთ-ერთი მათგანი. აქვს ნახევარსფეროსებრი კალთა, მოყრილი, ოდნავ შიგნით დაქანებული პირ-ბაკო, მაღალი ცილინდრული ფორმის ქუსლი. კეცი ვარდისფერია შიდაპირი მოჭიქულია ღია-მწვანე და მუქი-მწვანე შეფერილობის ჭიქურით **(ტაბ.III/13).** ოდნავ განსხვავებული დეკორითაა შემკული კიდევ ერთი ჯამი. აქაც ჯამის შესამკობად გამოყენებულია ღია-მწვანე, მწვანე და მოყვითალო შეფერილობის ჭიქური. ჯამი პირმოყრილია, პირბაკო დაბრტყელებული. აქვს მომრგვალებული, ნახევარსფეროსებრი კალთა **(ტაბ.III/14).** უფრო მრავალფეროვანია ამ ტიპის ჯამების ძირ-ქუსლები. ქუსლები მაღალია, სხვადასხვა ფორმის. ზოგიერთი ბორბლისებრი მოყვანილობისაა, გამოყვანილი. ერთ-ერთ მათგანზე ცენტრში დატანილია კოპისებრი ბურცობი. შიდაპირზე გადავლებული აქვს ღია-მწვანე და ოდნავ მოყავისფრო შეფერილობის ჭიქური **(ტაბ.III/15).** ოდნავ

განსხვავებულია კიდევ ერთი ჯამის ძირ-ქუსლი. ქუსლი მაღალია, გამოყვანილი, ოდნავ გარეთ გაზიდული, აქვს ბრტყელი საყრდენი არის მქონე ქუსლი, რომელიც ნახევარსფეროსებრად შეზნექილია. შიდაპირი მოჭიქულია ღია მოყვითალო-მომწვანო ფერის ჭიქურით, რომელზეც აქა-იქ დაღვენთილია მუქი-მწვანე ჭიქურის ლაქები **(ტაბ.III/16).**

ტიპი II. ამ ტიპის ჯამებიც ანალოგიურადაა გაფორმებული. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფერად ნაღვენთებთან ერთად ნაკაწრი ხაზებია გამოყენებული. ჯამების ზედაპირზე ამოკაწრულია სპირალური ხვიები, მარყუჟები, ურთიერთგადამკვეთი რომბისებრი ხაზები, ოვალები. ანგობირებული ზედაპირი მოხატულია მწვანე, ღია-მწვანე, ყვითელი, ყავისფერი საღებავებით. გადავლებული აქვთ უფერული გამჭვირვალე ჭიქური (ქამადაძე, 2016 ბ: 110-112). ამ ტიპის ჯამები ბოლო პერიოდის აღმოჩენებში პირ-კალთისა და ძირის რამოდენიმე ნატეხის სახითაა წარმოდგენილი. შედარებით კარგადაა დაცული ერთ-ერთი ჯამის პირ-კალთა. ჯამი პირმოყრილია, პირბაკომომრგვალებული. აქვს ნახევარსფეროსებრი კალთა. შიდაპირზე ამოკაწრულია მარყუჟები და სპირალური ხვიები. კალთა გაფორმებილია ღია-მწვანე, მუქი მწვანე და მოყვითალო-მოყავისფრო ფერის საღებავებით.

მრავალფერად მოჭიქული (პოლიქრომული) კერამიკა. მრავალფერად მოჭიქულ ნიმუშებშიც გონიოს მონაპოვრების მიხედვით ორი ტიპია გამოყოფილი: **ტიპი I.** ჯამები რომელთა შიდა და გარე კალთა მოჭიქულია სხვადასხვა ფერის ჭიქურით და **ტიპი II.** ე.წ. „მარმარილოსებრი“ ტექნიკით გაფორმებული ჯამები (ქამადაძე, 2016 ბ: 113-115).

გონიოს ციხის უახლოეს მონაპოვრებში გვხვდება მეორე ტიპში გაერთიანებული ჯამების პირ-კალთისა და ძირის ნატეხები. ყველა მათგანი განსხვავებული დეკორითა და ორნამენტითაა გაფორმებული. საინტერესოა ერთ-ერთი ჯამის პირ-კალთის ნატეხი. ჰქონია მომრგვალებული პირ-ბაკო და მომრგვალებული ნახევარსფეროსებრი კალთა. მოხატულობაში წამყვანია ყავისფერი საღებავი. შიდა ზედაპირზე ყავისფერ ფონზე მოყვითალო ფერის საღებავით მოხატულია ფართო პარალელური ზოლები, აქა იქ დაღვენთილია მწვანე და ღია-ყვითელი ფერის ლაქები **(ტაბ.IV/6).** კიდევ ერთი ჯამის პირ-კალთა გაფორმებულია მწვანე და ყავისფერი ჭი-

ქურით. წამყვანია მწვანე ფერი. მწვანე ფონზე ვერტიკალურად მოხატულია ფართო ყავისფერი ზოლები **(ტაბ.IV/7).**

გაფორმების მიხედვით უფრო მრავალფეროვანია ამ ტიპის ჯამების ძირები. ისინი მოხატულია ურთიერთმონაცვლე, ან ერთმანეთში შერეული მუქი-მწვანე, ღია-მწვანე, ყვითელი, ყავისფერი და შავი საღებავებით. ძირითადად გვხვდება ორი ვარიანტი ა). ვარიანტი. ძირები, რომელთა მოხატულობაში წამყვანია მწვანე ფერი **(ტაბ.IV/8).** ბ). ვარიანტი. ძირები, რომელთა მოხატულობაში წამყვან ფერს წარმოადგენს ყვითელი **(ტაბ.IV/5).**

ამ ტიპის კერამიკა თავდაპირველად XVI-XVII სს-ში იტალიაში ჩნდება. მას ამზადებდნენ ჩრდილოეთ იტალიის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში (პიზა, მონტელუპო, სავონა ლომბარდია და ა.შ). იგი იტალიიდან ფართოდ ვრცელდება, ხმელთაშუაზღვისპირეთში, ამერიკის კონტინენტზე და ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში. ოსმალეთის იმპერიაში მისი წარმოება ეიუფ სულთნის ხელოსანთა უბნის და თექფიურის ხელოსნების სახელთანაა დაკავშირებული.

„მარმარილოსებრი“ დეკორით გაფორმებული კერამიკა აქტიურად XVIII-XIX სს-ში იწარმოება**.** როგორც ფიქრობენ გონიოს ციხის ე.წ. „მარმარილოსებრი ტექნიკით“ გაფორმებული ნაწარმი, სწორედ ეიუფ სულთნის სახელოსნო უბანში უნდა იყოს დამზადებული **(ვრცლ. იხ. ქამადაძე, 2016 ბ: 102-127).**

ამრიგად, გონიოს ციხე გვიან შუასაუკუნეებში წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენ ცენტრს რეგიონში. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დიდი რაოდენობით მოპოვებულია სხვადასხვა სახისა და პერიოდის მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა. მათ შორის ერთ-ერთი წამყვანი გვიანი შუასაუკუნეების კერამიკული ნაკეთობებია.

ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანი შუასაუკუნეების მასალებში საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს მოჭიქული კერამიკა. მოჭიქული ნაწარმი მხატვრული გაფორმებისა და ჭიქურის ფერის მიხედვით რამოდენიმე ჯგუფად იყოფა. კეცის მიხედვით, ძირითადად გამოიყოფა სამი მთავარი ჯგუფი: ა) მოწითალო-მოყავისფრო ბ) ჩალისფერკეციანი და გ) ვარდისფერკეციანი. ყველაზე ადრეული ნაწარმი მიეკუთვნება ოსმალური მოჭიქული კერამიკის – „მილეტის ტიპს“.

შემდეგი ნაკეთობანი მოგვიანო პერიოდისაა და XVII-XVIII სს-ის სხვადასხვა მონაკვეთებით თარიღდება. მხატვრული შემკულო-

ბის მიხედვით ისინი იყოფიან სამ ძირითად ჯგუფად: 1)ერთფრად უმეტესად მწვანე და შედარებით ნაკლებად ყვითელი საღებავით მოწიქული („მონოქრომული“ კერამიკა); 2) ორფრად მოჭიქულ („ ბიქრომული“ კერამიკა); და 3) მრავალფრად („პოლიქრომული“ კერამიკა0 მოწიქულ კნაწარმად. ისისნი სხვადასხვა საწარმოო ცენტრშია დამზადებული. მათი უმთავრესი ნაწილი შემოტანილი უნდა იყოს ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ცენტრებიდან, მათ შორს ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო ქ. იზნიკი (ძველი ნიკუა). მოჭიქული კერამიკის გარკვეული ნაწილი ყირიმის ნახევარკუნძულზეა დამზადებული. გონიოს ციხის ტერიტორიაზე მათი შემოტანა ო სმალო ჯარისკაცების მიერ უნდა მომხდარიყო. შემდეგი ჯგუფი, ორფრად („ბიქრომული“) მოჭიქული კერამიკის წარმომავლობა სადღეისოდ უცნობია. უაოეს მონაპოვრებში გვხდება ქ. სტამბულში, თექფიურის სასახლეში დამზადებული მოჭიქული („მარმარილოსებური“ და ერთფრად მოჭიქული) ნაწარმიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარა, წარსული და თანამედროვეობა I, ბათუმი. 2013
2. აჭარა, წარსული და თანამედროვეობა II, ბათუმი. 2015
3. აჭარა, წარსული და თანამედროვეობა III, ბათუმი. 2017
4. აჭარა, წარსული და თანამედროვეობა IV (იბეჭდება)
5. გძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ., რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში// სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები I, 59-99. თბილისი. 1964
6. გონიო-აფსაროსი III, თბილისი. 2002
7. გონიო-აფსაროსი IV, ბათუმი. 2004
8. გონიო-აფსაროსი VIII, ბათუმი. 2009
9. ინაიშვილი ა., პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები// სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები IV, 102-153, თბილისი. 1974
10. კახიძე ა, ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი ისტორიისთვის//სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძეგლები XVIII. თბილისი. 1989

11. კახიძე ა, სურმანიძე ნ, შალიკაძე თ., ბათუმის ციხის 2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები// აჭარა წარსული და თანამედროვეობა I, 8-51. ბათუმი. 2013
12. კახიძე ა, მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი. 2016
13. მიწიშვილი მ., მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში. თბილისი. 1969
14. მიწიშვილი მ., თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა// ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, ტ.II, 189-200. თბილისი
15. მიწიშვილი მ., ქართული მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიიდან. თბილისი. 1976











ნუგზარ მგელაძე

შავი ზღვა და საზღვაო ტრადიციების ასახვა ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში[34]

წინამდებარე ნაშრომში მოკლედ ვისაუბრებთ საქართველოში საზღვაო საქმის – ზღვაოსნობის, ასევე, საზღვაო ინდუსტრიაში – საზღვაო ფლოტის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული პერსპექტივების შესახებ. დავსვამთ საკითხს თუ რა ფაქტორებმა განაპირობა, თუნდაც განვითარებულ შუასაუკუნეებში, როცა ქვეყანაში თითქოსდა ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემო და პოლიტიკური მდგომარეობა არსებობდა, საზღვაო საქმე, მათ შორის, საზღვაო ფლოტი სათანადოდ რომ არ განვითარდა. ასევე, ყურადღებას მივაქცევთ საკითხს სრულფასოვნად თუ რატომ არ აისახა ზღვასთან და ზღვაოსნობასთან დაკავშირებული საქმიანობის ძირეული ელემენტები ქართულ ეროვნულ ხასიათსა და ეთნიკურ ცნობიერებაში, როგორც ამას, მაგალითად, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხალხში ჰქონდა ადგილი. როცა საუბარია საქართველოში საზღვაო ინდუსტრიის ისტორიაზე, საზღვაო საქმის განვითარების ისტორიის შესახებ, მაშინ მსგავსი საკითხებით დაინტერესებული თითქმის ყველა ავტორი კოლხეთის ძველ სახელწიფოს, ლაზთა საზღვაო საქმიანობასა და ქართულ თუ უცხოურ ძველ წერილობით წყაროებს, ასევე, დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირა სანაპირო ზოლში მცხოვრებ მოსახლეობაში შეკ-

[34] ამ ნაშრომზე მუშაობა ვახტანგ შამილაძესთან ერთად ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დავიწყეთ და იმ დროს პატარა თემატური მონახაზიც შევქმენით („ზღვა და ეთნიკური ცნობიერება", თბილისი, 1984 – იხ.: ხელნაწერი, ავტორთა პირადი არქივი), რათა დასმული საკითხი უფრო გაღრმავებული კვლევის საგნად გვექცია. ჩვენ გვესმის, რომ ეს პრობლემა სადისკუსიოა და მასზე სამეცნიერო წრეებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაც არსებობს, მაგრამ იგი ყველა შემთხვევაში შემდეგ კვლევასა და მრავალი მიმართულებით, როგორც ისტორიული, ისე ეთნოლოგიური და ფოლკლორული – მითოლოგიური კუთხით თანმიმდევრულ ანალიზს საჭიროებს.

რებილ საველე-ეთნოგრაფიულ მასალებსა და საზღვაო ტერმინოლოგიას მიმართავს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ საზღვაო საქმე საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში თანაბრად არ იყო წარმოდგენილი და მან კოლხური სახელმწიფოს არსებობის შეწყვეტის შემდეგ დაქვეითების გზას დაადგა ისე, რომ საერთო ეროვნულ დონეზე განვითარებული შუა საუკუნეების ცენტრალიზებულ საქართველოშიც ვერ შეძლო რეგენერაცია, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ლიტერატურაშია ფიგურალურად გამოხატული: „ლაშა-გიორგიმ სცადა ფლოტის აგება, მაგრამ ქალებს გადაჰყვა" ანდა „ზღვის პირას მცხოვრებ ხალხს, არგონავტებს დადევნებულ აიეტის მითიურ ხომალდებს თუ არ ჩავთვლით, არასდროს გვყოლია ფლოტი. შავი ზღვა არ გვიჩენდა მასში შეცურვის სურვილს. ამიტომაც დავარქვით ზღვა – ზღვარი. მის იქით ჩვენი წინაპრებისათვის არაფერი იყო", ასევე, „ქართველი ხალხი ცდილობდა ზღვის პირას არ ეცხოვრა, მთას ირჩევდა საცხოვრებლად" (მაჭავარიანი, 2010. შდრ. თევზაძე, 2010:11), რასაც ბუნებრივია თავისი მიზეზები გააჩნდა (გეომორფოლოგიური პროცესები და წყლის მიმოქცევა, დასავლეთ საქართველოს – კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ზღვის სანაპირო, ნესტი და, შესაბამისად, ადამიანთა შედარებით მაღალ გორა-ბორცვებზე განსახლება...). ნებსით თუ უნებლიედ შეიქმნა კი ქართველების და ზღვის შესახებ ეს კომპლექსი საბჭოთა დროს საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, როცა ისინი პოლიტიკური მოტივით წარმოდგენის კულტივირებას ცდილობდნენ, რომ ქართველებს არ უნდა გასჩენოდათ სურვილი ზღვის გადალახვით და ზღვის გავლით სასურველ ადგილას, სასურველ სამყაროში – ევროპაში მოხვედრილიყვნენ და ამ გზას მხოლოდ რუსეთზე და სამხედრო გზაზე უნდა გაევლო, რაც ქართველებისათვის რუსეთის გარდაუვლობის და აუცილებლობის წარმოდგენის გამომუშავების სტრატეგიის ნაწილი იყო (თევზაძე, 2010:12), მაგრამ არსებობს ისტორიული ფაქტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მეტ-ნაკლებად დავაკვირდეთ საქართველოში საზღვაო ინდუსტრიის განვითარებისა თუ განუვითარებლობის მიზეზებს. თემა კი ნამდვილად წარმოადგენს მსჯელობის საგანს. თემით დაინტერესებული ავტორები ფიქრობდნენ, რომ საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ მას ისტორიულად „ცალი ფეხი ზღვაში ედგა", არ ახსოვს რაიმე მნიშვნელოვანი ურთიერთობა ზღვასთან და მითუმეტეს საზღვაო ბრძოლები. ქართველი ადამია-

ნი ხმელეთის, მიწაზე მოსიარულე არსება იყო. ეს განსაზღვრავდა მის შთაბეჭდილებებსა და მსოფლაღქმას (შმიდტი, 2010:46). მთა და ბარი იყო საქართველოში მოსახლე ადამიანის ასპარეზი, რა თქმა უნდა, ხევები, ხეობები და მდინარეები, თუმცა ვერ დავადასტურებთ, რომ ოდესმე თუნდაც მდინარეებს რაიმე გადამწყვეტი სამეურნეო ანდა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონოდეთ ქვეყნის ისტორიაში. წყალუხვი და მბორგავი მდინარეები (რიონი, ენგური…) ნაკლებ ხელსაყრელი იყო სანაოსნოდ, მხოლოდ მთებში მოჭრილი და ტივებად შეკრული ხეების ტრანსპორტირებისთვის თუ გამოდგებოდა. მდინარეთა ქსელი არასოდეს გამხდარა სახელმწიფო-სამეურნეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსხვავებით პოტამური ეპოქის ტიგროსისა და ევფრატის აუზისა, რომლის არხებით ქსელზე იყო დამყარებული ქვეყნის კეთილდღეობა და სიუხვე, რომ არაფერი ვთქვათ ცივილიზაციაზე, რომლის სახე გარკვეულწილად ამ ორმა მდინარემ განაპირობა (კიკნაძე, 2010:136). საქართველოში ნაოსნობასთან მიმართებაში თითქოს მდინარე ჭოროხი იკვეთება, მაგრამ აქაც მდინარე ჭოროხზე ნავებით მიმოსვლა უფრო გვიანი შუასაუკუნეებისათვის ჩანს გააქტიურებული[35]. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ველის მდინარეებისაგან განსხვავებით საქართველოს ხეობებში შეჭრილი ბობოქარი მდინარეები ფართო მონაკვეთებზე სამდინარო ქსელის წარმოქმნას ვერ განაპირობებდა, მითუმეტეს ვერც სამდინარო სანაოსნო ინდუსტრიას შექმნიდა. ის, რომ რიონის ქვედა წელზე ანტიკურ ხანაში მდინარესა და ზღვაში მიმოსვლა ხორციელდებოდა, არაა საკმარისი არგუმენტი ვისაუბროთ ზოგადად ქვეყანაში სამდინარო ქსელი განვითარებაზე.

ვფიქრობთ, ამ საკითხების გასარკვევად ეროვნული ცნობიერებისა და ეთნიკური ხასიათის ნიშან-თვისებების, ეთნიკური ფსიქოლოგიის როლის გარკვევაც უნდა დაგვეხმაროს. ამიტომ, სასურველია, აქვე, ზოგადად, ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული ხასიათის, ეთნიკური ფსიქოლოგიის არსი განვიხილოთ. ეთნოსისა და ეთნიკური პროცესების გაღრმავებულ კვლევას ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჰუმანიტარულ და

[35] სამდინარო საქმისა და ჭოროხზე ნაოსნობის შესახებ იხ.: ჩიქოვანი, ნიკოლაიშვილი, 1958; დავითაძე, 1983; უზუნაძე, 2001; მგელაძე, ვარშალომიძე, მიქელაძე, 2015:174-199.

სოციალურ მეცნიერებათა სისტემაში. განსაკუთრებული ინტენსივობით მას ანთროპოლოგები – სოციოკულტურული ანთროპოლოგიის წარმომადგენლები და ეთნოლოგები შეისწავლიან. ეჭვს არ იწვევს ეთნოსის სრულყოფილი განსაზღვრის დიდი სირთულე, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მის უმთავრეს საინტეგრაციო კომპონენტებში, როგორებიც ენა, ტერიტორია, ისტორიული ბედ-იღბლის თანაზიარობა და საერთო წარმომავლობის აღქმა თუ ცნობიერება იყო, არსებით ფუნქციას ეთნიკური ფსიქოლოგია ასრულებდა. განვითარების ნებისმიერ საფეხურზე ეთნოსის ფუნქციონირება და სიმტკიცე წევრთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ერთობლიობის შინაგანი იდენტობისა თუ განსხვავების ამსახველი ყველა ძირითადი ელემენტით ფსიქიკის თავისებურებებს უკავშირდებოდა, რაც ეთნიკური და ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბების განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენდა. ადრე, ეთნოლოგიურ ჟურნალებში აფრანდ დაშდამიროვის სტატიით დაწყებულ დისკუსიაში ეთნიკური ფსიქოლოგიისა და ეროვნული ხასიათის განსაზღვრისადმი და შესწავლისადმი კვლევის სპეციალური მეთოდოლოგიური ბაზის ჩამოყალიბების აუცილებლობას ესმებოდა ხაზი (დაშდამიროვი, 1983:62-74). აფრანდ დაშდამიროვის შენიშვნით, ეროვნული კულტურა, ფსიქოლოგია, თვითშეგნება პირველ რიგში არა მხოლოდ ნიშნების რაოდენობათა ჯამით უნდა შეფასდეს, რომლითაც ხალხებს ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ, არამედ იმ ფაქტორებით, რომლებიც ეროვნული ერთობის მთლიანობასა და მდგრადობას უწყობდა ხელს. ასეთი მიდგომა კულტურის აღქმის პროცესში ფსიქოლოგიის როლის გამოვლენის საშუალებას იძლეოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეროვნული ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებების შესწავლას საფუძვლად ეთნოსის ობიექტური დახასიათება უნდა დაედოს, რომელიც ეროვნული ყოფიერების ყველა მხარის ერთობლიობის განმსაზღვრელი იქნება. თავად ეროვნული ცნობიერებაც ეთნიკური კულტურისა და ტრადიციების საფუძველზეც ყალიბდებოდა. რადგან ყველა ეთნოსს მისთვის დამახასიათებელი კულტურა, ტრადიცია და თვითშეგნებაში გამოხატული მენტალობა გააჩნდა. ამდენად კულტურულ ნიადაგზე აღმოცენებული ცნობიერებაც მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. პიროვნების ფორმირებისას ტრადიციულ გარემოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, იმ გარემოს, სადაც ადამიანის სოციალიზაცია ხდებოდა. იგი პიროვნებას ტრადიციულ კულტურასთან იდენ-

ტობის შეგრძნებას უყალიბებდა, ტრადიციული კულტურა, რომელსაც მემკვიდრეობითობა, თაობიდან თაობაში ხანგრძლივად ტრანსმისიის უნარი გააჩნდა ეთნიკურ ცნობიერებაშიც თანმიმდევრულად აისახებოდა. საერთო ეროვნული ხასიათის განმსაზღვრელი ძირითადი პარამეტრები ეთნოსის ტერიტორიული დანაყოფების – ეთნოგრაფიული ჯგუფების ტრადიციული და ყოფითი კომპონენტების თავისებურებებიდან იყო შეთვისებული. კულტურული კომპონენტები უმთავრესად ეთნიკური ფუნქციის მატარებელ ფასეულობათა სფეროში – წესებსა და ჩვეულებებში, ტრადიციებში, ხალხურ ხელოვნებაში, ზეპირსიტყვიერებაში ვლინდებოდა. ეთნოსის ტერიტორიულ დანაყოფებს – ეთნოგრაფიულ ჯგუფებს, საერთოსთან ერთად ფსიქიკის ლოკალური თავისებურებები ახასიათებდათ. მონათესავე და ტერიტორიულად მომიჯნავე ეთნოგრაფიულ ჯგუფთა ფსიქიკის ლოკალური ნიშნების ერთობლიობა ეროვნული ფსიქოლოგიის წყაროსა და ძირითად ბაზას წარმოადგენდა. ეთნოსის ფარგლებში თითოეული ეთნოგრაფიული ჯგუფის დონეზე მდგრადი კომპონენტების – ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობისა და ამ მემკვიდრეობის ტრანსმისიის უწყვეტი პროცესი ერის დონეზე ეთნიკური ფსიქოლოგიის სპეციფიკურ გამოვლინებათა ასახსნელად მნიშვნელოვან წინაპირობასა და საფუძველს ქმნის. ცნება „ეთნოგრაფიულ ჯგუფი" ეთნოსის ისეთი ტერიტორიული ნაწილების მოსახლეობა იყო, რომლებიც ერთმანეთისაგან სალაპარაკო ენის ლოკალური თავისებურებებით – დიალექტით, კულტურისა და ყოფის ცალკეული ელემენტის სპეციფიკით განსხვავდებდნენ. ზოგჯერ მათ ეთნონიმში გამოხატული თვითშეგნება გააჩნდათ, უფრო ზუსტად, ორმაგი თვითშეგნება ჰქონდათ – ზოგადეროვნული და ლოკალური. საქართველოში ეთნოგრაფიულ ჯგუფებად ქართველი ეთნოსის ისეთი შიდა ტერიტორიული დანაყოფები გამოიყოფოდა, როგორებიცაა: ქართლელები, კახელები, მთიულები, მოხევეები, ხევსურები, ფშაველები, რაჭველები, ლეჩხუმლები, იმერლები, გურულები, აჭარლები, სამცხელები, ჯავახები... ამ რიგში, მაგრამ ეთნოლინგვისტურ ტაქსონომიაში ოდნავ განსხვავებულ განზომილებაში იყო წარმოდგენილი ქართველური წარმომავლობის ენობრივი ჯგუფები, კერძოდ, სვანური და კოლხური – ლაზური და მეგრული განშტოებებით, რადგან ქართ'ების ზემოთ ჩამოთვლილი ეთნოგრაფიული ჯგუფების სამეტყველო ენასთან მიმართებაში ისინი გარკვეული იერარქიული დონის ამსახველ არქაულ ლინგვისტურ ერთობებად ჩანს ჩამოყა-

ლიბებული. მათი ლინგვისტური პოზიცია საერთო ქართველურში წინარე ქართულ ფუძე-ენასთან მიმართებაში დიალექტებად განიხილება, რომლებმაც შემდეგ განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო. ეთნოსის და ლექსიკურ ფონდში ასახული ენობრივი გამოხატულებების ამგვარი გრადაცია ეროვნული ხასიათის შინაგან თავისებურებებზე არსებით გავლენას ახდენდა. ამასთან, ეროვნულ ხასიათზე გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, პოლიტიკური სიტუაცია, კულტურულ ფასეულობათა თანხვედრა. დღესდღეობით, ეთნოფსიქოლოგიური კვლევების განვითარებაში ბარიერად ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფის სახით როგორც ეთნოსის რთული სტრუქტურა, ისე ამ ერთობის შემადგენელი ადამიანები – ეთნოსში ეთნოფორებია მიჩნეული. ამიტომ, სპეციალურ ლიტერატურაში სავსებით მართებულად შენიშნავდნენ, რომ პირველადი ხასიათის კვლევის მასალად შეიძლება შესასწავლი ხალხის ტრადიციული ყოფითი ჩვეულებები, ენა, ფოლკლორი, ლიტერატურა, ხელოვნება და კულტურის სხვა კომპონენტები იქნეს გამოყენებული (კოზლოვი, 1983: 74-82). ასევე, კი არ გამორიცხავდნენ, არამედ, პირიქით, საჭიროდაც თვლიდნენ კვლევის მეორადი ეტაპის გამოყენების აუცილებლობას, რომელიც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო ისეთი მასობრივი დაკვირვებების საფუძველზე მოპოვებულ მასალებზე, რომლებიც სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტესტისა და ანკეტის შევსებისა თუ შემდეგ მისი დამუშავების გზით უნდა შევსებულიყო. ეთნიკური ფსიქოლოგიისა და ეროვნული ხასიათის სრულყოფილად შესწავლისათვის უდავოდ აუცილებლობას ფსიქოლოგების, ეთნოლოგების, სოციოლოგების, ფილოსოფოსების კოორდინირებული კვლევა წარმოადგენს. ერთგვარად, ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ამ პრობლემის შესწავლით სოციალური ფსიქოლოგიაა დაკავებული. ეთნიკური ფსიქოლოგიისა და ხალხის ეროვნული ბუნების ახსნისათვის ეთნოგრაფიული მასალებისა და ეთნოლოგთა მონაწილეობას განსაკუთრებით პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, ეთნოლოგისათვის ამ საკითხებთან კავშირურთიერთობაში აუცილებელი ხდება ფსიქოლოგიური შეხედულებებისა და თეორიების არსებული არსენალისა და შემუშავებული მეთოდოლოგიის მაქსიმალური გამოყენება. ჩვეულებრივ, ეთნოსის ფსიქიკური ველის თავისებურებათა შესწავლისას ეთნოფსიქოლოგიური სამეცნიერო დისციპლინის ტერმინოლოგიურ აპარატურაში ისეთი ტერმინები გამოიყენება, როგორებიცაა: „ფსიქიკური წყობა", „ეთ-

ნიკური ფსიქოლოგია", „ეროვნული ხასიათი". ზოგიერთ მკვლევართან ფსიქიკური და ეროვნული – ნაციონალური ხასიათის ძირითადი არსის გამომხატველი ცნებები ექვივალენტურია (კოზლოვი, 1983:74-82), ხოლო ზოგთან, ეროვნული ფსიქოლოგიური წყობა თავის თავში ირთავს არა მხოლოდ ეროვნულ ხასიათს, არამედ ჩვეულებებს, გემოვნებებს, ტრადიციებს, ეროვნულ გრძნობებთან დაკავშირებულ კულტურას, ყოფას, ეროვნულ სტერეოტიპებს, სიამაყეს. ვიქტორ კოზლოვი ამ განმარტებაში სხვადასხვა კომპონენტების ჩართვასთან ერთად ეროვნული თვითშეგნების გაერთიანებას მიუღებლად მიიჩნევს, რომელიც მართლაც საყურადღებო და, ამასთან, დამოუკიდებელი – ავტონომიური ხასიათის ეროვნული ნიშანი იყო. ავტორის აზრით, რეალურად ეს უკანასკნელი თვით ორიენტაციაში ვლინდებოდა, მაგალითად, „მე ფრანგი ვარ", „მე ქართველი ვარ". საბოლოოდ, ვიქტორ კოზლოვის დასკვნით, თუ გამოვრიცხავთ ერის ფსიქოლოგიური წყობის მოყვანილი განსაზღვრებიდან გაუმართლებლად ჩართულ კომპონენტებს, მაშინ იგი მნიშვნელოვანად ისევ ეროვნული ხასიათის გაგებამდე დავა. როგორც ვხედავთ, ეთნიკური ხასიათისა და ეროვნული ფსიქოლოგიური წყობის იგივეობის თაობაზე გამოთქმული მოსაზრებები სერიოზულ განსაზღვრებასა და დაზუსტებას საჭიროებს, თუმცა ერთი რამ ნათელი და ცხადია, რომ ეროვნული ფსიქოლოგიის ელემენტები ადამიანთა სხვადასხვა სოციალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას მჭიდროდ უკავშირდება. ამ მექანიზმის სრულყოფის დადგენის პროცესში უმთავრეს ამოცანად ერში ისტორიულად ჩამოყალიბებული შეხედულებების, მოსაზრებების, გრძნობებისა თუ ემოციების, ტემპერამენტის, ზნეობისა და სხვა ამდაგვარი კრიტერიუმების განსაზღვრა გვესახება. ეს ნორმები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეთნოსში არსებული ურთიერთობის შედეგად ფორმირებულ განზომილებებს წარმოადგენდა, რომლებიც უდავოდ ფსიქიკაში აისახებოდა და საზოგადოებრივი ცნობიერების სახით ვლინდებოდა. ცნობიერების ფსიქოლოგიური გამოვლინებები ხელშეუხებელი, თვალთ უხილავი იყო, თუმცა ისინი ეთნიკური ყოფიერების სხვადასხვა სფეროში მაინც ფიქსირდებოდა. ამ მიმართებით ამიტომაცაა ყურადსაღები ეთნიკური ფსიქოლოგიისა და ეროვნული ხასიათის რიგ თავისებურებათა გამოვლენისა და შესწავლისათვის სხვადასხვა ხასიათის წყაროთმცოდნეობითი ბაზის მომზადება და, შესაბამისად, იმ წერილობითი საბუთებისა თუ

ისტორიული წყაროების, თქმულება-გადმოცემების, ხელოვნების, ლიტერატურის მონაცემთა ერთობლიობაში გააზრება, რომლებშიც ფაქტობრივი მასალა აისახება.

ეთნოსის თეორიის დამუშავებასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში ეროვნული ხასიათისა და ეროვნული ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის გეოგრაფიული გარემოს როლს ცენტრალური ყურადღება ეთმობა. ამჟამად, ჩვენს მიზანსაც ქართული ეროვნული ხასიათის ფორმირებაში იმ გადამწყვეტი ფსიქოლოგიური ფაქტორების წარმოჩენა წარმოადგენს, რომლებიც ანტიკური პერიოდში ქართველთა წინაპრების ზღვაოსნობის უძველესი ტრადიციებიდან გამომდინარეობდნენ და ეკონომიკურ, სოციალურ, გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფაქტორებთან იყვნენ დაკავშირებულნი. ამ მიმართულებით პრობლემა შეიძლება მხოლოდ საკითხის დასმის წესით ჩამოვაყალიბოთ, რადგან თავად პრობლემა გარკვეულად ისეთ რთულ ფენომენებთან ჩანს დაკავშირებული, როგორებიცაა ეთნიკური ხასიათი და ეროვნული ფსიქოლოგია. უპირველესად დასადგენია, თუ რამ განაპირობა ის ძლიერი ტეხილი, რომელმაც საზღვაო საქმისათვის თითქოსდა ხელსაყრელ ბუნებრივ გარემოში, სამხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში გემთმშენებლობისა და, საერთოდ, ზღვაოსნობის ისტორიულ ტრადიციას საფუძველი გამოაცალა. შავი ზღვა კლიმატით თბილ ზღვათა რიგს განეკუთვნება და ზამთრობით არ იყინება, რის გამოც ნაოსნობა ზღვაზე წლის განმავლობაში შეიძლებოდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს ხელისუფლებას X-XII საუკუნეში მაინც, ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის განსავითარებლად ბრწყინვალე შესაძლებლობები გააჩნდა. ამ პერიოდში ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერი მდგომარეობის წყალობით, ქართველ ახალგაზრდობას გააჩნდათ პირობები საინჟინრო საქმეს თავის ქვეყანაში თუ არა უცხოეთში მაინც დაუფლებოდნენ, მაგრამ სამწუხაროდ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ყურადღება იმ დროებაში სხვა მიმართულებებზე იყო ორიენტირებული. როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, ცივი ამინდის დადგომის შემდეგ, შემოდგომის მეორე ნახევრიდან, ამ ზღვაზე მიმოსვლა თითქმის წყდებოდა და მხოლოდ მომავალ გაზაფხულზე, დათბობის შემდეგ განახლდებოდა (ბერაძე, 1981:162). ის რომ განსაკუთრებულად ცივი ზამთრის დროს

ჩრდილო შავიზღვისპირეთში ზღვის ვიწრო ზოლი ყინულის თხელი ფენით იფარებოდა ანდა ცივი ზამთრის პერიოდში ძლიერი ქარები იცოდა, არ უნდა ყოფილიყო ხელისშემშლელი ფაქტორი იმისა შუა საუკუნეებში – ფეოდალურ ხანაში ნაოსნობა შავ ზღვაზე მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად რომ არ გრძელდებოდა. აქ კიდევ სხვა, უფრო ღრმა მიზეზებია საძებნი და შავ ზღვაზე ზამთარში ნაოსნობის შეწყვეტის მიზეზად მხოლოდ არქანჯელო ლამბერტის XVII საუკუნის ცნობა არ უნდა იყოს საკმარისი, როცა იგი წერდა: „მთელი შავი ზღვა მეტად მღელვარეა და ამიტომაც ჩვეულებრივ ძლიერ სახიფათოა ზამთარში ამ ზღვით მოგზაურობა, რაიცა მე ჩემს თავზე გამომიცდია. უმეტეს ნაწილად აქ ჰქრის მთის ქარი. ამ ქარს ჩვენში მოსდევს კარგი დარი და აქ კი მოსდევს ისეთი ნისლი, ღრუბელი და ბნელი დღეები, რომ (ჰორაციუს) ფლაკკუსს სიმართლე უთქვამს: იქ მუდამ შავი ღრუბლები ჰკიდია და საეჭვო ტაროსია. სწორედ სიშავემ ღრუბლებისამ უფრო, ვიდრე წყლისა და ქვიშისამ, დაუსაკუთრა ამ ზღვას სახელი „შავი ზღვა" (ლამბერტი, 1938:178-178).

ქართული ეროვნული ხასიათის ფორმირებაში, უეჭველად, ადრე არსებული შიდაპოლიტიკური ფაქტორები, მრავალმხრივი საგარეო პოლიტიკური მიმართულებები, ომისა და კონფლიქტის, მოკავშირეობისა და თანამშრომლობის ხასიათია გასათვალისწინებელი. ცნობილია, რომ ნებისმიერი ეთნოსის შორეული და ახლო ისტორიული წარსულის არსებითი მოვლენები ემოციური მდგომარეობის სახით ზოგადად ფსიქოლოგიურ განწყობაში გადადიოდა და ხასიათის თავისებურებებზე გავლენას ახდენდა, თაობების ცნობიერებაში ღრმად იბუდებდა, ეროვნული და საზოგადოებრივი შეგნების ფორმებში ტრანსფორმაციას განიცდიდა. აქედან გამომდინარე, ცხადია, ქართული ეროვნული ხასიათსა და ეროვნულ ცნობიერებაშიც ზღვაოსნობის ანტიკური – კოლხური ტრადიციების მთელი რიგი გამოვლინება უნდა ასახულიყო, მაგრამ როგორი საოცარიც არ უნდა იყოს, ასეთი ასახვა საერთო ეროვნულ დონეზე ძლიერ სუსტი სახით ვლინდება. როგორც ცნობილია, საკაცობრიო ცივილიზაცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ზღვასთან. იგივე ითქმის საქართველოს მიმართაც, რომელიც ვრცელი ზღვის სანაპირო ზოლითა და მდინარეთა ქსელით, უძველესი ეპოქებიდან მსოფლიო-ისტორიულ პროცესებში უშუალოდ მონაწილეობდა. ცნობილია, რომ ადრე ევსქინოს პონტოსა და პრონდინტას – მარ-

მარილოს ზღვას შორის სამდინარო კონტაქტები არსებობდა, შესაბამისად, ზღვაოსნობა ადგილობრივ ხალხებში სათანადოდ ვითარდებოდა. კაბოტაჟურ ნაოსნობასთან ერთად ყურადღება გემების კეთებასაც ექცეოდა. წარსულში საზღვაო სფეროში – ნავიგაციაში ფინიკიელთა, ხოლო შემდეგ ბერძენთა მიღწევები სხვადასხვა ხალხამდე აღწევდა და, ბუნებრივია, მას შავი ზღვის სანაპიროს მოსახლეობაც ითვისებდა. გემთმშენებლობამ და ნავიგაციამ კიდევ უფრო სრულყოფას კლასიკურ ხანაში – V-IV საუკუნეებსა და ელინიზმის ეპოქაში – IV-I საუკუნეებში მიაღწია. ბერძენ-სპარსელთა ომებში გადამწყვეტი როლი სწორედ საზღვაო ფლოტმა ითამაშა. ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე ურთიერთობათა მრავალფეროვან ციკლში კოლხეთის სახელმწიფოც იყო ჩართული, რაზეც მიწის წიაღიდან მომდინარე არაერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური არტეფაქტიც მიუთითებს. ამის მოწმობად შეიძლება მიჩნეული იქნეს ბოლო პერიოდის წყალქვეშა აღმოჩენებიც, რაც სამხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში წყალქვეშა არქეოლოგიის კიდევ უფო მეტად განვითარების საწინდრადაც შეიძლება იქცეს. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს 2012 წლის მარტში ჩოლოქ-ნატანების აკვატორიაში აღმოჩენილი გვიანელინისტური ხანის ჩაძირული გემის ნაშთები (გემის კიჩო ბოლოში ცხოველის თავის სტილიზებული გამოსახულებით, ანძა, რუმპელი, გემის კორპუსის ძელი, ნიჩბის ჩასადები რკინის ორკაპა) თანმდევი ინვენტარით – თიხის ჩაფით, ამფორით... (კახიძე, მგელაძე, 127-128, 127-135). კოლხურ ტომებში შავ ზღვასა და შავ ზღვაზე ნაოსნობის უძველეს ტრადიციებზე ინფორმაციას არაერთი ბერძენი და რომაელი მოგზაური გვაწვდიდა, განსაკუთრებით, კოლხთა ზღვაოსნობის თაობაზე საინტერესო ცნობებს შეიცავს ელინთა ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე პოპულარული მითი არგონავტების შესახებ, თქმულება „არგონავტთა" მოგზაურობაზე კოლხეთში. ამ მხრივ ასევე უთუოდ საინტერესოა ჰომეროსის – „ილიადა" და „ოდისეა", ჰესიოდეს – „სამუშაონი და დღენი", ესქილეს ტრაგედია – „სპარსელები", პინდარი, ჰეროდოტეს – „ისტორია", ევრიპიდეს – „მედეა", თუკიდიდეს – „ისტორია", ჰიპოკრატეს ტრაქტატი – „ადგილთა, წყალთა და ჰაერთა შესახებ", სოკრატე, ქსენოფონტეს – „ანაბასისი", პლატონი, არისტოტელე, რომელიც ახასიათებდა სამხედრო მეზღვაურებს, ვაჭრებს, გადამ-

ზიდველებსა და თევზმჭერებს (Arist. Pol. IV, I, 129-6:20-25), დემოსთენე, ერატოსთენე, სტრატონი, აპოლონიოს როდოსელის – „არგონავტიკა", პოლიბიოსის – „მსოფლიო ისტორია", ციცერონი, ცეზარი, ვირგილიუსი, დიოდორე სიცილიელის – „ისტორიული ბიბლიოთეკა", ტიტე ლივიუსი, სტრაბონის – „გეოგრაფია", პლინიუსი, იოსებ ფლავიუსი, კორნელიუს ტაციტუსი, პლუტარქეს – „პარალელური ბიოგრაფიები", მემნონი, არიანეს – „პერიპლუსი", აპიანეს – „მითრიდატეს ომები", კლავდიუს პტოლემაიოსი, დიონ კასიუსი, ავენიუსი, ამიანე მარცელინი, ევსეი კესარიელი, ზოსიმე და სხვა მრავალი ავტორის თხზულებები (პეტერსი, 1928:9-1; კახიძე, მგელაძე, 2013:128). როგორც ცნობილია, ბერძნებმა, შესაძლოა, პელაზგებმა[36] ანდა პელაზგებმა და ბერძნებმა ერთად ექსპედიცია კოლხთა მეფის აიეტისათვის ოქროს საწმისის გამოსათხოვად მოამზადეს (მგელაძე, 2017/2018:136-137; მგელაძე, ტოტოჩავა, 2011:60-63). აფსირტე იასონს გემით გამოედევნა. კოლხებს ისეთი სწრაფმავალი გემები ჰყავდათ, რომ ოქროს საწმისის გამტაცებლებს წამოეწივნენ. სტრაბონი მიგვანიშნებდა, რომ ფაზის მდინარეში გემები დაცურავდნენ. იგი გადმოგვცემდა, რომ „მაშინ არ შეიძლებოდა ზღვაზე ცურვა და იწოდებოდა ის არასტუმართმოყვარედ მისი მღელვარებისა და ირგვლივ მცხოვრები ტომების ველურობის გამო... ხოლო შემდეგ მას სტუმართმოყვარე ეწოდა, რადგან იონელებმა სანაპიროზე ქალაქები ააგეს". აპოლონიოს როდოსელი – „არგონავტიკაში" (წიგნი IV) წერდა: „აი რა უთხრა ხალხს აიეტმა, ხოლო კოლხებმა დაუყონებლივ გამართეს ყველა საბრძოლო გემი, სწრაფად აღჭურვეს იმავე დღესა. ზღვაში ჩაუშვეს სანაპიროზე ჩამწკრივებული ურიცხვი გემი. კაცი იტყოდა: გემთა კრებული კი არ გასულა გაშლილ ზღვაშიო. არამედ ფრთამალ ფრთოსანთა გუნდი გაფრენილაო ჟივილ-ხივილით". კოლხები ზღვის ღორებზე ნადირობასაც მისდევდნენ. ამას უნდა მოწმობდეს ძველ მწერალთა აღწერილობები, სადაც მითითებულია, რომ კოლხეთის მოსახლეობა თავიანთ ხის სახლებში ქვევრებში დამარილებული ღორის ქონს ინახავდნენ. კოლხეთი მდიდარი იყო გემთსაშენი მასალით: ხე-ტყითაც, რომლებიც დამზადებული სახით მდინარეების საშუალებით

[36] პელაზგებისა და კოლხური მოსახლეობის ურთიერთკავშირის, ასევე, კოლხთა წარმომავლობის შესახებ არსებობს არაერთი საინტერესო ნაშრომი, მათ შორის, იხილეთ: ურუშაძე, 1964; გორდეზიანი, 1975; 1978:191; 1985:144-147.

გადაჰქონდათ. თვით ფაზისს, მდინარეებითა და შემდეგ ხმელეთის გარდა კასპიის ზღვის მეშვეობით ინდოეთთან გარკვეული სავაჭ-რო-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული. მოგვეპოვება ცნობები, რომლებიც ამტკი-ცებენ, რომ კოლხეთის მკვიდრთ ძველთაგანვე წინაპართაგან შეს-წავლილი ჰქონდათ ზღვისა და ხმელეთის გზების ფირფიტებზე გა-მოხატვა. ეს ფირფიტები, რომელთაც **კურბეისი** ეწოდებოდა ჯერ ქვის, ხოლო მოგვიანებით ხისაგან მზადდებოდა. ადგილობრივი ხე-ლისუფლების მიერ ზღვაზე მშვიდობიანი მოგზაურობა უზრუნ-ველყოფილი იყო. აგათია სქოლასტიკოსის ინფორმაციით, ლაზები ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენდნენ. მისი ცნობით, ადრე ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა წარმომადგენლებს ზღვის დადე-ბითი თვისებები არ სცოდნიათ და „არგოს ნავის" მოსვლამდე სა-ერთოდ ხომალდის სახელიც არ ჰქონდათ გაგონილი. აგათია სქო-ლასტიკოსის დროინდელი ადგილობრივი მკვიდრნი კი ზღვაზე უკ-ვე დაცურავდნენ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ვაჭრობაშიც დიდ სარგებლობას ნახულობდნენ. ბუნებრივია, ეს ცნობა დაზუს-ტებას საჭიროებს, რადგან კოლხთა საზღვაო გემებზე აგათია სქო-ლასტიკოსამდელი ცნობებიც მოგვითხრობენ. თვით უძველესი შა-ვიზღვისპირა ქალაქის – დიოსკურიის (სებასტოპოლისი) დაარსე-ბაც კი ბერძნული მითოლოგიური ტრადიცია მეზღვაურთა ღმერ-თებს დიოსკურებს მიაწერს. როგორც ვხედავთ, ისტორიულ და-სავლეთ საქართველოს ტერიტორიის ანტიკური და ელინისტური ხანის ცივილიზაციის მატარებელ მოსახლეობას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ზღვასთან, რომელიც სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობებს იმდროინდელი მსოფლიოს დაწინაურებულ ქვეყ-ნებთან ზღვის მეშვეობით ამყარებდა. თავის დროზე, სხვადასხვა ქვეყანასთან ურთიერთობამ განაპირობა კიდეც კოლხებში ნავიგა-ციის განვითარება. ადრე, საზღვაოსნო საქმეს ეგვიპტელებიც კარგად იცნობდნენ. თავის დროზე, ფინიკიელებში ზღვაოსნობის საქმე დიდად დაწინაურდა. ზღვაში ვარსკვლავებით გზის ამოცნო-ბის საიდუმლოების პირველ ავტორებადაც ფინიკიელები გვევლი-ნება. ელინებს, რომლებიც ზღვას გაშინაურებული იყვნენ და ზღვაოსნობის ძველი გამოცდილება ჰქონდათ, მართალია შესაძ-ლოა არ შეუქმნიათ ზღვის სტრუქტურებული მითოსი, მაგრამ ზღვაზე ისინი ისევე მოგზაურობდნენ, როგორც ხმელეთზე. ზღვა მათი ისეთივე სამშობლო იყო, როგორც ელადის მიწა (კიკნაძე,

2010:137). კოლხთა სანაპიროებთან ექვსინოს პონტოში სავაჭრო კონტაქტების დამყარებისა და მეკობრეობის მიზნით ბერძენი მეზღვაურები დაცურავდნენ. ელინისტურ ხანაში კართაგენელებთან და, საერთოდ, ელინისტურ სახელმწიფოებთან ბრძოლაში რომაელთა დიდი სამხედრო წარმატებების საწინდრად საზღვაო ფლოტის ორგანიზებული გამოყენებაა აღიარებული. ძვ. წ. V-IV საუკუნეების ბერძნულ-სპარსულ ბრძოლებში მნიშვნელოვან როლს ფლოტი ასრულებდა. ბოსფორის მეფე ევმელი (ძვ. წ. 310-309 და 304-303 წლებში) ბიზანტიელებს, სინოპელებსა და სხვა ელინებს დიდ დახმარებას უწევდა, რომლებიც პონტოს ნაპირებთან ცხოვრობდნენ. პონტოზე მოცურავე გემთა დასაცავად იგი ბარბაროსთა – ჰენიოხების, ტავრებისა და სხვათა წინააღმდეგ ბრძოლაში ებმებოდა, რომლებიც ჩვეულებრივ მეკობრეობას ეწეოდნენ. ბ. პეტერსის თქმით, ამას ბოსფორის მეფე იმით ახერხებდა, რომ მნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო, სატრანსპორტო და სავაჭრო ფლოტი გააჩნდა (პეტერსი, 1928:7, 67-68). აქედან ჩანს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობაც ზღვაოსნობაში არანაკლები მომზადებული იყო, რადგან ბოსფორის მეფე ევმელს მათ წინააღმდეგ ზღვაში გააფთრებული ბრძოლა უხდებოდა. რომაელთა ეპოქაშიც შავიზღვისპირეთის ფლოტი განვითარებას აგრძელებს. ამის მოწმობაა მითრიდატე ევპატორის მეფობა და ბრძოლები, რომელსაც იგი ძირითადად რომაელების წინააღმდეგ აწარმოებდა. ევპატორი თავისი ფლოტით კოლხებსაც ებრძოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ კავკასიის ხალხთა სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები უძველეს ხანაში დიდ ინტენსივობას ზღვაოსნობის მეშვეობითაც აღწევდა. ყირიმის დასავლეთში მოპოვებული აღმოჩენები, კერძოდ, მეორე ყუბანური ტიპის რამდენიმე ბრინჯაოს ცული, რომელიც ყუბანში და სხვა რაიონებშიც გვხვდება, შავიზღვისპირეთის რეგიონებს შორის კაბოტაჟური ნაოსნობის საფუძველზე კავშირურთიერთობას ადასტურებს. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო და I ათასწლეულის დასაწყისის ბრინჯაოს ცულების სახით ქერჩის აღმოჩენებს, რომლებზეც მზე და ხარია გამოსახული, ანალოგიები ანატოლიაში ეძებნება. ეს თავისთავად ტავრიასა და წინა აზიას შორის კავშირურთიერთობის არსებობაზე მეტყველებს, რომელიც უთუოდ ზღვით ხორციელდებოდა (პეტერ-

სი, 1982:25-27). მკვლევართა ნაწილი უფრო ადრეულ ხანაშიც, დაახლოებით, III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისში, თვალს ადევნებდა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთიდან ხმელთაშუაზღვისპირეთსა თუ წინა აზიაში გამავალი არხების არსებობას აფიქსირებდა. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ადგილობრივი ტომების ძალთა ჩარევით, რამდენადაც მათთან აღნიშნულ ეპოქებში ნაოსნობისადმი განსაკუთრებული სწრაფვა შეინიშნებოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძვ. წ. II საუკუნეში სკვითებს საზღვაო ფლოტი გააჩნდათ. მოგვიანებით, ახალი წელთაღრიცხვით 255-276 წლების სკვითების ცნობილი მოძრაობა შავ ზღვას, ბოსფორის სახელწიფოსა და ბოსფორელ მოსახლეობას მჭიდროდ უკავშირდებოდა. კავკასიონის მთავარი ქედი კავკასიის ხალხთა კულტურულ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს სახმელეთო არხებით ასე თუ ისე არ აბრკოლებდა. აქ გასათვალისწინებელია ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში წინა აზიის, ჩრდილო კავკასიისა და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიის ხალხთა საზღვაოსნო კონტაქტები, რომლებიც მომდევნო ეპოქებშიც ახალ დატვირთვას ღებულობდა. შედარებით გვიანდელ ხანებში ქართულ მოსახლეობას ზღვაოსნობის უძველესი ტრადიციების შენარჩუნება რომ მოეხერხებინა, მაშინ იგი კავკასიის ხალხებთან ურთიერთობებს, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ სახმელეთო გზით, არამედ ზღვითაც შეძლებდა. ზოგიერთი ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ზღვაოსნობის სფეროში წერილობითი წყაროების სიმცირეს. მათი დაკვირვებით, სიმცირე ძველი ეგვიპტელების, ფინიკიელების, ბერძნების, რომაელების, ბიზანტიელების, შუასაუკუნეების ევროპის ხალხების, არაბების, ჩინელების წერილობით ტრადიციებშიც შეინიშნება. ყურადღებას იქცევს ვიკინგთა საზღვაო გამოცდილება და ამ გამოცდილების საისტორიო წყაროებში ასახვა, ვიკინგები, რომლებიც დაჟინებით ცდილობდნენ ზღვები და ოკეანეები გადაელახათ. ეს ფაქტი გამოყენებულია თითქოსდა ლოგიკური დასკვნის გამოსატანად, რომლის თანახმადაც, სრულიადაც არაა გასაკვირი ზღვაოსნობის შესახებ წყაროების სიმცირე საქართველოს სინამდვილესაც რომ ახასიათებდეს. საერთოდ, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების ხანის საქართველოში ზღვაოსნობისა და, საერთოდ, საზღვაო საქმის მაღალი დონის დასამტკიცებლად ძნელია „ვეფხისტყაოსანში" დაცულ მხოლოდ იმ ცნობებს დავეყრდნოთ, რომლებიც ნავების ტიპოლოგიას ეხება.

თამაზ ბერაძის შენიშვნით, VII-XIV საუკუნეების ქართული ზღვაოსნობის მაღალ დონეზე ქართულ წერილობით ძეგლებში დაცული ქართული საზღვაოსნო ტერმინოლოგია უნდა მიუთითებდეს. ავტორის აზრით, ასეთი ტერმინოლოგიის შემუშავება წარმოუდგენელია იმ ქვეყანაში, სადაც ზღვაოსნობა არ არის განვითარებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხო ენიდან ამა თუ იმ თხზულებათა თარგმნის დროს ქართველი მთარგმნელი უცვლელად გადმოიტანდა საზღვაო ტერმინს, ან შეცდომით თარგმნიდა მას, რაც ქართულ წერილობით ძეგლებში არ შეინიშნება (ბერაძე, 1981:70-71). 1539 წელს გურიელის მიერ ჯიქეთს გამგზავრება „საბრძოლად ზღვით ნავებითა" სრულებითაც არ მოასწავებს, რომ ქართველებს ერთიანი და სახელმწიფო დონის საზღვაო ფლოტი გააჩნდათ. უფრო მეტიც, ჯიქი მეკობრეები, რომელთა ნავები თურმე ხმელეთს დიდი მანძილით არ შორდებოდა, ქართველ მოსახლეობას ავიწროვებდა. თამაზ ბერაძის შეხედულებით, მათ მოსაგერიებლად საჭირო იყო სამხედრო ნავებით მუდმივი დარაჯი, რაც ცხადია ფეოდალურ საქართველოს არ შეეძლო, მაგრამ თუ რატომ არ შეეძლო აქ არაფერია ნათქვამი (ბერაძე, 1981:70-75). უნდა ვიფიქროთ, რომ საზღვაო საზღვრების გამაგრებას ფეოდალური საქართველო ძირითადად სწორედ ფლოტის უქონლობის გამო ვერ ახერხებდა, ხოლო რაც შეეხება წყაროებში მოხსენიებულ თითო-ოროლა სამხედრო დანიშნულების ნავის არსებობას, ესეც სრულებითაც არ მოასწავებს შუა საუკუნეების საქართველოში საზღვაო ინდუსტრიის – საზღვაო ფლოტის არსებობას, გემთმშენებლობის დაწინაურებასა და საზღვაო საქმის მაღალ დონეს. თამაზ ბერაძე წერდა, რომ ლევან I დადიანს სამხედრო-პოლიტიკური მოლაპარაკების მიზნით სტამბოლში სამასი კაცისაგან შემდგარი ამალა ახლდა. მას სტამბოლში დიდი რაოდენობით ტილო და აბრეშუმი ჩაუტანია, რომელთა გაყიდვით ელჩობის ხარჯების დაფარვას აპირებდა (ბერაძე, 1981:76-78). აქედან გამომდინარე ავტორი ასკვნიდა: „უნდა ვიფიქროთ, რომ სამეგრელოს მთავარი თურქეთის დედაქალაქში რამდენიმე დიდი აფრიანი საზღვაო ხომალდით ჩასულა, რაც იმჟამად ქართული ზღვაოსნობის მაღალი დონის მაჩვენებელია". აქვე დასძენს, რომ „სამეგრელოს მთავარი დიდ კატარღებს სთხოვდა სულთანს, რომელთა მართვაც საზღვაო საქმის კარგ ცოდნას მოითხოვდა". თუ მართლაც საქართველოში ამ დროისათვის ზღვაოსნობა ესო-

დენ მაღალ დონეზე იდგა, მაშინ რაში სჭირდებოდა სამეგრელოს მთავარს სულთნისათვის ესოდენ დიდი თხოვნით მიმართვა?

კავკასია, მათ შორის, საქართველო სპეციფიკური, მთა-ბარული რეგიონია. ეთნოგრაფიულ ჯგუფთა გარკვეული ნაწილი როგორც ბარში, ისე მთაშია განსახლებული. აქედან გამომდინარე, დასაშვებია, ვისაუბროთ ეროვნული ხასიათისა და ეთნიკური ფსიქიკის მთა-ბარულ ნიშან-თვისებებზე. დროთა განმავლობაში, დასავლეთ საქართველოს ბარში, განსაკუთრებით მის ზღვისპირა რეგიონებში, ზღვაოსნობის უძველესი ანტიკურ-ელინისტური ტრადიციების დაქვეითებას, პოლიტიკურ სიტუაციებთან ერთად, შესაძლოა, საფუძვლად სდებოდა მოსახლეობის ხასიათსა და ფსიქიკაში ასახული მათი ყოველდღიური შრომა-საქმიანობისათვის და ყოფისათვის დამახასიათებელი მთა-ბარული თავისებურებები და მასთან დაკავშირებული დემოგრაფიული ფაქტორებიც, რომლებიც ისტორიულ პერიოდებში სხვადასხვა მიზეზებით განპირობებულ მთიდან ბარში ანდა აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში განხორციელებულ მიგრაციებს და, ცხადია, მიგრაციების საფუძველზე მომხდარ სოციოკულტურულ ცვლილებებს გამოეწვია, რაც შესაბამისად ადგილობრივთა ხასიათსა და ფსიქიკაშიც აისახებოდა. ეთნოგრაფიულ დონეზე თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს მთიანეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა საზღვაო საქმიანობიდან შორს იდგა, რადგან მათ ამის საშუალებას გეოგრაფიული გარემო არ აძლევდა. იგი მათ ყოველდღიურ ყოფას არ ახასიათებდა, შესაბამისად, ისინი ვერც კარგი ზღვაოსნები და ნაოსნები იქნებოდნენ, რადგან ზღვა მათ ხასიათსა და ცნობიერებაზე გავლენას არ ახდენდა. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში აფხაზებიც ცხოვრობდნენ, რომლებთანაც ზღვისადმი ინტიმური დამოკიდებულება ნაკლებად შეინიშნება, მითუმეტეს არ ფიქსირდება ზოგადად საზღვაო საქმისადმი აფხაზების განსაკუთრებული მიდრეკილება. ზღვისადმი მათი ასეთი ინდიფერენტულობა სწორედ ეთნიკურ ხასიათსა და მათი წინაპრების პირველ საცხოვრის გარემოში – მთის პირობებში ფორმირებულ ეთნიკურ ფსიქოლოგიაშია საძიებელი. ზღვისადმი მთიელის გაუცხოვება ბუნებრივი მოვლენა ჩანს, რადგან იგი ხეობათა სისტემაში ცხოვრების ისტორიულად აპრობირებულ წესთან იყო ადაპტირებული – შეგუებული, მაშინ, როცა, როგორც ეს ლიტერატურაში მართებულადაა შენიშნული,

ზღვის ნაპირას მუდმივად მოსახლე ეთნოსის წარმომადგენლებისათვის, როცა ზღვას უაღრესად დიდი პრაქტიკული, უპირველესად, ეკონომიკური და საკომუნიკაციო მნიშვნელობა ჰქონდა, იგი მათთვის ცხოვრების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. ზღვა მთავარი სატრანსპორტო არტერია იყო, რომელიც ზღვისპირელებს საკვებს უხვად აწვდიდა. ჩვეულებრივ, ყველგან, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, ამა თუ იმ ზღვისპირელი ეთნოსის რწმენა-წარმოდგენების ხასიათსა და ტრადიციულ ყოფას ზღვა და ზღვასთან სიახლოვე განსაზღვრავდა, ენის მეშვეობით მათ სამეტყველო ლექსიკაში შესაბამისი თემატიკაც აისახებოდა, სადაც ნაოსნობის, მეთევზეობისა და კულინარიულ ტერმინთა სიუხვე ყოველთვის თვალშისაცემი იყო (გვანცელაძე, 2008:107, 17-113).

აღმოსავლეთ საქართველოს ქართული მოსახლეობის – ქართების ზანური (მეგრულ-ლაზური/ჭანური) ჩამომავლობის მონათესავე სატომო განშტოებებთან შერწყმას, რომლებიც კოლხთა შთამომავლებად, ყოველ შემთხვევაში, მათი ტრადიციების გამგრძელებლად ითვლებოდნენ, რასაც დასავლეთ საქართველოში ადრე შუასაუკუნეებიდან ახალი ეთნოგრაფიული გაერთიანებების წარმოქმნა მოჰყვა, ფსიქიკასა და ხასიათში ზღვასთან და ზღვაოსნობასთან დაკავშირებული მიდრეკილებების ცვლილებები უნდა გამოეწვია. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში, ქართველ ისტორიკოსთა ვარაუდითაც, ეს ახალი წარმონაქმნები, დიდი ალბათობით, აღმოსავლურ ქართული მოსახლეობისა და დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი ზანურ-ჭანურ ჩამომავალთა შერწყმით ჩამოყალიბდა. VI საუკუნიდან დაწყებული VII-VIII საუკუნეების ჩათვლით, ჯერ სპარსელებისაგან, ხოლო მოგვიანებით არაბთა დაპყრობითი ომებისაგან შევიწროვებული და დევნილი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა დასავლეთ საქართველოში იხიზნებოდა და თავისუფალ ადგილებში მკვიდრდებოდა, რამაც VII-VIII საუკუნეებში ეგრისში ახალი ტიპის ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული გაერთიანებების ჩამოყალიბება განაპირობა. დღესაც, დასავლეთ საქართველოს ამ ტერიტორიაზე მთელი რიგი გეოგრაფიული სახელწოდება – ტოპონიმი და ლექსიკური ფენა გვხვდება, რომელიც წარმოშობით ზანურ სამყაროში ერთიანდება ანდა ზანურ-ქართული ერთიანობის დონეზე აღსდგება. ამ პროცესების დასრულების შემდეგ კოლხური ზღვაოსნობის უძველესი ტრადიციები თითქოსდა მივიწყებას ეძლევა. ახალმა წარმონაქ-

მნებმა და ძველი მოსახლეობის შთამომავლებმა გეოგრაფიულად ხელსაყრელ პირობებში ვეღარ შესძლეს სახელმწიფოსათვის ესოდენ საჭირო და საარსებოდ მნიშვნელოვანი მიმართულება ეროვნულ დონეზე აღედგინათ. ამის ერთ-ერთი განმაპირობებელი, შესაძლოა, ახალი ტიპის ფსიქოლოგიური წყობის ფორმირებაც ყოფილიყო, რომლისთვისაც მეტ-ნაკლებად „უცხო" იყო ზღვა და, შესაბამისად, საზღვაო საქმე – ზღვაოსნობა. ზღვა იყო ზღურბლი, რომლის იქეთ სხვა სამყარო, სხვა ტიპის სივრცე და საკრალური განზომილება არსებობდა, რაც აქა-იქ მითოლოგიურ პლასტებშიც იჩენს ხოლმე თავს. ბუნებრივია საქართველოს ტერიტორია ზღვასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული, მაგრამ მხოლოდ ამით ძნელია ამა თუ იმ მკვლევარს ბოლომდე დავუჭიროთ მხარი იმაში, რომ ძველ საქართველოში შავ ზღვაზე საზღვაო საქმის განვითარებას ხელს უწყობდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი ნავსადგურებისა და შიდა სამდინარო ქსელის არსებობა და რომ საზღვაო რეწვა, ზღვით გადაადგილება და კავშირები წარუშლელ კვალად დააჩნდა საქართველოს ისტორიას, მის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას (კუტალეიშვილი, 1977:312-332; 1987:210, 210-268). ადრე შუასაუკუნეებიდან, განსაკუთრებით კი – IX საუკუნიდან საქართველოს შინაგანმა და საგარეო პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა და ისტორიულმა ბედ-იღბალმა საქართველოს სახელისუფლო მმართველი წრეების ინტერესი ამ მიმართულებით კიდევ უფრო დაამუხრუჭა. ძირითადი ფაქტორებიდან გამოსაყოფია ისიც, რომ მმართველობის პოლიტიკური ცენტრი ჯერ სამხრეთ საქართველოში – მესხეთის, მოგვიანებით კი – აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ცენტრში მოექცა, ხოლო დასავლეთ საქართველო – საზღვაო საქმიანობისათვის ხელსაყრელი ტერიტორია, პერიფერიად იქცა. საზღვაო ინდუსტრიისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას. პოლიტიკურად ნორმალურ ვითარებაში საზღვაო ინდუსტრიასთან დაკავშირებული ტრადიციების აღდგენა და განვითარება თავად ახალი წარმონაქმნების ფარგლებშიც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ეს არ მოხდა. გეოგრაფიული გარემო და, საერთოდ, ეთნოგრაფიული ჯგუფის ანდა ეთნიკურად უფრო მაღალი დონის ტაქსონის სამოსახლო ტერიტორიის ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები, არსებითად ზემოქმედებს არა მხოლოდ ყოფისა და კულტურის ცალკეული ელემენტის თავისებურებებზე, არამედ ფსიქიკაზეც. ნებისმიე-

რი ადამიანის ბუნებასთან კონტაქტი, ბუნებაში მოღვაწეობა მის ფსიქიკაში აირეკლება და ეთნიკური ფსიქოლოგიის ტრადიციული ხასიათის სპეციფიკურ ქსელს ქმნის. საბოლოოდ იგი მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს, რაც შეიძლება პოლიტიკური ცენტრის დომინირებადი მოსახლეობის მეშვეობით საერთო ეროვნულ დონეზეც გავრცელდეს.

XII საუკუნეში, ქართული ცენტრალიზებული სახელწიფოს არსებობის პერიოდშიც, მმართველმა ზედაფენამ და სოციალურად აღზევებულმა წრეებმა სათანადო ყურადღება ვერ გამოიჩინეს და ამ მიმართულებით პოლიტიკურად გაუმართლებელი შეცდომა დაუშვეს – ხელი არ შეუწყვეს საზღვაო ინდუსტრიის, განსაკუთრებით, საზღვაო ფლოტის განვითარებას საქართველოში. იგივე განმეორდა გვიანი შუასაუკუნეების საქართველოშიც, თუმცა ამ პერიოდისათვის აქ ამისი არც პოლიტიკური და არც სოციალურ-ეკონომიკური პირობები არ არსებობდა. სულხან-საბა ორბელიანმა, საქართველოს ელჩმა უცხოეთში, ევროპაში ფაქტიურად ფეხით იარა და მხოლოდ საზღვარგარეთული ტრანსპორტით იმოგზაურა. სულხან-საბასა და სხვა პოლიტიკური მოღვაწეებს, დიპლომატიური მისიისათვის ამა თუ იმ ქვეყნის სანაპიროზე სახელმწიფო ხომალდი ქართული ალმით რომ შეეყვანა, მაშინ, ალბათ, დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგებიც სხვაგვარი იქნებოდა. ცნობილია, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის ფსიქოლოგიის საერთო ეროვნულ ნიშნებში წამყვანი სოციალური ჯგუფების ზეგავლენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ელიტარული სოციალური ფენების იდეოლოგია განაპირობებდა ეთნიკური ერთობის, ე. წ. „კოლექტიური მახსოვრობის" განმტკიცებას, მისი შინაარსის ამა თუ იმ მხარის აქტუალობას, ეროვნული ფსიქოლოგიის კრისტალიზაციას. ეროვნულ ფსიქოლოგიაზე იდეოლოგიური ფაქტორების გავლენების ხარისხი ყველაზე უკეთ ეროვნული ინტერესებისა და მოთხოვნილებების, ფასეულ ორიენტაციათა განხილვისას შეინიშნება. გარკვეული სახით ამგვარი მოღვაწეობის პროდუქტი იყო სოციალური და პოლიტიკური ძალების ეროვნული ერთობა. საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურ პროცესებზე ამა თუ იმ სოციალური ფენის მიზანმიმართული ზემოქმედების საშუალებად აქ სწორედ იდეოლოგიური მოღვაწეობა უნდა ვიგულისხმოთ (დაშდამიროვი, 1983:62-74), მაგრამ პრობლემის მხოლოდ იდეოლოგიურ ჭრილში გადაწყვეტა, ბუნებრივია, სულ მართებულად არ უნდა გა-

მოიყურებოდეს. საქართველოში დაწინაურებულმა ზედაფენამ ეროვნული ხასიათის ფორმირებისათვის აუცილებელი ელემენტების მიზანსწრაფული სისტემური გაერთიანება ბოლომდე ვერ მოახერხა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთი საერთო ეროვნული იდეოლოგიის გამომუშავება მათ სრულფასოვნად ვერ შეძლეს, რომელიც საერთო ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებასა და კრისტალიზაციას შეუწყობდა ხელს. პირიქით, უამრავი მაგალითების მოწმენი ვართ, როდესაც ფეოდალური ზედაფენა ცენტრალიზებულ ხელისუფლებას თავის ვიწრო, პარტიკულარისტულ, პიროვნულ და ეკლექტურ შეხედულებებს, იდეებსა და მიზნებს უპირისპირებდა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში, ყველაფერი ეს არსებითად უშლიდა ხელს იდეოლოგიური ერთობლიობისა და საერთო ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებას. აქ პრინციპული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს რელიგიისა და ეკლესიის როლსაც. ეროვნულ ცნობიერებაზე ქრისტიანობის ზემოქმედებას ქართველობაში ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფთა სწრაფი იდეოლოგიური კონსოლიდაცია და განმტკიცება უნდა განეპირობებინა. ჩვენ სხვა ქვეყნის მაგალითებიდან ვიცით მაღალი სოციალური წრის ისეთი დამოკიდებულების შესახებ, რაც ერთიანი, მონოლითური რელიგიის გაძლიერების ხელშეწყობაში იყო გამოხატული. ამის საილუსტრაციოდ საფრანგეთში კათოლიკური აღმსარებლობის დასახელებაც საკმარისი იქნებოდა. საქართველოში მესხთა – სამცხელთა ცნობიერებაშიც კი კათოლიკობა ლამის ეროვნული ცნობიერების გამომხატველად იქცა, რაც ტერმინოლოგიაშიც აისახა. კათოლიკე მესხი თავს ფრანგად – „ფრენგად" მიიჩნევდა, თუმცა „ფრანგში" იგი კათოლიკობას გულისხმობდა. უფრო დასაზუსტებელია ზოგიერთი ავტორის მოსაზრება, მათ შორის, ზაქარია ჭიჭინაძის შეხედულება, რომლის თანახმადაც მესხებს კათოლიკობის მიღება იმიტომ დასჭირდათ, რომ ოსმალთა დარბევებისაგან თავი გადაერჩინათ, რადგან ფრანგებისადმი, შესაბამისად, კათოლიკობისადმი ოსმალები გაცილებით ლოიალურები იყვნენ.

ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურებზე ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული ხასიათის ფორმირებაში, როგორც ჩანს, სხვადასხვა ფაქტორი მონაწილეობდა. ერთ შემთხვევაში გეოგრაფიული გარემოს როლი დომინირებდა, მეორე შემთხვევაში სავაჭრო-ეკონომიკური, ხოლო მესამეში შემთხვევაში დიდ ფუნქციას პოლიტიკური და სამხედრო ფაქტორები ასრულებ-

და. თავისთავად განმსაზღვრელი იყო ტერიტორიული, ლინგვისტური – ენობრივი, სამეურნეო-კულტურული, სულიერი და იდეოლოგიური, შესაბამისად, კულტურული იდენტობის გამომხატველი ფაქტორები, ერის საერთო წარმომავლობის, საერთო წარსულისა და საერთო ისტორიული ბედ-იღბლის თანაზიარობის აღქმა. ყველაფერი ეს დიდ გავლენას ახდენდა ზღვასთან და საზღვაო საქმესთან დამოკიდებულების ხარისხზე. ამის საილუსტრაციო მაგალითად რუსეთში ზღვაოსნობის განვითარების ტენდენციებზე დაკვირვებაც შეიძლება გამოდგეს, სადაც, თავის დროზე, ამ მხრივ საკმაოდ არახელსაყრელი გეოგრაფიული პირობები არსებობდა. ზღვაოსნობისა და საზღვაო საქმის – საზღვაო ინდუსტრიის განვითარება პეტრე I-ის ეპოქის რუსეთში სასიცოცხლოდ აუცილებელი პოლიტიკური, სამხედრო და სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესებით იყო განპირობებული, რასაც გონივრული და ეროვნული პოლიტიკური მოღვაწეობის მეშვეობით იმდროინდელმა რუსეთის პოლიტიკურმა წრეებმა ბრწყინვალედ გაართვა თავი. ამ მიმართებით, საქართველოში, თუნდაც, განვითარებული შუასაუკუნეების საქართველოში, თითქოს არსებობდა კიდეც სამხედრო-პოლიტიკური პირობები და გეოგრაფიული გარემოც ხელისშემწყობ ფაქტორად გამოიყურებოდა, მაგრამ რატომღაც მაინც საზღვაო საქმის – ზღვაოსნობის, საზღვაო ინდუსტრიის – გემთმშენებლობისა და, მითუმეტეს, საზღვაო ფლოტის ჩამოყალიბება და ქვეყნის თავდაცვითუნარიანობაში მათი პრიორიტეტულ საქმედ აღიარება არ მომხდარა. ხომ არ შეიძლება დავაყენოთ საკითხი და ამის განმაპირობებელი ფაქტორები გეოგრაფიულ გარემოში და საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ ხასიათშიც ვეძებოთ, რაც ამ მხრივ მათ ეთნიკურ ფსიქოლოგიასაც განსაზღვრავდა. რამდენადაც ცნობილია, კავკასიის მთიელები, მათ შორის, ქართველი მთიელებიც ბარის დასავლელი მონათესავე მოსახლეობისაგან განსხვავებით არ იყვნენ ზღვაოსნები. როგორც ჩანს, საზღვაო საქმესთან დაკავშირებული ელემენტები იმდენად არ აისახებოდა ქართველი კაცის ეროვნულ ფსიქიკაში, რომ იგი სათანადოდ მითოლოგიაშიც კი არ ვლინდება, მით უფრო არ ჩამოყალიბებულა ზღვაოსნობის მფარველი ღვთაებები იმგვარად, როგორადაც ეს ფინიკიელებთან, ბერძნებთან გვხვდებოდა, ვქვათ, ძველ ბერძნებში პოსეიდონის სახით. მითოლოგიის მკვლევართა მიხედვით, ტიპოლოგიური თვალსაზრისით იმ ხალხების მითოსში, რომელთა სამეურნეო და სამხედრო

საქმიანობა ზღვასთან არ იყო დაკავშირებული, ზღვა მათ წარმოდგენაში ხმელეთის ტოტალურად დაპირისპირებული სტიქია, ქაოსის სახეა, რომელიც ზღვაურ ურჩხულებშია განპიროვნებული. მათთვის ზღვა ის ზღვარია, რომლის მიღმა ადამიანის, როგორც ხმელეთის არსების, დომინაცია წყდება, მისი კვალი იკარგება. ის, რაც ხმელეთის ერთ კიდეზე ურწყული უდაბნოა, ხმელეთის მეორე კიდეზე, დასალიერში, ზღვაური სტიქიაა. ეს არის თიამეთი, ღმერთებისა და სამყაროს პირველსაშო, რომელიც სოფელს შთანთქმით ემუქრება (კიკნაძე, 2010:137). ასე რომ, ზღვისა და ხმელეთის დაპირისპირებას გარდა გეოპოლიტიკურისა, მითოლოგიური ასპექტიც აქვს, რაც ზურაბ კიკნაძის აზრით, ისტორიის აგების საშუალებას იძლევა. მითოსს მოკლებულ ახალ დროშიც ეს დაპირისპირება მითოსურ სახეებშია სიმბოლიზებული თითქოს იმის საჩვენებლად და გასაცნობიერებლად, რომ ყოველ, თუნდაც გეოპოლიტიკურ მოვლენას ფესვი მითოსურ წინარე წარსულში, ანუ, უფრო ზუსტად, ალჩერინგას ხანაში უდგას, და ისტორიული კონსტრუქციები და მოვლენები მხოლოდ იმ პირველაქტების პარადიგმებია (კიკნაძე, 2010:136-156).

ქართულ ეროვნული ხასიათში საზღვაო საქმიანობის სუსტად ასახვა, შესაძლოა, ვლინდებოდეს თუნდაც ეგნატე ნინოშვილის „პალიასტომის ტბის" შინაარსობრივ თემატიკაში, სადაც ავტორის მიერ აღწერილ პალიასტომის ტბაზე მომხდარ შემთხვევას – ტივის დაღუპვას ქართველი მწერალიცა და მკითხველიც აღიქვამს, როგორც პატარა ტბაზე მომხდარ უდიდეს ტრაგედიას. ეს სიუჟეტი ზღვებსა და ოკეანეებში დაღუპული გემების სახით სიმძაფრით თითქმის ანტიკური და უილიამ შექსპირის ტრაგედიების დონემდეა აყვანილი, მაშინ, როცა ისტორიამ იცის სხვა ხალხების მაგალითზე მეკობრეთა გემებისა და სამხედრო ხომალდების შეტაკებების და, საერთოდ, უბედური შემთხვევების – ქარიშხლის, მაღალი ტალღების დროს ადამიანთა დაღუპვისა და ხომალდების ჩაძირვის მრავალი ფაქტი, მაგრამ არც ერთ დიდ მწერალს თავის შემოქმედებაში იგი ასეთ ეროვნული შემაძრწუნებელი ტრაგედიის დონეზე არ გადმოუცია. უილიამ შექსპირს – „ანტონიუსსა და კლეოპატრაში" აღწერილი აქვს ფლოტთა შორის ბრძოლის სიუჟეტი, მაგრამ აქ ჩვენ თვალწინ იშლება მხოლოდ სახელმწიფოთა შორის არსებული საზღვაო კონფლიქტების ტრაგიკული მხარეები და არსად ხაზი არ ესმება უშუალოდ, კონკრეტულად გემებისა და ეკი-

პაჭების დაღუპვით გამოწვეულ ემოციებს, მათ შორის, სოციალურ ემოციებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ეროვნული ხასიათსა და ეროვნულ ცნობიერებაში საზღვაო საქმიანობის ასახვას, როგორც ჩანს, ერთი კონკრეტული ფაქტორი არ განსაზღვრავდა. ამ პრობლემის ირგვლივ მთელი რიგი კითხვა იჩენს თავს. მაგალითად, ზღვაოსნობის დაქვეითებისა და გაქრობის მიზეზი ხომ არ იყო საქართველოში ადრე შუა საუკუნეებიდან ცენტრალიზებული ხელისუფლების პირობებში აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მმართველობით აპარატში ძალაუფლების თავმოყრა, რამაც ზღვიდან ტერიტორიული დაცილება და ზღვისპირა ზოლის პერიფერიად ქცევა გამოიწვია? თუ არსებულ ვითარებას ინგლისის ტერიტორიულ სივრცეს შევადარებთ, დავინახავთ, რომ შინაგანი იმპულსების გარდა იქ ზღვაოსნობის განვითარებას ბრწყინვალე, ყოველმხრივ სრულყოფილი და ხელსაყრელი გარემო პირობები უწყობდა ხელს. კუნძულს ირგვლივ მთლიანად ზღვა ერტყა. საქართველოში კი ასეთი ხელსაყრელი ზღვისპირა გარემო მის მხოლოდ ერთ, დასავლეთ ნაწილში იყო, რომელიც გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში არა ეთნოგრაფიულად, არამედ პოლიტიკურად საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არც კი ექვემდებარებოდა; ანდა ხომ არ ითამაშა აქ განმსაზღვრელი როლი დემოგრაფიულმა პროცესებმა და დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ადგილობრივ – კოლხურ ტომებთან მონათესავე აღმოსავლურ ქართულ ელემენტთა შერწყმამ და ამა თუ იმ სახით კავკასიური ხასიათის „მთის ფსიქოლოგიის" („მთური ფსიქოლოგიის") დამკვიდრებამ, რომლისთვის ზღვა და ზღვასთან დაკავშირებული საქმიანობა მეტ-ნაკლებად უცხო იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერაძე, 1981 – თ. ბერაძე. ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბილისი.

გვანცელაძე, 2008 – თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები, თბილისი.

გორდეზიანი, 1975 – რ. გორდეზიანი. ჰეროდოტეს ცნობა კოლხთა წარმომავლობის შესახებ.-თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები" (არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტისტიკა), თბილისი.

გორდეზიანი, 1978 – Р. В. Гордезиани. Проблемы гомеровского эпоса, Тбилиси.

გორდეზიანი, 1985 – რ. გორდეზიანი. წინარებერძნული და ქართველური, თბილისი.

დავითაძე, 1983 – ალ. დავითაძე. ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდა„ ბათუმი.

დაშდამიროვი, 1983 – А. Ф. Дашдамиров. К методологии исследования национально-психологических проблем. – СЭ, №2, Москва.

თევზაძე, 2010 – გ. თევზაძე. ქართველი და ზღვა.-სემიოტიკა (სამეცნიერო ჟურნალი), VIII, თბილისი.

კახიძე, **მგელაძე**, 2013 – ა. კახიძე, ნ. მგელაძე. ჩოლოქ-ნატანების აკვატორიაში აღმოჩენილი გვიანელინისტური ხანის ჩაძირული გემის ნაშთები.-აჭარა: წარსული და თანამედროვეობა, 2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები (კრებული I), ბათუმი.

კუტალეიშვილი, 1977 – ზ. კუტალეიშვილი. ნაოსნობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში.-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები”, 1977.

კუტალეიშვილი, 1977 – ზ. კუტალეიშვილი. ნაოსნობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა).-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები”, 1977.

კოზლოვი, 1983 – В. А. Козлов. О некоторых методологических проблемах изучения этнической психологии. – СЭ, №2, Москва.

ლამბერტი, 1938 – არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, თბილისი.

მაჭავარიანი, 2010 – ლ. მაჭავარიანი. ვინ გადაცურავს ზღვას”, ტაბულა №19, 19-25 ივლისი, თბილისი (http://rekuzo.blogspot.com/2010/07/blogpost_23.html).

მგელაძე, **ტოტოჩავა**, 2011 – ნ. მგელაძე, გ. ტოტოჩავა. არგონავტების ვინაობა და კოლხთა მეფის აიეტის ასული მედეა.-ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის „მაცნე”, IV, თბილისი.

მგელაძე, **ვარშალომიძე**, **მიქელაძე**, 2015 – ნ. მგელაძე, ჯ. ვარშალომიძე, ჯ. მიქელაძე. სარფი – ეთნოგრაფიული პორტრეტი.-სარფი, ბათუმი.

მგელაძე, 2017/2018 – ნ. მგელაძე. ლაზების ეთნიკური იდენტობის საკითხისათვის..-ქართული წყاროთმცოდნეობა, XIX/XX, თბილისი.

პეტერსი, 1982 – Б. Г. Петерс. Морское дело в Античных государствах и Северного Причерноморья, Москва.

უზუნაძე, 1983 – რ. უზუნაძე. ნაოსნობა ბათუმის ოლქში (სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები), ბათუმი.

ურუშაძე, 1965 – აკ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი.

შმიტი, 2010: კარლ შმიტი. ხმელეთი და ზღვა, მსოფლიო-ისტორიული განააზრება, ფილოსოფია-სოციოლოგიის და თანამედროვე კლასიკური ტექსტები III, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი.

ჩიქოვანი, **ნიკოლაიშვილი**, 1958 – თ. ჩიქოვანი, ჭ. ნიკოლაიშვილი. ჭოროხზე ნაოსნობის ისტორიიდან.-აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომებუ, ტ. III, ბათუმი.

Nugzar Mgeladze

Black Sea Reflection of Maritime Traditions in Georgia National Consciousness

The given article deals with the historical prospects of the establishment and development of maritime activities in Georgia – seafaring and navy. The question is raised about the factors affecting development of maritime affairs and navy even during developed Middle Ages when the country had a favorable geographical environment and political situation.

In the article attention is paid to the issue why the elements of maritime activity were not fully reflected in the Georgian national character and ethnic consciousness, as it was, for example, in activities of other people at different times.

თინათინ იველაშვილი

„უფროს-უმცირესობის ტრადიციული ეტიკეტი XXI საუკუნის საქართველოში“

დღეისათვის მავანი და მავანი რჩევებს გვაძლევს რომ მთელი რიგი ეთიკურ-მორაკური ნორმები უკვე მეორე ხარისხოვნად იქცა და დროა ისონი სანაგვე ყუთში მოვათავსოთ.

თითოეულ ქცევის ნორმას რაღაც ფასეულობა უდევს საფუძვლად და ეტიკეტი გვევლინება ამ ფასეულობის, ერთი მხრივ, კონდენსირებულ გამოხატულებად და, მეორე მხრივ, მისი სარეალიზაციო ინსტრუმენტად. ამიტომაც თუ ეს ფასეულობები ერის ტრადიციებს ეფუძნება, მაშინ ეტიკეტიც ამ ტრადიციებით იქნება ჩამოყალიბებული. ამდენად, ეტიკეტსა და ტრადიციას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, რადგანაც ეტიკეტი ტრადიციის ნაწილია. ეტიკეტის სფერო ტრადიციის ის ნაწილია, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობაში ამ ტრადიციის ფუნქციონირების პროცესს ასახავს. თუკი ყოველივე ზემოთთქმულს ერთად თავს მოვუყრით მაშინ ეტიკეტის განსაზღვრება შემდეგ სახეს მიიღებს: ეტიკეტი არის ქმედება ან ქმედებათა ის ერთობლიობა, რომელიც მხოლოდ ადამიანთა უშუალო ურთიერთობაში ფიქსირდება, არის უაღრესად დეტალიზირებული და მათი თანამიმდევრობა ზუსტადაა განსაზღვრული დროსა და სივრცეში, წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების მარეგულირებელ სავალდებულო, მაგრამ არა სამართლებრივ, არამედ ეთიკურ ნორმას, აღმოცენდება და მოქმედებს ჩვეულების (ტრადიციის) * ან ოფიციალური ორგანოს საშუალებით. ცნება ეტიკეტის გვერდით ხშირად

ტრადიცია ეს არის ძალისხმევა, შეინარჩუნო კომუნიკაცია წარსულთან, ოღონდ რაღაცა სუროგატით, სიცოცხლის თანამედროვე ვერსიით, რომელიც ფუნქციონალურად მუშაობს მხოლოდ. ტრადიციათა უმრავლესობა დროში გამოცდილი და მისადაგებულია არსებულ ყოფასთან. გარემო ფაქტორების ზემოქმედების გარეშე არც ყალიბდება და არც ქრება. ნებისმიერ ქვეყანას, გააჩნია საკუთარი ტრადიციები და ღირებულებები, რომლებიც მის განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობენ.

ეტიკეტი არის ქმედება ან ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მხოლოდ ადამიანთა ყოფით ურთიერთობაში ფიქსირდება, არის უაღრესად დეტალიზებული, აქვს შესრულების სავალდებულო ხასიათი და შემადგენელ ელემენტებს ახასიათებთ ზუსტი თანმიმდევრულობა დროსა და სივრცეში.

ამდენად, ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ ეტიკეტი შეიძ-

ლება განვმარტოთ, როგორც სავალდებულო ქცევის ნორმა, მაგრამ არა სამართლებრივი, არამედ ეთიკური ხასიათის, რომელიც აღმოცენდება და მოქმედებს ჩვეულების ან ოფიციალური ორგანოს საშუალებით.

ოჯახში სწავლობენ უფროსებისადმი პატივისცემას, პატარებისადმი გულისხმიერებას, მეგობრებისადმი გულითად და ჰუმანურმოპყრობას. ბაბუასადმი და ბებიასადმი კეთილგანწყობას, დედისას და მამისპატივისცემას, თანატოლებთან ჰუმანურ მოქცევას. სურგძელი ადამიანისაზოგადოებაშიც ამ ამამაღლებელი თვისებებით დაიმკვიდრებს თავს. თუ ადამიანიოჯოახში სათნოებას არის მოკლებული და არ იღებს შესაბამის აღზრდას, საზოგადოებას პრობლემას უქმნის. ზრდილობიანი ადამიანი მხოლოდორგანიზებულ და ჯანსაღ ოჯახში იზრდება.ამგვარ ოჯახში აღზრდილი თაობებიარიან გაწონასწორებული და საზოგადოებისათვის სასარგებლო. არაჯანსაღი ოჯახიკი ჰგავს იმ ქარხანას, რომელიც ზრდის ქვეყნის მტერს, აკეთებს ოჯახისა და ქვეყნისსაწინააღმდეგო საქმეს. ფეთუჰულაჰ გულეინი

მომავალი თაობის აღზრდის საქმეში დედა-დიასახლისის როლს საინტერესოდ აფასებს ვაჟა ფშაველა. მისი მითითებით: „დედაკაცს დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ისტორიაში, ცხოვრებაში. კაცობრიობა შესდგება სხვა და სხვა ერებისაგან, ერები ცალკე ოჯახებისაგან, ხოლო საძირკველი პირველისა, მეორისა და მესამისა არის პიროვნება ცალი ადამიანი, რამდენადაც მათი შემადგენელი ადამიანები არიან სრულნი, ამაღლებულნი, განვითარებულნი და ბედნიერნნი, იმდენადვე ამაღლებულია ოჯახი, ოჯახის გარეშე-ერი, ერის გარეშე-კაცობრიობა. თავი და თავი, მაშასადამე, ოჯახის გონივრულად მოწყობა უნდა ვაღიაროთ, ხოლო ოჯახში უფლობს დედაკაცი.დედაკაცს დიდი ძალა აქვს ოჯახში როგორც დიდზე, ასევე პატარაზე. შვილების პირველი დაწყებითი აღზრდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, დედის ხელთაა. დედაა გადამწყვეტი შვილების ბედიღბლისა, შვილის მომავალი უსათუოდ იმაზეა დამოკიდებული თუ დედამ რა შთაბეჭდილებებით ასაზრდოვა შვილის ნორჩი, მაგრამ ღრმად აღბეჭდილი გული და გონება. ამიტომ საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ ოჯახში და გარეთ საზოგადოებაში სთესდეს თესლს სიკეთისა, დიაღ, ესმოდესს დედაკაცსს შვილი როგორ აღზარდოს შინ ოჯახში და გარეთ საზოგადოებაში. რა აზრები გაავრცელოს და რას ემსახუროს ვინაიდან მას შეუძლია დაამხოს ერი და კიდეც აღადგინოს.“[ვაჟა ფშაველა[. საქართველოს ყოფაში უმცროსუფროსობის ინსტიტუტის ერთიანი ჩამოქცევა, რაც პოსტსაბჭოთაქართული კაპიტალიზმის მიერ ადამიანი-

სა და ხალხის აბუჩად აგდების, ამავდროულად: განათლებისა და-
კულტურის უკიდურესი დაკნინების შედეგად უნდა ჩაითვალოს.
ადამიანის უფლებების, ქალისა და ბავშვის და სხვათა და სხვათა
უფლებებზე გამართული, რატომღაც თითქმის აგრესიული დის-
კურსი, სულ ცოტა, ორი ათწლეული რომ გრძელდება უკვე, და
ხალხს ბევრი ვერაფერი გააგებინა, იმით უნდა დაგვეწყო, რომ ჯერ
ჩვენივე წარსულის კულტურულ სიღრმეში მოგვეძია წესები და
ტრადიციები, რომლებიც ადამიანის ღირსების სიღრმისეული შეგ-
რძნებიდან მომდინარეობენ. და მერე გვემხილებინა ის კონსერვა-
ტიული ნაციონალისტები, რომლებიც ისევე არ იცნობენ ამ „წე-
სებს“, როგორც ნეოლიბერალი კოსმოპოლიტები. საკუთარი ადათ-
წესების, საერთოდ, სულიერი მემკვიდრეობის შესწავლა დაგვეხმა-
რება, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, „ეროვნული ვინაობის“
გაგებასა და სხვა ხალხებთან ისეთ ინტეგრაციაში, რაც არ იქნებო-
და ჩვენი კულტურული თვითმყოფადობის გაქრობის საწინდა-
რიე.ნ. „თავისოფლების მოტრფიალეებისათვის“ სრულიად მიუღე-
ბელია უფრო სწორედ გაუგებრია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბა საშუა;ებაა ადამიანის, როგორც ადამიანის ჩამოყალიბებისათ-
ვის, მასში ჭეშმარიტი ადამიანური ღირებულებების ჩანერგისათ-
ვის და არა თვითმიზანი. სწორედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში,
სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ვლინდება, რომ ადამიანი მით
უფრო ღირებულია რაც უფრო მეტად შეუძლია დაუმორჩილოს თა-
ვისი პირადი „მე“ სხვა ღირებულების მატარებელ მოვლენებს –
ოჯახს, მეგობრებს, საზოგადოებას ქვეყნის ინტერესებს(ჭავჭავა-
ძე, 1965: 173).

„საოჯახი საზოგადოებრივ ტრადიციებსში ზნეობის, ეთიკის,
ესთეტიკის, ჰუმანიზმის და სხვა სოვიალური კატეგორიების მრა-
ვალი ისეთი თვისებაა ჩაქსოვილი, რომელთაც ბევრ შემთხვევაში
შეიძლება ეტალონის მნიშვნელობა ჰქონდეს და, მაშასადამე, ახალ-
გაზრდობის აღზრდის პროცესში დიდ როლს თამაშობდეს.“[გეგე-
შიძე 1978: 14].

წარსულში (20 საუკუნის 80-იან წლებამდე მაინც თ. ი.) ტრადი-
ციულ ქართულ ოჯახში ოჯახის წევრთა სქესობრივ-ააკიბრივი
განსხვავების ნორმები მოქმედებდნენ. იმის გარდა, რომ შრომის
განაწილების პრინციპზე აღმოცენებული ურთიერთობანი ოჯახის
თითოეული წევრის ურთიერთდამოკიდებულების ნორმებს დაუ-
წერლად განსაზღვრავდა, იყო აგრეთვე ჩვევად ქცეული ტრადიცი-
ები ოჯახის უფროსი მამაკაცის გამიყიფით პატივისცემისა, მისდა-
მი მოკრძალებისა. პატივისცემისა და მოკრძალების ობიექტი იყო
ასევე ოჯახის უფროსი ასაკის ქალი, დედა...ასეთ ჩვევად ქცეული
დამოკიდებულება ისტორიული სიღრმიდან მომდიარე მოვლენაა.

დღეისათვის ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ახლებურად დადგა. გვ. ...ქალი მამაკაცის თანაბრად არის ჩაბმული საზოგადოებრივ და საოჯახო საქმიანობაში; ზოგჯერ უფრო მეტადაც მონაწილეობს ოჯახური ცხოვრების მატერიალური საფუძვლების განმტკიცებაში.“ ამ ცვლილებებიდან გამომდინარე „ცვლილებათა პროცესი შეეხო ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებულ ტრადიციებსაც, რადგან ტრადიცია, როგორვ განვითარებადი სოციალური მოვლენა წაესულისა და აწმყოს ეთულ და ისტორიულად ცვალებად მოვლენათა კომპლექსს უკავშირდება.“(გეგეშიძე 1978: 142- 143).

ოჯახი მორალზე დამყარებული ერთობაა, სადაც ზნეობრივ თვალსაზრისზე დაყრდნობით ყალიბდება მისი წევრების თვითიდენტიფიკაცია და ოჯახის შემადგენლობაში მათი ემოციური ჩართულობა.

ოჯახის საბაზისო ფუნქციაა მომავალი თაობის სოციალიზაცია და უფროსი წევრების პიროვნული სტაბილიზაცია. სოციალური ურთიერთმოქმედების სისტემის მოქმედების სისტემის წონასწორობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მექანიზმად მოქმედების სფეროების ფუნქციონალური დაყოფა ე. ი. როლების დიფერენციაცია ითვლება. ყოველ სოციალურ სისტემის არსებობისათვის აუცილებელია ინსტრუმენტული და ექსპრესიული ფუნქციის შესრულება. ინსტრუმენტალური ფუნქცია უზრუნველყოფს სისტემის-ოჯახის არსებობის საშუალებებსა და ურთიერთობას გარე სამყაროსთან. ექსპრესიული ფუნქცია ოჯახის შიგნით წევრთა ინტეგრაციის მხარდაჭერაში, ურთიერთობის მოდელირების დადგენასა და რეგულირებაში გამოიხატება (არსონს 1956: 78).

თავისუფლება არ ნიშნავს თავგასულობას და არც დემოკრატია დემაგოგიას. დღეს ეს ყველას დავიწყებული აქვს და მათთვის სამშობლო, ზნეობა, სულიერება წარსულის კარგი ტრადიციები თუ უფროს-უმცროსობა დაცინვა- გამასხარავების, ჩამორჩენილობის წარსულში ჩარჩენის, უვისობის სიმბოლოდ იქცა.

ბავშვის ნორმალური აღზრდა-განვითარება დიდად არის დამოკიდებული ოჯახზე. ბავშვის აღზრდაზე არა მარტო იჯახი, არამედ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები დად გავლენას ახდენენ. ადამიანები ყოველგვარი იდეებისაგან თავისუფალნი იბადებიან და მას აღზრდის პროცესში ოჯახისაგან და საზოგადოებისაგან იძენენ. ბავშვი დაუწერელი სუფთა დაფაა და იმას ითვისებს, რასაც ხედავს მის გარშემო ოჯახსა და საზოგადოებაში. ბავშვის მორალურ-ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი არა მარტო საზოგადოების, არამედ ოჯახის წევრთა შორის არსებული მო-

რალურ-ზნეობრივი ურთიერთდამოკიდებულების ტრადიციები იყო.

„მომავალი თაობის აღზრდა ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი სფეროა. ჩვენი ბავშვები ჩვენი ქვეყნის მომავალი მოქალაქეები, მამები და დედები არიან. ჩვენი ბავშვები ჩვენი მოხუცებულობაა. ცუდი აღზრდა მომავალი მწუხარებაა, ჩვენი დანაშაულია სხვა ადამიანთა წინაშე, მთელი ქვეყნის წინაშე.“ [მაკარენკო 1950: 45.]

„შინაურ აღზრდას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს და მშობლების მაგივრობა ამ საქმეში სხვას არავის არ შეუძლია. ერთი სიტყვით, ჩვენ გაბედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი თაობის ბედიღბალი, უპირველეს ყოვლისა შინაურ აღზრდაზეა დამოკიდებული და უმისოდ ვერც ერთი სკოლა, რაც უნდა კარგად იყოს მოწყობილი, ვერას გახდება. ჩვენი ერის სიბრძნეს დიდად გამოუხატავს თავისი შეხედულება და აზრი ამ საგნის შესახებ: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე..“ (გაზ. „ცნობის ფურცელი,“ № 1663, 1901) სწორ აღზრდაზე „დიდად არის დამოკიდებული საზოგადოების მომავალი. ჯერ ერთი, რომ ეს საკითხი დიდად საყურადღებო საკითხია, ვინაიდან აღზრდის სიავკარგეზე დამოკიდებულია ბავშვის მომავალი ბედი, მასზე პირდაპირ დამოკიდებულია თვით ბედი მთელის საზოგადოებისა მთელის ერისა.“ (გაზ. „ცნობის ფურცელი,“ № 6988. 1901).

რაც შეეხება საზოგადოებას, იგი ვალებულია ოჯახიდან გამოსული ახალი თაობის აღზრდა მიმართოს არა კარჩაკეტილობისაკენ, არა ეგოიზმისაკენ, არა გაუცხოებისაკენ იმ დევიზით „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა,“ არამედ იმ სულისკვეთებით, „ყოველი დღე ჩემს თავს ვკითხო აბა დღეს მე ვის რა ვარგე.“ აქედან გამომდინარე, მომავალი თაობა რა სულისკვეთებით აღიზრდება, ეს დამოკიდებულია არა მარტო ოჯახზე, არამოდ საზოგადოებაზეც. ეს ორი სოციალური ინსტიტუტი თანაბრად არის პასუხისმგებელი მომავალი თაობის ნორმალურ აღზრდა-ჩამოყალიბებაზე.

მომავალი თაობის მორალურ–ზნეობრივი აღზრდა და ოჯახში მორალურ–ზნეობრივი სიწმინდის დაცვა ძირითადად და უშუალოდ ოჯახის დიასახლისის–დედის უპირველეს მოვალეობას შეადგენს. რადგან ოჯახი საზოგადოების მიკროსახეა, ამიტომ თუ ოჯახი უზნეო–ამორალურია შესაბამისად საზოგადოებაც მორალურ–ზნეობრივად უზნეო–ამორალურია. მ. წერეთელის შეხედულებით: „ზნეობა , მორალი არ არის გარეშე საზოგადოებისა, ადამიანთა საერთო ცხოვრებისა....ზნეობა არის მოწესრიგება ადამიანთა ყოფა–ქცევისა, ურთიერთისადმი და პიროვნებისა, ადამიანთა შორის. მისი მოძრაობაც–მუდმივი ძებნაა ახალ ღირებულებათა, რომელთა

დამკვიდრება მორალურ ნორმად აგრეთვე წარმოუდგენელია გარეშე ადამიანთა საერთო, მოწესრიგებულ ცხოვრებისა“ (ჭავჭავაძე 1965: 47–480. აღნიშნულს ჩვენ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ეს ვერ მოხდება კონკრეტულ ოჯახში დამკვიდრებულ–დაცულ მორალურ–ზნეობრივი ნორმების შეთვისების გარეშე, რაშიც ოჯახში დედის როლი განუზომელია.

გარდა ოჯახის შიდა ეკონომიკური მდგომარეობის მოწესრიგებისა, უდიდესია დედის–დიასახლისის როლი მომავალი თაობის სოციალიზაციის სფეროში, რადგან იგი არის ღირებული მემკვიდრეობითი ფასეულობებისა და უნარ–ჩვევების ძირითადი გადამცემი. მის მოვალეობის წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორის, ოჯახის წევრთა (განსაკუთრებით ერთი მხრივ ახალ თაობათა და მეორე მხრივ მშობლებსა და შვილებს) შორის ნორმალური ურთიერთგანწყობის ატმოსფეროს შექმნა და დარეგულირება. მ. წერეთელის აზრით „მთელი კრებული ამ განწყობილებათა წარმოადგენს ოჯახის სოციალურ ორგანიზაციას.... კერძო ფორმა და შონაარსი ოჯახის შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ეს ზემოთ განმარტებული (განწყობა ერთი თაობის შიგნითა და მშობლებსა და შვილებს შორის – თ. ი.) მისი თვისება იგივე უცვლელი რჩება ოჯახის ცვალებად ფორმებში, დროისა და სივრცის, ხასიათისა და კულტურათა მიუხედავად....ეს არის ოჯახის წმინდა სოციალური მხარე“ (წერეთელი 1989: 44).

ი. ჭავჭავაძეს ქვეყნისა და ერის წინაშე ოჯახისა დედის, როგორც მომავალი თაობების აღმზრდელის ფუნქცია, ძირითად და წმიდათა წმიდა ღვთიურ მოვალეობად მიაჩნია. მომავალი თაობის თავისუფალი აღზრდა არაა თავისუფალი აღზრდა, როცა ჩვენ ჩვებს შვილებს ვზრდით იმ ფსიქიკით, რომ როგორც თავისუფალმა ადამიანმა საზოგადოებისა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინების გარეშე უნდა აკეთოს ის რაც უნდა და როგორც უნდა. ზოგიერთ ვაილიბერალ–კოსმოპოლიტს ადამიანის პიროვნული თავისუფლება ასე ესმის: ჩვენს შვილებს არ ვეუბნევი, გაგაჩინეთ იმოსათვის, რომ სამშობლოს გმირულად უმდა შეეწირო. მე ვეუბნები, რომ თქვენ დაიბადეთ და გაგაჩინეთ ამ ქვეყანაზე, რომ იყოთ თავისუფალნი და ბედნიერნი; ყველა საკითხზე გააკეთოთ თავისუფალი არჩევანი; თუ თქვენი არჩევანი იქნება გინდ სამშობლოს შეეწირებით, გინდ თქვენს პროფესიას, რასაც გინდათ.

იქ სადაც აღარ არსებობს თაობებს შორის კავშირი, იქ სადაც აღარ არსებობს მუდმივი დიალოგი თაობებს შორის, ვეღარც ნორმალური საზოგადოება განვითარდება და ვეღარც ნორმალური სახელმწიფო აშრნდება. ოჯახის დისკრეტიზაციის ნაწილი იყო იმ დიდი გეგმისა, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო საქართვე-

ლოს მოსახლეობის ახალ რჯულზე მოქცევა. ყოველივე ეს სადღაც ცხრა მთას იქითგასაიდუმლოებულ ლაბორატორიებში იწერებოდა მათ შორის ქართველი ხალხის დაკაბალებისა და დაჩმორების გეგმები.მისი ნაჭილი წარმატებით განხორციელა თითქმის სარწმუნოებრივად გახლეჩის გზით. დღეს სხვადასხვა ხრიკებითა და ე.წ. პიროვნული თავისუფლების საბაბით გაძლიერებული შეტევა მიდის ქართულ ტრადიციულ ოჯახზე სახელმწიფოებრივი სიმტკიცის ერთ-ერთ ძლიერ საყრდენზე. ვიღაცა შეგნებულიდ წვავს ოჯახში თაობებს შორის არსებულ ხიდს. მათ კარგად იციან, რომ იქ სადაც არ არსებობს კავშირი თაობებს შორის, იქ სადაც არ არსებობს მუდმივი დიალოგი თაობებს შორის ვერც ნორმალური ოჯახი იქნება, ვერც ნორმალური საზოგადოება შეიქმნება და ვერც ნორმალური დამოუკიდებელი სახელმწიფო აშენდება.

სახელმწიფო რომელიც არ ეყრდნობა ოჯახის სულიერ ფასეულობებს და ღირებულებათა ფუნდამენტს ის სახელმწიფო ჰაერშია გამოკიდებული და მის დამოუკიდებლობა თუ თავისუფლება მხოლოდ ფარატინა ქაღალდზე რჩება. ოჯახიდან იწყება ადამიანის ადამიანად, მოქალაქედ საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბება. რაც ალხანა, ის ჩალხანა ანუ როგორიცაა ოჯახი, ისეთია სახელმწიფოც.

საქართველოში ქვეყნის სიძლიერე ყოველთვის იდგა ოჯახზე, ოჯახურ სიწმინდეებზე, მშობლებისა და შვილების ურთიერთ პატივისცემაზე, მეუღლეების ურთიერთ პატივისცემაზე. ეს არის ის ფასეულობა, რომელიც აძლიერებს ნებისმიერ სახელმწიფოს. არა მარტო საქართველოში, არამედ ნებისმიერ სახელმწიფოში ოჯახის სიძლიერე და სიწმინდე ითვლება სახელმწიფოს სიძლიერის საწინდრად..ამ პატარა ორგანიზმში ყვავდება და იფურჩქნება საზოგადოების მომავალი წარმომადგენელი. ზრდილობა, ზნეობა, ეთიკა, კარგი ქცევა ოჯახში ყალიბდება. დიახ, სწორედ, რომ ოჯახში სწავლობენ უფროსებისადმი პატივისცემას, პატარებისადმი გულისხმიერებას, მეგობრებისადმი გულითად და ჰუმანურმოპყრობას. ბაბუასადმი და ბებიასადმი კეთილგანწყობას, დედისას და მამისპატივისცემას, თანატოლებთან ჰუმანურ მოქცევას. სურგძელი ადამიანისაზოგადოებაშიც ამ ამამაღლებელი თვისებებით დაიმკვიდრებს თავს. თუ ადამიანიოჯოახში სათნოებას არის მოკლებული და არ იღებს შესაბამის აღზრდას, საზოგადოებას პრობლემას უქმნის.

„საოჯახი საზოგადოებრივ ტრადიციებში ზნეობის, ეთიკის, ესთეტიკის, ჰუმანიზმის და სხვა სოციალური კატეგორიების მრავალი ისეთი თვისებაა ჩაქსოვილი, რომელთაც ბევრ შემთხვევაში შეიძლება ეტალონის მნიშვნელობა ჰქონდეს და, მაშასადამე, ახალ-

გაზრდობის აღზრდის პროცესში დიდ როლს თამაშობდეს."(გეგეშიძე 1978: 14). აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა გავაანალიზოთ არა მარტო „თუ როდის წარმოიშვა ესა თუ ის მოვლენა, არამედ ისიც თუ რამ განაპირობა მისი წარმოშობა, მისი დანიშნულება, არსი და ფუნქცია; რა შინაარსობრივი ცვლილებები განიცადა წარმოშობისა დაშემდგომი არსებობის პერიოდში, რა სახით მოაღწია ჩვენამდე და როგორ ფუნქციონირებს ის დღეს" (იველაშვილი 1999: 300).

ხალხური უფროს-უმცროსობის ეტიკეტის ტრადიციებისა და წეს-ჩვეულების ბუნების, მისი სტრუქტურის, განვითარების ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი როლის ობიექტურად აღქმა ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების მოვლენათა კომპლექსურად არსებობაზე.

ე. წ. „თავისოფლების მოტრფიალეებისათვის" სრულიად მიუღებელია უფრო სწორედ გაუგებრია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება საშუა;ებაა ადამიანის, როგორც ადამიანის ჩამოყალიბებისათვის, მასში ჭეშმარიტი ადამიანური ღირებულებების ჩანერგისათვის და არა თვითმიზანი. სწორედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ვლინდება, რომ ადამიანი მით უფრო ღირებულია რაც უფრო მეტად შეუძლია დაუმორჩილოს თავისი პირადი „მე" სხვა ღირებულების მატარებელ მოვლენებს – ოჯახს, მეგობრებს, საზოგადოებას ქვეყნის ინტერესებს (ჭავჭავაძე – 1965: 173).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხალხური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულების ბუნების, მათი სტრუქტურის, განვითარების ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი როლის გაგება ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების მოვლენათა კომპლექსურად არსებობაზე. ყოფითი კულტურის ერთ-ერთი ელემენტი უფროს-უმცროსობის ეტიკეტი მრავალი ობიექტური ფაქტორების ურთიერთმოქმედების შედეგად წარმოქმნილ დანაშრევებისაგან შედგება. წარსულის პროგრესიული ტრადიციებისა და ახალი თანამედროვე ფორმების სინთეზის საფუძველზე ახალი ეთიკური ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ე. წ. „ძველ" ტრადიციებში ძალიან ბევრი ისეთი ელემენტია შემორჩენილი, რომელსაც თანამედროვე სოციალური პროგრესის განვითარება-განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა „ისტორიული ფაქტების ცოდნისა და სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული სისტემის ხასიათისა და პრინციპის სწორი წარმოდგენის შემთხვევაში, შეუძლებელია სანაგვეში მოისროლო შენი უძველესი კულტურა და საკუთარ თავ-

ზემოირგო დსავლური უნიფორმა.“ (გერგაია 2015: 22).

საუბარს ნინო ბურჯანაძის სიტყვებით დავამთავრებთ: ნინო ბურჯანაძე. „ქართული ოჯახის და მშობლებისადმი პატივისცემის დღედ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი,იმიტომ რომ საქართველოში ყოველთვის იდგა ოჯახზე, ყოველთვის იდგა ოჯახურ სიწმინდეებზე, ყოველთვის იდგა მშობლებისა და შვილების ურთიერთ პატივისცემაზე, მეუღლეების ურთიერთ პატივისცემაზე. ეს არის ის ფასეულობა, რომელიც აძლიერებს ნებისმიერ სახელმწიფოს. სახელწიფო, სადაც ოჯახური ფასეულობები ინგრევა, ძალიან მალე თვითონ წყვეტს არსებობას, რა თქმა უნდა საქართველომ პროგრესის გზით უნდა იაროს,მაგრამ ეს გზა დაფუძნებული უნდა იყოს არა უცხოეთიდან თავსმოხვეულ მითითებებზე, არამედ იმ ფასეულობებზე, იმ ტრადიციებზე, რომელმაც ჩვენ აქამდე მოგვიყვანა.“

გამოყენებული ლიტერატურა

გეგეშიძე 1978 – მ. გეგეშიძე ეთნიკური კულტურა დატრადიციები, „მეცნიერება,“ თბ., 1978

გერგაია, 1793 – პ. გერგაია, 1793- ბალადა თავისუფლებაზე, გამომცემლობა „უნივერსალი,“ თბილისი, 2015.

ვაჟა ფშაველა – ვაჟა ფშაველა

იველაშვილი 1999- თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებები საქართველოში, თბილისი, გამომც. „პროგრესი,“ 1999.

მაკარენკო 1950 – ა. მაკარენკო, რჩეული პპედაგოგიური თხუზულებანი, თბ., 1950.

სართანია 2002 – დ. სართანია ივანე ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები გამომცემლობა ”ენა და კულტურა” თბილისი 2002

ჭავჭავაძე 1989 – ი. ჭავჭავაძე, თხუზულებანი, გამომც. „“ თბილისი 1985.

ჭავჭავაძე 1965 – ნ. ჭავჭავაძე, ესთეტიკური საგნის ბუნებუსათვის, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბილისი, 1965.

წეეთელი 19.. – მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა „უნივერსიტეტის გამომცემლობა,“ თბილისი, 19..

გაზ. „ცნობის ფურცელი,“ № 6988. 1901,

გაზ. „ცნობის ფურცელი,“ № 1663, 1901,

არსონს 1956 – თ. არსონს, ღ. ალეს, ამილყ, შოციალიზატიონ ანდ Iნტერაცტიონ როცესს, ონდონ, 1956.

ნათია კალანდაძე

ქორწინება ზემო გურიაში (XX საუკუნე)

ზემო გურია მოიცავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიას, გურიის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მცირედით, მაგრამ მაინც გამოირჩევა განსხვავებული წეს-ჩვეულებებით: ნადი, კალანდა, დატირება- მიცვალებულის გაცილება, ქალის „გადანახულება“, ნიშნობა, მოსტუმრება, მისტუმრება, მზითვის მიტანა, აკვნის მიყვანა, ზედსიძედ შემოყვანა, ოჯახის გაყრა, შვილისთვის წილის მიცემა და სხვა. ჩვენი მიზანია გამოვიყენეოთ ეთნოგრაფიული მასალა, გავიხსენოთ ზემო გურიაში გავრცელებული ძველი და ახალი საოჯახო წეს-ჩვეულებები. შევაგროვოთ ხალხში შემორჩენილი მოგონებები, როგორ იყო ძველად და რა არის დღეს.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით გურულ გლეხთა ახალი ცხოვრების წესს ჩაეყარა საფუძველი. ახალმა ცხოვრებამ თან მოიტანა ცხოვრების ახალი წესი. შეიცვალა რა წარმოების ძველი წესი, დამყარდა ახალი საწარმოო ურთიერთობის ფორმები, რასაც მოჰყვა ცვლილებები საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფაში, ახალმა ცხოვრებამ ბევრი სიახლე მოიტანა, მაგრამ ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ამ სიახლეთა შიგნით დარჩა კიდევ სხვა ელემენტები ძველი ყოფიდან, რომელთა შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება [გ. ჯიბლაძე; 3, 1991].

ოჯახში საქმეებს ძირითადად უფროსები აგვარებდნენ ერთობლივად გეგმავდნენ და შვილების დახმარებით ახორციელებდნენ, ოჯახის თავი ქალი დასაქორწინებელი ვაჟის ბედზე ადრეულ ასაკიდანვე ზრუნავდა, მას სურვილი ქონდა ისეთი რძალი მოეყვანა, რომელიც მის საქმიანობას გადაიბარებდა და კარგად წარმართავდა.

მშობელთა უმრავლესობა ცდილობს, ერთ-ერთი ვაჟი ოჯახში დაიტოვოს, მშობლებისა და შვილების ერთად ცხოვრების ტრადიცია საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. ამ ტრადიციის მნიშვნელობა ოჯახის ფარგლებს სცილდება [გ. ცეცხლაძე; 21,1991].

სადედამთილო სარძლოს შესარჩევად ყველგან დადიოდა:

ქორწილში, დაკრძალვაზე, ნათლობაში, მდინარეზე საბანაოდ ჩასულ ქალებს ავლებდა თვალს, აბანოში და ყველგან, სადაც ახალგაზრდა ქალის ნახვა შეიძლებოდა. ნათესავ-მოყვრებში მოიკითხავდა და ერთი სიტყვით ყველა ღონეს ხმარობდა დრო არ დაეკარგა და კარგი სარძლო შეერჩია. მაჭანკალთან მოიკითხავდა. არანაკლებ აქტიურობდა ახალგაზრდა ასაკგადაშორებული ქალის გათხოვებაზე ოჯახი. დადიოდა მაჭანკალთან, გასათხოვარი ქალი გაპრანჭული დაჰყავდა ყველგან, სადაც მისი გადანახულება შეიძლებოდა, უგროვებდა მზითვს, ძალიან ჭირდა უმზითვო ქალის გათხოვება, ქალიშვილობაში ფეხშედგმული გოგონები თვითონვე ცდილობდნენ ნელა-ნელა შეეგროვებინათ საჭირო ნივთები, რომ სასურველი სასიძო დაინტერესებულიყო მისით. ბედის მაძიებელი ქალბატონები ჩუმად, ბედობა დღის საღამოს აცხობდნენ პატარა კვერებს (ერთი წილი მჭადის ფქვილი, ორი წილი მარილი), მიირთმევდნენ იმ იმედით, რომ ძილში სიზმრად საქმროს ნახავდნენ.

ზემო გურიაში, სიტყვა მაჭანკალი იმერეთიდან გადმოვიდა, ამ საქმის მიმდევარი ადამიანები, ასაკიანი ქალები იყვნენ და მათ „შუამავალი“ ერქვათ, ხანდახან „შომოულსაც“ უწოდებდნენ. გამოუუშვამალა, შვამავლობს, გამონაშვამავლები. მოხუცი ქალები ზემო გურიის მთიან სოფლებში ფეხით დადიოდნენ ძნელად სავალ ბილიკებზე, ბუნებრივია ხელჯოხი სჭირდებოდათ. ამიტომ იქ შემორჩენილ ხალხში დღესაც გაიგონებ: „რაია, აი ჯოხი, რომ დაგიკავებია ხელში, საშუამავლოდ მიხვალ?“

შუამავალს ქალ-ვაჟის შესახვედრად წინასწარი მომზადება ჭირდებოდა, რაც არ იყო ადვილი საქმე, დიდ ძალასა და მონდომებას მოითხოვდა. უფრო მეტად საქმე ჩუმი მინიშნებებით იწყებოდა. შეხვედრის ადგილი ძირითადად საყდარი იყო, დღესასწაულებზე წირვის დაწყებამდე, ჩუმად დაანახვებდნენ გოგო ბიჭს ერთმანეთს. იყო შემთხვევები ვიღაცის ამბის მიტანით საქმე იშლებოდა, რადგან იწყებოდა „გამოკვლევები“ ოჯახის, გოგო-ბიჭის ხასიათის შესახებ და ამ შემთხვევაში ხდებოდა უსიამოვნებები: ოჯახების დამდურება, წაკამათება.

საქმის კარგად მოგვარება შუამავლის „მარიფათზე“ დიდად იყო დამოკიდებული ორივე მხრიდან ერთი ძირითადი საკითხი უნდა გამოკვეთილიყო: რა შესაძლებლობა ქონდა გოგოს ოჯახს და რას მისცემდნენ მას მზითვის სახით, როგორ ნიშანს მოუტანდა ბი-

ჭი გოგოს.

შემდგომი ნაბიჯი ქალის ნახვა იყო. შუამავლის გეგმის მიხედვით დათქმულ დროს მიდიოდნენ ქალის ოჯახში. იქ იწონებოდა თითოეული სიტყვა, ხასიათი, გარეგნობა, სასიძოს ქება, დაპირებები. გოგოს ახლობლები პარალელურად ამოწმებდნენ ბიჭის ოჯახს, თუ გაითხოვებოდა ქალი იმ ოჯახში, სასიძოს ოჯახის დაწუნება, ხშირ შემთხვევაში სიდუხჭირე იყო.

საბოლოო გადაწყვეტილება იყო შეთანხმება, როდის ისტუმრებდა მომავალ მოყვრებს სადედოფლოს ოჯახი და მიიღებდა ნიშანს „შარნას“ გოგოსთვის. იყო შემთხვევები მეფე პატარძალი ნიშნობის დღეს ნახულობდნენ ერთმანეთს პირველად. ამ დღეს სასიძოს ოჯახის წევრები და ძალიან ახლობლები მიდიოდნენ გოგოს ოჯახში და მიჰქონდათ ნიშანი: ოქროსა და ვერცხლის სამკაულები და საჩუქრები: საკაბე ნაჭრები სხვადასხვა ხარისხის და შემადგენლობის, ოჩიფეხები და ქალამნები, აბრეშუმის თავსაფრები, შემდეგ პერიოდში სარძლოსთვის ნივთებს ყიდულობდნენ ე.წ გადამყიდველებთან სამტრედიასა და ქუთაისში, ინიშნებოდა ქორწილი და დგინდებოდა მაყრების რაოდენობა (რ. ბერიშვილის ნაამბობი).

იმართებოდა ქორწილი, ეს უკვე დიდი ეპოპეაა, --დაწყებული საკლავის ძებნიდან, დამთავრებული ეზოს ჭიშკარზე მიდგმულ სუფრამდე, სადაც გამთენიეს ქორწილის დასასრულის ყანწი უნდა დალეულიყო. ჭიშკარი გაიღებოდა მაშინ, როცა ტოლიბაში (თამადა) ბოლო სადღეგრძელოს დაასრულებდა. ცხენზე ამხედრებულ მაყარს შამფურს მიაწოდებდნენ, შამფური--თხილის კანგაცლილი საშუალო (თითის სიმსხო) ზომის ჯოხი, რომელზეც აცმული იყო, გოჭის თავი, მთლიანი ხაჭაპური, მშრალი ხორცი (საქონლის ბეჭის ნაწილი), მოხარშული ქათამი, ოჯინჯალზე შებოლილი სულგუნი, ჭადი, თევზი, დროის შესაბამისად ნანადირევის ხორცი, ხშირ შემთხვევაში დაშაშხული შაშვი ან რომელიმე ჩიტი.

ქორწილისთვის საჭირო იყო თავი კაცისა და ქალის შერჩევა, რომელებიც უხელმძღვანელებდნენ ქორწილის მსვლელობას და მასთან დაკავშრებულ ყველა საქმიანობას. ირკვეოდა რამდენსულიანი იყო ქორწილი, დგებოდა მოსაწვევი ხალხის სია, შესაძენი პროდუქტის სახეები და რაოდენობა. ნაწილდებოდა საქმე. თამადას წინასწარ შეუთანხმედებოდნენ, რომ იმ დღეს დაკავებული არ ყოფილიყო. მეზობლის ქალები ოჯახის ქალთან იყვნენ ვალდებუ-

ლები, ქორწილისთვის მოუკითხავდნენ თითო ფრთა ქათამს, მეწ-ველი ძროხა ვისაც ყავდა შეუგროვებდა ყველს, ერთი სიტყვით ვი-საც რა საშუალება ქონდა ერთმანეთს ეხმარებოდნენ, დახმარების სურვილი და აუცილებლობა ოჯახის „გავალებაზე“ იყო დამოკი-დებული. თუ ოჯახი არ გამოირჩევა სხვისი დახმარებით მასაც არ ეხმარებოდნენ.

ეზოებში იშლებოდა სეფა, გამოანგარიშებული იყო ქორწილს, რამდენი და რა ფორმის ჯამ--ჭურჭელი სჭირდებოდა, ახალგაზ-რდა ბიჭები წინასწარ დადიოდნენ გოდრებით მეზობლებში აგრო-ვებდნენ საჭირო ნივთებს. თანდათან ფორმა უფრო დაიხვეწა, აგ-როვებდნენ ფულს ყიდულობდნენ საზიაროდ ჯამ-ჭურჭელს ინახე-ბოდა ერთ ოჯახში, რომელიც უცხო პირებზე სეფას აქირავებდა.

თავი კაცი ოჯახის უფროსთან შეთანხმებით ადგენდა სიას ვის რა ევალებოდა, მეზობლები ქორწილამდე 10 დღით ადრე მიდიოდ-ნენ დასახმარებლად, მზარეული რომელზეც ბევრი, რამ იყო დამო-კიდებული პირველად შეშას მოიკითხავდა, კეცის გასახურებლად სასურველია რცხილის ხის ყოფილიყო ნაკვერჩხალი ქონდა კარგი, საცივი გამოცდილ ქალს უნდა მოემზადებინა, „პროფესიონალი“ აუცილებლად საღამოს დაიწყებდა მზადებას, როცა მეზობლის დამხმარე ქალები წავიდოდნენ და მარტო ოჯახის ქალები რჩე-ბოდნენ, ღომის დამამზადებელი, ფხალის შემკაზმველები გაზაფ-ხულზე „ეკალა“, „ჭყიმე“ და „ჭიჭვი“ ფხალი აუცილებელი იყო. თევშების მრეცხავი, მერიქიფეები მათ დოქებს ღვინის ჩამომსხმე-ლი უვსებდა, სუფრასთან სადილის მიმტანები (სუფრის გამრიგეე-ბი) ზრდილობიანები, კარგი მოლაპარაკეები, სტუმარს ისე გამას-პინძლებოდნენ ოჯახი არ შეერცხვინათ. სუფრისთვის წინასწარ შერჩეულ დასაკლავ საქონელს, რომ დაკლავდნენ „შიგნეულობის“ მასალასაც სპეციალისტი ჭირდებოდა გასაწმენდად, ყველას არ ანდობდნენ. გოჭების დაკვლის დროს ქალები ინაწილებდნენ ე.წ კვეთს (შიგნეულობის ერთ-ერთი ნაწილი) ამუშავებდნენ ამზადებ-დნენ კვეთს ყველის ამოსაყვანად.

მანქანები მანამ ცხენებს შეცვლიდა საჭირო იყო სტუმრის-თვის ცხენის ჩამორთმევა და წინასწარ შერჩეულ ადგილას დაბმა. ფულის დამწერები, რომლებიც ისხდნენ, წერდნენ ფულს ვინ, რამ-დენით შეეწეოდა ოჯახს. ფულის დამწერებთან გაშლილი იყო სუფ-რა, ისინი ეუბნებოდნენ ფულის დასაწერად მისულ ხალხს დაელო-

ცათ ოჯახი. მაგიდებზე გადასაფარებელი სუფრები მეზობლებს მოჰქონდათ. ქორწილში მაყრად რჩეულებს, წარმოსადეგებს, შეხედულებით გამოირჩეულებსა და კარგი სიტყვა-პასუხის მქონეებს არჩევდნენ, მამაკაცები ღვინის მსმელები და კარგი ქცევისანი უნდა ყოფილიყვნენ. ახლო ნათესავებში თუ არ მოიძებნებოდა შესაფერისი მაყრად წასაყვანი, მიკითხავდნენ სოფელში და სთხოვდნენ მაყრად წაყოლოდა. „წაყვანის“ ე. ი ქალის გათხოვების ქორწილი დღის პირველ ნახევარში ინიშნებოდა, რადგან „მოყვანის“ ბიჭის ქორწილში მაყარი დროულად მისულიყო ხელის შეშლა არ ყოფილიყო. ზემო გურიის კრიმანჭულივით ჩახვეულ გზებზე შეზარხოშებულ მექორწილეებს მშვიდობიანი გზით ევლოთ. ხშირად გზაზე ორივე მხარეს პატარ--პატარა კოცონებს ანთებდნენ გზის გასანათებლად. ამ საქმისთვის ერთი ადამიანი იყო გამოყოფილი, რომელიც ბავშვებთან ერთად ხალისით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. გვიან შემოდგომასა და ზამთრის სუსხიან დღეებში მექორწილეები კოცონზე ხელ-ფეხსაც ითბობდნენ.

ქორწილში სიძის მისვლამდე „მახარობელს“ უშვებდნენ, რომელსაც ოჯახში ამბავი მიჰქონდა, რომ სიძე გზაში იყო და მალე მივიდოდა. მახარობლის როლს, ბავშვებიც ირგებდნენ, მაღალ ადგილას ავიდოდნენ, ხშირ შემთხვევაში ხეებზე ძვრებოდნენ და გახარებულები ყვიროდნენ,-- მოდიან, მოდიან. ორივე ადგილას გოგოსა და ბიჭის მახარობლებს პირმომცინარი, ტკბილად მოსაუბრე ასაკოვანნი ხვდებოდნენ, რომლებიც მასპინძლის ოჯახს აქებდნენ.

ოჯახში შესულ სიძეს პირში ტკბილეულს ჩაუდებდა ოჯახის უფროსი ქალბატონი. მიიწვევდა სასტუმრო ოთახში, სადაც ტკბილეულით სავსე მაგიდასთან ელოდებოდა დედოფალი, ნათესავ მოკეთეებთან ერთად, იწყებოდა მილოცვები ჯერ მაყრები, შემდეგ ახლობლები და ნათესავები.

თავიკაცი როცა სეფაში საქმეს მოაგვარებდა (სუფრას გაშლიდნენ), მეფე-დედოფალს სუფრასთან მიწვევდა სტუმრებთან ერთად. მექორწილეებს, რომ მოათავსებდა (მაყრებისთვის განკუთვნილი სუფრა წინასწარ იცოდნენ), თამადას წარუდგენდა სტუმრებს. თამადა ქორწილის დაწყებამდე შეჰყავდა თავიკაცს ცალკე ოთახში, წაახემსებდა, სუფრასთან ღვინო რომ არ მოკიდებოდა. მაყრებს თხოვდა, თამადას გაცნობოდა ვინ იქნებოდა მისი ალავერდი, სადღეგრძელოს შესმის, შემდეგ ვისთვის გადაეწოდე-

ბინა შევსებული სასმისი. სუფრებს შორის შევსებული სასმისის გადასატანად სპეციალურად გამოყოფილი იყო წარმოსადეგი ვაჟკაცები. იყო შემთხვევები ცუდ ამინდებში სეფაში წვიმა ჩამოდიოდა, საკმაოდ ატალახებულ სეფაში, მაგიდებს შორის გადაადგილება ჭირდა, მაგრამ ეს შემთხვევები ხელს არ უშლიდა ქორწილის ხალისიან მსვლელობას. მაგიდებს შორის მხიარულად მოთამაშე ბავშვები და სუფრის ქვეშ შემძვრალი ძაღლებიც ბლომად იყო. ძაღლების გასარეკად ერთი ადამიანი იყო გამოყოფილი. სოფელში, როცა ახალგაზრდა, მოხუცს დაეხმარებოდა ის მადლობას გადაუხიდიდა და დააყოლებდა: ბაბუა სხვა თუ არაფერი შენც ქორწილში ძაღლებს მაინც გავრეკავო. ქორწილი, მხოლოდ ერთი ოჯახის ზეიმი არ იყო, ასაკის მიუხედავად, ვისაც რა ფიზიკური საშუალება ქონდა მისი მცირედი წვლილი შეჰქონდა ამ დიდი ღონისძიებაში.

მახარობელს დალევისაგან თავი უნდა შეეკავებინა, თუ მიხვდებოდა, მეფე დედოფალსა და სტუმრებს ბიჭის ქორწილში დააგვიანდებოდა, თამადასთან მივიდოდა და სთხოვდა, სადღეგრძელოები სწრაფად, ერთმანეთზე მიყოლებით შეესვა. დროულად მისულიყვნენ სიძის ოჯახში. სიძე რაოდენობრივად რამდენ მაყარსაც მიიყვანდა დედოფლის ოჯახში, იმ რაოდენობაზე ორჯერ მეტი მაყარი წაყვებოდა დედოფალს. სუფრის გასამხიარულებლად მომღერლებს „დამკვრელები“ მეფე აგზავნიდა დედოფალთან, მახარობელი დამკვრელებს ეუბნებოდა როდის აელაგებინათ თავიანთი მუსიკალური ინსტრუმენტები და წასულიყვნენ სიძის ოჯახში. როცა სოფელში ყველა მღეროდა სუფრის გასართობად, ქეიფის გასახურებლად დაქირავებული მუსიკოსები არავის სჭირდებოდა, სუფრები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სიმღერასა და ცეკვა თამაშში. სახალხო მთქმელები ექსპრომტად გამოთქმულ ლექსებს ამბობდნენ და იყო დიდი ლხინი და დროსტარება.

იგივეს აკეთებდნენ ბიჭთან, დედოფალს დედამთილი პირში ტკბილეულს ჩაუდებდა, სიძის ოჯახში მისულს კარებში იატაკზე თეფშს ახვედრებდნენ ჩაბრუნებულს, რომელიც ფეხით უნდა გაეტეხა მეფე პატარძალს. გასათხოვარი ქალები თეფშის ნატეხს იპარავდნენ, საღამოთი ბალიშის ქვეშ იდებდნენ იმ იმედით, სიზმარში მომავალ საქმროს ნახავდნენ. ზოგჯერ გასათხოვარი ქალის დედებიც იპარავდნენ ნატეხს, შვილისთვის მიჰქონდათ.

ქორწილიდან გარკვეული პერიოდის, შემდეგ ქალი „თავის სახლში“ მისივე ნებით ვერ წავიდოდა წესი იყო ასეთი, რომ ოჯახს მისტუმრება უნდა გაეკეთებინა. მიდიოდნენ ქალის ოჯახში ვაჟის ნათესავები, მასპინძლის ყველა წევრისათვის მიჰქონდათ საჩუქარი, აკვნის ბავშვიდან დაწყებული ოჯახის უფროს წევრზე დამთავრებული. მეფე-დედოფალი გარკვეული პერიოდი მინიმუმ 2 კვირა, ქალის ოჯახში უნდა დარჩენილიყვნენ, იგივეს აკეთებდა სიძის ოჯახი, მას უნდა გაეკეთებინა მოსტუმრება და ოჯახში მოეწვია რძლის ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები, ქორწილს, როგორც წესი მშობლები არ ესწრებოდნენ. ქალის ოჯახსაც მოჰქონდა საჩუქრები მასპინძელთან აქაც ოჯახის ყველა წევრისთვის.

ამ დღეს მზითვის მიტანა ხდებოდა, რომელსაც ზემო გურიაში „გვზითი“-ც ქვიოდა, მზითვი დიდ როლს თამაშობდა გოგოს გათხოვებაში. ყველაზე დიდი მზითვი იყო მიწა, რომელსაც ნაკლებად, მაგრამ მაინც აძლევდნენ ქალიშვილს. იყო შემთხვევები სიძეს ცხენსაც ჩუქნიდნენ (ეს ხდებოდა თუ დედოფალი სამეგრელოდან იყო), თუ ოჯახი დაიშლებოდა ქალის უკან დაბრუნების შემთხვევაში, სიძის ოჯახი ფულს იხდიდა მიწაში. მზითვის მიტანა ხდებოდა სწორედ მოსტუმრების დღეს მზითვში შედიოდა: ავეჯი, საკერავი მანქანა, ხელჭურჭელი: თიხის დოქები, კოჭობები, ქოთნები, სკივრები, სამფეხა სკამები, სპილენძის მოკალული ქვაბები, შუაცეცხლზე ჩამოსაკიდი ჯაჭვი, სუფრის სხვადასხვაგვარი ჭურჭელი, ქვეშაგები და სხვა. შემდეგ პერიოდში ქალს აუცილებლად უნდა მიეტანა საძინებელი ოთახის მოწყობილობა თუკი ამ ყველაფერს ქალის ოჯახი ვერ მისცემდა დედოფალს, რაც არ უნდა კარგი დიასახლისი გამომდგერიყო, მაინც დაჩაგრულად გრძნობდა თავს. იყო შემთხვევები, როცა ოჯახი გოგოს მზითვს ვერ აძლევდა, სიძის ოჯახში მორიდებით ამბობდა, რომ აკვნის მოყვანაზე მიიტანდა მზითვსაც. მზითვის მიტანა ხდებოდა ურმით, თუ საურმე გზა არ იყო, მაშინ ცხენებზე შეკიდული წკეპლისგან დაწნული ძაროებით. ურმები თანდათან მანქანებმა შეცვალა. გათხოვილი ქალის პატივსაცემად ოჯახი ყოველწლიურად წელიწადში ერთხელ არჩივს უგზავნიდა, ან მიჰქონდა მას არჩივში შედიოდა გოჭი, ქათმები, ყველი, ხბო და სხვა სურსათ სანოვაგე. მშობლების გარდაცვალების შემდეგ გათხოვილ ქალიშვილს ოჯახში დარჩენილი ძმა უკეთებდა არჩივს (ლ. ცინცაძის ნაამბობი).

ოჯახში თუ ორი ვაჟი ცხოვრობდა, გარვეული პერიოდის შემდეგ ოჯახი გაიყოფოდა. ოჯახის გაყრის დროს ზოგიერთი ნაკვეთის განუყოფელად დატოვება, მიწის ნაკვეთების ერთობლივი ყიდვა, გურიის მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენდა მიწის ნაკლებობა, გაუყრელ ოჯახში მზითვს საერთო ქონებიდან გამოყოფდნენ, ხოლო ოჯახის გაყრის შემდეგ ქალის გამზითვება იმ ოჯახის მოვალეობას შეადგენდა, რომელშიც იგი ცხოვრობდა, სხვა მოწილეეების თანხმობით მზითვს მამა ან მისი გარდაცვალების შემდეგ უფროსი ძმა გამოყოფდა [გ.ცეცხლაძე; 1991, 43].

კომუნისტური რეზიმის მკაცრ პირობებში ეკლესიაში ჯვარს არავინ იწერდა. დღეის მდგომარეობით ქორწილის დღეს სიძე მიაკითხავს დედოფალს, წაიყვანს ტაძარში, დაიწერენ ჯვარს და წინასწარ ჩამოწერილი გეგმის მიხედვით გააგრძელებენ ქორწილის მსვლელობას.

ნანული ნოღაიდელი

მოტივაციის საკითხისათვის აჭარული დიალექტის ლექსიკაში

აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკის მასალებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მასში შესულია ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ბევრი ისეთი სიტყვაც, რომელთაც, ძირეულ მნიშვნელობასთან ერთად, რომელიმე სამეურნეო დარგთან თუ სოციალურ ყოფასთან დაკავშირებული სიტყვა-ტერმინის მნიშვნელობა შეუძენიათ.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, „ზოგიერთი სიტყვა, სემანტიკური თვალსაზრისით, მარტივია, გარკვეული ბგერადობის ცალსახა შეერთებას წარმოადგენს სრულად გარკვეულ შინაარსთან. ამგვარი ბუნებისაა, პირველყოვლისა, ტერმინები. ტერმინი არის საგანგებოდ შემუშავებული ან ნასესხები, ან კიდევ, საგანგებოდ გამოყენებული სიტყვა სპეციალური მეცნიერული ცნების ზუსტად გამოსახატავად ან სპეციალური საგნის აღსანიშნავად“ (ფორჩხუა, 1974:163).

დიალექტში ასეთ სიტყვათა ჯგუფში ერთიანდება სხვადასხვა დარგში ტერმინებად გამოყენებული ისეთი ლექსემები, რომლებიც დაკავშირებულია მიწის დამუშავების, მშენებლობის, რძის და რძის პროდუქტების დამზადების, ფეიქრობის, გართობა-თამაშობების თუ სხვა დარგთა ლექსიკასთან და აღნიშნავენ ცალკეული ნივთის, ხელსაწყოს, ხელსაწყოს ნაწილის თუ სხვ. სახელებს. ამ სიტყვებს, როგორც აღვნიშნეთ, ძირეული მნიშვნელობები აქვთ, მაგრამ დიალექტის დარგობრივ ლექსიკაში მათი დამკვიდრება მოტივირებულია ნივთის, საგნის ძირითად ობიექტთან გარკვეული მსგავსებით ან მსგავსი დანიშნულებით გამოყენებით. მოტივაცია კი ენაში სიტყვის პოლისემიურობას იწვევს, ე.ი. მოტივაცია გზაა სიტყვის პოლისემიურობისაკენ; პოლისემია კი გულისხმობს, რომ ერთი სიტყვით შეიძლება მიეთითოს რამდენიმე განსხვავებულ ობიექტზე.

პოლისემიის კვლევისას ენათმეცნიერთა წინაშე დგება ისტორიულ-ენათმეცნიერული საკითხი, თუ როგორ, რა კონკრეტულ პირობებში დაემატა სიტყვას ახალი მნიშვნელობა ან შემორჩა ძველი მნიშვნელობა ახალთან ერთად. „პოლისემია შედეგია საერთო ენაში იმ მნიშვნელობათა თავმოყრისა, რომელიც გააჩინა თავდაპირ-

ველი მნიშვნელობის განშტოებამ კილოებსა თუ სპეციალურ ენებში...მაგ., ბეჭი იმიტომაა პოლისემიური, რომ საერთო ენაში საერთოენობრივ მნიშვნელობას გვერდით ამოუდგა ფეიქართა შორის გავრცელებული მნიშვნელობა ამავე სიტყვისა“ (ფოჩხუა, 1974:40).

ფეიქართა ყოფაში გამოყენებული და სანიმუშოდ დასახელებული ამ ტერმინის (ბეჭი – ადამიანის ორგანო; ბეჭი – საბეჭდავი ხელსაწყო) მსგავსად, აჭარული დიალექტის საფეიქრო ტერმინოლოგია მდიდარია ამგვარი მოტივირებული სიტყვებით. მაგ.: ***დუნჩი, ტუჩი*** წინდის ის ნაწილია, რომელშიც თავსდება ფეხის თითები; ***კბილები*** ადამიანის კბილებივით ორრიგად განყობილი მახვილებია საჩეჩელის თავზე და მატყლის დასამუშავებლად გამოიყენება. ***ყური*** მატყლის ბეწვს აღნიშნავს (მაგ.: „ნამუცლი მატყლის მოკლე ყური აქ, ალაგულაა“; „უფრო გრძელყურა მატყლს დავართევდით“...). ყური სამიწათმოქმედო ლექსიკაშიც გამოიყენება და იგი მცენარის ახალამოღებული ფოთოლიცაა (მაგ.: „სიმინდის ახალამოღებული ფურცელი ყურია“).

პოლისემიურია, ასევე, ტერმინი ***ყელი***. საფეიქრო ტერმინოლოგიაში თუ იგი წინდის იმ ნაწილს აღნიშნავს, რაშიც წვივი თავსდება, სამშენებლო ლექსიკაში ფიცრის ან მორის თავში ან კიდეში ამოღარული ღრმა ზოლია, რომელშიც მაგრდება მეორე ფიცარი (მაგ.: „ღოჯის (კუთხე) ერთ ფიცარზე გეიჭრება ყელი, დამაგრდება კოტაზე (სოლი), შემდეგ ორივე მხრიდან ამოიჭრება ყელი და შეიქმნება ღოჯე“).

ჯიხვი საქსოვი დაზგის ნაწილია, ლილვის საბრუნავი მოწყობილობა, რომელსაც ჯიხვის რქებივით მოხრილი ჯოხები აქვს ჩამაგრებული („ლილვის ერთ კუთხეს ჯიხვია. იგი გამოხრეტილია და ამაში დამაგრებულია ჯოხი“).

ჩიტები, ჭიკჭიკებიც საქსოვი დაზგის ნაწილებია, დგიმების დასამაგრებელი და სწარაფად ასაწევ-დასაწევი გინგილები, თოკები, რომლებიც დგიმების ამოძრავებისას სასიამოვნო, ჩიტების ჟღურტულივით ხმებს გამოსცემს („დგიმები დეზგაში ჩიტებზე იყო ჩამობმული“).

საფეიქრო ტერმინოლოგიაში აქტიურად გამოიყენება, ასევე, ადამიანის კიდურებთან დაკავშირებული სიტყვები: ***თათი, ტერფი, ქუსლი, ცერი, წივი (წვივი), კვირისთავი*** და სხვ. ამ ტერმინთაგან გამოვყოფთ სიტყვას ***კვირისთავი***. იგი თითისტარის ბოლო,

მსხვილ წვერზე წამოგებული ჯამისმაგვარი მრგვალი, ნახვრეტიანი ნაწილია, რომელიც ამძიმებს თითისტარს და აადვილებს რთვის პროცესს. სახელი კვირისტავი კომპოზიტია, რომელიც ერთი არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით მეორე არსებით სახელთან შეერთებითაა მიღებული: **კვირის+თავი.** იგი, ჩვეულებრივ, ანატომიური ტერმინია და აღნიშნავს პატარა, მომრგვალებულ ჯამისებურ ძვალს, რომელიც მუხლის სახსრის წინაა მოთავსებული, აერთებს წვივისა და ბარძაყის სახსრებს და იფარავს მას (ნ.ქეგლ).

<u>კვირისთავის</u> შემადგენელი პირველი სიტყვა **<u>კვირი</u>** უნდა იყოს იგივე **<u>კირი</u>** (ვ-ს გაჩენა ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ ენაში). კირი ძველქართულში აღნიშნავს წვივს (ნ.აბულ.) კვირისტავი იგივე წვივისთავია.

როგორც უძველესი დროის თითისტარებისა და კვირისთავების მეცნიერული ანალიზიდან ჩანს, თავდაპირველად რთვის იარაღს ცილინდრული ან კონუსური ფორმის უკვირისთავო თითისტარი წარმოადგენდა, რომელსაც თავსა და ბოლოში წვერები ჰქონდა წამახული. შემდეგ იგი გაუმჯობესდა: გამოიგონეს თითისტარი, რომელიც ქვედა ნაწილში იყო გამსხვილებული. შემდეგში ესეც დაიხვეწა და მივიღეთ მისი ცალ-ცალკე გაყოფილი ფორმა. რთვის იარაღის უკვე გაუმჯობესებული სახეობა საქართველოში (თითისტარი და კვირისთავი) უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა, რაც არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება (ისაკაძე, 1970:67). ეს პერიოდი, როგორც არქეოლოგიური მონაცემებით დგინდება, აჭარის ტერიტორიაზე ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას ემთხვევა. ამ პერიოდში აქ უკვე დიდი რაოდენობით მზადდებოდა რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული ინვენტარი. ე.ი. აღნიშნულ პერიოდში ამ რეგიონში კარგად იყო განვითარებული ფეიქრობა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აჭარაში თითისტარს ***<u>ჩერიასაც</u>*** ეძახიან, ხოლო კვირისთავის სვანური სინონიმია ***<u>ჩერშდა</u>*** (ჭინჭარაული, 1987:57). ***<u>ჩერია</u>*** სამივე ქართველურ ენაშია ცნობილი. მიაჩნიათ, რომ იგი მოდის სიტყვიდან ***<u>ჩერანი</u>*** (შდრ. სვან. ჩერი/ჩერი), რაც „წვივის გნდე“, წვივის ძვალია (ნ.საბა). მთის დიალექტებშიც ჩერანი წვივს აღნიშნავს. აგებულებითაც და სემანტიკითაც ***<u>კვირისთავი</u>*** და **<u>ჩერშდა</u>** ერთმანეთს ფარავენ (ჭინჭარაული, 1987:58), ***<u>ჩერია</u>*** კი თითისტარის შესატყვისია.

მოტივირებული ტერმინები, ფეიქრობის ლექსიკის მსგავსად, გვხვდება სხვა დარგთა ლექსიკაშიც. მაგ., სალიტერატურო ქართულში ცნობილია, რომ სიტყვა ***ალაფი*** ლაშქრობაში ნაშოვნ ქონებას, ნადავლს აღნიშნავს („იანიჩრებმა გუნდ-გუნდად ახლო სოფლებისკენ ალაფის და ტყვეების საშოვნელად გაუტიეს“ – ნ.ქეგლ). აჭარულ დიალექტში, მესაქონლეობის ლექსიკაში ***ალაფი*** საქონლისათვის საზამთროდ მოგროვებული, ნაშოვნი საკვებია („ზამთარში ყველა საქონელი ჩათინია, თუ არ გაქ ალაფი“ – (ნოღაიდელი, 2013:82).

ქართულ ენაში ხალხური გონებამახვილური, მოკლე, რიტმული, ჩვეულებისამებრ, დამრიგებლობითი ხასიათის გამონათქვამი არის ანდაზა. („ბევრი ნათქვამი რუსთაველისა მშვენიერ ანდაზად გადაიქცა“ – ნ.ქეგლ). აჭარულში ***ანდაზას*** ეძახიან ქვაში, ხეზე, ნაქსოვში გამოყვანილ, სხვა ნიმუშიდან აღებულ სახეს, ორნამენტს („რაც რომ მოგწონდეს და გედეიღება, ანდაზა ქვია“; „კინთაით თენთენაებში (მაქმანი) ანდაზებს გამოვყვანდით“). სახის, ორნამენტის აღსანიშნად ხშირად გამოიყენება სახელი ***ყვავილიც***.

მებოსტნეობის ლექსიკაში თავისებური გამოყენება ჰპოვა სიტყვებმა ***ნემსი*** და ***ძაფი***. ***ნემსი*** ხელით საკერავი იარაღია, მაგრამ მებოსტნეობაში იგი ახალგამოსული ლობიოს ან სხვა პარკოსანი მცენარის სახელად გამოიყენება („ლობიაი აყვავდება, მერე დეინემსება – წრილ-წრილ ნემსებს გამეიბამს“).

ძაფი ხვიარა მცენარის ლერწია („ლობიაი ახალათ რომ ძაფს ამეიღებს, შავასობთ ხაშარს“). ძაფს ეძახიან, ასევე, ლობიოს პარკის ფხას, პწკალს, რომელიც გარჩევისას ძაფივით გამოეყოფა ლობიოს პარკს („ლობიო არის ღეჯაც, ძაფიანი...ბამბა ლობიას ძაფი არ აქ“).

აჭარული დიალექტის სამშენებლო ლექსიკაში მოტივირებულია სიტყვა ***ცერის*** გამოყენება. იგი აღნიშნავს სქელი ფიცრის კიდეს: „ფინის (იატაკი) ფიცრის ცერებს გახაზავენ, დაბურღავენ და მისცემენ ჩივებს (სოლი)“.

ბორკილი, ჩვეულებრივ, ის საგანია, (ჯაჭვი, თოკი...), რითაც ხდება ადამიანისა თუ ცხოველის მოძრაობის შეზღუდვა, შებოჭვა, მაგრამ ამ ტერმინს აქტიურად გამოიყენებენ ზემო აჭარაში მშენებლები. როგორც ცნობილია, ზემო აჭარაში საცხოვრებელი ხის სახლების მშენებლობა რელიეფის ხასიათის გათვალისწინებით

ხდება, რადგანაც სახლი ხშირად დამრეც, ფერდობ ადგილზე შენ-დება. ასეთ ადგილზე აშენებულ სახლს გარანტირებული მდგრა-დობა უნდა ჰქონდეს, რაც სწორედ ბორკილის მეშვეობით მიიღწე-ვა. ამიტომ ფერდობზე ასაშენებელ სახლს უნდა გაუკეთდეს ძირი-თადი საძირკვლის გასათანასწორებელი დამატებითი საძირკველი, ბორკილი, რაც კრავს საძირკველს და უზრუნველყოფს სახლის მდგრადობას.

<u>დიკა</u> ენდემური ჯიშის საგაზაფხულო ხორბალია, რომელიც მოჰყავდათ მთელ საქართველოში, მათ შორის აჭარაშიც. ამჟამად აჭარაში დიკა აღარ მოჰყავთ. მაგრამ სახელწოდება, ხორბლის ჯი-შის სახელთან ერთად, აჭარულმა დიალექტმა სამედიცინო ლექსი-კაში დაავადება წითურას სახელად შემოგვინახა: „დიკა თუ შეხთა ბაღანას, სამ დღეს სიცხეს მისცემს, სამ დღეს გამუაყრის, მერე სამ დღეში ჩახრის (გაუქრება) გამონაყარი“. წითურას სახელად ტერ-მინ დიკას გამოყენება, ვფიქრობთ, მოტივირებულია იმით, რომ დიკა უხვთავთავიანი და მოწითალო, წვრილმარცვლიანი საგაზაფ-ხულო ხორბალია, თანაც, მცენარე დიკას მსგავსად, წითურა, უმე-ტესად გაზაფხულზე იჩენს თავს და წვრილი, უხვი, წითელი გამო-ნაყარით ხასიათდება.

აჭარულ დიალექტში შაქრიან დიაბეტს ***<u>ჭყურტს, ჭყურტას</u>*** ეძახიან. ჭყურტი, ამავე მნიშვნელობით, დასტურდება მეგრულში; გვქონია ლეჩხუმურ დიალექტშიც სიტყვა ***<u>მაჭყურტიას</u>*** სახით (ჩუ-ხუა, 2000-2003). ჭყურტი ***<u>წყურტის</u>*** სახითაა შეტანილი საბას „ქარ-თულ ლექსიკონში“: „იგი სნეულობა არს, რომელ მრავალ წყალს ასმევს კაცსა და განახმობს სიმჭლით“ (საბა). „ცხადია, ქართვე-ლურ ენათა ***<u>წყურტ//ჭყურტ</u>*** უკავშირდება ***<u>წყურ//წყურვილ</u>*** ფუ-ძეს, რომელიც, თავის მხრივ, ეტიმოლოგიურ კავშირშია წყლის აღ-მნიშვნელ საერთოქართველურ ძირთან. ***<u>წყურტ</u>*** საერთოქართვე-ლური ძირია“ (ჩუხუა 2000-2003), ***<u>ჭყურტი</u>*** კი ზანიზმია აჭარულში. აღსანიშნავია, რომ ამ დაავადების სახელით აჭარულში, ასევე, აღინიშნება მცენარე ჭიაფერა, რომელსაც მწიფობისას ძალიან თხელკანიანი და უხვსითხიანი ნაყოფი აქვს. შესაძლოა, სწორედ დაავადების ხასიათიდან გამომდინარე, დაერქვა ამ მცენარესაც ჭყურტი, ანდა, პირიქითაც!

კიდევ მრავალი მოტივირებული ხასიათის ტერმინის დასახე-ლება შეიძლება, მაგრამ განხილული სიტყვებიც თვალნათლივ აჩ-

ვენებს, რომ დიალექტური ლექსიკა ორგანულ კავშირშია მშობლიურ სალიტერატურო ენასთან, იყენებს მის სიტყვიერ შესაძლებლობებს, არსებულ ლექსემებს მოსავს ახალი მნიშვნელობებით ან, ახალთან ერთად, უნარჩუნებს ძველ მნიშვნელობებს, რაც შემდგომში გვეხმარება რიგი ისტორიულ-ენათმეცნიერული საკითხის კვლევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973
2. ისაკაძე ქ., საფეიქრო საქმე საქართველოში, თბ., 1970
3. ნოღაიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013
4. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928
5. ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964
7. ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003
8. ჭინჭარაული ა., ქართველურ ენათა ლექსიკიდან, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1987

ციალა ნარაკიძე

დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის ანდაზები ლაზურ ფოლკლორში

ანდაზა მშრომელი ხალხის ურთიერთობის მხატვრულ განზოგადებებს წარმოადგენს.

ანდაზა ყოველთვის იყო და არის ცოცხალი მეტყველების კუთვნილება. მას საუბრისა და კამათის ფორმა ახასიათებს.

ანდაზა თითქმის შეუსწავლელი ჟანრია ლაზურ ფოლკლორში. გარკვეულ წარმოდგენას ლაზური ანდაზების ბუნებაზე გვაძლევს ის მცირე რაოდენობა ანდაზებისა, რომლებიც ზოგიერთ გამოცემაშია დაბეჭდილი. ლაზურ ფოლკლორზე მუშაობისას დაგვიგროვდა მრავალი ანდაზა, რომლებშიც ლაზმა ხალხმა ჩააქსოვა თავისი სიბრძნე ცხოვრებისეულ საკითხებთან დაკავშირებით და ხანგრძლივი დაკვირვების განზოგადება მოგვცა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე როგორიც არის: შრომა და სიზარმაცე, სამშობლოს სიყვარული, გაუტანლობა და შური, ერთგულება და პატიოსნება, მეგობრობა, ადამიანის ღირსება, ბოროტება და სიკეთე და სხვა.

ლაზურ ანდაზებში კარგად ჩანს ანდაზის დიდაქტიკურ-მორალისტური ფუნქცია და ის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, რაც ანდაზას ენიჭება ადამიანის აღზრდა-ფორმირების საქმეში.

ზოგადქართულის მსგავსად, ლაზურ ფოლკლორშიც გვხვდება შრომის თემატიკაზე შექმნილი ანდაზები, რომელთა უმეტესობა დიდაქტიკურ დამრიგებლობითი ხასიათისაა და უფრო აფორიზმის სახეს ატარებს; ყურადღება მახვილდება შრომა-განაწილების ზნეობრივ ასპექტებზე:

1. „ანდღანეი დულდა ჭუმენშა ვა ოტკოჩა“ – „დღევანდელ საქმეს ხვალამდე ნუ გადადებ“; 2. „მადულიექ თურჯაის ქდურქი ქამოწკუდა“ – „მშრომელმა (საქმიანმა) ვაჭარს ქურქი გახადაო“; 3.„მუკონად იჩალიშა ეკონა გაყვენ“ –„რამდენსაც იშრომებ, იმდენი გექნება“; 4. „ქესქინობა ალთუნიში მანჩხა რენ“ – „სიბეჯითე ოქროს ღარია“; 5. „მჩალიშანე კოჩიშენი უდულელობა ჯეზა რენ“ – მშრომელი კაცისთვის უსაქმურობა სასჯელია“ (სარფი, 2015:64).

ხალხის რწმენით, სხვის შემყურეს არ უმართლებს, ყოველთვის წაგებული რჩება:

1. „ბაშქას ხეს ვა იწკომილენ, უგჲაელი დოსქიდუნ“ –„სხვისი ხელის შემყურე მშიერი რჩებაო“; 2. „ჩქვაში გამაწკომილერის მუშითი ქაგუნდუნუნ – „სხვის შემყურეს თავისიც დაეკარგა“; 3. „ბაშქას ხეს ვა იწკომილენ“ – სხვისი ხელის შემყურე არ უნდა იყო“; 4. „ბაშქაში ომუდითენ ვა ისქედინენ“ – „სხვისი იმედით არ იცხოვრება“; 5. „ბაშქაში ბერგითენ ყონა ვა იხაჩქენ“–„სხვისი თიხით ყანა არ მოიხვნება“ (მემიშიში, 2015:12).

ლაზურ ფოლკლორში უხვად მოიძებნება დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის ანდაზები, სადაც ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა თემაზე:

1. „არქარდაში სქანი მო მეტკომერ, მეშველუ უნტაში“ – „მეგობარი არ მიატოვო, შველა რომ სჭირდებოდეს“; 2. „აღნე აქარდაშინა ძირა, მჯვეში ვარ გუიჭკვენდინა“ – „ახალ მეგობარს რომ გაიჩენ, ძველს ნუ დაკარგავ“; 3. „დინის-ნა გუიქთენ კოჩიკალა მანებრობა ვა იყვენ“ – „რჯულმოქცეულ კაცთან მეგობრობა არ შეიძლება“; 4. „დუშმანი დოსტი ვა იყვენ“ – „მტერი მოყვარე არ იქნება“; 5. „დუშმანი დულჲა თენ იჯგინენ“ – „მტერს საქმით მოერევი“. 6. „კაჲ კოჩის მთელი ჲერის ოხორი უდგინ“ – „კარგ კაცს ყველგან სახლი უდგას“; 7. „კაი კოჩობა ფარათენ ვა იჭოფენ“ – „კარგი კაცობა ფულით არ იყიდება“; 8. „ყუჯჯიქ ნაკო გიგნასენ, ნუნკუქ ეკო ვა თქვასენ–„ყური რამდენსაც გაიგონებს, პირმა იმდენი არ უნდა თქვას“; 9. „თოლი-უძღუში მუთუ მო იკვან“ – „თვალ-უძღებისგან ნურაფერს ნუ მოითხოვ“; 10. „გური ყინი გიღუტაში, მჟორაქ ვა გოტუბინაფს“– „თუ გული ცივი გაქვს – მზე არ გაგათბობს“; 11. „დიდო საბრიყვი, დულჲაში ვარ ნაგნაშა მუთუ ვა ყვა“ –„მოითმინე, სანამ საქმის ძირს არ გაიგებ, ნურაფერს იზამ“ (შეროზია, მემიშიში, 1994:235). 12. „გიჩქიტას, საპრის სელამეთი უღუნ“ – „იცოდე, მოთმინებას სიმშვიდე აქვს“. 13. „გორი დო ქოძიროფ“ – „ეძებე და იპოვი“; 14. „დიდი გზაშენ იდი, ოხოიშა საღი მეხთი“ –„შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდი“; 15. „დიდონა გხვამუფს კოჩიშენ გაშქუინას“ – „ვინც ბევრს გაქებს იმის გეშინოდეს“; 16. „ვა გიჩქინ-ნა კითხი-ოკითხუ ონჯღორე ვა რენ“– „თუ არ იცი, კითხე-კითხვა სირცხვილი არ არის“; 17. „კაობანა ოღონდი შენ გაშქურინას“ – „ვისაც სიკეთე გაუკეთე იმის გეშინოდეს:; 18. „თიგენჭინერი კოჩიშენ გაშქურინას“– „თავჩაღუნული კაცისგან გეშინოდეს“; 19. „თოლითენ ვა ძირაშა, ნე კაი თქვი დო ნე პატი“ – „სანამ თვალით არ

დაინახავ, არც კარგი თქვა და არც ცუდი“; 20. „ინნადი კოჩიში მუ-თუ მო გინტას“ – „ჯიუტი კაცისა არაფერი გინდოდეს“; 21. „კუჩხე სქანი Იოღანი ში ოღაგᲘურა გონთხი“ – „ფეხი შენი საბნის მიხედ-ვით გაშალე“; 22. „მთელიშეი ვა ითქვენ“ – „ყველაფერი არ ითქმე-ბა“; 23. „ნა მახვენენ, ემუში ომუდი მეჩი კოჩის“ – „რაც შეგეძლება, იმას შეპირდი“; 24. სქანი დულᲘა, სი გიჩქიტას“ – „შენი საქმე შენ იცოდე“; 25. „ნუკუ გოშწკამტაშაქის, თოლი გონწკარე“ – „სანამ პირს გააღებდე, თვალი გაახილე“; 26. „სქანი ყუჯითენ ვარ შიგნაშა მუთუ მო ზოპონ“ – „სანამ შენი ყურით არ გაიგონებ, ნურაფერს იტყვი“; 27. „ყუჩიქნა გიგნას, ნუნკუქ ვა თქვა სინონ“ – „რასაც ყუ-რი მოისმენს, პირმა არ უნდა თქვას“; 28. „ჯუმაშენი პატი მო იმდუ-შუნ, დო პატი მო ოღოდაფ“ –„ძმაზე ცუდს ნუ იფიქრებ და ნურც ცუდს გაუკეთებ“ (მემიშიში, 2015:49, 69).

სიტყვის ძალაზე და მნიშვნელობაზეა აგებული ზოგიერთი ან-დაზა ლაზურში, მაგრამ ამ ანდაზებშიც იგრძნობა ზნეობრივ-მო-რალური კოდექსი, რომელიც შემუშავებულია ჩვენი წინაპრების მიერ სამყაროზე, საზოგადოებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შე-დეგად: 1. „მთინი ნენა მჭოხა რენ“ – „მართალი სიტყვა მკვახეა“; 2. „ნენა მონკათი რენ დო ჩორჩითი“ – „სიტყვა მძიმეცაა და მჩატეც“; 3. „ნენას ნენა მოყუფს დო კაბღა იყვენ“ – „სიტყვას სიტყვა მოჰყვე-ბა და იქნება ჩხუბი“; 4. „ნენა სქანიში საები ტაგინონ შენი სიტყვის პატრონი უნდა იყო“; 5. „კათა ნენას ყუჯი ვარ ნიჩენ“ – „ყველა სიტყვას ყური არ უნდა ათხოვო“; 6. „ნენა გურიში ნეკნა რენ“ – „სიტყვა გულის კარია“; 7. „მეჭკიუში ხამი სქანი ნენას რენ“ – „და-საკლავი დანა შენს ენაზეა“; 8. „ნენა ვა ნიკორენ“ – „ენა არ დაიბმე-ბა“; 9. „ნენას მთელი შეი ვა ოთქვაფაგინონ“ –„ენას ყველაფერი არ უნდა ათქმევინო“; 10. „ნენას ოთქვაფაში მთელიშეი ზოპონს“ – „ენას თუ ათქმევინებ ყველაფერს იტყვის“; 11. „ნენას ყვილი ვა უღუნ“ – „ენას ძვალი არა აქვს“; 12. „გინძე ნენას კაბღა მოყუფს“ – „გრძელ ენას ჩხუბი მოყვება“; 13ყ „კიბიი ემუშენი გიღუნ-ქი ნენას გᲘობაძგა“ – „კბილი იმისფთვის გაქვს, რომ ენას დააჭირო“; 14. „მკულე ნენაქ თი იშინახუფს, გინძე ნენაქ თი ოყვილაფაფს“ – მოკ-ლე ენა თავს შეინახავს, გრძელი ენა თავს მოაკვლევინებს“ (ნარა-კიძე, 2010:66).

ამრიგად, ლაზური ანდაზების უმეტესობა დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი ფორმითაა წარმოდგენილი და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო აფორიზმის ხასიათისაა, ვიდრე ანდაზისა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კარტოზია, 1972-1993: –გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბილისი.
2. მემიშიში, 2015: – ო. მემიშიში, ლაზური ანდაზები და იდიომები, ბათუმი.
3. ნარაკიძე, 2010: ცვ. ნარაკიძე, ანდაზა ლაზურ ფოლკლორში, ბსუ შრომები“, ტ. IX, ბათუმი.
4. სარფი, 2015: მონოგრაფია სარფი, ბათუმი.
5. შეროზია, მემიშიში, 1994: რ. შეროზია, ო. მემიშიში, ხალხური სიბრძნე, ტ. I, თბილისი.

TsialaNarakidze

Didactic-Moralistic Proverbs in Laz Folklore

S U M M A R Y

In the Laz proverbs Laz people have given us their opinion based on long-term observations on important topics such as: hardworking and laziness, love of motherland, faithlessness and envy, loyalty and honesty, evil and kindness, friendship and others.

In the Laz proverbs it is well exposed didactic-moralistic function and importance, which they have in the process of human upbringing.

ირინა უგრეხელიძე
ნონა ქარციძე
ელისო ჩუბინიძე

უძველესი გელათური გარდამოხსნა ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ძველ ქართულ ნაქარგობათა მდიდარ ფონდში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გარდამოხსნათა კოლექციას. კოლექციაში განსაკუთრებით მაღალი მხატვრული და ისტორიული ღირებულებით გამორჩეული ნიმუშს გვიანი შუა საუკუნეების გელათური გარდამოხსნა წარმოადგენს.

გარდამოხსნა (ბერძნულად „Επιτάφιος“), იგივე წმინდა საფარველი, ლიტურგიული დანიშნულების ნივთია და წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილ მართკუთხა ქსოვილს, რომელზეც ჯვრიდან ჩამოხსნილი იესო ქრისტეს დატირებაა გამოსახული. უფლის ჯვრიდან ჩამოხსნა ოთხივე სახარებაშია აღწერილი: იოსებ არიმათიელმა, სინედრიონის მდიდარმა და პატივცემულმა წევრმა და ქრისტეს ფარულმა მოწაფემ, იუდეის პროკურატორისგან, პილატე პონტოელისგან, მიიღო მაცხოვრის ჯვრიდან ჩამოხსნის უფლება. იოსებმა და ნიკოდემოსმა, ღვთისმშობელი მარიამისა და იესოს სხვა ახლობლების თანდასწრებით, ჩამოხსნეს ჯვრიდან ქრისტეს სხეული. ცხედარი სუფთა ტილოში შეახვიეს და კლდეში გამოჭრილ სამარხში დაასვენეს. „შვენიერმა იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი შენი ქრისტე, და არმენაკითა წმიდითა წარგრაგნა, სურნელებითა შემურვილი, ახალსა საფლავსა დაგდვა“ — მოგვითხრობს სახარება. სწორედ ამ „არმენაკის“ (ტილოს, იგივე „არდაგის“), სიმბოლური გამოხატულებაა წმინდა საფარველი ე.წ. გარდამოხსნა. ის ქრისტიანულ ეკლესიაში უდიდესი ძალმოსილების მქონე, ღრმა სიმბოლურ-დოგმატური დატვირთვის მატარებელი ნივთია და სიმბოლურად უფლის წმინდა საფლავის ტოლფასია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მას დიდი მარხვის ვნების კვირაში, დიდ პარასკევს, როდესაც კაცობრიობის ცოდვებისაგან გამოსახსნელად ვნებული მაცხოვრის ჯვარცმას, ჯვარიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას ქრისტიანული ღვთისმსახურება განსაკუთრებულად იხსენებს გარდამოხსნის ცერემონიალით. ცე-

რემონიალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში, ის ვნების შვიდეულის უმძიმესი დღის — ჯვარცმის დასასრულია და ამასთან, იმ ბედნიერების წინაპირობაა, რასაც დიდი აღდგომა ჰქვია.

დიდი მარხვის დროს გარდამოხსნა საკურთხეველში წმინდა ტრაპეზზეა დაბრძანებული. ტრაპეზზე საფლავს დადებული მაცხოვარის გამოსახულებით საგანგებოდ მოქარგული დიდი ქსოვილია გადაფარებული. დიდი პარასკევის მწუხრის დროს, ტროპარის — „შვენიერმა იოსებ“ გალობით მღვდელმსახურები წმინდა ტრაპეზიდან (სიმბოლურად გოლგოთიდან) აიღებენ გარდამოხსნას, თავს ზემოთ ასწევენ, საკურთხევლიდან გამოაბრძანებენ, ტაძარს შემოატარებენ, „საფლავში“ (ტაძრის ცენტრში) დაასვენებენ. შემდეგ მის წინაშე დიდ მეტანიას ასრულებენ და მოწიწებით ეამბორებიან. გარდამოხსნა ტაძრის ცენტრში სამი დღე, კვირა დილის 6 საათამდე არის დაბრძანებული. განთიადის ჟამს გარდამოხსნას ისევ შეაბრძანებენ საკურთხეველში — წმინდა ტრაპეზზე, სადაც ის უფლის ამაღლების დღესასწაულამდე რჩება.

ტერმინი „გარდამოხსნა”, ქრისტიანულ ტერმინოლოგიაში გამოყენებული სიტყვების მსგავსად, ზმნური წარმომავლობის ფორმაა [ხახიშვილი, 2012], რომელიც, სავარაუდოდ, დამკვიდრებულია ღვთიმსახურების დროს ნივთის გამოყენების მომენტში წარმოთქმული ლოცვისაგან — „შვენიერმა იოსებ ძელისაგან ***გარდამოხსნა...***“, რომლის გალობით იღებენ და აღამაღლებენ გარდამოხსნას.

გარდამოხსნის სამშობლოდ ბიზანტიაა მიჩნეული. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ის წარმოიშვა და განვითარდა საეკლესიო დანიშნულების საფარველისაგან — დიდი დაფარნისაგან, ამიტომ, მისი ისტორია დიდი დაფარნის ისტორიასთან კავშირში განიხილება. ის შუა საუკუნეებში, ჯერ კიდევ არ არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი ლიტურგიული ნივთი. ტერმინი არ გვხვდება უძველეს საღვთისმეტყველო ლიტერატურასა და წმ. მამათა (იოანე ოქროპირის, გერმანე კონსტანტინეპოლელის) საღმრთო ლიტურგიაში. არსად ჩანს აღწერილობა ლიტურგიული ნივთის საკურთხევლიდან გამობრძანების შესახებ. ყველაზე ადრეული ცნობა, რომელიც უკავშირდება გარდამოხსნის ხატს, დაცულია ათონის ივერთა მონასტრის იღუმენის წმ. გიორგი II მთაწმინდელის მიერ XI ს-ში ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნ ხელნაწერში. ხელნაწერი წარმოადგენს საეკლესიო დებულებას ვნების პარასკევის ღვთისმსახურების ჩატარების შესახებ. აქ ლიტურგიის თანმიმდევრობის აღწერისას ნათქვამია, რომ წითელ პარასკევს — დილით ზარების დარეკვისას ღვთისმსახურნი შეიკრიბებიან ეკლესიაში, გარდამოხ-

სნის ხატს კიდებენ კანკელის წინ და მის წინაშე აანთებენ ორ სანთელს... ამის შემდეგ აღწერილია „დიდი გამოსვლის" ღვთისმსახურების დანარჩენი რიტუალი [Кекелидзе, 1908]. ლიტურგიული დიდი გამოსვლა სიმბოლურად მაცხოვრის ვნებას — გოლგოთაზე მსვლელობას, ჯვარცმას, გარდამოხსნას, საფლავად დადებასა და აღდგომას აღნიშნავს. გიორგი მთაწმინდელის ხელნაწერზე დაყრდნობით პროფ ნ. დ. უსპენსკი მიიჩნევს, რომ გარდამოხსნის ისტორია ლიტურგიულ რიტუალთან — „დიდ გამოსვლისთანაა" დაკავშირებული და რომ მას საფუძველი ბერძნულ ღვთისმსახურებაში ჩაეყარა [Успенский, 1982]. აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანიც გარდამოხსნას ხატად მოიხსენიებს: „ხატი შთამოსვენებისა ქრისტესისა ჯვრიდამ და დასვენებისა მისისა საფლავად, რომელიცა დიდსა პარასკევსა წინადაიდების სამთხვევნელად ერისა".

მთავარეპისკოპოს სვიმეონ თესალონიკელის (XV ს.) საღვთო ლიტურგიის მიხედვით წმინდა საფარველები — ბარძიმისა და ფეშხუმის დაფარნები, სიმბოლურად უფლის შესასუდრი ტილოებიაა, ხოლო ცაი — დიდი დაფარნა (ბარძიმისა და ფეშხუმის ზევიდან საფარებელი) ის წმინდა არმენაკია, რომლითაც შეგრაგნეს ჯვრიდან გარდამოხსნილი საფლავზე დადებული ცხედარი მაცხოვრისა. დიდი გამოსვლის აღწერისას სვიმეონ თესალონიკელი ამბობს, რომ წმ. ძღვენის შემდეგ მოდიან წმ. საფარველით (დაფარნა ცაით) თავზედაფარებულნი, რომელზეც გარდაცვლილი, გაძრცვილი მაცხოვარია გამოსახული [Троицкий, 2002]. ამ განმარტებიდან უკვე ნათლად ჩანს, რომ დიდი დაფარნის სიმბოლური მნიშვნელობა „გარდამოხსნის" (იგივე წმინდა არმენაკის) მნიშვნელობის მსგავსი და ტოლფასია. უნდა ვივარაუდოთ, რომ XV საუკუნიდან დაიწყეს ღვთისმსახურებაში, ვნების კვირის პარასკევსა და შაბათს, მაცხოვრის გამოსახულებიანი დიდი დაფარნის განსაკუთრებულად გამოყენება — კერძოდ, ღვთისმსახურთა მიერ დიდი დაფარნის თავს ზემოთ აწეულად ან თავზე გადაფარებულად გამობრძანება და ტაძარს შემოტარება, მსგავსად თანამედროვე ვნების პარასკევის გარდამოხსნის ცერემონიალისა.

აღნიშნული რიტუალის დანერგვის ზუსტი პერიოდის შესახებ, რაიმე წერილობით ცნობებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

წერილობითი წყაროების სიმწირეს, ლიტურგიული დიდი გამოსვლის დროს დიდი დაფარნების გამობრძანების დანერგვის პერიოდის შესახებ, ნაწილობრივ ავსებს მონუმენტური მხატვრობა. დიდი ტაძრების საკურთხევლის აფსიდის იკონოგრაფიულ პროგრამაში ხშირად არის ჩართული საღმრთო ანუ ზეციური ლიტურგიის კომპოზიცია, იგივე „დიდი გამოსვლის პროცესია" — ანგელო-

ზების საზეიმო სვლა წმინდა ძღვენით, სამწერობლებით, ლახვარით, მახვილითა და კელაპტრებით. მონუმენტურ მხატვრობაში ამ სიუჟეტის გამოყენების ტრადიცია ბიზანტიურ ძეგლებში XIV საუკუნიდან იღებს სათავეს. მაგალითისათვის მოვიყვანთ სერბეთში გრაჩანიცას ეკლესიის გუმბათის 13220-21 წწ. დათარიღებულ მოხატულობას, ათონის მთაზე დიონისიატის მონასტრის მთავარი ტაძრისა (1547 წ.) და გელათის მონასტრის საკურთხევლის აფსიდის მოხატულობებს (XV ს.), რომლებზეც „ზეციური ლიტურგიაა“ წარმოდგენილი. გრაჩანიცას ეკლესიის გუმბათის კომპოზიციაში პროცასიაში მონაწილე ერთ-ერთ ანგელოზს თავს ზემოთ აქვს აწეული დიდი დაფარნით დაფარული ფეშხუმი, დაფარნაზე ჯვარია გამოსახული და ის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს დაფარნა-გარდამოხსნას (სურ. 1). დიონისიატის ტაძრის მოხატულობაში, დიდი გამოსვლის პროცესიაში ანგელოზებს უფლის გამოსახულებიანი დიდი დაფარნები მხრებსა და ზურგზე მოხურული მოაქვთ (სურ. 2.) (როგორც ამას აღწერს პ. კენჭოშვილი ათონში მოგზაურობისას), ხოლო დაფარნა-გარდამოხსნას 3 ანგელოზი მაღლა აწეულს (თავზე გადაფარებულს) მოაბრძანებს (სურ. 3.). გელათის ტაძრის საკურთხევლის ფრესკაზე წარმოდგენილ „ზეციური ლიტურგიის” საზეიმო მსვლელობაში (ცენტალური კომპოზიციის — ღმრთისმშობელი მთავარანგელოზთა შორის, ქვედა რეგისტრში) 2 ანგელოზს აქვს თავზე გადაფარებული დიდი დაფარნა-გარდამოხსნა გარდაცვლილი იესოს გამოსახულებით (სურ. 4.). ამავე ტაძრის გუმბათის სფეროს ფართო სარტყელშიც, აქაც საღმრთო ლიტურგიის კომპოზიციაში, ანგელოზები დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მიაბრძანებენ დიდ დაფარნას — გარდაცვლილი მაცხოვრის გამოსახულებით.

ტაძრის მოხატულობაში ასეთი ზეციური ლიტურგიის კომპოზიციები მხატვრის შემოქმედებითი ფანტაზიის შედეგი როდია, მათ საფუძვლად უდევს რეალური რელიგიური რიტუალი ლიტურგიული დიდი გამოსვლებისა, როგორც ამას XV ს-ის მოღვაწე სვიმეონ თესალონიკელი აღწერს. დიდი დაფარნების გამოსვენების ძველი რიტუალის გამოძახილს წარმოადგენს დღეისათვის ყოველდღიურ ღვთისმსახურებაში დანერგილი წესი — დიაკონის (ან მღვდლის) მიერ დიდი დაფარნის მარცხენა მხარზე გამობრძანება (ბერძნულ და სერბულ მართლმადიდებლურ ტაძრებში მიღებულია მათი ზურგზე გადაშლილად გამობრძანება, ქართულ ტაძარში მხრებზე).

ტაძრების მოხატულობაში წარმოდგენილ მაცხოვრის გამოსახულებით ნაქარგ დიდი დაფარნებს XV ს-მდე ჯერ კიდევ არ ერქვათ გარდამოხსნები (ტერმინის თანამედროვე გაგებით), ამ დროს მათ დაფარნისა და გარდამოხსნის ფუნქციები ჰქონდათ შეთავსებული, ამასთან მათზე არ იყო წარმოდგენილი ტრადიციული უფლის დატირების კომპოზიცია. ასეთ სახით მათ რამოდენიმე ხანს იარსებეს. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ შუა საუკუნეების ბოლო პერიოდიდან დაკარგა დაფარნა-გარდამოხსნამ რეალური ფუნქცია და დაამთავრა თავისი განვითარება (მხატვრული თვალსაზრისით). პრაქტიკიდან გამოვიდა ყოველდღიური ღვთისმსახურებისას დიდი დაფარნის თავზე გადაფარებულად გამობრძანების ჩვეულება და განვითარდა ახალი რიტუალები. სწორედ აქედან გადადის საბოლოოდ წმინდა ტილოს, წმინდა არმენაკის სიმბოლო გარდამოხსნაზე (თანამედროვე

მნიშვნელობით) და მისი ისტორია გარდამოხსნის ისტორიას ერწყმის. ამ მომენტიდან მოყოლებული გარდამოხსნა სრულიად გამოეყო თავის პირველსახეს — დაფარნას და მის ისტორიაში დაიწყო ახალი ფაზა. გარდამოხსნამ ღვთისმსახურებაში განსაკუთრებული როლი და ადგილი დაიმკვიდრა და იგივე ხასიათი შეიძინა, რაც ჩვეულებისამებრ ამა თუ იმ დღესასწაულის ხატებს აქვთ. ამ პერიოდიდან დაიწყეს მისი გამოიყენება მხოლოდ ვნების კვირაში.

მართალია, გარდამოხსნა სრულად გამოეყო თავის წინაისტორიას, მაგრამ შეინარჩუნა გარეგნული სახე და იკონოგრაფიული თავისებურებანი (თუმცა არა სავსებით), კერძოდ მასზე ასახულია არა ჯვრიდან უფლის გარდამოხსნა, არამედ, ძველებურად, მისი გაძრცვილი სხეული, ახლა უკვე ლოდზე (ბერძნულად — Επιτάφιος, Επι- ზე; τάφιος- ლოდი, დაფა) ან სარეცელზე დასვენებული. მოგვიანებით კომპოზიციაში ევანგელისეული (სახარებისეული) სიმბოლოები, ანგელოზები, ღვთისმშობელი, იოანე, მტირალი დედანი და სხვა პერსონაჟები იქნა შეყვანილი. საბოლოოდ მრავალფიგურიან სიუჟეტური კომპოზიციები იქნა დანერგილი, რომლებიც საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ და დაკანონებულ ქრისტიანულ იკონოგრაფიას წარმოადგენს. საზოგადოდ, არსებობს სხვადასხვა იკონოგრაფიული პროგრამები, განსხვავებული სცენებით, პერსონაჟებითა და ეპიზოდებით. საქართველოში ძირითადად გავრცელებულია იკონოგრაფიები, რომლებშიც ანგელოზებსა და სხვა პერსონაჟებთან ერთად ღვთისმშობელიცაა გამოსახული.

ქართულ ენაში ტერმინი „გარდამოხსნა“ საკმაოდ გვიან დაინერგა. ვნების კვირის ცერემონიალთან დაკავშირებით ტერმინი იხსენიება მხოლოდ XVIII საუკუნის იმ ტიპიკონებში, რომლებიც რუსული ტიპიკონების მიხედვით არის რედაქტირებული [ჭაბუკიანი, 2014]. ჩვენამდე მოღწეული უძველისი ქართული გარდამოხსნებია XIV ს-ით დათარიაღებული საჩხერისა და მეფე გიორგი XVIII-ის (1446-1466 წწ.) გარდამოხსნები. მეფე გიორგი VIII ალექსანდრეს ძის დაკვეთით დამზადებულ გარდამოხსნაზე არსებული წარწერის მიხედვით ამ დროისათვის მას „საფლავად დადებაი“ ეწოდება. გამორიცხული არ არის, რომ არსებობდა უფრო ადრეული ნიმუშებიც.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული გარდამოხსნა (ნივთი №6594) გელათის მონასტრიდანაა შემოსული 1923 წ (სურ. 5). ის საკმაოდ დიდი ზომისაა — 109X165 სმ. დამზადებულია შავი ხავერდის ქსოვილისაგან, საქარგავ მასალად გამოყენებულია ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ზეზი, სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფი. გარდამოხსნას აქვს ყანაოზის სარჩული. ნაქარგობა ნამაგრი სითვის ტექნიკითაა შესრულებული.

გარდამოხსნის ცენტრალურ ფიგურას ლოდზე დასვენებული უფლის სხეული წარმოადგენს, ის კანონიკის შესაბამისად მთავარი ფიგურაა და სხვა პერსონაჟებთან შედარებით დიდიცაა. იესოს თავთან მწუხარე ღვისმშობელი დგას, მისი ხელების მოძრაობაში დრამატიზმი იგრძნობა: მარჯვენა ვედრების პოზაში აქვს გაწვდილი, ხოლო სახესთან მიტანილ მარცხენაში ხელსახოცი უჭირავს; უფლის ფეხებთან იოანე მოციქული დგას მოკრძალებულად, ლოდისაკენ გადახრილი, მისი სახე და უღონოდ დაშვებული ხელი ღრმა მწუხარებას გამოხატავს. ლოდს მიღმა ორი მწუხარე ანგელოზის ნახევარფიგურა და მათ შორის ქერუბიმია გამოსახული. ლოდის ქვემოთ ცენტრში ქერუბიმია გამოსახული, მის მარცხნივ „ძალნი", ხოლო მარჯვნივ სამნერობლიანი ანგელოზი. გარდამოხსნის ოთხსავე კუთხეში, წრიულ სეგმენტებში, საკმაო მკაფიოდ გამოყოფილ ცისფერ ფონზე მახარებელთა სიმბოლური სახეები არწივი (იოანე მახარებელი), ფრთოსანი ხარი (ლუკა მახარებელი), ფრთოსანი ლომი (მარკოზ მახარებელი) და ანგელოზია (მათე მახარებელი) გამოსახული. პერსონაჟებს ვინაობის აღმნიშვნელი ქარაგმა ახლავს. ყველა ფიგურა შარავანდმოსილია.

გარდამოხსნა ძალზე ჰარმონიული ფერთა შეხამებით გამოირჩევა. ოქრომკედის, ვერცხლმკედისა და ზეზის გამოყენებით დამუშავებული უფლის სხეულის ნათელი ფერი მის მნიშვნელობას დამატებით უსვამს ხაზს და ამასთანავე, ჰარმონიულად ეხამება ღვთისმშობლის ძოწეულ და იოანეს ოქროსფერ სამოსს. მარიამის მაფორიუმისა და ბაცი ცისფერი შიგა სამოსის დრაფირება ოქრომკედის კილოური სითვის ხაზების ვერტიკალური დინებითაა წარმოქმნილი. განსხვავებული პლასტიკითა წარმოდგენილი იოანეს გარე ოქროსფერი სამოსა

და შიგა ცისფერი ტუნიკა. ანგელოზთა სამოსის ტალღების და ფრთეების ძოწისფერი და ოქროსფერი ხაზებით აღნიშვნა გამომსახველობას ანიჭებს ნაქარგობას. შემკობის თვალსაზრისით გარდამოხსნა მაღალ-მხატვრული დეკორატიულობით გამოირჩევა. ლოდის საფარველი ჯვრის ფორმის ოთხფურცელა ყვავილებითაა მორთული და გარს შემოსდევს ხვიარა ყლორტის ორნამენტი, წითელ-ყვითელი ყვავილებით. თავისუფალი არე ოქრომკედის რვაქიმიანი ვარსკვლავებითა და ყვავილებითაა შევსებული. რომელთა ფურცლები ფერადი აბრეშუმითაა მოსითვული.

გარდამოხსნას გარს შემოუყვება ცისფერი და ძოწისფერი სტილიზებული ლოტოსის ყვავილების გირლიანდის ორნამენტით შედგენილი ჩარჩო-არშია, რომლის შიგნით ასომთავრული წარწერა ოქრომკედით ისეა ჩაგვირისტებული, რომ ორნამენტისგან განუყოფელი მთლიანის შთაბეჭდილებას წარმოშობს.

„ქ. შუნიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრჩწნელი გუამი შენი ქრისტე არმენაკითა წმიდითა წარგრაგნა დასნეულებითა შეთანველი ახალსა საფლავსა დაედვა, არამედ მესამე დღესა აღსდეგ და მოანიჭე სოფელსა დიდი წყალობა. ღმერთო შეიწყალე აფხაზეთის კათალიკოზი ზაქარია ქვარიანი, ამინ. ამან შეამკო გარდამოხსნა ესე“.

წარწერა მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში მოხსენებულია დამკვეთის ვინაობა და რაც მთავარია წარწერის საშუალებით შესაძლებელია მისი დამზადების დროის დადგენა, რომელიც ქტიტორ-შემწირველის — აფხაზეთის კათალიკოს ზაქარია ქვარიანის კათალიკოსობის პერიოდს ემთხვევა.

წარწერაში მოხსენიებული ზაქარია ქვარიანი ისტორიული პიროვნებაა. მის შესახებ ინფორმაცია მრავალ საარქივო მასალაში მოიპოვება: ერთ-ერთი საბუთის მიხედვით ის იმერეთის მეფის, გიორგი III-ის გაზრდილი უნდა ყოფილიყო [ქიმ. საბ. №139]. მეფეს მისთვის უწყალობებია მამული მწვანეყვავილაზე, ზოგიც შესყიდვით შეუმატებია და აუგია მთავარანგელოზის ეკლესია, ციხე-კოშკი, და სასახლე. იგი გენათელი ეპისკოპოსის ტიტულს 1637/39 წ-დან ფლობდა. ქვარიანი არაერთგზის იხსენიება რუსი ელჩების — ტოლოჩანოვისა და ივლიევის აღწერილობებში. რუსი ავტორები მას მეფის სულიერ მოძღვარს უწოდებენ. გენათელი იყო მათი მასპინძელი და იგი ამავე დროს ყველა მოლაპარაკებაში იღებდა მონაწილეობას, მათ შორის „ფიცის წიგნის” საბოლოო გაფორმების ცერემონიალსა და ხელმოწერაშიც. ზ. ქვარიანის შესახებ თავის ჩანაწერებში გადმოგვცემს ევროპელი მისიონერი კასტელი. იგი მღვდელმთავარს ახასიათებს, როგორც „კაცთმოყვარეობით სავსეს და წმინდა სარწმუნოებისადმი ღვთისმოსავ ადამიანს, კათოლიკე პატრების კეთილისმყოფელს“ [კასტელი, 1976].

ზაქარია ქვარიანი აფხაზეთის კათოლიკოსი გახდა 1657 წ. მან აღადგინა კათოლიკოსის რეზიდენციად გელათი. მისი თაოსნობითა და შემწეობით მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა დასავლეთ საქართველოში. გელათის მთავარ ტაძარში დაცულია ქვარიანის ორი ფრესკა – ერთი მიტროპოლიტობის, მეორე კათოლიკოსობის დროისა, შესაბამისი წარწერებით. ქვარიანის პორტრეტული გამოსახულება დაცულია კასტელის ალბომშიც. კათოლიკოსი გარდაიცვალა 1660 წ. იგი დასაფლავებულია გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ მინაშენში. წარწერაში, მართალია, თარიღი მითითებული არ არის, მაგრამ აღნიშნულია, რომ გარდამოხსნა შექმნილია ზ. ქვარიანის კათალიკოსობის პერიოდში, რაც 1657-1660 წწ. (კათოლიკოსად კურთხევიდან მის გარდაცვალებამდე) ემთხვევა [ლანჩავა, 2017].

გელათური გარდამოხსნა მსგავსებას ამჟღავნებს საჩხერის გარდამოხსნასთან, რომლის ცენტრალური ნაწილი ყველაზე ადრეულია, ხოლო გვერდითი ნაწილები XVI ს-ს განეკუთვნება. გარდამოხსნები კომპოზიციურად მსგავსად არის განლაგებბული, პერსონაჟები იგივეა, მათი განლაგება თითქმის იდენტურია. მსგავსია, ასევე, საფარველის ჯვრისებრი ოთხფურცელა ყვავილევით და თავისუფალი არის ვარსკვლავა ყვავილებით შევსება. განსხვავებულია გარდამოხსნათა ფერთა გამა. გელათური გარდამოხსნისაგან განსხვავებით საჩხერულ გარდამოხსნაზე იოანე მოციქული ფეხზე დგას და არა მოხრილი; იესოს ზევით ორი ანგელოზისა და ქერუბიმის ნაცვლად სამი მოლივლივე ანგელოზია წარმოდგენილი და სხვ. მისთანანი.

როგორც ვხედავთ, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ზ. ქვარიანის გელათური გარდამოხსნა კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნივთიერი ძეგლია, რომლის ღირებულება მხოლოდ მაღალ-მხატვრული ნიშან-თვისებით როდი შემოიფარგლება, არამედ ის ღრმად გააზრებული იკონოგრაფიული და დოგმატურ-სიმბოლური კანონიკით შემუშავებული ნიმუშთაგანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხახიშვილი, ნ. ზმნური წარმომავლობის ზოგი ტერმინისათვის ქართულში (დაფარნა, გარდამოხსნა) იბერიულ – კავკასიური ენათმეცნიერება: ტ40, 2012. გვ. 27.
2. Кекелидзе К. Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. Тифлис, 1908, с. 350—372.
3. Успенский, Н. Д. Византийская литургия (гл. 3) БОГОСЛОВСКИЕ ТРУДЫ, 23 Историко-литургическое исследование) ИЗДАНИЕ МОСКОВСКОЙ ПАТРИАРХИИ М.: 1982, с. 42];

4. Троицкий И. История плащаницы http://orthodox.ru/olb/344.php
5. ჭაბუკიანი, დ. უძველესი გარდამოხსნა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან
http://www.dzeglebi.ge/statiebi/xelovneba/udzvelesi_gardamoxsna.html
6. ქიმ. საბ. №139 ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საბუთი
7. კასტელი, კ. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, სახელგამი 1976, გვ. 154].
8. ლანჩავა ო., ჩუბინიძე ე., უგრეხელიძე ი., სულაბერიძე დ. და სხვები ძველი ქართული ნაქარგობა, აწსუ გამომცემლობა, ქუთაისი 2017.

Irina Ugrekhelidze
Nona Kartsidze
Eliso Chubinidze

Ancient Epitapios from Gelati Monastery preserved at Kutaisi Historical Museum

The real masterpiece of late medieval period – Epitapios of Gelati Monastery is outstanding for its high artistic value and quality and plays a significant role in the oldest Georgian embroidery collection of Kutaisi State Historical Museum. In general, for Orthodox Church it carries a deep meaning and dogmatic beliefs that make it a liturgical thing of great importance. It is a rather large size rectangular fabric depicting Christ taken off the cross after his crucifixion, and then rested on the bed with surrounding friends mourned over his body.

During the worship of the Red Friday, Deposition of Christ is taken out of the alter and placed in the centre of church before dawn on Easter Sunday, then it is returned to the alter –Trapeze, where it remains until Ascension Day.

Epitapios with the Lementation i.e. Descent from the cross has a long history of its origin and development. It is remarkable by its iconography program. There is Asomtavruli inscription on the edging of the tapestry trimmed with silverthread or goldthread which mentions Ktetor-donator, Abkhazian Catholicos Zakaria Kvariani. Deposition of Christ , ordered by Zakaria Kvariani was created during the period from the year he became a catholic until his death, i.e. in the late 1650s.

A Epitapios with the Lementation from Gelati Monastry is similar to other ancient Georgian Epitapios items, which have a high artistic value and extraordinary power, symbolizing the holy sepulcher.

აბესალომ ასლანიძე

ისლამის ადგილისთვის XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია საქართველოში რელიგიის საკითხები XX საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც რელიგიას, ჩვენს შემთხვევაში ისლამს, ამოფარებული სხვადასხვა პოლიტიკური ძალა თუ ქვეყანა ცდილობს საკუთარი ინტერესების გატარებას რეგიონში. განხილულია მემედ-ბეგ აბაშიძისა და თახსინ ხიმშიაშვილის წერილები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: *აჭარა, ისლამი, საქართველო, ოსმალეთი, აბაშიძე, ხიმშიაშვილი, ქართველი მუსლიმები.*

Abstract: The article discusses the issues of religion in Georgia in the 20s of the 20th century, when religion, in our case Islam, used to be the shield for various political powers or countries trying to pursue their own interests in the region. Memed-Beg Abashidze and Takhsin Khimshiashvili's letters on this issue are discussed in this article.

Key words: *Adjara, Islam, Georgia, Ottoman, Abashidze, Khimshiashvili, Georgian Muslims.*

1878-1879 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე მუსლიმური აღმსარებლობის იყო. სწორედ ამიტომაც შექმნილ ურთულეს პირობებში სხვადასხვა ძალები რეგიონში თავისი პოლიტიკის გასატარებლად რელიგიის ფაქტორს იყენებდნენ.

სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ ხელისუფლება ახალდშემოერთებულ ტერიტორიებზე არ ჩქარობდა სასულიერო პირებზე წოდებრივი უფლებების დამტკიცებას და მათ სახელმწიფო სამსახურში ჩაყენებას, თანაც რუსეთს ამის გამოცდილება უკვე ჰქონდა მუსლიმებით დასახლებულ რეგიონებში გატარებული პოლიტიკით, რომელიც ჯერ კიდევ ეკატერინე მეორის დროს დაიწყო. მეტიც, 1872 წელის 5 აპრილს რუსეთის იმპერატორმა ხელი მოაწერა ამიერკავკასიის სუნიტური მოძღვრების მუსლიმი სასულიერო პირების მართვის დებულებას, (Положение об управлении Закавказским мусульманским духовенством сунитского учения), რომელშიც ერთი თავი (О правах и преимуществах лиц Закавказского мусульманского духовенства

Сунитского учения) ეძღვნებოდა სასულიერო პირების უფლებებსა და უპირატესობებს *[Духовные правления.., 2013:135-136]*. ახლად შემოერთებულ ტერიტორიებზე ეს დებულება XX საუკუნის დასაწყისამდე არ მოქმედებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით ცარიზმმა სასულიერო წოდება თავის დასაყრდენად მიიჩნია და მის მიმართ პოლიტიკა შეცვალა, თუმცა, მაინც ჩნდება კითხვა, თუ რატომ არ აამოქმედა მეფის რუსეთმა შემოერთებულ ტერიტორიებზე ზოგადად იმპერიაში მოქმედი კანონი? ამით ხომ პირდაპირ ხელს უწყობდა მისიონერების საქმიანობას, რომლებიც მოსახლეობას მუჰაჯირობისკენ უბიძგებდნენ. ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა ხელი შეეშალა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, იგნორირებას უწევდა ისეთ ადამიანებს, ვისაც დიდი გავლენა ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ამ მხრივ მეფის რუსეთის პოლიტიკის შეცვლას ვხედავთ პირველი მსოფლიო ომის წინ, როდესაც უკვე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მისიონერთა მოღვაწეობას აჭარაში. თუმცა, რუსეთი აჭარაში არა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას ცდილობდა, არამედ რუსული ელემენტის გაძლიერებას. ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქში ასეთ ინფორმაციას აწვდის სამხედრო გუბერნატორს 1913 წლის 2 ოქტომბერს: „განსაკუთრებით აღსანიშნავია მეჩეთი „აზიზიე“, რომელიც ხდება ბათუმის ოლქის პანისლამისტური იდეების გავრცელების ცენტრი. ისიც აღსანიშნავია, რომ იქ ხშირად დადიან თურქეთიდან ემისრები და იქვე ოთახში აქვთ რაღაც საიდუმლო შეხვედრები. ამ მეჩეთში ხშირად შეიმჩნევიან „ახალგაზრდა თურქთა“ წარმომადგენლები...“ *[გოგოლიშვილი, 2010:44]*. საინტერესოა ასევე, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის 1913 წლის 20 ოქტომბრის წერილი კავკასიის მეფისნაცვლისადმი: „თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ ვცდილობთ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა გავაძლიეროთ რუსული ელემენტები ბათუმის ოლქში. მაგრამ სანამ ამას გავაკეთებდით, ჩვენ ვცდილობდით ერთმანეთისათვის წაგვეკიდებინა ქართველი ქრისტიანები და მაჰმადიანები. ამ მიზნით ვეცადეთ მოგვესყიდა არა ერთი გავლენიანი მაჰმადიანი ქართველი, შევაძლიეთ დიდძალი თანხა, შევადგინეთ მოქმედების გეგმა. სამწუხაროდ, ყველა მოქმედება წარუმატებელი იყო. პირველად ვეცადეთ აბაშიძეების ამხედრება, ვინ არ მიუგზავნეთ მათ, მაგრამ ისინი რატომღაც ყველაფრისგან შორს იჭერდნენ თავს. ვეცა-

დეთ ხიმშიაშვილების გამოყენება, მაგრამ მიზანი აქაც მიუღწეველი გახდა. მაშინ გადავწყვიტეთ თურქი ეროვნების ხალხის დაპირისპირება ქრისტიანებთან, ამისათვის შევქმენით სპეციალური განყოფილება სამმართველოში, აქაც ხელ-ფეხი შეგვებოჭა. ბოლოს გადავწყვიტეთ სომხებისა და მუსულმანების დაპირისპირება, რა არ გავაკეთეთ ამისთვის, მოვაწყვეთ ათასი პროვოკაცია, მაგრამ შედეგი არაფერი“*[გოგოლიშვილი, 2010:45]*.

ამავე პერიოდში აჭარაში თავიანთი ინტერესების გატარებას ცდილობენ ინგლისელები, ფრანგები, იტალიელები... თავისთვის ბათუმში ტერიტორიებს ითხოვენ სომხები და აზერბაიჯანელები. აღნიშნული საკითხი იდგა დღის წესრიგში საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში და 1921 წლის 17 მარტს აჭარაში ხელისუფლების რევკომის ხელში გადასვლის შემდეგაც.

რა თქმა უნდა მიმდინარე მოვლენებში გასაგები მიზეზების გამო ცალკეული რელიგიური ჯგუფები თუ სახელმწიფოები რელიგიას, ჩვენს შემთხვევაში ისლამს ამოფარებული ცდილობდნენ საკუთარი მიზნების განხორციელებას. 1917 წლის ზაფხულში დაარსდა „ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმთა კომიტეტი“, ამავე პერიოდში დაარსდა „ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება“. თუ კი ეს ორივე ორგანიზაცია მკაცრად აკრიტიკებდა თურქოფილებს, ამის პარალელურად ბათუმში დიდი გავლენები ჰქონდა ბაქოში დაარსებულ მუსლიმთა საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებას, რომელიც ანტიქართული განწყობილებით გამოირჩეოდა. ამ პროცესებში ასევე აქტიურად იყვნენ ჩართული რელიგიური ნიშნით შექმნილი სხვა ორგანიზაციებიც. 1917 წლის აპრილში ყარსში ჩამოყალიბდა „საიდუმლო ისლამური კომიტეტი“. სულ მალე კომიტეტმა აბასთუმანში ჩაატარა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მაჰმადიანთა ყრილობა, რომლის რეზოლუციაში ხაზგასმულ იქნა ამ რეგიონში ცალკე სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ „ყარსის რესპუბლიკის“ ორგანიზატორთა საბოლოო მიზანი არ იყო ერთმორწმუნე ოსმალეთთან შეერთება. სინამდვილეში ეს იყო „სამუსლიმანო საქართველოს“ სეპარატისტულად განწყობილი ზედაფენების ცდა შეექმნათ სახელმწიფო, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა როგორც საქართველოსგან, ისე ოსმალეთისგანაც ***[სამხრეთ-დასავლეთ.., 2008:464-465].***

ასეთ პირობებში განსაკუთრებული როლი უნდა ეთამაშა საგანმანათლებლო პოლიტიკას ახლად შემოერთებულ ტერიტორიებზე,

მაგრამ ამ მიმართულებითაც იყო პრობლემები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა 1882 წლის 30 ოქტომბერს ჩატარებული აჭარის მაჰმადიან ქართველთა ყრილობა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ქართველ მაჰმადიანთა შვილები მიაბარონ „ტიფლისის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისგან“ ბათუმში დაარსებულ საერო სკოლაში, და ითხოვენ ერთ-ერთი სასულიერო პირის დანიშვნასაც და მისთვის ჯამაგირის გადახდას *[მესხი, 1964:452-453].*

ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ რა პოზიციას დაიჭერდა ადგილობრივი მოსახლეობა, მისი მოწინავე ადამიანები. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა მემედ-ბეგ აბაშიძისა და თახსიმ ხიმშიაშვილის მოღვაწეობა, განსაკუთრებით ის, თუ რა ადგილს „მიუჩენდნენ“ ისინი რელიგიას, ამ შემთხვევაში ისლამს აღნიშნულ პროცესებში.

ამ კრიტიკულ სიტუაციას მემედ-ბეგმა მალე აუღო ალღო. თუკი ადრე მემედ-ბეგ აბაშიძე ეროვნულ საკითხებთან მიმართებით ძირითადად პუბლიცისტური მოღვაწეობით იფარგლებოდა, ახლა უშუალოდ პრაქტიკულ საქმიანობაზე გადავიდა. ის ერთნაირად ებრძოდა ყველა იმ ძალას, რომლებიც ისლამის საბურველში გახვეულნი ცდილობდნენ საქართველოსგან აჭარის ჩამოშორებას.

მემედ-ბეგ აბაშიძე ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ წერილში („სამუსლიმანო საქართველო“ 1919 წლის 8 მაისი) მკაცრად აკრიტიკებს თურქეთის „ერთობისა და პროგრესის“ პარტიას, რომელიც მთელს მუსლიმურ სამყაროში სარწმუნოებრივი ნიშნით გაერთიანებას ითვალისწინებდა. მემედ აბაშიძე თვლიდა, რომ ევროპის ხალხებმა კარგა ხანია შეიგნეს – სახელმწიფო ძლიერია მაშინ, თუ მისი ეროვნული შეგნება მაღლა დგას... ეროვნული შეგნება ქვაკუთხედია ერის წინსვლისა, მისი გაძლიერებისა... გზა ეროვნული შეგნებისა, სიყვარული და დაცვა სამშობლო საქართველოსი, აი, რა გააძლიერებს ჩვენს სარწმუნოებას, ჩვენს ეროვნებას!... *[წერილები.., 2017:134-135].*

წერილში მემედ-ბეგ აბაშიძე ხაზს უსვამს, რომ ქართველთა ერთი ნაწილს გამაჰმადიანებით მთელ მუსლიმურ სამყაროსთან აქვს კავშირი, რომ მუსლიმურმა კულტურამ თავისი კვალი დაამჩნია ქართულ კულტურას და ა. შ., რასაც ქართველი ხალხი დიდად აფასებს და ცდილობს მუსლიმ ძმებთან მეგობრულ თანაცხოვრებას და წერს: მაგრამ საჭიროა, რომ თვითონ ეს ჩვენი მეზობლები მოწადინებული

იყვნენ გულწრფელად ამისა და ხელს უწყობდნენ მეგობრული ურთიერთობის ჩამოგდებას... სამუსლიმანო საქართველო, მართალია, სარწმუნოებით განსხვავდება საქრისტიანო საქართველოსგან, მაგრამ იგი მაინც საქართველოა. მართალია, ბათუმის ოლქის ქართველები რჯულით მაჰმადიანები არიან, მაგრამ ისინი მაინც ქართველები არიან, ქართველი ერის სისხლი და ხორცი აქვთ, ქართულად ლაპარაკობენ, ქართულს ადათს და ჩვეულებას მისდევენ. ამიტომ ამათი გათიშვა, ერთიმეორის დაშორება ბოროტი და მტრული, არა მეზობლური საქმეა... ოსმალეთმა ერთხელ და სამუდამოდ თავი უნდა გაანებოს სამუსლიმანო საქართველოს შეერთებაზე ფიქრს და ოცნებას. მუსლიმანი ქართველები სარწმუნოებით ოსმალეთთან ახლოს იქნებიან, მაგრამ ისინი მუდამ იყვნენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში, რადგან ისინი მოდგმით, ჯიშით, სისხლით, ენით ქართველები არიან; ისტორიული შვილები არიან დედასაქართველოსი ***[წერილები.., 2017:151-152].*** უნდა ითქვას, რომ მემედ-ბეგ აბაშიძე სხვასთან ერთად არ ერიდებოდა არც ბოლშევიკების კრიტიკას. ერთ-ერთ წერილში მ. აბაშიძე იმოწმებს რა ყოფილი შეიხულ-ისლამის სენატორ საბრის სიტყვებს და ასკვნის: ბოლშევიკებთან კავშირი ისლამის რწმენას შეურაცხყოფს. ეს კარგად უნდა შეიგნოს ყოველმა მუსლიმანმა, ისლამის რწმენის მიმდევარმა (სტატია ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთში „სამუსლიმანო საქართველო“ №320, 1920 წელი, 20 მარტი) ***[წერილები.., 2017:146].***

ამ მიმართებით ასევე საინტერესოა თახსიმ ხიმშიაშვილის მოღვაწეობა, რომელიც თავის პუბლიკაციებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა რელიგიის, კერძოდ ისლამის საკითხებს. „სამუსლიმანო საქართველოს“ რედაქტორად მუშაობის დროს, 1920 წელს მან თბილისში გამომავალ გაზეთ „ერთობაში“ გამოაქვეყნა 8 წერილი, რომელთაგან ორში („პანისლამიზმი, პანოტომანიზმი, პანთურქიზმი და პანთურანიზმი“ და „რწმენის საკითხები“) ეხება სწორედ რელიგიის საკითხებს აჭარასთან მიმართებით, რადგანაც ანტიქართულად განწყობილი ორგანიზაციები ცდილობდნენ რელიგიას (ისლამს) ამოფარებულები საკუთარი იდეოლოგიის გატარებას აჭარაში. ის იყო სულით პატრიოტი და ამას ამტკიცებდა თავისი საქმითაც. მას ეკუთვნის სიტყვები: „ვერც თურქების საუკუნეობით ფეოდალურმა, იმპერიალისტურმა და სარწმუნოებრივმა ბატონობამ, ვერც რუსეთის ნახევარი საუკუნის დესპოტიზმმა ვერ ჩაკლა აჭარის ქართველებში

ეროვნული რეალობის ელემენტები“ *[ხიმშიაშვილები, 2003:435]*. თავისი პუბლიკაციებით ის ყოველთვის ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას.

თახსიმ ხიმშიაშვილი შეწუხებული იყო იმით, რომ სხვადასხვა ფაქტორები ხელს უშლიდა ჭეშმარიტი ისლამის გავრცელებას და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ისლამის გაწმენდაზე მიუღებელი, თუნდაც არაბული ზნე-ჩვეულებებისგან, რომლებიც მასში გვიან შევიდა. ის წერს: „როდესაც ჩვენ, ქართველ მუსულმანებმა, ისლამობა მივიღეთ თურქებისაგან, ხოლო თურქებმა კი არაბებისაგან და სპარსელებისაგან, ამასთანავე, ისლამობის სახით ჩვენში ცოტათ თუ ბევრათ თან შემოვიდა ზოგიერთი თურქული, არაბული და სპარსული ზნე-ჩვეულებები, ადათი და აღზრდა, ტრადიცია და სხვა. და რამდენათაც ამ უცხო ხასიათის ელემენტებისაგან განწმენდა არის პოლიტიკური და ნაციონალური საქმე, იმდენათვე ეს არის სარწმუნოებრივი საქმეც, სარწმუნოებრივი მოვალეობა“ *[ხიმშიაშვილები, 2003:435]*. წერილში მას მოყავს მუსლიმური ქვეყნების ზოგიერთი მაგალითი, რომლებიც უკვე შეუდგნენ ისლამის განწმენდას უცხოური ელემენტებისგან. „ჩვენთვის სრულიად ზედმეტია და განვითრების შემაფერხებელია ისეთი ზნე-ჩვეულებები, რომლებშიც თურქების, არაბების, სპარსელების ნაციებს ეკუთვნით და სრულიად არავითარი კავშირი არა აქვთ ისლამობასთან. გარდა ამისა, როდესაც სამაჰმადიანო საქართველოში გაძლიერდება ეროვნული, ქართული ზნე-ჩვეულებებით, – ისლამობა უნდა შეეცადოს, რომ ამაში არ შეერიონ ისეთი ელემენტები, რაც ქართულ ეროვნულ ზნე-ჩვეულებებში შემოტანილია ქრისტიანობის მიერ. ამრიგათ დაცული იქნება ისლამობაცა და ქრისტიანობაც; ხოლო ამასთანავე ორ ძმა ქართველ-მაჰმადიანის შორის შესაძლებელი იქნება ერთი ეროვნული თვითშეგნება“ *[ხიმშიაშვილები, 2003: 435].*

წერილის ბოლოში თახსინ ხიმშიაშვილი სვამს მთავარ კითხვას: როგორ უნდა მოეწყოს მუსლიმთა ორგანიზაცია საქართველოში? და პრინციპულად აღნიშნავს, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს არა ხელისულებამ, არამედ თვით ქართველ მუსლიმებმა. კონსტიტუციით რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსგან და სახელმწიფომ არ უნდა ჩაერიოს რელიგიური საკითხების გადაწყვეტაში, რომ ჩვენ ხალხს აქვს უფლება, თავიანთი დებულების თანახმად რელიგიურ ორგანიზაციები და დაწესებულებები. ამიტომ უნდა შეიქმნას „მთავარი სა-

მუფთო“, რომელი იქნება ქართველ მუსლიმთა რელიგიური ცენტრი. ყველა რელიგიური დაწესებულებები და მათი საქმიანობა უნდა ხდებოდეს ამ ცენტრის ხელმძღვანელობით*[ხიმშიაშვილები, 2003: 436]*.

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული მასალებიდან ჩანს, საქართველოსთვის უმძიმეს წლებში, მისი პროგრესულად მოაზროვნე შვილები ცდილობენ ერთის მხრივ ხელი შეუშალონ ისლამის პოლიტიზირებას და საერთოდ, რელიგიის თემით სპეკულირებას, მეორეს მხრივ ცდილობენ აჩვენონ, რომ რელიგია, ამ შემთხვევაში ისლამი, სულაც არაა ხელის შემშლელი ფაქტორი ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად, ხოლო ისლამის გაწმენდა სხვადასხვა ეროვნული ელემენტებისგან ხელს შეუწყობს როგორც ქართველთა გაერთიანებას და განვითარებას, ისე თვით ისლამის განვითარებას ქართულ სინამდვილეში. მათი მოღვაწეობიდან ნათლად ჩანს, რომ სწორედ ასეთი ისლამი სჭირდებათ ქართველ მუსლიმებს და არა პოლიტიზირებული ისლამი, როგორც პილიტიკური თუ ეკონომიკური მიზნების მისაღწევი საშუალება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **გოგოლიშვილი, 2010: –** გოგოლიშვილი ო. დიდი სახელმწიფოების ბათუმით დაინტერესება პირველ მსოფლიო ომის წინ // აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი.
2. **მესხი, 1964**: – მესხი სერგეი, თხზულებანი სამ ტომად, ტომი III, 1878-1883, თბილისი.
3. **სამხრეთ-დასავლეთ.., 2008: –** “სამხრეთ-დსავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა“, III, ბათუმი.
4. **წერილები.., 2017: –** “წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან”, ბათუმი.
5. **ხიმშიაშვილები, 2003: –** “ხიმშიაშვილები“, ბათუმი.
6. **Духовные, 2013: –** Духовные правления мусульман Закавказья в Россиской империи (XIX-начало XX в.). Москва.

Abesalom Aslanidze

For the Place of Islam in Georgia in the 20-ies of The Twentieth Century

Summary

After the Russo-Turkish War of 1878-1879, Southwest Georgia became the part of Russia, but the English, French, Italians are trying to pursue their interests in these territories, especially Adjara ... Armenians and Azeri are claiming the territories in Batumi. As the majority of the Adjara population was Muslim, various countries or political forces used religion as a factor in this process, in this case Islam. A number of organizations have also been set up for this purpose. In such conditions, the position of the local population, its advanced people, was of particular importance. The article discusses the activities of Memed-Beg Abashidze and Takhsim Khimshiashvili.. Previously, Memed-Beg Abashidze was mainly concerned with nationalistic activities in the field of national affairs, but now he has moved on to practical work. He was equally fighting against all the forces trying to separate Adjara from Georgia. Takhin Khimshiashvili, in his publicist letters, sought to strengthen the national self-consciousness of the local population. He was troubled by the fact that various factors impeded the spread of true Islam and paid special attention to the purification of Islam, even from the Arab customs that were introduced in late. However, in his view, Islam should try not to interfere with the elements introduced by Christianity into Georgian national customs.

The materials discussed in this article show that in the toughest years for Georgia, its progressively-minded people on the one hand have tried to hinder the politicization of Islam and speculation with religion. On the other hand, they are trying to show that religion, in this case Islam, is not a hindrance to raise national self-awareness. Purifying Islam from various national elements will promote both the unification and development of Georgians and the development of Islam itself in Georgian reality.

კახა ფუტკარაძე

ისლამური ფუნდამენტალიზმი და საქართველო

აბსტრაქტი. ნაშრომი რადიკალიზაციის პრობლემები აჭარაში ეხება რეგიონში არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურული ფაქტორების, საგარეო და საშინაო ზეგავლენის ფაქტების სათანადო შესწავლასა და ანალიზს. მასში ყურადღება გამახვილებულია რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მოწყვლადობაზე, მათ შეხედულებებსა და განწყობებზე. რამდენად შესაძლებელია რეგიონის მოსახლეობაში რადიკალიზმის გაღვივება და სამიზნე ჯგუფიდან რა ნაწილმა შეიძლება მიმართოს ექსტრემიზმს. კვლევა ხაზს უსვამს საგარეო ძალებისა და ფაქტორების მნიშვნელობას მოსახლეობის განწყობის ფორმირების პროცესში. ასევე პასუხობს კითხვას თუ რამდენად შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მხრიდან სამიზნე ჯგუფზე ზეგავლენისა და მანიპულირების შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები: კავკასია, ისლამი, ფუნდამენტალიზმი, რელიგია, ეთნიკური.

1991 წელს საბჭოთა კავშირის რღვევას მსოფლიოსა და კავკასიის რეგიონში სერიოზული გეოპოლიტიკური ძვრები მოჰყვა. დაიშალა არსებული ბიპოლარული მსოფლიო უსაფრთხოების არქიტექტურა, რასაც ცალკეულ რეგიონებში ავტომატურად მოჰყვა ეთნიკური, რელიგიური, რეგიონალური თუ ლოკალური მასშტაბის კონფლიქტების კერების წარმოშობა. საბჭოთა კავშირის როგორც სამართლებრივი სუბიექტის გაქრობამ, საბოლოოდ მოუღო ბოლო კონუმისტური იდეოლოგიის არსებობას. კომუნისტური იდეოლოგიის მარცხმა გაანთავისულა უზარმაზარი იდეოლოგიური სივრცე, რომელიც პოს-საბჭოთა ქვეყნებს თავიანთი ეროვნული იდეოლოგიური სისტემით უნდა ჩაენაცვლებინა. არსებული მსოფლიოს წესრიგის რღვევამ საერთაშორისო არენაზე ახალი რეგიონული სახელმწიფოები წარმოშვა. ისინი საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებას ამჟამად უკვე პოს-საბჭოთა ქყვეყნებში ცდილობდნენ. დიდი სახელმწიფოების ინტერესები ხშირ შემთხვევაში თანხვედრაში არ მოდიოდა პატარა ქვეყნების საშინაო და სა-

გარეო ვექტორებთან, შესაბამისად კავკასიასა და რეგიონში არსებულმა პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო და მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. ამ მხრივ ერთ-ერთი სხვა მრავალ პრობლემათა შორის რეგიონში ისლამური ფუნდამენტალიზმისა და რადიკალიზაციის პრობლემა წარმოადგენს. პოსსაბჭოტა სივრცეში იდეოლოგიური სივრცის ღიაობამ აქამდე არნახული შესაძლებობა მისცა ცალკეულ მუსლიმურ, ქრისტიანულ იდეოლოგიებს. ცალკეულ სახელმწიფოთა მცდელობები საქართველოზე კონტროლის მოპოვება ისლამური იდეოლოგიური ექსპანსიის მცდელობებით, არაბული გაზაფხულის გაღვივება და სირიასა და ერაყში არსებულმა პროცესებმა ხელი შეუწყო საქართველოში რელიგიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე მოსახლეობის რადიკალიზების მცდელობას. საზოგადოების ცალკეულ სეგმენტებში გამოიკვეთა რადიკალური შეხედულებების არსებობა. იგი გამოიხატა ქვეყანაში არსებული პოლოტიკური წეს-ყობილებისადმი მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულებით, რაც განპირობებული იყო რელიგიური, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მოტივებით. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურად ქართველ მუსლიმების მცირე ნაწილში რელიგიური სარჩულით ნაწარმოებმა რადიკალურმა შეხედულებებმა, შესაძლებელი გახადა სამიზნე ჯგუფში ექსტრემისტული იდეების გაღვივება. მეტიც უზრუნველყოფილი იქნა მათი მცირე ნაწილის სირიასა და ერაყში გამგზავრება და საომარ მოქმედებებში მონაწილეობა ტერორისტული მიზნებით. ამ ფონზე კვლევა მიზნად ისახავს პასუხი გასცეს კითხვებს *თუ რა ფაქტორებმა განაპირობა საქართველოს სამხრეთ დასავლეთ რეგიონში – აჭარაში რადიკალური და პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიის ექსპორტი? რამდენად შეძლო რადიკალურმა და პოლიტიკურმა ისლამმა რეგიონში იდეოლოგიური ვაკუუმის შევსება? რა შესაძლო ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიის ექსპორტის შესაჩერებლად?*

რადიკალიზაციის ფენომენის თეორიულ-მეცნიერული გააზრებისათვის. რადიკალიზაციის ზუსტი განმარტება დღემდე არ არსებობს. განსხვავებულ გეოგრაფიულ-პოლიტიკურ არეალში ვხვდებით მისი ახნსის განსხვავებულ მიდგომებს. მიუხედავად ამისა ყველა თანხმდება რომ იგი არის გარკვეული გრძნობების, შეხედულებების, რწმენის გამოძახილი, რომელიც დროის გარკეულ პერიოდში იძენს რადიკალურ, ძალადობრივ მეთოდებს. ანუ

რადიკალიზაცია არის პროცესი რა დროსაც ადამიანი კრიტიკულად განეწყობა არსებული სოციალური-პოლიტიკური სისტემის მიმართ და მზად არის გამოიყენოს ძალადობრივი მეთოდები მის შესაცვლელად. ასეთ დროს ძალადობრივი მეთოდების გამოყენება მათივე შეხედულებით მიზნად ისახავს გაცილებით უფრო დიდი სიკეთის მოპოვების მცდელობას.

არსებულ სამეცნიერო წრეებში რადიკალიზმის განსხვავებული განმარტება და მასთან ბრძოლის განსხვავებული მეთოდები არსებობს. მაგალითად. პიტერ ნეუმანი რადიკალიზაციას განამარტავს ერთი წინადადებით, რა ხდება მანამდე სანამ ბომბი აფეთქდება. მაკეული და მოსკალენკო რადიკალიზაციას განიხილავენ როგორც ღირებულებებისა და შეხდულებების განვითარების შესაძლობლობას რომლის გაზიარების შემთვევაში ადამიანი მზად არის დახმარება გაუწიოს ცალკეულ ჯგუფს ან თავად იყოს კონფლიქტის წარმოშობის ინსპირატორი. რადიკალილიზაცია თავის მხრივ არ ნიშნავს არსებული სოციალური-პოლიტიკური სისტემის აუცილებლად ძალადობრივი გზით შეცვლის აუცილებლობას, ის ასევე ითვალისწინებს ბრძოლის ლეგალური გზებსაც. მაკეული და მოსკალენკო ამასთან დაკავშირებით განასხვავებს რადიკალიზაციას და აქტივიზმს. კერძოდ თუ რადიკალიზაცია განიხილება როგორც ღირებულებებისა და შეხდულებების განვითარების უნარი რა დროსაც შესაძლებელია კონფლიქტის ინსპირირება, აქტივიზმი ითვალისწინებს არსებული პოლიტიკური სისტემის მხოლოდ სამართლებრივი გზით შეცვლის აუცილებლობას.

რადიკალიზაციის როგორც ფენომენის ახსნას უამრავი მეცნიერული თეორია თუ მიდგომა ცდილობს, თუმცა დღემდე არ არსებობს უნივერსალური გზა რომელიც ერთნაირად ახსნის, შეძლებს მისი გამომწვევი მიზეზების და მოვლენის სათანადო განმარტებას. შესაბამისად განსხვავებულია მისი მიდგომაც საქართველოში, რაც დაკავშირებულია არსებულ გეოპოლიტიკურ ფაქტორებსა და საზოგადოებაში, რეგიონში არსებულ ცხოვრების წესთან. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ე.წ. ადათობრივი სამართალიც, რომელიც დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი მეცნიერ-მკვლევართა მხრიდანაც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად რადიკალიზაციას პირდაპირ უკავშირებენ ტერორიზს რაც ყოვლად დაუშვებელია. ცნობილი მეცნიერი Bongar განმარტავს, რომ რადიკალ ადამიანთა გარკვეულ ნაწილს ნამდვილად შესაძლებელია ახასიათებდეს ტერორისტის ფსიქოლოგიურ შტრიხები, თუმცა რადიკა-

ლიზმის ტერორიზმთან პირდაპირ დაკავშირებას იგი არ ეთანხმე-ბა[37].

განსხვავებულია პიროვნების რადიკალიზმის მახასიათებლე-ბიც. მაგალითად (Moghaddam) (Huq) პიროვნების, რადიკალიზაციის სამ ძირითად გარმოებას გამოჰყოფს: 1. რაციონალურ-ფსიქოლოგიური; 2. ფსიქოლოგიურ პათოლოგიური; 3. სოციალურ-ეკონომიკური[38]. ავტორს ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების მხრიდან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის დემონიზირების შესაძლებლობაზე. იგი ზეგავლენის ჯგუფში რადიკალურ შეხედულებებს აღვივებს, ხოლო სათანადო ზეგავლენის შემთხვევაში შესაძლებელია ექსტრემიზმის ფორმა მიიღოს. ავტორის განმარტებით, მიუხედავად რადიკალიზაციის მრავალი მახასიათებლისა მას უმეტეს შემთვევაში სწორედ, რომ სოციალური და ეკონომიკური მოტივები უდევს საფუძვლად.

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად ქისტი, აზერბაიჯანელი და ქართველი (აჭარა) მუსლიმი თემი. ნიშანდობლივია ის გარემოება რომ თუ ქისტებთან და ეთნიკურ ქართველებთან მიმართებით ადგილი არა აქვს საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემას, *(ქისტები სრულყოფილად ფლობენ ქართული ენას, წეს ჩვეულებებს, სრულყოფილად არის ადაპრიტებული ქართულ საზოგადოებასთან),* განსხვავებული სურათს ვხვდებით აზერბაიჯანელი თემის მაგალითზე. იგი ერთის მხრივ განპირობებულია აზერბაიჯანთან სასაზღვრო სიახლოვით, ასევე რეგიონში ქართული სახელმწიფოს ნაკლები ჩართულობით. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მიუხედავად ქისტებისა და ქართველების (აჭარა) ინტეგრაციისა ქართულ საზოგაოებაში, სწორედ რომ მეტწილად აღნიშული ორი თემიდან/რეგიონიდან არიან ადამიანები წასული სირიაში მიმდინარე საომარ კონფლიქტში. აზერბაიჯანულ თემის შემთხვევაში ეს საკითხი მიმდინარე ეტაპისათვის შედარებით ნაკლები სიმწვავით ხასიათდება.

---

[37] Bongar, Bruce. "The Psychology of Terrorism: Defining the Need and Describing the Goals', Psychology of Terrorism." Bongar, Bruce, ed. Psychology of Terrorism. Oxford: Oxford University Press, 2007;

[38] Dalgaard-Nielsen, Anja. Studying violent radicalization in Europe. Part I. Potential Contribution of Social Movement Theory. DIIS Working Paper. Copenhagen: Danish Institute for International Studies, 2008.

დალგარდ-ნილსენი[39] მტკიცებით პიროვნების რადიკალიზაციის მნიშვნელოვანი გარემოება საკუთარი იდენტობასთან დაკავშირებული პრობლემებია, მაშინ როდესაც ადამიანი ეძებს ჯგუფს, გარემოს, იდეოლოგიას სადაც შეეძლება საკუთარი თავის რეალიზაცია. ეს თეორია ნაკლებად ესადაგება ეთნიკურად ქისტი მებრძოლების ყოფნის გამომწვევ მიზეზებს სირიაში მიმდინარე კონფლიქტში, რაც ჩვენი აზრით განპირობებულია მთის საქართველოს (სვანეთი, ხევსურეთი, მთიანეთი, ფშავი და. სხვა) კულტურულ -ისტორიული სიახლოვით ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, მაშინ როდესაც განსხავებულ სიტუაციას ვხვდებით ეთნიკურ ქართველების მცირე ნაწილთან/ აჭარლებთან მიმართებით. საუკუნეების განმავლობაში ქართულ მართლმადიდებლური ეკლესიის უმნიშვნელოვანისი როლი ქონდა ქართული საზოგადოების ფორმირებაში და დროის გარკვეულ პერიოდში ეთნიკურობის ფუნქცია შეითავსა. საზოგადოებაში გაბატონდა შეხედულება, რომ ვინც აღმსარებლობით მართლმადიდებელი არ არის არ მიიჩნეოდა სრულყოფილ ქართველად. აჭარასთან მიმართებით მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეთნიკურ ქართველებს წარმოადგენენ და სრულად არიან ინტეგრირებული დანარჩენ მოსახლეობათან, აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს, გარე ძალები, კერძოდ მათ მიერ დაფინანსებული არალეგალური მუსლიმური სასწავლებლები, ასევე ის კულტურული და ეკონომიკური პროექტები რომლებიც ცდილობენ საზოგადოებაში რელიგიურ ნიადაგზე შუღლის გაღვივებას და ქართველი მუსლიმების როგორც არასრულყოფილ ქართველებად წარმოჩენას. ხდება მუსლიმი თემის მიზანმიმართულად დემონიზირების მცდელობა. იგი სხვა ფაქტორებთან ერთად ქრისტიანი და მუსლიმი ჯგუფის რადიკალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა.

ქართულ რეალობისათვის ასევე მნიშვნელოვანია სოციალური ჯგუფების თეორია. საგემანის განმარტებით იგი წარმოადგენს პიროვნების ჩართულობის, სწავლების, ძალადობრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების სისტემურ პროცესს წარმოადგენს. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეგობრები, ნათესავები, ახლობელი ადამიანები, რელიგიური ჯგუფები, არაფორმალური შეხვედ-

[39] Neumann, Peter. “Introduction.” Neumann, Peter, ed. Perspectives on Radicalization and Political Violence. London: International Centre for the Study of Radicalization and Political Violence, 2008.

რები და საგანმანათლლებლო, რელიგიური დაწესებულებები[40]. ამ მხრივ საქართველოში აშკარად შეინიშნება არაოფიციალური რელიგიური თუ საერო სასწავლებლების უკონტროლო გახსნის ტენდენცია. მსგავს სასწავლებლებში საკმაოდ ხშირია არაფორმალური შეხვედრების რაოდენობა. მასში საგანმანათლებლო პროცესი არ მიმდინარეობს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, რაც სწავლების ობიექტურობასა და ხარისხში ეჭვის შეტანის რეალური საფუძველია.

ამრიგად, ქართულ რეალობაში მოსახლეობის რადიკალიზაცია მეტწილად განსაზღვრავს *არსებული არსებული სოციალურ-ეკონიკური გარემო, ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა, არსებული პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური განწყობები, რეგიონის ეთნიკური სიჭრელიე და საგარეო პოლიტიკური ძალების პოლიტიკური ზეგავლენის მცდელობები.*

რადიკალიზმის პირველი ნიშნები საქართველოში, აჭარაში. საქართველოში არსებული რადიკალიზაციის პრობლემის შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია აჭარაში არსებული ვითარების სათანადო შესწავლა და ანალიზი. აჭარა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე რეგიონია. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მუსლიმური თემი წარმოადგენს. **ისლამის გავრცელების ძირითადი მიზეზი რეგიონში ოსმალთა 300 წლიანი ბატონობაა.** მოსახლეობის ისლამიზაციისათვის ოსმალეთის ხელისუფლება ეფექტურად იყენებდა ეკონომიკური იძულების ბერკეტებს. ეს უადვილებდა დაპყრობილი ტერიტორიების მართვას და ხელს უწყობდა ქართველების ასიმილაციას. ეკონომიური ხასიათის ბერკეტებს ქართულ და ოსმალურ საისტორიო წყაროებში ***„თანზიმითი“-ს*** სახელით მოიხსენიებენ.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის შედეგად შესაძლებელი გახდა **ქართული მიწების დაბრუნება. გაფართოვდა რუსეთის იმპერიის საზღვრები. რელიგიური ტრანსფორმაციის მიუხედავად აჭარის მოსახლეობამ შეინარჩუნა ეროვნული თვითმყოფადობა და ქართული თვითშეგნება.** რელიგიურ განსხვავებულობას ხელი არ შეუშლია მუსლიმი და ქრისტიანი ქართველების კონსო-

[40] Asta Maskaliūnaitė*, EXPLORING THE THEORIES OF RADICALIZATION, INTERNATIONAL STUDIES INTERDISCIPLINARY POLITICAL AND CULTURAL JOURNAL, Vol. 17, No. 1/2015

ლიდაციის პროცესისათვის.

ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც შეიზღუდა, მეტწილად კი საერთოდ აიკრძალა რელიგიური საქმიანობა. დაიხურა რელიგიური სასწავლებლები და სამლოცველოები. მე-19 ს. 80-იანი წლებიდან, უფრო აქტიურად კი მე-20 საუკუნის შუახანებიდან იწყება მთიანი აჭარიდან ზღვისპირეთსა და მომიჯნავე გურიის რეგიონში ჭარბი მოსახლეობის მიგრაცია. ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიების მიუხედავად აჭარლებით დასახლებულ გურიის ზოგიერთ სოფელში, კერძოდ ზოტსა და ჩხაკაურაში ფარულად ფუნქციონირებდა მეჩეთები[41], თუმცა იმდროინდელი პოლიტიკური სისტემის გათვალისწინებით მათ რაიმე მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება არ შეეძლოთ. საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ არნახული ძალით იფეთქა რელიგიურმა გრძნობებმა. ეს განსაკუთრებით თვალში საცემი იყო აჭარაში და აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განსახლებულ **მოსახლეობაში. გამოიკვეთა უცხო ქვეყნებისა თუ ცალკეული ორგანიზაციების ინტერესები მუსულმანებით დასახლებული ტერიტორიების მიმართ. გაჩნდა რადიკალიზაციის საფრთხეები.**

საბჭოთა პერიოდში აჭარაში მეტწილად რელიგიური გრძნობები მიძინებული იყო. რელიგიური გრძნობების სენსიტიურობისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი თავიდანვე დაექვემდებარე საბჭოთა სპცსამსახურების აქტიურ შესწავლასა და კონტროლს. კონტროლზე იქნა აყვანილი რელიგიურ საკითხებზე მომუშავე პირები თუ ორგანიზაციები, მაქსიმალურად შეიზღუდა მათი კავშირი უცხოეთის შესაბამის ორგანიზაციებთან. საბჭოთა მხარე შეეცედა რეგიონში არსებული რელიგიური განწყობები შეეცვალა კომუნისტური იდეოლოგიის მეშვეობით, რაც სპეციალისტების განმარტებით სერიოზულ შეცდომად იქნა მიჩნეული. შეცდომაში იქნა შეყვანილი როგორც სპეცსამსახურები ასევე ხელისუფლება, როდესაც მათ მიიჩნიეს, რომ რეგიონში შეძლეს ისლამური მრწამსის განდევნა და მათი ჩანავლება კომუნისტური იდეოლოგიით.

1991 წლის 9 აპრილს ხელი მოეწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, რითაც ქვეყანა საბოლოოდ განთავი-

[41] რუსლან ბარამიძე, „საქართველოს მუსლიმური თემი და ასხელმწიფო პოლიტიკა (1991-2012 წლები)“ 2014:12, ბათუმი.

სუფლდა საბჭოთა მარწუხებისაგან. უკვე დამოუკიდებელ თუმცა პოლიტიკურად, ეკონომიკურად დასუსტებულმა ქვეყანამ ვერ შეძლო საკუთარ თავზე აეღო იდეოლოგიური ფუქნციის შესრულება. ამან განაპირობა, რეგიონში ემისრების, ფინანსური ორგანიზაციების უკონტროლო შემოსვლა. მათი მხრიდან იხსნებოდა, ფინანსდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციები, სასწავლებლები, ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს სასწავლებლად უშვებდნენ უცხოეთში.

საბჭოთა კავშირის დაშლამ ახალი შესაძლებლობები მისცა ისეთ სახელმწიფოებს როგორებიცაა თურქეთი, ირანი და სხვა არაბული, ისლამური ქვეყნები. ქვეყნებს შორის ეკონომიკურმა უთანასწორობამ მიგრაციული პროცესები წარმოქმნა, ამასთან ერთად ღირებულებათა ექსპორტი რეგიონში უფრო ხელშესახები გახადა. საბოლოოდ აღმოვჩნდით იმ რეალობის წინაშე, სადაც რადიკალიზაციის ხელშემწყობ შიდა, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ფაქტორებს ემატება რადიკალიზმის გარე საინფორმაციო პოლიტიკურ-რელიგიური ფაქტორებიც.

აღსანიშნავია, მსგავსი ქმედებები დღესაც არანაკლებ აქტუალურია. დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან საქართველოში შეინიშნება უკვე მოსახლეობის რადიკალიზმის ნიშნები. პოლიტიკოსების მხრიდან გაკეთებული განცხადებები, მათ მიერ წარმოებული კამპანია თავდაპირველად აგებული იყო ქართველი ერის ნაციონალურ გრძნობებზე და ღირებულებებზე. შესაბამისად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი განწყობა რომლითაც მოხდა ეთნიკურად ქართველი თემის განცალკევება საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ თემებთან მიმართებით. პოლიტიკოსთა განცხადებები „საქართველო ქართველებს“, „საქართველოში ჩამოსახლებულ უცხო ტომელებმა უნდა დატოვონ ქვეყანა“, ქართველი აუცილებლად ქრისტიანი უნდა იყოს“ და ა.შ. ხელი შეუწყო ქართულ თემში საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად არაქართული თემის მიმართ მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულების გაჩენას. გაჩნდა რეალური ხიდჩატეხილობის პრობლემა. დასახელებული პროცესების პარალელურად კიდევ უფრო აშკარა გახდა საგარეო სუბიექტების დაინტერესება საქართველოსთან და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ, რელიგიურ თემებთან მიმართებით. ისლამური იდეოლოგიური ექსპორტის წარმატებული გავრცელება თუ იმ პერიოდში აჭარაში ნაკლებად მიიჩნეოდა საფრთხედ, დღეს იგი ქვეყანისათვის სერიოზული გამოწვევა გახდა. რელიგიური თემებ-

ზე მანიპილირებამ რეგიონში გამოუწვია ქრისტიან ქართველებსა და მუსლიმ ქართველებს შორის უთანხმობის გაჩენა. დაინტერესებულ მხარეთა გავლენით აჭარაში მომძლავრდა სხვადასხვა რელიგიური თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა მიზანს აჭარაში რელიგიური საკითხების წინ წამოწევა და პოლიტიკური ისლამის გავლენის გაძლიერება წარმოადგენს.

1993 წელს foreign Affairs -ში სამუელ ჰანთიგნტონის ცივილიზაციათა შეჯახების სადაც ავტორი 21 საუკუნეში კულტურათა შორის ომზე აკეთებდა წინასწარმეტყველებას 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენამ ავტორისეულ შეხედულებას ახალი სიცოცხლე შესძინა. ამან დასავლეთის ქვეყნები აიძულა, გადაეხედათ საკუთარი პოლიტიკისათვის ისლამური რელიგიისა და მისი მიმდევრების მიმართ. თუ ვიხელმძღვანელებთ მოსაზრებით, რომ რელიგიური რადიკალიზმი ეს არის პოლიტიკური ძალადობის ფორმა, რომელიც საზოგადოებაში შიშსა და უნდობლობის დათესვით ცდილობს, გავლენა მოახდინოს სახელმწიფოსა და მის პოლიტიკაზე, საერთაშორისო თანამეგობრობაზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფსიქოლოგიური ომის პირველი ფაზა საქართველოში დასახელებული იდეოლოგიის გამტარებელი აქტორების სასარგებლოდ დასრულდა.

რელიგიურ-პოლიტიკური ვითარების გააზრებისათვის. სირიისა და ერაყის საომარ კონფლიქტში პანკისის ხეობიდან წასული ახალგაზრდებთან ერთად მონაწილეობდნენ აჭარიდან წასული ქართველი მუსლიმების (სუნიტები) გარკვეული ნაწილიც. რეგიონში აშკარად **გამოიკვეთა რადიკალური ისლამური იდეოლოგიის ექსპორტი,** ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან ტრადიციული **ისლამის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების სურვილი.** 1992 წლიდან აჭარაში აქტიურად და მიზანმიმართულად დაიწყო **არალეგალური ისლამური სასწავლებელებისა თუ მეჩეთების მშენებლობა, ყურან-კურსების სწავლება. უცხოელი ემისრებისა და მისიონერების შემოსვლა**. ისლამური განათლების მისაღებად აჭარიდან მუსლიმური ქვეყნების (უპირატესად თურქეთის) რელიგიურ სასწავლებებში გაემგზავრა ათეულობით ახალგაზრდა. ამ პროცესმა თანდათანობით უფრო მასშტაბური ხასიათი შეიძინა. იქედან დაბრუნებულ **ახალგაზრდებში აშკარად გამოიკვეთა პოლიტიკური აქტივობის ნიშნები.**

ამ ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ისლამის წამახალისებელი გარემოებების, მისი პოპულარიზაციისა და პო-

ლიტიზირების განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენა.

აჭარასა და აჭარიდან საქართველოს სხვა რეგიონებში განსახლებულ მოსახლეობაში ფიქსირდება არასასურველი და ქვეყნის უსაფრთხოებისათვის რისკის შემცველი ფაქტები. ერთ-ერთი ასეთია ე.წ. **სოფელ ჭელას ინციდენტი (ადიგენის მუნიციპალიტეტი).** საქართველო-თურქეთის სასაზღვრო გზაგამტარ პუნქტ „სარფი"-ის მეშვეობით საქართველოში „ღიად თუ ფარულად" შემოტანილი იქნა მეჩეთის მინარეთი. იგი ოფიციალური ნებართვის გარეშე, კონსპირაციულად დამონტაჟდა ჭელას მეჩეთზე 2013 წლის 27 ნოემბრს. ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წ. 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით მინარეთის მშენებლობა უკანონოდ ჩაითვალა. შესაბამის სამსახურს დაევალა მისი დემონტაჟი. პარალელურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა დაიწყო მოკვლევა მინარეთთან დაკავშირებული მონაცემების ნამდვილობის დადგენის მიზნით[42]. 2014 წ. 26 აგვისტოს მოხდა მინარეთის დემონტაჟი, რაც ადგილობრივ მოსახლეობასა და პოლიციას შორის ფიზიკური დაპირისპირების მიზეზი გახდა. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC)[43] და თავისულების ინსტიტუტმა ამ ფაქტს უარყოფითი შეფასება მისცა[44]. ხელისუფლება იძულებული გახდა მინარეთი „კანონის ნორმების დაცვით" დაებრუნებინა მეჩეთისათვის[45]. ამ ინციდენტში გამოიხატა ხელისუფლების წარმომადგენელთა არაპროფესიონალური მიდგომა. პოლიტიკურ პარტიებსა და ცალკეულ პირებს რეკომენდაცია მიეცათ თავი შეიკავონ „ძალადობრივი

---

42. El-publication – Minaret Returned and 'Stored', Not Re-Erected, 30.03.2018, Available at: https://civil.ge/archives/186770

[43] ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), EMC მინარეთის აღმართვაზე ნებართვის გაცემას დადებითად აფასებს, Available at: 28,11.2013, Available at: https://emc.org.ge/ka/products/emc-minaretis-aghmartvaze-nebartvis-gatsemas-dadebitad-afasebs

[44] ჟურნალი სამხრეთის კარიბჭე – „თავისუფლების ინსტიტუტი: რელიგიური დევნა თვისობრივად ახალ ფაზაში გადადის", 27.08.2018. Available at: http://sknews.ge/index.php?newsid=2158

45 ომბუდსმენი: მინარეთი ჭელაში კანონის დაცვით დააბრუნეს, 29.11.2013, Available at : http://www.tabula.ge/ge/story/77591-ombudsmeni-minareti-chelashi-kanonis-dacvit-daabrunes

პროტესტისა ან/და ძალადობის პროვოცირებისაგან“[46].

ქვეყნის უსაფრთოებისათვის რისკის შემცველ ინციდენტს ჰქონდა ადგილი ამავე მუნიციპალიტეტის **სოფელ მოხეში.** აჭარიდან ამ სოფელში ჩასახლებულმა მუსლიმებმა სოფლის ერთ-ერთი შენობის მეჩეთად გადაკეთება მოიწადინეს. ეს მაშინ, როცა სოფელს სხვა ადგილას უკვე ჰქონდა მუსლიმანური სამლოცველო. მუსლიმთა ამ მოთხოვნას ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის პროტესტი მოყვა. საპატრიარქოს განცხადებით, ეს შენობა რამდენიმე საუკუნის იყო და წარმოადგენდა ქრისტიანულ ნაგებობას. შესაბამისად მიუღებელი იყო მისი მეჩეთად გადაკეთება[47]. ტენდერში გამარჯვებული კომპანიას იქ კულტურის სახლის უნდა აეშენებინა. სიტუაცია დაიძაბა როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მუსლიმებს, ისე იქ მცხოვრებ მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა აქცენტი გააკეთა სახელისუფლებო ძალების მიერ ძალის სავარაუდო გადამეტებაზე და მომხდარ ფაქტს უარყოფითი შეფასება მიეცა[48]. რელიგიის სახელმწიფო სააგანტოს ინფორმაციით, სოფელ მოხეს მცხოვრებლებს მათთვის მეჩეთის საკითხზე არ მიუმართავთ[49]. სრულიად საქართველოს სამუფთო კი მხარდაჭერას უცხადებს მუსლიმებს და ხელისუფლებას საკითხის გაჭიანურებაში ადანაშაულებს[50].

საფრთხის შემვცელად გვესახება აგრეთვე **2016 წლის 11-12 მარტს ბათუმში განვითარებული მოვლენები**. 2016 წლის 11 მარტს ქ. ბათუმში საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მიერ მოქალაქის დაჯარიმება გადაიზარდა მასობრივ პროტესტში, რასაც ცალკეული ადამიანების დაკავება მოჰყვა. აქციის მონაწილეებმა მოგ-

---

[46] აშშ–ის უწყებათაშორისი დელეგაციის წინასაარჩევნო შეფასებები, 12.09.2013. Available at: https://civil.ge/ka/archives/152149

47 TDI – ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, Available at : https://tdi.ge/en/news/164-analysis-occurrences-mokhe-village

[48] Ibid

[49] ელექტრონული სტატია, ტაბულა, რელიგიის სააგენტო: მუსლიმებს მოხეს მეჩეთის საკითხზე ოფიციალურად არ მოუმართავთ, 22.10.2014, Available at: http://www.tabula.ge/ge/story/88927-religiis-saagento-muslimebs-moxes-mechetis-sakitxze-oficialurad-ar-moumartavt

[50] მოხეს ინციდენტი – სამუფთოს განცხადება – 15.10.2016. Available at: https://www.ajaratv.ge/article/6669

ვიანებით გადაინაცვლეს აჭარის პოლიციის დეპარტამენთან. საზოგადოებასა და ინტერნეტ-სივრცეში ვრცელდებოდა ხმები აჭარაში მცხოვრები მოსახლეობის ე.წ. „თათრებად“ (მუსულმანი ქართველების არაქართველებად მიჩნევა) მოხსენიების შესახებ. აღნიშნულმა ფაქტმა კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია. მოხდა შეტაკება საპოლიციო ძალებთან, დაწვეს მანქანები, გაანადგურეს ინფრასტრუქტურა. პრაქტიკულად, ადგილი ჰქონდა ვანდალიზმს. მოვლენებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა დავინახოთ აქციის ორგანიზებულობის ელემენტები. საზოგადოებაზე ზემოქმედების მოსახდენად და მოსახლეობაში სათანადო განწყობის მისაღწევად გამოიკვეთა რელიგიური საკითხებით მანიპულირების მცდელობა.

ამ ფონზე ყურადღებას იმსახურებს სირიასა და ერაყში საბრძოლველად წასული საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის აჭარიდან წასული ახალგაზრდების მონაწილეობის ფაქტები. ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული აჭარაში არალეგალურად არსებული მუსლიმური სასწავლებლები, ასევე ქართველი თუ უცხოელი ემისრები. მათ მიზანს შეადგენდა ცოცხალი ძალით ისლამური სახელმწიფოს უზრუნველყოფა და აჭარის რეგიონში ისლამური ხალიფატის პოზიციების გაძლიერებისათვის ხელშეწყობა.

რეგიონის მოსახლეობაში გავრცელებული ისლამური აღმსარებლობა და მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები არაფორმალური ისლამური სასწავლებლების მომრავლების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორად იქცა. ისლამი უარყოფს ეროვნულ და კულტურულ განსხვავებულობას და აღიარებს ყველა მუსულმანის ძმობის იდეას. სწორედ ამ ბერკეტს იყენებენ ცალკეული მუსლიმური სახელმწიფოები და ორგანიზაციები შესაძლო ზემოქმედების მოსახდენად. მათი იდელოგოგიით, ისლამის მიმდევარი პოტენციურად გაერთიანებული მუსულმანური სახელმწიფოს მოქალაქე შეიძლება გახდეს. გამოჩნდნენ პირები, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მუსლიმური ერთობის მანიპულირებით ცდილობენ აჭარაში მცხოვრები ქართველი მუსლიმების გამოყენებას. ***ყურადღებას იმსახურებს მედრესეებში არსებული სწავლების პროცესიც. მაგალითად ერთ-ერთი საუბრის დროს ხულოს რაიონში არსებულ მედრესის ერთ-ერთ მოსწავლესთან ხშირად აფიქსირებდა, რომ მას უყვარდა მისი რელიგია ისლამი. რათქმაუნდა რელიგიის სიყვარული კარგია, თუმცა ის ფაქტი, რომ ზოგადად ისლამის იდეოლოგია წინააღმდეგობაში***

მოდის სახელმწიფობრიობის იდეასთან და სახელმწიფოზე წინ რელიგიას აყენებს ჩვენს შემთხვევაში სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს. ამ ფონზე კითხვის მატარებელია მსგავს სკოლებში მიზანმიმართულად ხომ არ ხორციელდება რელიგიის როგორც ძირითადი ღირებულებისა და იდეოლოგიის არსებობაზე აქცენტის გაკეთება. სწავლების პროცესში ხომ არ ხდება მისი საქართველოზე, საქართველოს ისტორიასა და ზოგადად სახელმწიფოებრივ იდეებზე წინ დაყენება.

აჭარის მუსლიმური თემის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჩემთან ინტერვიუში (2019 წლის იანვარი) მკაფიოდ დააფიქსირა მათი მიზანი – **რეგიონში ისლამური პარტიის შექმნა.** რესპოდენტის აზრით „აჭარის მუსლიმი თემი ჯერ არ არის მზად ფართომასშტაბიანი პოლიტიკური საქმიანობისათვის. ამას გარკვეული დრო და რესურსი სჭირდება. ამისათვის მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში დასახელებული იდეა მიღწევადი იქნება“[51]. რესპოდენტის თქმით, ტრადიციული ისლამის გაძლიერება და **ისლამური პარტიის პოლიტიკაში მოსვლა ხელს შეუშლის არატრადიციული ვაჰაბიტური მიმდინარეობების საქმიანობას.**

ერთ-ერთ რესპონდენტმა საქართველოში სხვა კონფესიებთან შედარებით მუსლიმი თემის არათანაბარ მდგომარეობზე გაამახვილა ყურადღება. ეს მაშინ, როცა აჭარაში მეჩეთების რაოდენობა რამდენჯერმე ჭარბობს ქრისტიანული ტაძრების თუ სხვა სამლოცველოების რაოდენობას. რესპოდენტი ამართლებს თურქეთის რელიგიურ სასწავლებლებში აჭარიდან ქართველი ახალგაზრდების სასწავლებლად გამგზავრებას, თუმცა გვერდს უვლის საუბარს იმ სქემის შესახებ, რომლის მიხედვითაც ხდება მოზარდების შერჩევა, კერძოდ: ყველაზე გონიერ ბავშვებს ამთავრებინებენ რელიგიურ სასწავლებლებს სამსუნსა თუ ტრაპიზონში. მათგან ყველაზე ნიჭიერები კი მიყავთ სტამბულისა თუ ანკარის პრესტიჟულ საერო სასწავლებლებში ასევე მოთხოვნად და პრესტიჟულ სპეციალობებზე, აფინანსებენ, აძლევენ აკადემიურ განათლებას, რათა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დასაქმდნენ სახელმწიფო სტრუქტურებში და გაატარონ შესაბამისი პოლიტიკა.

აღნიშნულის შესახებ მუსლიმი რესპონდენტები და მეჩეთის

[51] ინტერვიუ ქართველ მუსლიმთა კავშირის ხელმძღვანელ ტარიელ ნაკაიძესთან, – კახა ფუტკარაძე, 2017 წლის 12 სექტემბერი, ბათუმი.

მსახურნი საუბარს გაურბიან, თუმცა პოლიტიკური სპეკულაციების თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიიჩნევენ აჭარაში „ისლამური უნივერსიტეტის ან არსებულ სახელმწიფო უნივერსიტეტში ისლამის სწავლები ფაკულტეტის ჩამოყალიბებას“. ამით ხელი შეეწყობა რეგიონში „ტრადიციული ისლამის სწორად სწავლებას და ხელი შეეშლება რეგიონიდან სირიასა და ერაყში ახალგაზრდების *გადინებას*“[52].

ვაჰაბისტური იდეოლოგიის გავრცელების ტენდენცია თვალშისაცემია სხვა რელიგიების წარმომადგენლებისათვისაც. აღნიშნულის შესახებ აშკარად საუბრობს ბათუმის ერთ-ერთი ქრისტიანული ტაძრის მსახური, რომელმაც ვინაობის დაფიქსირება არ ისურვა. მისი განცხადებით უნდა შეიზღუდოს ისლამური ქვეყნების მოქალაქეების საქართველოში შემოსვლის შესაძლებლობა, გამკაცრდეს სასაზღვრო კონტროლი, სახელმწიფომ ქმედითი ღონისძიებები უნდა გადადგას ისლამური ქვეყნებისა და ორგანიზაციების გავლენის შესასუსტებლად. რესპოდენტი დაუშვებლად მიიჩნევს რეგიონში ისლამური უნივერსიტეტის ან შესაბამისი ფაკულტეტის გახსნას[53].

რადიკალური ისლამური იდეოლოგიის გავლენის ზრდასა და აჭარაში არსებულ არალეგალურ **საგანმანათლებლო ცენტრებს უკავშირდება აჭარაში მცხოვრები ქართველი მუსლიმების – თამაზ ჭაღალიძის, ხვიჩა გობაძის, ნოდარ პაქსაძის, ბადრი ირემაძის, მამუკა ანთაძის და სხვათა მონაწილეობა სირიისა და ერაყის კონფლიქტში.** ამასთან, აჭარაში მოქმედებს არაერთი ე.წ საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობაც საზოგადოებაში იწვევს საფუძვლიან ეჭვებს. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ორგანიზაცია **„მადლი 2005“,** რომლის წინააღმდეგ 2005 -2006 წლებში საქართველოს საგამოძიებო უწყებებმა დაიწყეს გამოძიება და ფინანსური საკითხების შესწავა. არაოფიციალურად საქმე **ეხებოდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს**.

აჭარიდან ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში ქართველი მუს-

---

[52] ინტერვიუ აჭარის ყოფილ მუფთ ბეჟან – ბექირ ბოლქვაძესთან, – კახა ფუტკარაძე., 2016 წლის 20 ივლისი, ბათუმი.

[53] კონფიდენციალობის პირობების დაცვით ჩატარებული ინტერვიუ ქრისტიანული ტაძრის ერთ-ერთ წარმომადგენელთან, 2019 წლის 28 აპრილი, ქ. ბათუმი.

ლიმების მონაწილეობას ობიექტური და სუბიექტური მიზეზები უდევს საფუძვლად. იქ მებრძოლი ქართველი მუსლიმების განცხადებები ქვეყნის პოლიტიკურ და სასულიერო ხელმძღვანლობაზე ზემოქმედების მოხდენას ისახავს მიზნად. ამის დასტურია სირიის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე ქართველი მუსლიმის, „აჰმედ გურჯის“ სახელით ცნობილ თამაზ ჭაღალიძის განცხადება: „ყურადღება! საქართველოს ქააფირებს მივმართავ, ვინც ისლამისა და მუსლიმანების წინააღმდეგ რაიმე ჩაიდინეთ ნატო-ს მისიებით – ერაყში, ავღანეთში, აფრიკაში, თუ საქართველოში – ლაფანყურში, პანკისში, გურიაში, აჭარაში, ჯავახეთსა თუ სხვა რეგიონებში, ყველა ფაქტი გვახსოვს და ყველა მონაწილის სახელი და გვარი ვიცით. ვიცით ყველა "კაგებეშნიკი," ვინც ჩვენს ძმებს შეურაცხყოფას აყენებს. ამ ყველაფერზე პასუხს აგებთ. გპირდებით დაჩოქილ ვედრებას დაგაწყებინებთ, გაჩენას ინანებთ, თქვე, ვირთხებო! საპატრიარქოს აჭარლების და აჭარის პრობლემებისთვის ისეთ დღეში ჩაგაგდებთ, ინატრებთ, რომ ქვეწარმავლად გავჩენილიყავითო. ვფიცავ ალაჰს, ერთი შანსი აქვთ მოქალაქეებს, ისლამი აღიარონ და ხალიფატს დაემორჩილონ!"[54]. განცხადების ავტორი უარყოფს ფინანსური ინტერესებით მონაწილეობას საბრძოლო ოპერაციებში, თვლის, რომ საქართველოში ისლამის მიმდევრებს ჩაგრავენ, მუფთებს კი მთავრობის დანიშნულებად მიიჩნევს[55]. თ. ჭაღალიძის ამ განცხადებაში ნათლად ჩანს აჭარის რეგიონის ისლამურ სახელმწიფოდ გადაქცევის სურვილი. ცხადია, მსგავსი ტიპის განცხადებები მათი იდეოლოგიური დამუშავების შედეგია. აღნიშნულის გაუთვალისწინებლობა დამაზიანებელი იქნება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის.

აჭარიდან საბრძოლველად წასული საქართველოს მოქალაქეების ქმედებას სხვადასხვა მიზანი ამოძრავებდათ. ამ მიზნებს შორის ყველაზე სახიფათო აჭარის ავტონომიის ისლამურ სახელმწიფოდ ქცევის სურვილი იყო. შესაბამისად, მათი ქმედებებიც ამ სტრატეგიულ ამოცანას ემსახურებოდა. გავრცელებულმა ვიდეო

---

[54] ეკა გადახაბაძე, „გაჩენას ინანებთ!" – ვის ემუქრება ქართველი მოჯაჰედი და რას ითხოვს ჩვენი ხელისუფლებისგან (ექსკლუზივი)“, გაზეთი კვირის პალიტრა, 01.22.2015, Available at: https://www.kvirispalitra.ge/public/23983-qgachenas-inanebthq-vis-emuqreba-qarthveli-mojahedi-da-ras-ithkhovs-chveni-khelisuflebisgan-eqskluzivi.html;

[55] IBID

მიმართვებმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მოსახლეობის ნაწილს მოსალოდნელი საფრთხის გამო შიში დაეუფლა. არც კონფლიქტის ზონაში ისლამის მიმდევარი ახალგაზრდების შემდგომი გადინების რისკი გამოირიცხებოდა. ვიდეომიმართვების ავტორები და კონფლიქტის ზონაში მებრძოლი ქართველი მუსლიმი ახალგაზრდები აქტიურად ეუფლებოდნენ ისლამურ სწავლებას აჭარაში არსებულ ისლამურ პანსიონატებში. გარკვეულ პირთა ხელშეწყობით შემდგომში მოხდა უცხოეთში მათი გამგზავრების ფინანსური უზრუნველყოფა. ისმის კითხვა: რა სამართლებრივი სტატუსი აქვს ამ არალეგალურ სასწავლებლებს? მედრესეებს? საკითხი ბუნდოვანია. ეს მაშინ, როცა არც ერთ ამ სასწავლებელს არ აქვს შესაბამისი ლიცენზია. ქვეყნის უსაფრთხოების სტრუქტურებმა ამ კითხვებზე პასუხი უნდა გასცენ. ყველასათვის ცნობილია ბათუმში (და არა მარტო ბათუმში) ასეთი სასწავლებლების ფუნქციონირება. კვლევის მიზანდასახულობიდან გამომდინარე მომიხდა ერთ-ერთ არაოფოციალურ მუსლიმურ სასწავლებელში ინფორმაციის მოპოვება. სასწავლებელში აჭარის მაღალმთიანეთიდან ჩამოსული 30-ზე ახალგაზრდა უფასოდ ცხოვრობდა და სწავლობდა. ზოგი მათგანი სპორტით იყო დაკავებული, ზოგი უნივერსიტეტში სწავლობდა. პანსიონატში ცხოვრების სანაცვლოდ ისინი ყოველღიურად უნდა დასწრებოდნენ ლოცვებსა და ყურან კურსების სემინარებს, ესწავლათ არაბული წერა-კითხვა და ა. შ. ერთ-ერთ სემინარზე დასწრების უფლება მეც მომცეს. სემინარის ფარგლებში განიხილავდენენ „ალლაჰის მოციქულის მუჰამადდის“-ის ცხოვრებას და „ყურანის“ ძირითად პრინციპებს. სემინარზე დასწრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ისლამის მიკერძოებული სწვლების შესახებ არსებული ეჭვები. ვფიქრობთ, რომ ასეთი სასწავლებელ-პანსიონების არსებობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა კონტრტერორისტული სამსახურებისათვის. ერთ-ერთი რესპონდენტი ადასტურებს ბათუმში მდებარე ერთ-ერთ არალეგალური სასწავლებელ/პანსიონატის ჩართულობას სირიაში ახარგაზრდების გაგზავნის საქმეში[56]. აღნიშნული პროცესს ხელმძღვანელობდნენ საუდის არაბეთიდან და ეგვიპტიდან ჩამუსული ორი მოქალაქე, რომელთაგანაც ერთ-ერთი საქართველოს კონ-

[56] ინტერვიუ კავკასიის საკითებში ექსპერტ მამუკა არეშიძესთან, კახა ფუტკარაძე., 2016 წ. 12 დეკემბერი.

ტრტერორისტულმა სამსახურებმა დააკავეს, მეორემ კი მოახერხა გაქცევა. ეს ფაქტი ფართო საზოგადოებისადმი დღემდე უცნობია. სირიაში მებრძოლი ქართველებისადმი პანსიონატის მასწავლებლებსა და იქ მცხოვრებ ახალგაზრდებს ოფიციალურად უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, თუმცა არ მალავენ აჭარაში ისლამის გავრცელების სურვილს და მუსლიმი ქართველების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ ჩართულობის აუცილებლობას.

აჭარის ისლამური სასწავლებლებში (მედრესე, პანსიონი) სწავლების პარალელურად, მიმდინარეობს გამორჩეულად ჭკვიანი, გონიერი ახალგაზრდების მიზიდვა და სწავლის გასაგრძელებლად უცხოეთის (უპირატესად თურქეთის) უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნა – მომავალი პერსპექტივის გარანტიითა და ფინანსური რესურსების გამოყენებით. იქედან დაბრუნებულებს აშკარად ეტყობათ პოლიტიკური და რელიგიური მსოფლმხედველობის რადიკალური ცვლილება. ამ ფონზე, თითქოსდა მუსლიმთა უფლებების დასაცავად, შეიქმნა უცხოეთიდან უხვად დაფინანსებული სხვადასხვა არასამთავრობო და უფლებადამცველი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა სერიოზული ეჭვების საფუძველს იძლევა. ამასთან, სხვადასხვა რეიტინგულ და ყურებად გადაცემებში ხშირია მათი წარმომადგენლების მონაწილეობით მომზადებული გადაცემები თუ ინტერვიუები. ასეთ გადაცემებში მათი მიწვევა კი საზოგადოების იდეოლოგიური დამუშავებისა და შეცდომაში შეყვანის ერთ-ერთი საშუალებაა. ისინი ავრცელებენ გადაუმოწმებელ და მიკერძოებულ ინფორმაციას, რაც საზოგადოების გახლეჩასა და დაპირისპირებას უწყობს ხელს. შესაბამისად, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში იზრდება ამ პირთა ავტორიტეტი, რაც მათი საქმიანობის შემდგომი გაფართოების ერთ-ერთი წინაპირობაა.

მდგომარეობას ართულებს აგრეთვე სამოქალაქო განათლების დაბალი დონე რეგიონში, რაც სოციალურ ფაქტორებთან ერთად ახალგაზრდობის ისლამურ სასწავლებლებში წასვლის ერთ-ერთი ძირითადი მოტივატორია. ახალგაზრდების მიზიდვას ხელს უწყობს აგრეთვე ამ სასწავლებლებსა და პანსიონებში ცხოვრების ხელსაყრელი პირობების არსებობა. ისინი ახალგაზრდებს თავშესაფარს, უფასო კვებას და უფასო სწავლებას სთავაზობს. ისლამური სასწავლებელ//პანსიონის სტუდენტთა/მოსწავლეთა გარკეული ნაწილი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს, თუმცა

აშკარაა მათი ჩაკეტილობა და უნივერსიტეტის დანარჩენ სტუდენ-ტებთან ინტეგრაციის დაბალი ხარისხი.

ამრიგად, საქართველოში მათ შორის აჭარაში ისლამის საკით-ხის გააქტიურება საბჭოთა კავშირის რღვევასა და ქვეყნის დამოუ-კიდებლობის მოპოვებას უკავშირდება. იმდროინდელი რთულმა სოციალურმა-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ ხელი შეუწყო ქვეყნიდან ახალაგაზრდების მუსლიმური ქვეყნებში გადი-ნებას და რეგიონში ისლამური სასწავლებლების მომრავლებას. სხვა მრავალ გარემოებასთან ერთად, დასახელებულმა ფაქტორმა მოსახლეობაში ისლამის პოპულარობის ზრდა, მუსლიმური სამ-ლოცველოების მშენებლობის მზარდი ტენდენცია განაპირობა. უცხოელი ემისრების პროპაგანდისტულმა საქმიანობამ, უკანონო ფინანსური რესურსების შემოდინებამ და ისლამური ქვეყნებიდან დაბრუნებული ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის კოორდინი-რებული მოქმედებამ, რეგიონში გამოკვეთა ისლამის პოლიტიზი-რების მცდელობა. იგი უკავშირდება მუსლიმი ქვეყნებიდან დაბ-რუნებული ახალგაზრდების ქართულ საზოგადოებასთან ინტეგ-რაციის დაბალ დონეს, განსხვავებულ, კულტურულ-ღირებულე-ბით ფასეულობს. აღნიშნულმა გარემოებამ ხელი შეუწყო რადიკა-ლიზაციის და ექსტრემიზმის გაძლიერებას. რადიკალიზაციის ხელშემწყობ ფაქტორებად გვევლინება აგრეთვე ზოგიერთი არა-სამამთავრობო ორგანიზაციისა და არალეგალური მუსლიმური სასწავლებლების საქმიანობა[57]. ისლამის პოლიტიზირების მცდე-ლობა – ისლამური ქვეყნებისა და ორგანიზაციების გავლენების გაფართოვების სახიფათო ტენდენციაა. ამის ნათელი დადასტურე-ბაა ისლამური პარტიის ჩამოყალიბებისა და პოლიტიკურ პროცე-სებში მონაწილეობის სურვილი. გამოიკვეთა რელიგიური საკითხე-ბის მანიპულირებით კონფლიქტის ინსპირირების შესაძლებლობა. აღნიშნული გარემოება იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ ცალკეუ-ლი მუსლიმური ქვეყნების სპეცსამსახურების მცდელობა – გადა-ფარონ მათი სადაზვერვო საქმიანობის რეალური მიზანი.

მოვლენათა ანალიზმა, გამოავლინა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, არალეგალური ისლამური სასწავლებლების, უცხო ემისრების საქმიანობის პირდაპირი გავლენა ვაჰაბიზმის გავ-

[57] აბესალომ ასლანიძე, საქართველოში ახალგაზრდების რადიკალიაციის მიზეზები და მისი გადაჭრის გზები, 2018:86/88, ჩვენი სულიერების ბალავარი, X, ISSN 1987-5916

რცელებაზე. ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესები დღის წესრიგში აყენებს რეგიონში რადიკალური ისლამური იდეოლოგიის გაჩენისა და გავრცელების მიზეზების შესწავლისა და ცალკეულ მუსლიმურ სახელმწიფოებთან და ორგანიზაციებთან არსებული კავშირების შესუსტების აუცილებლობას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში რადიკალიზაციის პროცესი სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში არსებულ განმარტებასთან საზოგადოებაში რადიკალიზაციის არსებობის შესახებ. ზემოაღნიშნულის თანახმად მოსახლეობის რადიკალიზაცია არსებობა უნდა პასუხობდეს ოთხ ძირითად კომპონენტს:

1. საზოგადოებაში ან მის ცალკეულ ნაწილში გარკვეულ პოლიტიკურ, რელიგიურ, ეთნიკურ ჯგუფებზე, ასევრ პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური და სოციალური პროცესებზე უარყოფითი დამოკიდებულების არსებობა; 2. იდეოლოგიური ზეგავლენა ან ზეგავლენის აშკარა მცდელობა; 3. საზოგადოებაში ხელოვნურად ან თვითნებურად შექმნილი ჯგუფი, რომელიც სისტემატიურად ახორციელებს ფორმალურ და არაფორმალურ შეხვედრებს, სწავლებისა და დარიგების პროცესს, იდეოლოგიური ზეგავლენის მოხდენას, კონკრეტული პროცესის ან/და ჯგუფის სათანადო ფინანსურ უზრუნველყოფას; 4: ქვეყანაში არსებული გარემო-ვითარება და საინფორმაციო ველი[58]

საქართველოში არსებულ პროცესებზე ზედაპირული დაკვირვების შემთხვევაში მკითხველი მარტივად დარწმუნდება ჩვენს მიერ ზემოდ ჩამოთვლილი ფაქტორების სრულ შესაბამისობას ყვეყანაში არსებულ პროცესებთან მიმართებით.

აღნიშნულ პრობლემების გადასაწყვეტად და რისკის შემცველი პროცესების პრევენციის მიზნით სახელმწიფომ უნდა გაატაროს კომპლექსური ღონისძიებები, კერძოდ:

1. ისლამური სასწავლებლები უნდა მოექცეს ერთიან საგანმანათლებლო სისტემაში;
2. უნდა დაიხუროს არალეგალური, ლიცენზიის არმქონე სასწავლებლები;

[58] Hafez, Mohammed, The radicalization puzzle: a theoretical synthesis of empirical approaches to homegrown extremism, Studies in Conflict and Terrorism, v. 38, 2015, pp. 961-970. Available at: http://hdl.handle.net/10945/47758

3. გაირკვეს მუსლიმური სასწავლებლების, მედრესეების, მეჩეთების დაფინანსების წყაროები, შესწავლილი იქნას მათი საქმიანობა და მიზნები, გამოვლინდნენ ის პირები, რომლებიც მანიპულირებენ რელიგიური თემატიკით;
4. დაწესდეს ოპერატიული კონტროლი ამ სასწავლებლეში მომუშავე პირებზე და მოსწავლეებზე, გამოვლინდნენ ის ადამიანები, რომლებიც სთავაზობს ახალგაზრდებს ისლამურ სასწავლებელში სწავლასა და ისლამური წმინდა წერილების პრიციპების დაუფლებას;
5. კონტროლზე იქნან აყვანილი ის ისლამური ორგანიზაციები და პირები, რომლებიც მაღალმთიან აჭარაში ეწევიან პედაგოგიურ, კულტურულ და ეკონომიკურ საქმიანობას, დადგინდეს მათი საქმიანობის ძირითადი მიზნები;
6. მუსლიმ და ქრისტიან სასულიერო პირების მონაწილეობით შემუშავდეს საგანმანათლებრლო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებასთან ახლაგაზრდების ინტეგრაციის ხარისხის ამაღლებას;
7. გატარდეს მოსწავლე ახალგაზრდობასთან იდეურ-აღმზრდელობითი ხასიათისა და სამოქალაქო განათლების ხელშემწყობი ღონისძიებები;
8. ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშესაწყობად აღდგენილ იქნას ხიჭაურის სასაზღვრო სამმართველო (თუნდაც სხვა ტერიტორიაზე);
9. გაირკვეს ხიჭაურის ტბელ აბუსერიძის სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტისადმი ნდობის დაკარგვის ტენდენციის მიზეზები, დადგინდეს – ხომ არ არის ნდობის დაკარგვის ტენდენცია გარკვეულ პირთა თუ ორგანიზაციათა მიზანმიმართული საქმიანობის შედეგი?!;
10. საჭიროა შემოწმდეს სტრატეგიულ, სახელმწიფო და საგანმანათლებლო ობიექტებზე დასაქმებულ და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გარკვეული ნაწილის კეთილსინდისიერება. დაიხვეწოს და გამკაცრდეს არსებული სასაზღვრო კონტროლის სისტემა.

სარჩევი:

ისტორია

1. თამილა ლომთათიძე – ქართველთა ემიგრაცია XX საუკუნის 50-იან წლებში (სტამბულის ქართველთა სავანეში სავანეში დაცული ნინო დადიანის წერილების მიხედვით..... 3
2. ჯემალ კარალიძე – ცარიზმის პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში 11
3. თინათინ ჯაბადარი – აჭარა ქართული პრესის ფურცლებზე (XX საუკუნის დასაწყისი) 21
4. Татьяна Клинина – Государственный департамент США как внешнополитический институт : История и функции 40
5. თეა ქათამაძე – პრინცი ოლდენბურგისა და აგრაფინა ჯაფარიძე – ზარნეკაუს ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები ქუთაისის ცენტრალურ არქივში..... 47
6. ნინო ჯაველიძე/მერაბ მეგრელიშვილი – ანტირუსული მოძრაობა გურიასა და აჭარაში (XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი) 76
7. რევაზ უზუნაძე/მერაბ უზუნაძე – ადრეშუასაუკუნეების ბათუმის ისტორიიდან 88
8. უჩა ოქროპირიძე – ქართული პრობლემები ქართველ ემიგრანტთა ნააზრევში 100
9. ოთარ გოგოლიშვილი – ბათუმის გამწვანების სათავეებთან 115
10. იაგო წულაძე – შავი ზღვის სრუტეების ზოგიერთი პოლიტი-კურ-სამართლებრივი ვითარების გააზრებისათვის..... 118
11. ეკატერინე მაისურაძე – ქართული ენა, როგორც ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანების იდენტობის შენარჩუების მთავარი მარკერი 124
12. ნათელა ფოფხაძე – ცნობები სახმრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ნაწილის შესახებ ლურსმნულ წერილობით დოკუმენტებში..... 134
13. თამარ კუტალაძე – რომაული სამყაროს შესწავლა XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში 146

14. გოგა დათუნაიშვილი – დიმიტრი ბაქრაძე ხინოს ხეობის შესახებ..... 162
15. Tatyana Vodotyka – Enterpreneurship of the Modern Imperial City: In search of oneself.....167
16. ზვიად ტყაბლაძე – ძველი რომის დაზვერვა..... 174
17. ჰათიჯე ერთურქი – ფაშის ციხე ოსმალეთის პერიოდში (1579-1829).....191
18. იოსებ ჯაფარიძე – რუსეთის გაყინული კონფლიქტების პოლიტიკა, როგორც საქართველოზე გავლენის შენარჩუნების ინსტრუმენტი 200
19. ხათუნა დუმბაძე – საქალაქო თვითმმართველობის გამოცხადება ბათუმში..... 216

არქეოლოგია

20. ამირან კახიძე/გურამ ჩხატარაშვილი/თათული მოწყობილი – ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე..... 220
21. შოთა მამულაძე/ჯახაბერ ქამადაძე/ემზარ კახიძე – ცენტრალური ჭანეთის საეკლესიო ნაგებობანი (მაჩკა, ჰუმბულა) 225
22. თამარ შალიკაძე – ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ჭარნალის მურმანეთში 234
23. შოთა მამულაძე/კახაბერ ქამადაძე – 2019 წელს გვარას ციხეზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები..... 253
24. იზოლდა დუმბაძე – შუა საუკუნეების მარნები სოფელ კაპნისთავიდან..... 260
25. ნინო ძნელაძე – ზევსის კულტთან დაკავშირებული არტეფაქტები ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმიდან..... 271
26. Сергей Тараненко – Археологический дайджест территории Киево- Печерской Лавры 280
27. ტარიელ ებრალიძე/ ნარგიზ სურმანიძე – სოფელ ფურტიოს ისტორიიდან..... 292
28. ქეთევან გორგილაძე – გვიანი შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკა გონიო – აფსაროსიდან..... 303

ეთნოლოგია, ფოლკლორი, დიალექტოლოგია

29. ნუგზარ მგელაძე – შავი ზღვა და საზღვაო ტრადიციების ასახვა ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში 317
30. თინათინ იველაშვილი – უფროს-უმცროსობის ტრადიციული ეტიკეტი XXI საუკუნის საქართველოში 342
31. ნათია კალანდაძე – ქორწინება ზემო გურიაში (XX საუკუნე).....351
32. ნანული ნოღაიდელი – მოტივაციის საკითხისათვის აჭარული დიალექტიკის ლექსიკაში 359
33. ციალა ნარაკიძე – დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის ანდაზები ლაზურ ფოლკლორში 365

რელიგიათმცოდნეობა

34. ირინა უგრეხელიძე/ნონა ქარციძე/ელისო ჩუბინიძე – უძველეის გელათური გარდამოხსნა ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან 369
35. აბესალომ ასლანიძე – ისლამის ადგილისათვის XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში..... 379
36. კახა ფუტკარაძე – ისლამური ფუნდამენტალიზმი და საქართველო 387

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com